

ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში

The old Anchiskhati temple in Tfilisi

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო **ვაჟა ოთარაშვილმა**

Complied and prepared for publication, research and notes attached by **Vaja Otarashvili**

„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი 2013

წიგნი ეძღვნება წმინდანად შერაცხულ ძმებს: ფილიმონს, ანდრიას, პოლიევქტოსს, პეტრეს და ვასილ კარბელაშვილებს

დაიბეჭდა მანგლისის და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით

რედაქტორი: ისტორიულ
მეცნიერებათა დოქტორი **სოფიო ანდღულაძე**

წიგნის დიზაინი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლექსო ოთარაშვილი**

წიგნში პოლევქტოს კარბელაშვილის ისტორიული ნაშრომის „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ.ტფილისში“ და „პარაკლისი ხელთუქმნელი ანჩის-ხატისა“-ს გარდა მკითხველი გაეცნობა გამოკვლევას – წმინდა აღმსარებელი პოლიევქტოს კარბელაშვილის გენეალოგიისა და ღვაწლის შესახებ, საარქივო დოკუმენტებს, უნიკალურ ფოტოებს, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და ანჩისხატის ეკლესიის ისტორიის მასალებს (იოანე ანჩელი, „ქართლის ცხოვრება,“ აპოკრიფული ძეგლები და სხვ.)

ISBN 978-9941-0-5439-6

© ვაჟა ოთარაშვილი 2013




მაცხოვრის ხელთუქმნელი ანჩისხატი

ტროპარი: უხრწნელსა ხატსა შენსა თაყვანის ვცემთ ქველის-მოქმედ და ვითხოვთ შენდობასა ცოდვათა ჩვენთასა. ქრისტე ღმერთო, განმრახვით სათნო-იყავ აღსვლა სორცითა ჯვარსა ზედა, რათა იხსნე, რომელი შექმენ მონებისაგან მტერისა, ვინაცა მაღლობით გიღაღადებთ: სიხარულით აღმავსენ ყოველნი, ვითარცა მაცხოვარმან ჩვენმან, მოსრულმან ცხოვრებად ყოველისა სოფლისა.

კონდაკი: გამოუთქმელსა შენსა ღვთაებასა და კაცთა-მომართსა განგებულებასა, გარე შემოუწერელო სიტყვაო მამისაო, ხატსა გამოუწერელსა და ღვთის გამოხატულსა განხორციელებისა შენისასა საძლეველად შეუორგულებელად ვიცნობთ ჩვენ და პატიეს ესცემთ მას და ამბორს უყოფთ.



წმინდა ძმები კარბელაშვილები



წინათქმა

ანჩისხატის ეკლესია თბილისის ადრექრისტიანული ხანის მართლმადიდებლური სამნავიანი ბაზილიკაა. იგი ერთ-ერთი უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლია, რომელიც დედაქალაქის დაარსების დღიდან შემოგვრჩა. ეს ეკლესია წმინდა მარიამის სახელზედ აუშენებიათ ჩვენს წინაპრებს. ნიშანდობლივია, რომ თბილისში ქრისტიანულ ტაძართა მასიურ მშენებლობას საფუძველი წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა. შესანიშნავი ისტორიკოსის ბატონ ვახტანგ გოილაძის მიერ აღმოჩენილ მასალებზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვახტანგ გორგასალი მოღვაწეობდა 430-491 წლებში, ხოლო ირანელებთან ,,იორსა ზედა ბრძოლაში" მისი გარდაცვალების შემდეგ მეფის ვაჟიშვილი – დაჩი უჯარმელი მეფობდა. როგორც ,,ქართლის ცხოვრებაში" მეისტორიე (ჯუანშერი) ბრძანებს ,,ვახტანგი აშენებდა ქალაქსა ტფლისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა." ამ გრანდიოზული მშენებლობის მასშტაბები განსაკუთრებით შესამჩნევია, მას შემდეგ, რაც 468 წელს მისტერიულ ქალაქ ედესიდან (იგივე ურჰა - მაშინდელი სირიის ქალაქი, ძველი ხურიტების დედაქალაქი) დედასთან საგდუხტთან და დასთან – ხუარანძესთან ერთად ბრუნდება საქართველოში ინდოეთს ნაომარი, უკვე დაქვრივებული (ცნობისთვის მისი პირველი ცოლის ბალენდუხტის – სპარსთა მეფის ასულის მამამძუძუ იყო წმინდა რაჟდენი, რომელიც ვახტანგ მეფემ ნიქოზის ეკლესიაში დაკრძალა) გორგასლი და 469 წელს ბიზანტიის იმპერატორის ასულს ელენეს ირთავს ცოლად. აქედან მოყოლებული ვახტანგ გორგასალის ცხოვრების გზა მხოლოდ მაცხოვრის რჯულის დაცვა და ერთიანი ქრისტიანული ივერიის მშენებლობაა. როგორც ჩანს, მე-5 საუკუნის ბოლო მეოთხედში ჩაეყარა საფუძველი მრავალ ქრისტიანულ ტაძართა

მშენებლობას, რასაც უახლესი გათხრებიც მოწმობენ (სამთავისი, მცხეთა, თბილისი, იერუსალიმი, იორდანიის უდაბნოში პეტრე იბერის (411-491წწ) თაოსნობით აგებული ქართული ეკლესია-მონასტრები და სხვ.) და სწორედ ამ დროს „საფუძველი ოდენ დაედვა“, ალბათ, ანჩისხატის – იგივე წმინდა მარიამის ბაზილიკას, ანუ „მარიამ წმინდაი ეკლესია აღაშენეს“.

ჩემი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანჩისხატის ეკლესიას საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ გორგასალმა 482-484 წლებში, რადგან სწორედ 484 წლიდან შეექმნა ხელსაყრელი პირობები ვახტანგ მეფეს, რათა თბილსში დიდი მშენებლობები დაეწყო. ამასთან, სამეფო კარისათვის საკათალიკოსო ტაძრის თუ ეკლესიების და ქალაქის ზღუდის შემოვლების სამუშაოებს, იგი ერთდროულად დაიწყებდა. სამწუხაროდ, მშენებლობისთვის მას მხოლოდ ექვსი წელი დასცალდა განგებით. ხოლო „აღაშენა“ ბოლომდე და „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი ვითა ებრძანა ვახტანგს“ – მისმა ვაჟმა დაჩი უჯარმელმა, რომელიც მეფობდა 491 წლიდან დაახლოებით 505-506–წლამდე. აქედან ვასკვნით, ანჩისხატის ეკლესიის მშენებლობა 484-505 წლებში მიმდინარეობდა, მისი საძირკვლის საშენი მასალის სიმტკიცის, იმდროინდელი სამშენებლო პირობების და საშუალებების გათვალისწინებით.

ანჩისხატის ტაძარი და მისი მიმდებარე ტერიტორია ქრისტიანული მწიგნობრობის და საერთოდ ქრისტიანული კულტურის კერა იყო ოდითგან (სასულიერო სასწავლებლები, გალობის ცენტრი, ხატმწერთა და მხატვართა სახელოსნოები პირველი სტამბა, ბიბლიოთეკა, და სხვ.). ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ეკლესიის უძველეს ნივთებს შორს იხსენიებს „შესანიშნავ სპილეძის ზარს“. ალბათ, ეს ზარი ხშირად რეკდა მწუხარებით არაბების თუ თურქ-სელჩუკების, მონღოლების თუ ირანელების შემოსევისას. ვფიქრობ, დადუმებული ზარებიც რეკენ: დუმილის იდუმალებას! ვგონებ, დღესაც გარდასულ ეპოქათა საოცარი სურნელება ტრიალებს ანჩისხატის ტაძარში...

მაცხოვრის ხელთუქმნელი ანჩის ხატი — ტილოზედ აღბეჭდილი პირი ღვთისა... კიდევ ერთი უდიდესი სიწმინდე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომლის ჩვენამდე მობრძანების მისტერიულ-ისტორიული გზა გარდასული ჟამთასვლიდან დღემდე ასეთია: I საუკუნიდან (სავარაუდოდ 32-33წწ.) 944 წლამდე ანჩისხატი სირიის ქალაქ ედესაშია (დღევანდელი თურქეთის ქ.ურფა), 944 წლის 16 აგვისტოს (ახ.სტ. 29 აგვისტოს) კონსტანტინეპოლში (ახლანდელი ქ.სტამბული) ჩააბრძანებენ, სადაც სავარაუდოდ 1185 წლამდეა (ზოგიერთის მოსაზრებით 1204 წლამდე), ხოლო 1185 წელს მოაბრძანებენ ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში (სამხრეთ საქართველო — ისტორიული კლარჯეთი, არტანუჯის მხარე), სადაც იგი 1664 წლამდეა დავანებული და შემდეგ ანჩიდან ჯერ ახალციხის, შემდგომ გორის, სოფელ ქვემო ჭალის (სადაც დიდხანს იყო დაბრძანებული ამილახვართა კარის-ეკლესიებში თუ ციხე -დარბაზებში), სამთავისი, მუხარნი, მცხეთის გავლით მობრძანდა თბილისში — დღევანდელი ანჩისხატის ტაძარში ჩვენს მეოხად და მშველელად...

უდიდესია დამსახურება ანჩისხატის ეკლესიის ყოფილი წინამძღვრის პოლიევქტოს კარბელაშვილისა, იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ და საეკლესიო ცხოვრებაში. მან პირველლმა გამოსცა ცალკე წიგნად ჯერ რუსულ (1898წ), შემდეგ ქართულ ენაზე თბილისის უძველესი საკათალიკოსო ტაძრის — ანჩისხატის შესახებ უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა „ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში“(1902წ), რომელიც მეცნიერული თვალსაზრისით უდავოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს და იგი „ხელთუქმნელი ანჩის-ხატის პარაკლისთან“ ერთად შევიტანეთ ამ წიგნში.


ანჩისხატის ეკლესიის ისტორიის კვლევას დიდი ამაგი დასდეს ისეთმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ: ვახუშტი ბატონიშვილი, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი, პლატონ იოსელიანი, მარი ბროსე, სოლომონ ალექსი-მესხიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე

ჯავახიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი. ანჩისხატის ტაძრის არქიტექტურულ რესტავრაციაზე უდიდესი შრომა გასწია ქალბატონმა რუსუდან გვერდწითელმა (ნათელში იყოს!), რომელმაც 1958 წლიდან მოყოლებული ეკლესიის პირველი აზომვები ჩაატარა და აღდგენა-რესტავრაცია გაუკეთა 1981 წლამდე ანჩისხატის ტაძარს იმ სახით, რომელიც დღეს გააჩნია დედაქალაქის უძველეს ბაზილიკას. ანჩისხატის მწიგნობარ-კალიგრაფისტთა და ანდერძ-მინაწერების მოძიება-შესწავლის კუთხით ძალზედ მნიშვნელოვანია ქალბატონ ია გაჩეჩილაძის და ელენე მაჭავარიანის შრომები აპოკრიფული ძეგლის „ავგაროზის ეპისტოლეს ძველი ქართული რედაქციების, მოძიების და კვლევის კუთხით კი ქალბატონ ნესტან ჩხკვაძის და ციალა ქურციკიძის შრომები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნესტან ჩხიკვაძის კვლევა „ავგაროზის ეპისტოლე, ძველი ქართული რედაქციები“, ასევე პროფესორ ნესტან სულავას პირველი ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა XII-XIII საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის მრავალმხრივ წარმოჩენის თვალსაზრისით. კეთილ საქმედ უნდა ჩაითვალოს პროფესორ ბონდო არველაძის წინასიტყვაობით და კომენტარებით პოლიევქტოს კარბელაშვილის ორი ცნობილი წიგნის „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ და „კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი – იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ რეტოპრინტული გამოცემები 2011 წელს. საყურადღებოა მკვლევარ თეიმურაზ გეწაძის ვრცელი ნაშრომი „ანჩისხატი“, თ.საყვარელიძის პუბლიკაცია ანჩის კარედის ხატის შესახებ, ზ.კაცელაშვილის ბროშურა „წმინდა ევდემოზ-II“ და ზაზა ნანობაშვილის მიერ ანჩისხატზე საღმრთო-ისტორიულ გადმოცემათა პოპულარიზაცია და ბრძოლა ტაძარში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის დასაბრუნებლად. აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია, რომ კარბელაშვილების შთამომავალმა ცნობილმა მეცნიერმა, ინჟინერ-გამომგონებელმა და პუბლიცისტმა ბატონმა ანდრე კარბელაშვილმა (ნათელში იყოს! გარდაიცვალა 2013 წლის აპრილში და ანჩისხატის ეკლესიიდან გამოასვენეს)


არაერთი ძალზედ ღირებული პუბლიკაცია, ბროშურა, თუ წიგნი მიუძღვნა თავის სახელოვან წინაპართა მოღვაწეობას და ხსოვნას. სხვათა შორის, ანდრე კარბელაშვილის მამის პროფ. ლუარსაბ კარბელაშვილის სახელობისაა ქვემო ჭალის საშუალო სკოლა, რომელიც 130-ზე მეტი წლისაა. აღსანიშნავია ლუარსაბ კარბელაშვილის შესანიშნავი ნარკვევი „ქვემო-ჭალა“, რომელიც საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომებშია 1943წ-ს გამოქვეყნებული და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დღესაც ისტორიოგრაფიული კუთხით. არ შემიძლია არ ვახსენო, რომ ბატონ ანდრეს ვაჟის – გიორგი (გიგი) კარბელაშვილის დიდი დახმარებით აღდგა და მოიხატა სოფ. ქვემო ჭალის ჯვარპატიოსნის ეკლესია, გაკეთდა კარბელაანთ სახლ-მუზეუმი სოფელში, და ასევე მისი მხარდაჭერით არაერთი ღონისძიება და მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ისტორული გამოცემა განხორციელდა გმირ წინაპართა სახელის უკვდავსაყოფად და წარმოსაჩენად. უღრმესი მადლობა პოლიეკტოს კარბელაშვილის მხცოვან შვილიშვილს ქალბატონ ციალა (დოდო) ცინცაძე-იმნაძეს, ასევე შვილიშვილისშვილებს ზურაბ კარბელაშვილს, ხათუნა იმნაძეს, ია ბახტაძეს და თეა ბახტაძეს კარებელაანთ საგვარეულო გენიალოგიის შედგენა-მოძიებაში დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა ავღნიშნო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის – ქალბატონ სოფიო ანდღულაძის შრომა და ღვაწლი კარბელაანთ წმნდანად შერაცხულ ძმათა ისტორიის კვლევაში და მისი წიგნი „ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი) – თბ.2006წ, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ქართული ეროვნული ეკლესიის ისტორიულ-კულტურული ფუნქციისათვის მებრძოლი ქართველი სამღვდელოების შესანიშნავი წარმომადგენლები – ძმები კარბელაშვილები და განსაკუთრებით, ვასილ კარბელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მნიშვნელოვანია ბოლო ხანს ბატონ ლუარსაბ ტოგონიძის ხელმძღვანელობით გამოცემული, ასევე ქალბატონ სოფიო ანდღულაძის ტექსტით შედგენილი დღეს უკვე ბიბლოგრაფიულ იშვიათობად ქცეული

ვრცელი წიგნი „ძმები კარბელაშვილები“ – თბ. 2012წ, რომლებზე დაყრდნობითაც შევძელი ვრცელი წინასიტყვაობა და გამოკვლევა მომეწოდებინა თქვენთვის. შევეცადე, წიგნში შემეტანა ანჩისხატთან დაკავშირებული ყველა ძვირფასი მასალა. ხოლო უფრო სრულ შრომას „ანჩისხატის ეკლესიის ისტორია – მასალები ეკლესიის ისტორიისათვის“ უფლის ნებით ცალკე წიგნად გამოვცემ მომავალში. შენდობას ვითხოვ თუ რაიმე ხარვეზს აღმოაჩენთ, ამასთან თქვენი შენიშვნები და წინადადებები მომავალ სრულყოფილ გამოცემებს გამოადგება უკვდავი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის კვლევისათვის. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II 2011 წლის საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს: „... ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობას და ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის... ახლა, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე...“ ჩვენი ბრძენი პატრიარქის ამ ქადაგებამ გამაბედინა მე ცოდვილს ხელში ამეღო კალამი ქართული ისტორიოგრაფიის კუთხით. კიდევ ერთხელ შენდობას ვითხოვ!..


უდიდესი მადლობა ანჩისხატის ეკლესიაში ამჟამად მოღვაწე სასულიერო პირებს: ანჩისხატის წინამძღვარს დეკანოზ რევაზს (ტომარაძეს), ჩემს მოძღვარს არქიმანდრიტ ნიკოლოზს (ღლონტს), დეკანოზ მიქაელს (ღვალაძეს), დეკანოზ ამირანს (ამირანაშვილს), დეკანოზ გიორგის (ჩახვაშვილს), დეკანოზ აკაკის (მეგრელიშვილს), დიაკვან თომას (შავთვალაძეს), აგრეთვე ტაძრის სტიქაროსნებს, მგალობელთა გუნდს და მორწმუნე მრევლს, რომელთა ლოცვამ და მხარდაჭერამ გამაბედინა ამ წიგნის შედგენა და გამოცემა.



ანჩისხატის ეკლესია, დასავლეთ ფასადი. 2013წ



ანჩისხატის ეკლესიის სამრეკლოს ფრაგმენტი. 2013 წ.



The old Anchiskhati temple in Tbilisi
Foreword

The Anchiskhati Basilica is Early Christian period Orthodox Church a three-span basilica of Tbilisi. It is one of the oldest architectural monument, which is since inception of a capital. This Church was built after the name of Virgin Mary by our ancestors. It is worthwhile that the foundation of the massive construction of the Christian Churches was laid by saint King Vakhtang Gorgasali. Based on materials and evidence discovered by a great Historian Vakhtang Goiladze, Vakhtang Gorgasali worked in 430-491 years, after his death in "war on Iori" with Iran, king's son-Dachi Ujarmeli reigned. As in the "Life of Kartli" historian(Juansher) says Vakhtang was building a city Tbilisi. The grand scale of this construction is particularly noticeable after 468years from the mysterius city Edes(the same Urha-Syrian city of that time,the current Urpa in Turkey)returns in Georgia with his mother Sagdukhti and with his sister- Khuarandze, struggled with India, already widowed (The tutor man of his first wife Balandukhti -Persian princess was net Rajden, who was buried in Niqozi Temple) Gorgasali and in 469 he gets married to Bizantine Emperor`s daughter Helen. Since then the way of Vakhtang Gorgasali`s life is the only Saviour`s religion protection and the construction of united Christian Georgia. It seems that the construction of many christian Temples have been based in the last quarter of the 5th century, the latest excavations are evident (Samtavisi, Mtskheta, Tbilisi, in Jerusalem and Palestine Georgian churches and monasteries and Etc.) and it was at this time "laid the foundation,"probably Anchiskhati –the Basilica of Virgin Mary, "the church of Virgin Mary was built".

In my opinion, we can conclude that Anchiskhati church was laid the foundation by Vakhtang Gorgasali in 482-484, because exactly from 484 year was created favorable conditions to King Vakhtang to begin great constructions. In addition for a royalty he would begin work of catholic temple or the fence around the church

and the city simultaneously. Unfortunately he had only six years for the construction. The consrtuction of this temple was completed by his son Dachi Ujarmeli, who reigned from 491 to about 505-506 years. I can only conclude that the construction of Anchiskhati church lasted in 484-505 years, the foundation of building material strength, terms of time and resources into building.

From ancient times Anchiskhati temple and its surrounding area was Christian literacy and Christian culture hub (Theological Schools, Chant Center, Artists` and Designers` studio, The first printing house, library Etc.). The famous Georgian historian Platon Ioseliani between the oldest things of church mentions "splendid copper bell". Probably this bell rang with sadness during Arab or Turks, Mongol or Iranians attack. I think speechless bells are calling: Mystery of silence! I think still rotates past era fragrance in Anchiskhati temple.

Saviour not made by human hand(kheltuqmneli) Anchiskhati-God's Canvas by the person... One of the greatest clarity of the Lord Jesus Christ, Before coming to us mysterious - historic ways to move from past to present is: From the first century to 944 years Anchiskhati is in Syrian city Edesa (The Turkish city of urpa), On August 16, 944 (The current date of August 29) is sent in Constantinople (It is currently in Istanbul) , Is likely to be 1185 years (Some say up to 1204), and in 1185 it is sent to Anchi Episcopal Cathedral (South Georgia- historical Turkey, Artanuji side), where it is placed until 1664 and then it was sent from Anchi through akhaltsikhe, then Gori, village Qvemo Chala (where it was placed for a long time), Samtavisi, Mukhrani, Mtskheta and finally in Tbilisi-the current Temple Anchiskhati as our mission and saviour...

The greatest merit belongs to Anchiskhati churche`s former priest Polievqto Karbelashvili , time of social - cultural and religious life of Georgia. It was first published as a separate book on Russian language(1898), then on Georgian language about Tbilisi ancient Catholicos Temple-Anchiskhati very important research " Ancient Anchiskhati Temple in Tbilisi"(1902), which deserves undoubtedly high scores and we brought it in this book with not made by human hand (kheltuqmneli) Anchiskhati prayer.


In the research of Anchiskhati church history contributed such Georgian scientists and public figures as: Vakhushti

Batonishvili, Tedo Jordania, Mose Janashvili, Platon Ioseliani, Mari Brose, Solomon Aleqsi Meskhishvili, Ekvtime Takaishvili, Ivane Javakhishvili, Giorgi Chubinashvili, Shalva Amiranashvili.

Mrs. Rusudan Gverdtsiteli (rest in peace) worked in Architectural restoration of Anchiskhati church , who conducted the first measures of the church since 1958 and restored it until 1981 as it looks today. In scribes and Calligraphers and the will title of Anchiskhati are very important Mrs Ia Gachechiladze and Elene Machavariani, with their works . In the research and searching of an apocryphal monument "Amulet epistle, old Georgian editions" are very important Mrs. Nestan Chkhikvadze and Tsiala Qurtsikidze. In the research of Nestan Chkhikvadze is especially important an apocryphal monument "Amulet epistle, old Georgian editions", also Nestan Sulava`s first scientific research XII-XIII centuries of Georgian hagiographic heritage of the visibility of diverse points of view. Good works should be considered two well-known books "Georgian Secular and Sacred Modes" and "Catholicos and bishops - the hierarchy of Georgian Church " foreword by Bondo Arveladze and comments by Polievqto Karbelashvili, published in 2011. We welcome and appreciate the researcher Teimuraz Getsadze`s extencive work "Anchiskhati" , T. Sayvarelidze`s publication about the Anchi icon with folding frame and the Divinie-historical said promotion about Anchiskhati the fight for the return of the icon of the Savior to the Cathedral by Zaza Nanobashvili. Remarkable and important is that Karbelashvili descendant the famous scientist, Engineer – Inventor and publicist Mr. Andre Karbelashvili(rest in peace! died in April 2013 and was carrying out from Anchiskhati Church)dedicated many valuable articles,brochures or books to the memory and work of his famous ancestors. By the way secondary school of Qvemo Chala has Andre Karbelashvili's father`s-Luarsab Karbelashvili`s name, which is more than 130years. I can not mention, that with a big help of his son- Mr. (Gigi) Giorgi Karbelashvili was restored and painted the Jvarpatiosani church of Qvemo Chala, was made Karbelashvili`s House - Museum in the village and also with his support was made number of events and important research - historical edition for the immortalization and presentation of the hero ancestors' name. Great thanks Poliesqtos Karbelashvili`s granddaughter mrs.

Ciala(Dodo) Cincadze-Imnadze, also the children of grandson Zurab Karbelashvili, Khatuna Imnadze, Ia Bakhtadze and Tea Bakhtadze for help in finding of Karbelashvili family genealogia. I would like to say a special thank to the Doctor of Historical Sciences Ms. Sophie Andguladze for her work and contributions for study of the history Karbelashvili Holy Martyr Brothers and her book "Bishop Stephen bodbelli(Vasil Karbelashvili) –tbilisi 2006.", there are described the wonderful fighter of priesthood for historical - cultural function of Georgian National Church- brothers Karbelashvili and especially Vasil Karbelashvili`s life and work. It is important lately Mr. Luarsab Togonidze guidance issued, also bibliographical rarity extensive book which is compiled by Mrs. Sophie Andguladze "Dzmebi Karbelashvilebi"-Tbilisi 2012, On which I could convey to you the extensive introduction and research. I tried to write in the book all the precious material about Anchiskhati. And more complete work about "Anchiskhati church history –materials for the history of the church" which will be published as a separate book in future. I apoligise if you find any defect , your notes and sentences will be useful for new perfect edition of immortal Georgian orthodoxical church history research.

Greatest thanks to Anchiskhati clerics: the leader of Anchiskhati decent Revaz (Tomaradze), to my confessor archimandrite Nikoloz(Ghlonti), decent Michael(Ghvaladze), decent Amiran (Amiranashvili), decent Giorgi (Chakhvashvili), decent Akaki(Megrelishvili), deacon Toma(Shavteladze), also each temple members, choirs and the worshipers whose pray and belief encouraged me to write this book.



წმინდა აღმსარებელი პოლიევქტოს კარბელაშვილი

(გენეალოგია და ღვაწლი)

მსოფლიო ქრისტიანობის ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც მთელი ოჯახის წმინდანად შერაცხვა ანუ კანონიზაცია ხდება. მართლმადიდებლობის ისტორიაში ასეთი ფაქტებია ტომით ქართველი ბასილი დიდის (329-379წწ) თითქმის მთელი ოჯახის (დედა წმ. ემილია, და – წმ. მაკრინე, წმ. ძმები: გრიგოლ ნოსელი, პეტრე სებასტიელი და ღირსი თეოზვა დიაკონისა) წევრების კანონიზაცია ადრეულ საუკუნეებში. ჩვენთან ასეთ მოვლენას ახლახანს ჰქონდა ადგილი: 2011 წლის 20 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის თავმჯდომარეობით გამართულმა წმინდა სინოდის სხდომამ წმინდა სინოდის განჩინებით ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის ძმები კარბელაშვილები (ხუთი ძმა) წმინდანთა დასში შერაცხა. ამასთან, ეპისკოპოს სტეფანე (ვასილი) ბოდბელს (1858-1936წწ), დეკანოზ პოლიევქტოსს (1855-1936წწ) და მღვდელ ფლიმონს (1836-1879წწ) ეწოდათ წმინდა აღმსარებელნი, ხოლო დეკანოზ ანდრიას (1851-1924წწ) და მღვდელ პეტრეს (1860-1924წწ) ეწოდათ წმინდა მღვდელმოწამენი. მათი ხსენება დაწესდა 6 სექტემბერს – დეკანოზ ანდრიასა და მღვდელ პეტრეს სოფელ ქვემო ჭალის მახლობლად ტირიფონას ველზე 1924 წელს მოწამეობრივად აღსრულების (დახვრეტის) დღეს.

ახლადშექმნილ ხატზე „წმიდა ძმანი კარბელაშვილნი“ – ხუთი ძმაა აღბეჭდილი შარავანდედით, რომელთა თავზეც მაცხოვარია გამოსახული უფლის ბრწყინვალებით, მარჯვნიდან მეორეა წმიდა პოლიევქტოსი. ხატზე იესო ქრისტეს ქვემოთ მარცხნივ სხვილოს (ცხვილოს) ციხეა, ხოლო მარჯვნივ სამთავისის ტაძარია გამოსახული – ნიშნად კარბელაანთ

წმინდა ძმების მოღვაწეობის მშობლიური არეალისა. ივერთა ერის ეროვნული ცნობიერებისათვის, ქართველთა სულიერების და კულტურის გადასარჩენად დაუცხრომელ ბრძოლაში გამორჩეულია პოლიევქტოს კარბელაშვილი — სასულიერო მოღვაწე და მწიგნობარი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, საგამომცემლო საქმიანობის კარგი მცოდნე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუღალავი მებრძოლი, ქართული საერო და სასულიერო კილოების (კარბელაანთ კილოების) ერთ-ერთი მგალობელი და გადამრჩენი, პ.ცხვილოელის (პ.ჭალელის) ფსევდონიმით ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე.

დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი დაიბადა 1855 წლის 24 იანვარს, მაშინდელი გორის მაზრის სოფ. ქვემო ჭალაში (საამილახვროში, დღევანდელი კასპის რ-ნი) ცნობილი სასულიერო პირისა და მგალობლის, გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილის ოჯახში. სხვათა შორის, სოფ. ქვემო ჭალა ეს ის სოფელია, სადაც ანჩიდან წამობრძანებული ხელთუქმნელი პირი ღვთისა XVII საუკუნის 70-იან წლებში ამილახვრების კარის ეკლესიებში (ღვთისმშობლის სახელობის და ჯვარპატიოსნის) რამდენიმე წელი იყო დავანებული. ამავე სოფლის მახლობლად (სოფ. საკორინთლო) ჰქონდათ მამულები ამილახვრების ზესიძეებს ალექსი-მესხიშვილებს, რომელთა შთამომავლებიც ანჩისხატის ეკლესიის ცნობილი კალიგრაფები იყვნენ. სოფელ ქვემო ჭალიდანაა აგრეთვე კათოლიკოსი ნიკოლოზი (ამილახვარი), რომელიც 1678-88 და 1692-95 წ. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო და ანჩისხატის ეკლესიის აღდგენა-გამაგრებაში და აღორძინებაში დომენტი კათალიკოსის შემდეგ თავისი დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

გაეცნეთ კარბელაშვილთა გვარის წარმომავლობას: აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო კილოთაგან (ქართლ-კახური) მხოლოდ კარბელაშვილების გვარის ტრადიცია — „კარბელაანთ კილოა“ ჩვენამდე სანოტო სახით სრულად მოღწეული, რაც მიგვანიშნებს, რომ საამილახვროში დიდი ყურადღება ეთმობოდა ოდითგან

მწიგნობრობისა და გალობის განვითარების კეთილ საქმეს. ძმები კარბელაშვილების მშობლიური სოფელია ქვემო ჭალა (კასპის რ-ნი), ქ. კასპიდან თორმეტიოდე კილომეტრითაა დაშორებული და ამჟამად სამთავისი-გორის ეპარქიას ეკუთვნის. სოფელს მდინარე ლეხურა (რეხურა — ზოგიერთ ისტ. წყაროებში — ვ. ო.) ჩამოუდის, რომლის ორივე მხარესაა სოფელი გაშენებული. მდ.ლეხურის ხეობის სიგრძე სათავიდან ე.წ ცხრა წყაროდან ნტკვრის შესართავამდე სულ 60-იოდე კილომეტრია, მაგრამ ისტორიულ-არქეოლოგიური და სულიერი კულტურის ძეგლებით ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში რაზეც მეტყველებს ისეთ ცნობილ მეცნიერთა და სასულიერო მოღვაწეთა შეფასებები, როგორებიც არიან ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, მანანა ქიქოძე, სერგი მაკალათაია, პარმენ ზაქარაია, გივი სოხაშვილი, მეუფე ანანია ჯაფარიძე, მამა არჩილ მინდიაშვილი და სხვ. ამ სოფელზე თითქმის გადაბმულია სოფ. საკორინთლო (შედის ქვემო ჭალის სათემო ცენტრში) თავისი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიით. სოფ. ქვემო ჭალა ზედგენიძე-ამილახვართა რეზიდენცია იყო XV საუკუნიდან დაწყებული. პოლიევქტოს კარბელაშვილი ქვემო ჭალაში პირველ მოსულ ზევდგენიძედ ხიმშიას სთვლის [პ. კარბელაშვილი — „ძველი საქართველო“ ტ. II 1919 წ. გვ. 105], რომელიც ამილახორადაა მოხსენებული ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ ისტორიულ საბუთებსა და თ. ჟორდანიას ქრონიკებში. სოფ. ქვემო ჭალაშია ამილახვართა ციხე-კოშკები კარის ეკლესიებით, გალავნებით, აბანოებით, მაგრამ სოფლის და სრულად საქართველოს სიამაყეა ქვემო ჭალიდან სამიოდ კილომეტრით მაღლა ქედზე აგებული დიდებული სხვილოს ციხე, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა ძველ საქართველოში. ამ ისტორიულ სოფელში და ლეხურის ხეობაში მოღვაწეობდნენ წმინდა მამები ისიდორე სამთავნელი, საბა რეხელი (სტეფანწმინდელი), შიო მღვიმელი... სოფ. ქვემოჭალიდან ასევე სამიოდე კილომეტრზეა დიდებული სამთავისის ტაძარი, სადაც პოლიევქტოსის ძმა ფილიმონი მღვდლად მსახურობდა, ახალგაზრდა გარდაიცვალა (1879წ) და სამთავისის ტაძრის ეზოშია დაკრძალული.

კარბელაშვილთა (კარბელაანთ) მგალობელი გვარის გენეალოგიის მოკლე ისტორია ასეთია: კირილე სამთავნელს (1766-68წწ.) მეფე ერეკლე II-ის კარზე მცხეთის საკათალიკოსო სემინარიაში განსასწავლად გაუგზავნია ქვემო ჭალიდან (საამილახვროდან) გოგია ამილახვარი (გივი ამილახვრის და შემდეგ დემეტრე ამილახვრის შტო), რასაც გვაუწყებს 1764 წლის ოქტომბრის კრების დადგენილება. გოგია (გიორგი) ამილახვარს თან გამოუყოლებია თავისი უახლოესი თანატოლი და მასთან შეზრდილი მეგობარი პეტრე ხმალაძე სოფ. საკორინთლოდან (გოგია ხმალაძის ობოლი). აღსანიშნავია, რომ სოფ. ქვემო ჭალა სათემო სოფლების (საამილახვროს) ცენტრი იყო და მასში შედიოდა თვითონ ქვემო ჭალა, ახალშენა, საკორინთლო (საკონითლო) მოგვიანებით კი ე. წ. პანტიანი, გორაკა, ვაკე, გამდლისწყარო. სხვათა შორის ფსალმუნნის ძველ-ქართულ სიტყვათა, გეოგრაფიულ ადგილთა და ისტორიულ მოვლენათა განმარტებანის შემდგენელ-გამომცემელი (1875წ.) არის ანჩისხატის ტაძრის მედავითნე — იოსებ ახალშენოვი (ახალშენელი — ვ. ო.), ასევე ლეხურის ხეობიდანაა და სოფ. ქვემოჭალის გარეუბნის ახალშენის მკვიდრი იყო. რაც შეეხება გვარი „კარბელაშვილი“ მომდინარეობს პეტრე ხმალაძის დედულეთის სოფელ კარბიდან. სოფ. კარბი ეკუთვნის დღევანდელ გორის რაიონს, იგი მდებარეობს გორიდან დაახლოებით 25 კილომეტრზე, სოფ. მერეთსა და ტყვიავის შუაში, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე. სწორედ კარბში იზრდებოდა პეტრე გარკვეულ ხანს (როცა დედა დაქვრივდა) და ამის გამო საკორინთლოში გადმოსვლის შემდეგ მათ „კარბელებს“ („კარბელას“) ეძახდნენ. აქედან მოყოლებული პეტრე ხმალაძე — კარბელაშვილების შთამომავლები დღემდე კარბელაშვილებად იხსენიებიან. ხოლო კარბელაშვილთა გვარი ლამის სამი საუკუნის მანძილზე თაობიდან თაობას გადასცემდა სრული ქართული მგალობლობის (ყოველი საგალობლის სამივე ხმის ცოდნისა და ლოტბარობის) ტრადიციას. როგორც ჩანს, კარბელაშვილებს სიმღერისა და გალობის ნიჭი პაპა პეტრესაგან მოჰყვებათ. პატარა პეტრე კარბელაშვილი (პოლიევქტოს კარბელაშვილის

პაპა) ყმაწვილობისას, როგორც აღვნიშნეთ, გოგია ამილახვართან ერთად სწავლობდა და მეგობრობდა. თავადიშვილ გოგია ამილახვარს ბევრი ვერაფერი შეუსწავლია სიმღერისა და მუსიკისა, მაგრამ ყმაწვილი პეტრე გარედან ყურისგდებითაც კი დაუფლებია გალობას და მშობლიურ სოფელ ქვემო ჭალაში დაბრუნებისას მახლობელ სოფ. სამთავისშივე დაუწყია გალობის მასწავლებლობა. შემდგომში იგი გალობას მთელ ლეხურის ხეობაში ასწავლიდა და თან სამთავისის ტაძრის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობა 1816 წლამდე. მოგვიანებით კი ეპისკოპოსმა სტეფანე რუსთაველმა იგი მარტყოფში მიიწვია. ხაზგასასმელია, რომ პეტრე კარბელაშვილის მთელი ოჯახი გალობდა, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭი და სმენა მის ოთხ ვაჟიშვილთაგან უმცროსს — გრიგოლ კარბელაშვილს (პოლიეევქტოს კარბელაშვილის მამას) აღმოაჩნდა. გრიგოლი 1812 წლის 23 აპრილს დაიბადა ქვემო ჭალაში. იგი თურმე რვა წლის ასაკიდან სამოციქულოს კითხულობდა და გალობდა შიო მღვიმის მონასტერში, ხოლო თხუთმეტი წლისამ უკვე დიაკვნად მსახურება დაიწყო. როგორც ჩანს, გრიგოლ კარბელაშვილს მამამისის — პეტრეს მეცადინეობით კარგი სასულიერო განათლება მიუღია შიომღვიმის მონასტერში 1820-1824 წლებში. გრიგოლი მამასთან ერთად 1840 წლამდე სტეფანე რუსთველის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა. 1844 წლის დეკემბერში გრიგოლ კარბელაშვილი ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი) მღვდლად უკურთხებია. ამავე წელს გარდაიცვალა პეტრე კარბელაშვილი — ღვთისნიერი პაპა კარბელაანთ გვარისა. 1849 წლიდან მამა გრიგოლი (კარბელაშვილი) მშობლიურ სოფელ ქვემო ჭალაში მსახურობდა და ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. 1862 წელს ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა მაკარიმ (მატათაშვილი) მამა გრიგოლ კარბელაშვილი ქვემო ჭალიდან თავისთან მონასტერში მიიწვია ეგზარქოსის ნებართვით ქართული გალობის მასწავლებლად. ბოდბის მონასტერში გალობის სასწავლებელი 1862 წლის 7 დეკემბერს გაიხსნა და ორ-სამ თვეში სწავლამ თავისი შედეგი გამოიღო, რაშიც უდიდესია დამსახურება პოლიეევქტოს კარბელაშვილის მამისა —

გრიგოლ კარბელაშვილისა. მისი ღვაწლით აღფრთოვანებულია თვით დიმიტრი ყიფიანიც. მამა გრიგოლი კარბელაშვილი ასევე უდიდესი ამაგით ამავე პერიოდში (1862-64 წ.) წარმატებით აღდგა თბილისის ანჩისხატის ეკლესიაში ტრადიციული ქართული გალობა მისი სამი მოსწავლის: ტიტიკო ინაშვილის (ტიტიკო ინაშვილის ნათესავია წარსულში გიორგი საakაძის ერთგული თანამებრძოლი ინაშვილი, ხოლო მომავალში მისი ნათესავია მღვდელი გიორგი ინაშვილი, რომელიც 1921 წლის საქართველოს საკლესიო კრებაზე მდივანი იყო სადაც ამბროსი ხელაია აირჩიეს კათალიკოსად მღვდელი გიორგი ინაშვილი 1924 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს რადგანაც მან უარი თქვა სასულერო მოღვაწეობის მიტოვებაზე), ივანე დარჩიაშვილის და ყარამან მენთეშაშვილის მიერ. ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა მაშინდელმა ქართულმა ინტელიგენციამაც. გრიგოლ კარბელაშვილის მიერ შედგენილი მგალობელთა გუნდები კვირაობით ანჩისხატის ტაძარში გალობდნენ. ანჩისხატის ტაძარი იმ დროს ტრადიციულად ქართული სულიერების და კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. ამავე ხანებში მამა გრიგოლი თბილისის სასულიერო სემინარიაში საეკლესიო გალობასაც ასწავლიდა 1864-1872 წლებში, მაგრამ რუსი ეგზარქოსების და საერთოდ რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული რეაქციული პოლიტიკის გამო 1872 წელს სასულიერო სემინარიაში ქართული გალობის მასწავლებლის შტატი გააუქმეს, ხოლო ქართულ ენაზე წერა-კითხვა და გალობა აკრძალეს. მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი 1880 წელს გარდაიცვალა.

გრიგოლ კარბელაშვილების ოჯახში ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი აღიზარდა; ფილიმონი, ანდრია, პოლიევქტოსი, ვასილი, პეტრე და სიდონია. მამა გრიგოლმა და მისმა სათნო და ღვთისნიერმა მეუღლე ანამ ბრწყინვალედ შეასწავლეს შვილებს მშობლიური ენა, წერა-კითხვა და უძველესი ქართლ-კახური სიმღერა-გალობა. დედა ყოველ საღამოს „დავითნს“ უკითხავდა კერიასთან პატარებს, ალბათ „ქართლის ცხოვრებას“ და საქართველოს ისტორიის ამაღელვებელ მომენტებსაც აცნობდა თვალებანთებულ ბავშვებს... ადრეულ ასაკში ძმებს უკვე ზეპირად

სცოდნიათ წირვის წესი — რვა ხმათა მიხედვით.

როგორი ღვთის მადლია, რომ ხუთივე ძმა სასულიერო სამსახურში ჩადგა და ხუთივემ მთელი სიცოცხლე ივერიის სულიერი და ეროვნული კულტურის მოვლა-პატრონობას და დაცვა-გადარჩენაზე ზრუნვას მოახმარა და შესწირა. კარბელაშვილების მგალობელთა საოჯახო გუნდი სოფ. ქვემო ჭალაში და მთელ ლეხურის ხეობაში განთქმული ყოფილა და ახლომახლო სოფლებიდან (სამთავისი, იგოეთი, კოდისწყარო, გამდლისწყარო, ბოჟამი, ლამისყანა, მსხლები, ბერშუეთი, მონასტერი, ზახორი) მათ მოსასმენად ხშირად მოდიოდნენ მცხოვრებნი და ქართული გალობისა თუ სიმღერის ტკბილხმოვანებით ტკბებოდნენ. კარბელაანთ მგალობელი ძმების პირველი სახალხო დებიუტი 1864 წლის 1 მაისს შემდგარა ქვემო ჭალიდან სამიოდე კილომეტრით დაშორებულ სხვილოს (ცხვილოს) ციხეში, როდესაც 6 წლის ვასილი, 9 წლის პოლიევქტოსი და 13 წლის ანდრია თურმე საზეიმოდ შეკრებილ საზოგადოების წინაშე გამოვიდნენ და შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები: „ყურშაო“, „შავლეგო“, „ვინცა კაცია“, „ღიღინი“, „გვიბრძანე“, „ზამთარი“, „თამარ მეფე“, „ესო მესო“ და სხვ. რითაც მათ დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ამ ბრწყინვალე დებიუტიდან ხუთი წლის შემდეგ კი პოლიევქტოს კარბელაშვილი 1869-1873 წლებში უკვე დედაქალაქის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა ძმებთან ერთად, რომელიც I ხარისხის დიპლომით დაამთავრა და 1873 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში[1]*. სამწუხაროდ, 1875 წელს ავადმყოფობის გამო გათავისუფლდა სემინარიის III კლასიდან და 1876 წლის 1 ნოემბრიდან დაინიშნა მასწავლებლად გურჯაანის სახალხო სასწავლებელში. გურჯაანშივე გაიცნო ვაჭარ მალხაზ ნაროშვილის ასული თამარი, რომელთანაც იქორწინა და მათ თერთმეტი შვილი შეეძინათ. პოლიევქტოსის და თამარის თერთმეტი შვილიდან ექვსი, სამწუხაროდ, პატარებივე

1 * მასთან ერთად სწავლობდა დიდი ქართველ მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი — ვ.ო.

გარდაიცვალნენ. დარჩენილი ხუთი შვილიდან ერთს ერქვა ფილიმონი (პოლიევქტოსმა, როგორც ჩანს, ადრე გარდაცვლილი უფროსი ძმის ფილიმონ კარბელაშვილის სახელი დაარქვა — ვ. ო.) და იყო მღვდელი, მეორეს — იოანე, დაბ. 1890 წ. 25 მაისს, ოდესის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პროფესიით იურისტი და ადვოკატი, მესამეს — დავითი, დაბ. 1893 წ. 8 მაისს, მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი, შემდგომში დოცენტი მუშაობდა ლინგვისტად თბილისის უნივერსიტეტში, დახვრიტეს 1937 წლის რეპრესიების დროს, (ამავე წელს დახვრიტეს პოლიევქტოსის ძმის ვასილის — სტეფანე ბოდბელის ორივე ვაჟი: შალვა და ელიზბარი). მეოთხეს ერქვა — გიგო, დაბ. 1895 წლის 16 ნოემბერს, პროფესიით მხატვარი, შემდგომ გაიწვიეს რუსეთის ჯარში, უფროსმა ძმამ წაიყვანა თავისთან ნაწილში, რომელიც ცოტა ხანში გადაისროლეს ირანის ფრონტზე, სადაც იგი მოკლეს. ძმამ — დავითმა იგი დროებით დაასაფლავა ლენქორანში, საიდანაც მისი გადმოსვენება ვეღარ მოხერხდა. პოლიევქტოს კარბელაშვილს ყჰავდა ერთი ასულიც — ელენე, დაბადებული სხვათა შორის ანჩისხატის ეკლესიის ეზოში მდებარე შენობაში, 1899 წ 6 ოქტომბერს, რომელიც გარდაიცვალა თბილისში 1967 წელს.

პოლიევქტოს კარბელაშვილის მოღვაწეობის ამ პერიოდის საგულისხმო მონაპოვარია გურჯაანში მიკვლეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომლის პუბლიკაცია მოხდა ჟურნალ „ივერიაში“ 1880 წ. №3-ში. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით მოგვიანებით ეს ხელნაწერი ქართული სიძველეთა მაძიებლის პოლიევქტოს კარბელაშვილის მიუყიდნია ელენე ერისთავ-თარხნიშვილისათვის და თარხანმოურავისეული „ვეფხისტყეოსანის“ სახელითაა ცნობილი. ამ თავადის ქალმა-ელენე თარხნიშვილმა საკუთარი ხარჯით ანჩისხატის ეკლესიის იატაკი მოაპირკეთა დაახლოებით 1898-1900 წლებში. სამწუხაროდ ზემოთ ხსენებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი დღეს საქართველოში არ არის და ინახება ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლოთეკს უორდროპისეულ კოლექციაში.

პოლიევქტოს კარბელაშვილი თავის ძმებთან ერთად



დეკანოზი გრიგოლ ჯარბელაშვილი მიხეილ ამილახვართან და მის ნათესავებთან ერთად. სოფ. ქვ. ჭალა. XIX საუკუნის 70-იანი წლები



სხვილოს ციხე. სადაც 1864 წლის 1 მაისს შედგა ანდრია, პოლიევქტოს და ვასილ ჯარბელაშვილების სიმღერის დებიუტი



ძმები ჯარბელაშვილები: მარცხნიდან პოლიევქტოსი, ვასილი, პეტრე და ანდრია. თბილისი 1892 წ

ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიიდან დაწყებული თანამოაზრე ამხანაგების საშუალებით ავრცელებდა ქართლ-კახურ სიმღერა-გალობას, ხოლო შემდგომ წლებში უკვე გრძელდება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, კერძოდ, 1882 წლის 1 იანვრიდან იგი საეკლესიო გალობას ასწავლიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1883 წლის 9 მარტიდან დედაქალაქის სასულიერო სემინარიაში. პოლიევქტოს კარბელაშვილმა როგორც მაღალი ეროვნული თვითშეგნების მქონე მოღვაწემ შესანიშნავად იცოდა ქართული ენა და ლიტერატურა, რელიგიის ისტორია, მწიგნობრობა გასაკვირი არ არის რომ 1883 წ. 1 სექტემბრიდან 1885 წლის 2 დეკემბრამდე იყო თბილისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებელი. ასევე ქართული ენის მასწავლებლად მუშაობდა იგი 1882 წლის 1 სექტემბრიდან 1883 წლის 1 დეკემბრამდე თბილისის სასულიერო სასწავლებელში.

პოლიევქტოს კარბელაშვილის საეკლესიო მოღვაწეობა იწყება 1883 წლის 30 აგვისტოდან, როდესაც იგი დიაკვნად აკურთხეს, ხოლო იმავე წლის 5 სექტემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და დედაქალაქის ქალთა ეპარქიული სასწავლებლის კარის ეკლესიაში განამწესეს. დაახლოებით ორი წლის შემდეგ კი, 1885 წლის 2 დეკემბრიდან ინიშნება საგარეჯოს წმინდა სვიმონ მესვეტის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად, ხოლო 1886 წლის 4 მარტიდან უკვე გურჯაანის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. ღვთის განგებით ისე საოცარი მსგავსებაა მამა-შვილების (გრიგოლ, პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილების) სასულიერო მოღვაწეობის გზისა – სამივემ კახეთში იმოღვაწეა: მამამ – ბოდბის წმ. ნინოს სახ. მონასტერში, შვილმა საგარეჯოსა და გურჯაანის ეკლესიებში მეორე ვაჟი ვასილი კი ეპისკოპოს სტეფანე ბოდმებლის სახელით არის ცნობილი... პოლიევქტოს კარბელაშვილი ეკლესიაში ნაყოფიერი და ერთგული სამსახურისათვის 1891 წლის 12 აპრილს საგვერდულით დააჯილდოვეს, ხოლო 1894 წლის 25 აპრილს სკუფია უბოძეს. იგი საეპარქიო და საოლქო სხდომებზე უცვლელი დეპუტატი იყო 1886-1894 წლებში.

მაგრამ ამ წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსეული შტრიხი მისი მოღვაწეობისა, როგორც ისტორიკოსისა და მკვლევარისა, შემდეგია: 1889 წელს პოლიევქტოს კარბელაშვილი ძმასთან – ვასილთან ერთად ეწვია დავით გარეჯის მონასტერს, დეტალურად შეისწავლა იქ არსებული უძველეს წიგნთა და ხელნაწერთა ბიბლიოთეკა. მისი გადმოცემით იქ 110 ცალი ხელნაწერი ძველი წიგნი ყოფილა, რომელთა შორის 22 ცალი ტყავზე ყოფილა დაწერილი. პოლიევქტოს კარბელაშვილმა გადმოიწერა და გაშიფრა ამ წიგნების „მინაწერები". დავით გარეჯის უდაბნოში ძველი ქართული ბიბლიოთეკის უმნიშვნელოვანეს ფაქტს გამოეხმაურა ერის მამა – ილია ჭავჭავაძე, რომელიც გაზეთ „ივერიის" 1889 წლის №159-ში მეწინავე წერილში წერდა: „ჯერ მარტო დავით გარეჯის უდაბნოში 100-ზე მეტი წიგნი აღმოჩენილა. მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისი სიძველით, რომ ფასდაუდებელია. რამდენი სხვა ამისთანა მონასტერია ჩვენს ქვეყანაში და რამდენი წიგნი უნდა აღმოჩნდეს ამ მონასტრებში, ვინ მოსთვლის". როგორი სიამაყე და ფარული სევდა გამოსჭვივის დიდი ილიას ამ სიტყვებში დამერწმუნებით.

ნიშანდობლივია, რომ ძმებ კარბელაშვილებს (პოლიევქტოსი და ვასილსი) უდიდესი დამსახურება მიუძღვით დავით გარეჯის ბიბლიოთეკის გადარჩენაში. ამ ძვირფასი წიგნებისა და ხელნაწერების უმეტესობა ამჟამად კორნელი კეკელიძის (ასევე ანჩისხატის ყოფილი დეკანოზი) სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული.

მამა პოლიევქტოსი (კარბელაშვილი) ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას აქტიურად ჩაება იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ და საეკლესიო ცხოვრებაში. მისი იდეითა თუ თანაავტორობით მრავალ სასიკეთო ეროვნულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, მისი თანადგომით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისა და ეროვნული საგანძურის გადარჩენისათვის. წლების განმავლობაში მამა პოლიევქტოსი იყო ქართლ-კახეთის ეპარქიის სამზრუნველოს

წევრი. ქართული კულტურის კერებიდან გაბნეული (ჟამთა ვითარებიდან გამომდინარე) ეროვნული ქონების თავმოყრისა და დაცვის მიზნით 1889 წლის 24 იანვარს სიონის ტაძართან ქართველი სამღვდელოების მიერ დაარსდა ქართული საეკლესიო ისტორიის მუზეუმი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ყოვლადსამღვდელო ლეონიდე (ოქროპირიძე). ამ მუზეუმის კომიტეტის წევრებად აქტიურად ფიგურირებენ ძმები ვასილ და პოლიევექტოს კარბელაშვილები. კერძოდ, ისინი იყვნენ იმ დროს მუზეუმთან სპეციალურად შექმნილი სამეცნიერო კომიტეტის წევრები და საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების აქტიური თანამშრომელი. სწორედ ამ საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების ეგიდით ეწვივნენ ძმები კარბელაშვილები დავით გარეჯის მონასტერს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი...

ისე ერთი ფაქტია ხაზგასასმელი: ნიშანდობლივია, რომ ძმები კარბელაშვილები ისეთ გრანდიოზულ ეროვნულ საქმეებს აკეთებენ ერთი მეორეზე სწრაფად და უკეთესად, თითქოს ერთმანეთის კონკურენტები არიანო (ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა — ვ. ო.) და დროს და ენერგიას არ ზოგავენ მიზნის მისაღწევად... საოცარია, საოცარი ძმათა ღვთისნიერი მარათონი...

ამ ეპოქის ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა სრული ანალიზისათვის ოდნავ უკან დავბრუნდეთ. 1877 წლიდან შესანიშნავი მამულიშვილის და სასულიერო მოღვაწის — ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) წყალობით კვლავ დღის წესრიგში დადგა ძველი ქართული გალობის მოვლა-პატრონობისა და გადარჩენის საკითხი. ამის შემდეგ შედგა საგანგებო კომიტეტი, სადაც გადაწყდა: ქართლ-კახური კილოს საგალობლებზე ეზრუნათ ამ მხარის სამღვდელოებას, ხოლო იმერულ-გურულ კილოზე იმერეთის ეპისკოპოსს და სამღვდელოებას. ამ დროს ძმები კარბელაშვილები ქართლ-კახეთში მოღვაწეობენ და უფლის განგებით ნიჭიც აქვთ და სურვილიც ქართული სიმღერა-გალობის გადარჩენისა... ამ დროს საქართველოში ბობოქრობს ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და გაქრობით ემუქრება ყოველივე ქართულს...

ქართლ-კახური კილოების საგალობლების ჩაწერა

წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) თაოსნობით და ხარჯით მიმდინარეობდა. ივერთა მღვდელმთავარმა 1884 წლის 1 ოქტომბერს ხელშეკრულება გააფორმა იმპერატორის რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების დირექტორთან — ბატონ მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვთან (იგი კომპოზიტორი იყო), რომლის თანახმადაც ეპისკოპოსი ალექსანდრე ვალდებულებას იღებდა ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვისათვის, რომელიც ე. წ. „კარბელაანთ კილოს“ ნიმუშებს იწერდა, მის განკარგულებაში მიეჩინა მღვდლები — ქართული გალობის შესანიშნავი მცოდნეები ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები ქართული საგალობლების ნოტებეზე გადასატანად. მათ ეხმარებოდნენ აგრეთვე მღვდლები გრიგოლ მღებრიშვილი და ალექსანდრე მოლოდინაშვილი (ორივე იყო კარბელაშვილების მოწაფე — ვ. ო.) ხელშეკრულების თანახმად, იპოლიტოვ-ივანოვს 400 საგალობელი უნდა გადაეტანა ნოტებზე „კარბელაანთ გუდის“ დახმარებით. ეს იყო: იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიოლოღოსის წირვის წესი, მწუხრის და ცისკრის საგალობლები, მიცვალებულის წესის აგებისა და ქორწინების წესი, „წმინდაო ღმერთოსა“ და „ღირს არსის“ წილ სათქმელი საგალობლები. 1885 წლისათვის იპოლიტოვ-ივანოვს დაუსრულებია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიოლოღოსის წირვის წესის საგალობლების ჩაწერა, რის შემდეგაც იგი გაუწვევიათ უკან რუსეთში.

როგორც ჩანს, ძმებმა კარბელაშვილებმა (ვასილმა და პოლიევქტოსმა) ხანგრძლივი და რუთინული მუშაობის შემდეგ გასაღები მოუძებნეს უძველესი ქართული საეკლესიო გალობის პერგამენტებზე არსებულ უხნესი მუსიკალური დამწერლობის ე. წ. ნევმური სისტემის გახსნას, შეიმუშავეს მეთოდი ურთულესი ნევმური დამწრლობის შესასწავლად და სხვებსაც გააცნეს იგი. „მნემოს“ — ბერძნულად მეხსიერებას ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეებში ქართული, მუსიკალური დამწერლობის მნემონური წესი არსებობდა (როცა ზოგიერთი სახელმწიფო საერთოდ არ არსებობდა და ბევრი არსებული კი ტამტამთა ბრახაბრუხით დარბოდა ნახევრადშიშველი), რაც გულისხმობდა

საგალობელთა მელოდიების დამახსოვრებას სპეციალური ნიშნების საშუალებით. ხუთხაზიანი სანოტო დამწერლობა კარგად შეუსწავლია პოლიევქტოსის უფროს ვაჟიშვილს – ფილიმონს და ალექსანდრე მოლოდინაშვილთან ერთად ჩაუწერია შობის ძლისპირებისა და ლიტურგიის სადა კილოს ნიმუშები. ერთი სიტყვით, პოლიევქტოს კარბელაშვილს (ძმებთან და შვილთან ერთად) მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული სასულიერო და საერო კილოების შესწავლისა და აღდგენა-შენარჩუნების საქმეში. 43 წლის ასაკში მამა პოლიევქტოსმა 1898 წელს გამოსცა თავისი ნაყოფიერი შრომის შედეგი – დღეს საყოველთაოდ ცნობილი უპირველესი მნიშვნელობის ნაშრომი – „ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა“, რომელშიც განხილულია ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: საიდან წარმოსდგება ქართული ზმნა „გალობა“, ძველი ქართული კილოები და საეკლესიო გალობა, საბერძნეთი და ქრისტიანობა; ბერძენნი და ქართველნი, ებრაელნი და ქრისტიანობა; ებრაელნი და ქართველნი, ქართული საერო სიმღერები და ქართული საეკლესიო გალობა, საგაობელთა თხზვა ქართულ ენაზედ ძველადვე, ქართული გალობის კილოები ძველნი არიან, ქართული გალობის გავრცელება წარსულ XVIII საუკუნეში და სხვ.

მამა პოლიექტოსს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან – ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, თედო ჟორდანიასთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, დიმიტრი არაყიშვილთან, ზაქარია ფალიაშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვ.

დავით გარეჯის უდაბნოში ტყავზე ნაწერი ხელნაწერების შესახებ წერილი პოლიევქტოს კარბელაშვილმა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ივერიის“ 1889 წლის №26 და გაგრძელება №32-ში გამოაქვეყნა სათაურით: „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარეჯის

უდაბნოს ტყავზე ნაწერი ხელნაწერებისა“. უფრო ადრე, 1886 წლის 1 ივლისს, გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა პოლიევქტოს კარბელაშვილის წერილი სამეგრელოს თავად ნიკო დადიანის ძვირფასი ბიბლიოთეკის კატალოგის შემსწავლელი კომისიის შესახებ, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, იონა მეუნარგია, ვასილ მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი და რომლის მუშაობაშიც ილია ჭავჭავაძის დავალებით მონაწილეობდა მამა პოლიევქტოსიც. ნაწყვეტი ზემოაღნიშნული წერილიდან: „მე მქონდა ბედნიერება ამ კომისიის დავალებით გავცნობოდი მათ მიერ მიკვლეულ ხელნაწერებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხელნაწერებში ქართული ეკლესიების ისტორია“. ამ პატარა ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს მამა პოლიევქტოსის მისწრაფების ორიენტირი.

პირად ბლოკნოტში პოლიევქტოს კარბელაშვილს ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „ილია ჭავჭავაძე იყო გურჯაანში ჩემთან ვიზიტით, თან მოჰყვნენ ლევან ჯანდიერი და ვანო დავითის ძე ანდრონიკაშვილი 16 ივნისს 1893 წ. ოთხშაბათს, 12 საათზედ“.

1897 წელს ივერიელთა უსაყვარლეს მგოსანს აკაკი წერეთელს კახეთში მოგზაურობის დროს გურჯაანში პოლიევქტოს კარბელაშვილის ოჯახში გაუთევია ღამე, რის შესახებაც ასეთი მცირედი ჩანაწერი დაგვიტოვა: „ერთი ღამე გზაში მამა პოლიევქტოს კარბელაშვილისას გავათიეთ, სადაც გავსინჯე მისი ქართული ბიბლიოთეკა და კმაყოფილი დავრჩი. ამ საზოგადო მოღვაწე მღვდელზე, როგორც მამა დეკანოზ ღამბაშიძეზე, ჩემს თავგადასავალში ბევრი რამ მექნება მოხსენიებული“ (აკაკი წერეთლის თხზ. ტ. XII, გვ. 317).

ასევე ნიშანდობლივია, რომ ილიას მკვლელობის შემდეგ სიონის ტაძარში ერის მამის ძვირფას ცხედარს ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძესთან ერთად პანაშვიდი გადაუხადეს ძმებმა კარბელაშვილებმა — ვასილმა (სტეფანე ბოდბელმა) და პოლიევქტოსმა 1907 წლის სექტემბრის დასაწყისში, ამასთან დილის წირვაზე სიტყვა წარმოთქვა ვასილ კარბელაშვილმა, ხოლო საღამოს ლოცვის შემდეგ დამწუხრებულ მრევლს

სიტყვით მიმართა მამა პოლიევქტოსმა.

აღსანიშნავია, ასევე, პოლიევქტოს კარბელაშვილის მნიშვნელოვანი „მოგზაურობა ლეჩხუმსა და სვანეთში ორი კვირით“ მეგობრებთან ცნობილ მეცნიერ და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილთან (1864-1912) და ზაქარია ფალიაშვილთან ერთად 1903 წლის 8 ივლისს. ამ დროს მამა პოლიევქტორი 48 წლისაა, ა. ხახანაშვილი 39 წლის და ზ. ფალიაშვილი 32 წლის. ამ მოგზაურობას დიდი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული დატვირთვა ჰქონდა ხალხური თუ სასულიერო სიმღერების ჩაწერა-გადარჩენის კუთხით, მოსახლეობაში გაბნეული ზეპირსიტყვიერი მასალის და ფოლკლორის მოძიების კუთხით, ქართულ ეკლესია-მონასტრებში გაბნეული ეროვნული საგანძურის აღრიცხვა-თავმოყრის კუთხით... (ცნობილია ოპერა „დაისის“ სათავეებსაც სავარაუდოდ კარბელაშვილბთან მივყავართ).

შემდგომში ამ ექსპედიციის შედეგები მამა პოლიევქტოსმა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი შენიშვნებით ცაგერის სამღვდელმთავრო ტაძრის შესახებ და მის მეზობლად მდებარე წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძრის (სადაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დაკრძალულია წმ. მაქსიმე აღმსარებელი) ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობაში.

ამონარიდები მისი საგაზეთო პუბლიკაციებიდან: ცაგერის სამღვდელმთავრო ტაძრის „გალავანი კი ისევ ძველია. ტაძარი უგუმბათოა და სასიამოვნო სანახავია შიგნით-გარეთ. ცაგერის მღვდელმთავარი განაგებდა ლეჩხუმს და სვანეთს“... ტაძარი ოდესმე მდიდარი ყოფილა ყოველივე საეკლესიო სამკაულით. დღემდე ძალიან მცირედმა ნაწილმა მოაღწია იმ აუარებელი სიმდიდრიდამ... ტილოს კანკელი ციაგერის ტაძრისა დახატულია 1786 წელს კარგის ოსტატის ხელით... ხელნაწერ წიგნებში საყურადღებოა მეტაფრასი, ე. ი. კრებული წმ. მამათა რჩეულ ქადაგებათა და მოძღვრებათა საუფლო და სადღესასწაულო დღეებში...“ და ასე ყველა მნიშნელოვანი მომენტი ამ ექსპედიციისა და ძიებისა ძალზედ დეტალურად მაღალ ისტორიულ-მეცნიერულ და, რა თქმა უნდა, თეოლოგიურ დონეზეა შესრულებული.

1898 წლის 14 ივლისს მამა პოლიევქტოსი თბილისში ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში გადმოჰყავთ მღვდლად. ამ უძველეს საკათალიკოსო ტაძარში მოსვლისთანავე მან დიდი ყურადღება მიაქცია ტაძრის განახლება-გამშვენების საკითხს. მით უმეტეს, რომ ამ დროს ანჩისხატის ეკლესია რუსი ეგზარხოსების ბრძანებით, როგორც ქართული სასულიერო და არქიტექტურული ძეგლი ძალზედ დამახინჯებულად გამოიყურებოდა (ცრუ გუმბათები, ტაძრის ტომებტის ფილებით ამაღლებული და დაფარული იატაკი, ზეთის საღებავებით გადაღებული ძველი ქართული ფრესკები და სხვ.). მამა პოლიევქტოსმა ენერგია არ დაიშურა და შეაკეთა, გაარემონტა ეკლესია, კანკელი, განაახლა ხატები და ანჩისხატს შესწირა საეკლესიო ინვენტარი. როგორც მამამისმა გრიგოლმა 35 წლის წინ აღადგინა ტრადიციული ქართული გალობა ანჩისხატის ეკლესიაში, ისე შვილმა — ანჩისხატის მღვდელმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა თავისი ინიციატივით და რუდუნებით გააბშირა ქართული წირვა-ლოცვა და გალობა ანჩისხატის ბაზილიკაში, რომელიც აკრძალული იყო რუსი ეგზარქოზების მიერ. იგი ღრმად განსწავლული სიძველეთა მკვლევარი და ისტორიკოსიც იყო (სხვადასხვა სკოლებში ისტორიას ასწავლიდა). 1899 წელს მან ჯერ რუსულ ენაზე გამოსცა მნიშვნელოვანი შრომა-გამოკვლევა ანჩისხატის ეკლესიის შესახებ სათაურით „Древний Анчисхатский собор в Тифлисе. Тифлис 1899“, ხოლო შემდეგ მართლაც ღირებული პატარა, მაგრამ ბევრის მომცველი წიგნი — „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში. ისტორიული მიმოხილვა“. ტფილისი 1902 წ. რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი და რომლის რეტროპრინტულ გამოცემასაც გთავაზობთ

1899 წლის 23 მაისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) მეუფე ლეონიდესთან ერთად დიდძალი და გულანთებული მრევლის თანდასწრებით ანჩისხატის ეკლესიაში წირვა ჩაატარა დილის 9 საათიდან. წირვის დროს ხალხი გულმხურვალედ ლოცულობდა და სასოებით უსმენდა მღვდელმთავარს. შესანიშნავად გალობდა ვაჟთა და

ქალთა გუნდი „კარბელაანთ კილოზე“ ბერიძის ლოტბარობით. წირვის დამთავრების შემდეგ მეუფე ალექსანდრემ მრევლი დალოცა და მამა პოლიევქტოსს დიდი მადლობა გამოუცხადა ნაყოფიერი და ღირსეული მოღვაწეობისათვის. აღსანიშნავია, რომ მამა პოლიევქტოსი, როგორც მხურვალე მამულიშვილი და ისტორიაში ღრმად განსწავლული სასულიერო მოღვაწე და კარგი ორატორი, ხშირად ქადაგებდა ქართული საზოგადოების თუ მრევლის წინაშე. გთავაზობთ ქრისტეს სჯულსა და სამშობლოზე უსაზღვრო სიყვარულით გაჟღენთილ ამონარიდს მამა პოლიევქტოსის მიერ 1898 წლის 29 აგვისტოს (ახ. სტ.) ანჩისხატის ტაძრის დღესასწაულზე წარმოთქმული ქადაგებიდან:

„... ძველად ჩვენს ქვეყანაში ყოველი დედა და მამა თვით ღრმად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, წმინდა სახარების და სხვა საღმრთო წერილების ცოდნის გარეშე ქართველს ქალს სხვა უკეთესი ცოდნა აღარა ეგულებოდა რა, უცოდნელობა საღმრთო წერილისა ურჯულოებად მიაჩნდა... ძველად ყველა ქართველს პატარაობიდანვე ესისხლხორცებოდა და ეთვისებოდა

საფლავამდე ღმრთის სიყვარული და შიში, წმინდა ზნეობრივი ცხოვრება და რიდი ცოდვისა ბოროტისა საქმისა. ცხადია, რომ ესეთს ღვთის სათნოებაში აღზრდილი ქართველი ღირსეულად ატარებდა წმინდსა ხატებსა და ღმერთიც ჯეროვნად ავჯილდოვებდა მათს მორწმუნეობასა და კეთილად ცხოვრებასა...

ორასი ათასი წლის განმავლობაში ქართველმა ერმა შეინარჩუნა ენა, სარწმუნოება და სამშობლო მიწა-წყალი. ამოდენა ხნის განმავლობაში მრავალ მძვინვარე მტერს სახელოვნად გაუმკლავდა ერთი მუჭა ერი, მოიხვეჭა სახელი ირგვლივ მცხოვრებ უცხო ხალხთა შორის, შექმნა მდიდარი ენა, სასულიერო და საერო მწერლობა, აღაშენა მრავლად დიდ მშვენიერი ტაძრები, ციხე-დარბაზები და სხვ. მხნეობა, მოთმინება და ხაისათის სიმტკიცე ძველის ქართველის საზღაპროდ გარდაიქმნა... დღეს? დღეს კი ჩვენ დედათა გზა დაბნეულობისა გამო, შვილთა უკუღმართის აღზრდისა გამო ჩვენმა ზნეობრივმა ცხოვრებამ ფერი იცვალა, განვარისხეთ ღმერთი და ცოდვით შეებღალეთ უდიდესი ჩვენი სამკაული — ხატება ღმრთისა! საშიშია, ძმანო და დანო, ქრისტიანენო ესრეთი უარყოფა მამა-

პაპათა ნაანდერძევ სარწმუნოებას, და ცხოვრებას კი ზურგი შევაქციეთ. სწორედ ჩვენისთანა გაურკვევლად მცხოვრებ იუდიანთ შერისხა იესო ქრისტემ:

„მიგელოს თქვენგან სამკვიდრებელი თქვენი და მიეცეს ნათესავთასა უცხოსა“, რომელი ჰყოფდეს ნაყოფსა კეთილსა. მიმოიხედეთ ირგვლივ, ძმანო და დანო ქრისტიანენო, ყველა უცხო ერი როგორ მტკიცედ იცავს თავის მამა-პაპის სჯულსა და სარწმუნოებასა!

ვიდრე კიდევ დროა, შეუდექით თქვენ შვილთა კეთილ ზნეობრივი ცხოვრებით აღზრდასა, პატარაობითვე ჩაუნერგეთ გულში ღვთის სიყვარული, გაუღვივეთ სარწმუნოებრივი გრძნობა, რომლისა კეთილსა ნაყოფსა თქვენვე მოიმკით ბოლოს“.


დამერწმუნებით, როგორი ქრისტიანული მგზნებარებითაა წარმოთქმული ეს სიტყვები, რომელსაც მარადიული ღირებულება გააჩნია და თითქოს დღევანდელ საქართველოშიც დამრიგებელ და გამაფრთხილებელ ზარის რეკვად ისმის ათასგვარ და ათასი ჯურის მტერთა მოზღვავებისგან დაბნეულ-ეგზალტირებული ივერიელებისთვის. არც იმდროინდელ საქართველოს ადგა კარგი დღე: ინტელიგენციისა და სასულიერო პირთა ნაწილი რუსული ცარიზმის პოლიტიკის ყურმოჭრილ მსახურად იყო ქცეული, ნაწილს მამა-პაპის სჯულზე აეღო ხელი — არც მარხვას იცავდა და არც ქრისტიანული ცხოვრების წესს, ღრეობასა და დროსტარებაში ფლანგავდა დროსა და ქონებას, ზოგს სომხის ტერტერა მღვდლები იბირებდნენ თავისკენ და ქართული ეკლესია-მონასტრებივით ეპატრონებოდნენ, ზოგიც რუსეთში თუ ირან-თურქეთისკენ გარბოდა თავის საშველად... არეულიყო ერი თუ ბერი... „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს!“ როგორი მაცხოვრისეული უკვდავებითაა გაჟღენთილი რუსთაველის ეს სტრიქონები... რამეთუ უფლის განგებამ იმდროინდელ საქართველოს წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) მოუვლინა თანამებრძოლთა წმინდა დასით და ამ დასის ერთ-ერთი რჩეული მებრძოლთაგანნი იყვნენ ძმები კარბელაშვილები...

ანჩისხატის ტაძრის მღვდელს პოლიეევქტოს კარბელაშვილს ეკლესიის ერთგული სამსახურისათვის 1901 წლის 6 მაისს (გიორგობას) კამილავკა უწყალობეს. ერთი წლით ადრე კი 1900 წელს მან შეადგინა და გამოსცა მეტად მნიშვნელოვანი წიგნი „იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი

და მღვდელთ-მთავარნი“. უნდა აღინიშნოს, რომ ივერიის კათალიკოსთა და მღვდელმთავართა ზეობის რიგის დადგენა მე-18 საუკუნეში სცადა პირველად მესხიშვილთა სახელოვანი ოჯახის საუკეთესო წარმომადგენელმა, მრავალმხრივ განვითარებულმა მამულიშვილმა და საზოგადო მოღვაწემ, უბადლო კალიგრაფმა და ლექსიკოგრამა, პოეტმა დავით რექტორმა (1749-1824 წწ.), უმცროსმა ძმამ ანჩისხატის გმირი დეკანოზისა სოლომონ მესხიშვილისა – გმირი ქართველისა, რომელმაც გადაარჩინა მაცხოვრის ხელთუქმნელი ანჩისხატი კრწანისის ომის წაგებისას თბილისში შემოსული აღა-მაჰმად ხანის მტარვალებისაგან და ზურგზე მოკიდებული პირი ღვთისა უფლის განგებით არაგვის ხეობაში გერგეთამდე აიტანა სამშვიდობოს 1795 წლის 13-14 სექტემბერს. დეკანოზი სოლომონ ალექსი-მესხიშვილი ანჩისხატის ეკლესიაშია დაკრძალული ღვთისმშობლის ხატის წინ დაახლოებით იმ ადგილას, სადაც დღეს მგალობლები და მედავითნე დგას წრვა-ლოცვისას. საქართველოს კათალიკოსთა ზეობის რიგის დადგენაზე მუშაობდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები და მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ პლატონ იოსელიანი, თედო ჟორდანია (მეგობრობდა პოლიევექტოს კარბელაშვილთან), მიხეილ თამარაშვილი. მომავალში ამ კუთხით გამოკვლევები გააგრძელეს ექ. თაყაიშვილმა, მ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ს. კაკაბაძემ, კ. კეკელიძემ და სხვებმა. თუმცა ნიშანდობლივია, რომ მამა პოლიევექტოსის „იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი“ დღესაც საეტაპო ნაშრომია მასალის მოცულობით, წყაროთა უნიკალურობით და ეპოქათა ისტორიული ანალიზის კუთხით ამჟამადაც ძალზედ ღირებულად ითვლება.

1902 წელს კი გამოდის პოლიევექტოს კარბელაშვილის მართლაც უმნიშვნელოვანესი და უნიკალური წიგნი „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში. ისტორიული მიმოხილვა“. ამ დროს მამა პოლიევექტოსი ანჩისხატის ეკლესიის მღვდელი 47 წლისაა.

პოლიევქტს
ჯახბელაშვილი
ფილიმონი
ვანო
გიგი
ნონა
ქეთი
გიგი
ნადია
ოთარი
მჭახ
ჯაშაური
თამარიო
გიორგი
ლიანა
ჯოტე
თენგიზი
ნინო
ცისანა
ზურაბი
ნატო
ქეთი
ირაკლი
ჯაფარიძე
სოსო
დათო
თამუნა
?
მარიამი
სოფო
?
?
?
ნინო
დიმა
სოფო
ზაირა
მია
ელენე
დანიელი



პოლიეკტოს კარბელაშვილის საგვარეულო ხე.
(სავარაუდო ვარიანტი)

მიმოვიხილოთ რას წერს იმდროინდელი პრესა ანჩისხატის ეკლესიაზე, რათა უფრო თვალნათლივ დავინახოთ ის ეპოქა, რომელშიც, მოღვაწეობდა მამა პოლიევქტოსი ანჩისხატის ტაძარში მისვლამდე. აი გაზეთი „დროება“ 1883 წელი №163, რუბრიკით „შინაური ქრონიკა“ ასეთ ცნობას გვაწვდის: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ანჩისხატის ეკლესიაში, ღამისთევის დროს, დაკარგულა მშვენიერი, ხელოვნურად ნაკეთები და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ჯვარი და კიდევ ერთი ძვირფასი თვალი, რომელიც აუგლეჯიათ ღვთისმშობლის ხატისთვის. ამბობენ, ვითომც ეს ნივთები დაიკარგა იმ დროს, როცა ხალხი ეკლესიაში შეგროვდა წვიმის გამო და ხატებთან მისულიყვნენ სამთხვევლად“. ცხადია, გულსატკენი და აღმაშფოთებელია ეს ცნობა, რომელიც გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ქართული ტაძრები დაუცველია, სუფევს განუკითხაობა, მეფის რუსეთის მოხელეებს ნაკლებად აინტერესებთ ქართული ეკლესია-მონასტრების ბედი (ამის თვალნათელი დასტურია ნიკოლოზ დურნოვის ცნობილი წიგნი „ქართული ეკლესიის ბედი რუსეთში“. Дурново Н.Н. Исторический очерк автокефальных церкаей Иверской и Имеретинской, М., 1910).

თუმცა ანჩისხატის უძველესი საკათალიკოსო ტაძრის ბედი და ისტორია აინტერესებს იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციას და მამულიშვილ სასულიერო მოღვაწეებს. ამ მხრივ ძალზედ საყურადღებოა ცნობილი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის გაზეთ „დროებაში“ 1884 წ.-ის 18 აპრილს (№83) გამოქვეყნებული წერილი „ანჩისხატის ეკლესია“, რომელსაც მომავალში (ანუ 1902 წ.) მამა პოლიევქტოსი დაეყრდნო თავის გამოცემაში „ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში“ და სამწუხაროდ, მოსე ჯანაშვილის მიერ დაშვებული უზუსტობანი, რომელიც სხვათა შორის მ. ჯანაშვილმა პლატონ იოსელიანის ნაშრომიდან „მემკვიდრეობით“ მიიღო, უნებლიედ გაიმეორა თავის წიგნში. მომყავს მთლიანად „დროებაში“ გამოქვეყნებული აღნიშნული პუბლიკაცია „ანჩის ხატის ეკლესია“:

ანჩის-ხატის ეკლესია
(გაზეთი „დროება“ 1884წ. №83)

ბევრს, ძალიან ბევრს ქართველს სხვადა-სხვა მიზეზების გამო აქამდის ვერ მოუხდებოდა ანჩის-ხატის ნახვა და მისი დათვალიერება. ბევრი იმისთანაც მოიძებნება, რომ ეკლესია ენახოს, დაეთვალიერებინოს, მაგრამ მაინც არ იცოდეს ამ ტაძრის წარსული, აწმყო, უკეთ ვსთქვათ, არ იცოდეს მისი ისტორია. ამ მიზეზისა გამო ურიგო არ იქნება აქ მოვიყვანოთ რამდენიმე ცნობანი ამ ეკლესიაზე, რომელსაც დიდად პატივს სცემენ თბილისელი ქართველები და სოფლელებიც კი, რომელნიც დღეობაზე (აღდგომის მეორე დღეს და 15 მარიამობისთვეს[2]* ახ.სტილ. 29 აგვისტო — ვ.ო.) ურმებით ჩამოდიან ღამის სათევად.

ეს ეკლესია მარიამ-დედის შობის პატივის საცემლად (სახსოვრად) საქართველოს კათალიკოზმა ბაბილემ (უნდა იყოს ბაბილა —ვ.ო.) ააშენა მეფე ადარნასეს დროს (613-639წ.) იგი თუმცა იყო მეტოქე ქათალიკოსებისა, მაგრამ ესენი აქ არა სცხოვრობდენ, არამედ მცხეთაში. მრავალჯერ ტაძარი განძვინებულთა ჩვენთა მტერთა თბილისთან ერთად აიკლეს, ააოხრეს. მხოლოდ XII საუკ. (აქ კორექტული შეცდომაა უნდა იყოს XVII საუკ. —ვ.ო.) კათალიკოსმა დომენტიმ აღადგინა მასში წირვა-ლოცვა და შიგ დაასვენა ანჩის-ხატი. ამ ხატის ისტორიას მოვიყვანთ ქვემოთ, აქ კი ჯერ ავწერთ თვით ტაძარს.

ეკლესიაში ოთხი ქვის სქელი სვეტია, რომლებზედაც დამყარებულია ეკლესიის თაღი. დასავლეთის მხრით ქათალიკოსის დომენტის მეფის ქაიხოსროს-ძისაგან აგებულია სამრეკლო, რომელზედაც შემდეგი წარწერაა:

„ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონის-შვილმან დომენტი (იგულისხმება დომენტი III —ვ.ო.) აღვაშენე

2 * აღდგომის მეორე დღეს საკუთრად ხატის დღეობაა და 15 მარიამობისთვეს კი ღვთის მშობლისა.

სამრეკლო ესე და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფობასა ქართლისა შანავაზისასა[3]*), ქრონიკონსა ტნგ.“(უნდა იყოს ტნიგ=1675წელს –ვ.ო) სამრეკლოზე არის ზარი შემდეგის დაუთავებელის წარწერით:

„ეს ზარი ბუღდან ბეგმა ამილახვარის შვილმან ბატონს ქათალიკოზს დომენტის და კათალიკოზმა ქალაქს ღვთის მშო...“

ეკლესიის ეზოში, სამხრეთის მხრით, თბილისის დარბევამდის (იგულისხმება აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წლის სექტემბერში. – ვ.ო.) იყო კათოლიკოზის ამალის სადგური. აქვე იყო სახლი მაღალაშვილისა, რომელიც კათალიკოზის სახლთ-ხუცესი იყო.

ყველაზე შესანიშნავი ამ ეკლესიაში არის ზემოდ ხსენებული ანჩის ხატი, რომლისაგან ამ ეკლესიას (ზარის ეკლესიად ცნობილს არაბების ბატონობის დროს – ვ.ო.) დაერქვა ანჩის-ხატი.

ხატის სიგძე არის არშინ-ნახევარი, სიგანე ერთი არშინი. ზედ გამოსახულია პირი ღვთისა (ქრისტესი), რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს სახარება და მარჯვნით კი აკურთხებს (ერს). ჩაცმულია ვერცხლ-მოოქრული სამოსელით, რომელშიაც

3 * შანავაზი ანუ შაჰ-ნაოზი დაერქვა გამაჰმადიანებულს ვახტანგს. ეს იყო მუხრანის ბატონის თეიმურაზის ძე — როდესაც გათათრებული როსტომ I ანუ ხოსრო მირზა (რომელმაც ჩინებული მასპინძლობა გადუხადა ცნობილს მოგზაურს შარდენს — Chardin — და გააკვირვა იგი თავისი სიმდიდრე-სიუხვით მოსე ჯანაშვილი აქ შეცდომებს უშვებს, რადგან როსტომ ხანის მმართველობა 1632-1658 წლებია, შარდენმა თბილისში იმოგზაურა 1672-1673 წლებში. —ვ.ო.) მოხუცებულებისაგან დაუძლურდა და თვის გვარეულობაში მოადგილე აღარ გამოუჩნდა, მაშინ თავისავე სიცოცხლეში ქართლის მმართველად დანიშნა (1657 წ.) ვახტანგი, რომელიც საქართველოს ტახტზე აღვიდა როსტომის სიკვდილის შემდეგ (1658 წ.). ვახტანგი იყო უშიშარი, შორს მხედველი, გამბედავი. თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ დაუღალავად შრომობდა მამულის და ეკლესიის წარმატებისათვის. მან აღაშენა მრავალი ქალაქები: თრიალეთი, ტაშირი, აგოცი და სხ. საქართველოს ქათალიკოსობა უბოძა თავის ნათესავს დომენტი II-ს, რომელმაც ააგო მრავალი ეკლესიები, მონასტრები და ხალხის წაბილწული ზნეობა განწმინდა.

ჩარჭმულია მრავალი ძვირ-ფასი თვლები. ზოგი ერთი თვალის ადგილი ცალიერია — დაკარგულან. ხატი ჩასვენებულია ოქრო-ვერცხლის დაფერილ კუბოში, რომელიც იკეტება ორი კარებით. მარცხენა კარის ქვემო მხარეს გამოხატულია: ხარება, შობა, მოგვთა თაყვანის-ცემა და ნათლის-ღება. ამ კარზე ხუცურად სწერია:

„სულსა პატრონისა მანდატურუხუცესისა ბექისასა[4]**) განუსვენე ღმერთო“

მეორე კარზე გამოხატულია: ფერის-ცვალება, ჯვარ-ცმა, აღდგომა ზედ წარწერით:

„სულსა პატრონისა მანდატურთუხუცესისა და მეუღლისა მისისა მარინესსა განუსვენოს ღმერთმან“.

ქრისტეს გამოსახულობა შემდეგია: იგი ფეხებით ამტვრევს საფლავის და ჯოჯოხეთის კარებსა და იქიდგან გამოჰყავს ადამი და ევა. ქრისტეს მარჯვნით სდგას იოანე ნათლის-მცემელი და მარცხნით ღვთის-მშობელი. საფლავის გარშემო მოდარაჯენი არიან და მის კარებზე კი ბეჭედი. სულ მაღლა გამოსახულია ამაღლება, სულ ქვემოთ წარწერაა:

„ძენი მათნი მანდატურთ-უხუცესნი: სარგის, ყვარყვარა და შალვა ადიდნეს ღმერთმან“.

ხატის ბოლოში ვკითხულობთ:

„ბძანებითა და ნივთის ბოძებითა ღვთივ-გვირგვინოსანის დიდისა დედოფლისა თამარისათა, მე იოანე ანჩელმან რკნაელმან ხელ-ვჰყავ საშინელისა ამის ხატისა პატივითა მოჭედად. მფარველ მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა ხელითა ბექასითა ქრისტე შეიწყალე“.

თვით ხატის ბუდის უკან გრძელი წარწერაა, რომელიც მოკლედ მოგვითხრობს მთელს ისტორიას ხატისას. ამიტომ მასაც წავიკითხავთ:

„ადიდენ ღმერთმან კათალიკოზი პატრიარქი; რომელმან

---

4 ** მანდატურთ (მანდატორ) უხუცესი ბექა მოკლულ იქმნა მანგოლთ წინააღმდეგ ბრძოლაში 1221 წელს (იხ. პ. იოს. „Древности Тифлиса“, გვ. 27 შენიშვნა.).

განაახლა ხატი ხელით უქმნელი; პირველ ედესიდგან (იგივე ქალაქი ურფა მდებარეობს დღეს თურქეთის რესპუბლიკაში, ადრე ეკუთვნოდა სირიას —ვ.ო.) კოსტანტინოპოლეს წარმოესვენებინათ და ოდეს ლეო ისაერო და სხვანი ხატთ-მბრძოლნი გამოჩნდენ, მას ჟამსა მუნიდგან წარმოესვენათ და დაესვენათ კლარჯეთს, საეპისკოპოსოსა საყდარსა ანჩისასა.[5]*) ბძანებითა და ნივთისა ბოძებითა მეფეთ-მეფის თამარისათა, იოანე ანჩელს პატიოსნად მოეჭედა და ოდეს გათათრდა სამცხე, მაშინ აღსრულ იყო თბილისის ვაჭარი და ეყიდნა ფასითა და მოეხსენებინა ბიძისა ჩვენისა კათოლიკოზ პატრიარქის დომენტისათვის და მას ძვირფასად ეყიდნა და დაესვენა თბილისის საკათალიკოზოსა მეფობასა პაპისა ჩვენისა მეფის

---

5 * „ჭოროხის დასავლით, ისპირის მთის კალთას არს ეკლესია ანჩა, გუმბათიანი, დიდ-მშვენიერად ნაგები, კარგს ადგილს; იჯდა ეპისკოპოსი — მწყემსი ლიგანის ხევისა გაღმა-გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა; აწ ცალიერი არს“, ასრე აგვიწერს ანჩას ვახუშტი (იხ. გეოგ. 110 გ.). ბ. ყაზიბეგი, რომელმაც იმოგზაურა ლაზისთან აჭარაში 1874 წ., ამბობს, რომ ვახუშტი სცდება ანჩის მდებარებაზეო. იგი მდებარებს იქ კი არა, საცა აღნიშნავს ვახუშტი, არამედ სოფ. სათლელის და არტანუჯის შუა, გზის განშორებითი (იხ. Кавк. въ древ. помят. христ. д. ბაქრაძის. იხ. გვ. 28).

უადგილო არ იქნება აქვე მოვიყვანოთ საქართველოს წინანდელი ეპარქიათა და საეპისკოპოთა სია, რომელიდგანაც დავინახავთ, რომ ანჩა შეადგენდა საკუთარს ეპარქიას. ესენი იყვნენ: 1. ქათალიკოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოისა; 2. მთავარ-ეპისკოპოზი: სომხეთისა, მცხეთისა, ჭყონდიდისა, ბოდბისა; 3. ეპისკოპოზნი: მაწყურისა, ქუმურდისა, იშხანისა, ნინო წმინდისა, ანჩისა, ტბელისა, წყაროს-თავისა, განგისა, რუსთავისა, კანარისა, მროველისა, ნიქოზისა, ბალაშკერტისა, ყრელისა, ხარჭაშნისა, ბანისა, ჭერმისა, დბანისა, წურწყმისა, ერუშნისა, წინწყაროსი, ურბნისისა, სამთავისისა, ბოლნისისა, ანისა, თბილისისა, წალკისა, ბანისისა, გიშელისა. შემდეგში კიდევ დაარსდნენ ეპარქიები: დანდარისა, მოქვისა, ბედიისა, ჭაიშისა, ჭელიშისა, მარტვილისა, ტყვაჩისა, იპპურიისა, ხობისა, სებასტოპოლისა, ანაკლიისა, ცაგერისა, შემოქმედისა, ჯუმათისა, ჯაყვისა, ხონისა, ნიკორწმინდისა, გენათისა (გელათისა), ქუთაისისა, ნეკრესისა, და სხ. ყველა ეს ეპარქიანი არსებობდენ (?) მე-XVIII საუკ. დასაწყისამდისო, ამბობს პო. იოსელიანი (Крат. истор. груз. церк. გვ. 38).

ვახტანგისასა (იგულისხმება ვახტანგ V-შაჰ-ნავაზი –ვ.ო). მას აქეთ დიდად დაძველებულიყო ხე და მოჭედილობა. ჩვენ მეფეთ შარავანდედმან, ყოვლისა საქართველოსა პატრიარქმან დომენტი კვალად განვაახლეთ და მოვჭედეთ გული და კუბო და შევმატე თვალი და მარგალიტი. ქრისტე ღმერთო, შემინდევ ყოველნი ცოდვანი ჩემნი, სატანჯველისა და ყოველთა მტერთა, ხილულთა და უხილავთაგან მიხსენ და შემრაცხე მარჯვენით შენსა და დაიცევ მეფე მეფეთა საქართველოს ბაგრატოვანი ვახტანგ და მეუღლე მათი დედოფალი რუსუდან, ბაქარ, გიორგი და ასულნი მათნი ყოველნივე იხსენ განსაცდელისაგან. ამინ. ქორონიკონს ტოგ კვალად განახლებულ იქმნა სიძველისა გამო კუბო ესე მაცხოვრისა ჩყკგ წ. (1823) ქორონიკონს ფიგ.“

ამ წარწერის ასახსნელად ჩვენ მოვიყვანთ შემდეგს ცნობებს. ნამდვილი არის, რომ ლეო (ლევ) ისავროს დროს (714-741წ.) საშინელი დევნა იყო ხატთა და მათთა მსახურთა (ლაპარაკია ხატმბრძოლობის პეროდზე – ვ.ო.) . ხატი მაცხოვრისა, რომელზედაც პირველი ცნობები დაგვიტოვა ეპისკოპოზმა კესარიისამ, ედესიდგან წაასვენეს კოსტანტინეპოლს. ჰფიქრობენო, ამბობს პ. იოსელიანი, რომ აქედგან მაცხოვრის ხატი წაიღეს რომშიო და იქვე დარჩაო. ამ ხატის შედეგი ეკლესიურმა ისტორიამ არ იცისო. განა ანჩის ხატი მაცხოვრისა სწორედ ის ხატი არ არისო (დასძენს იგივე მწერალი), რომელიც ლეო ისავროს დროს საბერძნეთიდგან გადმოიტანეს ანჩაშიო? და მართლაც მივიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, I) რომ ხატთ-დევნისაგან ყველა ხატები მიყრუებულ და შორეულ ადგილებში მიჰქონდათ, 2) რომ ანჩის-ხატიც სწორედ იმ დროს მოუტანიათ ანჩაში, რა დროსაც ყველაზე ძლიერი დევნა იყო წმიდა ხატებისა და რომ ჩვენს ანჩის-ხატზე რაღაც წაშლილი ბერძნული წარწერა ეხლაც არსებობს, – ყველა ამის შემდეგ არ შეგვიძლიან არ ვაღვიაროთ ის ფაქტი, რომ კლარჯეთს წამოსვენებული და ანჩას დასვენებული ხატი მაცხოვრისა ის ხატია, რომელიც ეხლა ასვენია თბილისის ანჩის-ხატის (წინად „ზარის საყდარი“ ერქვა არაბების ბატონობის პერიოდში –ვ.ო.)

ეკლესიაში. რა მიზეზით და როგორ მოჰხდა, რომ კლარჯეთის სამწყსოს კუთვნილობა ეხლა შეადგენს თბილისის მართლ-მადიდებელთ სათაყვანის საცემლოს? ამ კითხვას ჰხსნის გუჯარი, შენახული თბილისის სინოდის კანტორაში.

გუჯარი ეკუთვნის 352 ქრონიკონს (1664 წ.). ამ გუჯრიდამ სჩანს, რომ თბილისის ვაჭარს ამირჯანს და მისთა ძეთა: ზურაბს, მელქომსო და დავით ევანგულიშვილთ მოუტანიათ კეისრის იმპერიიდამ, ესე იგი საბეძნეთიდამ, 10 ხატი: ანჩისა, მთავარ-ანგელოზისა, იოანე ღვთის-მეტყველისა, იოანე ნათლის-მცემლისა და სხ. ამ ხატების შესყიდვა მოუნდომნია ქათალიკოზს დომენტის. მეფის შაჰ-ნაზის მეზარაფხანეთ ყველა ხატები დაუფასებიათ 1800 მარჩილად (ერთი მარჩილი = სამს აბაზს), ესე იგი 1080 მანეთად მაგრამ ევანგულიშვილებს დაუფასებიათ 2000 მარჩილად და მინა ქათალიკოზს ეს ფული არ მიუცია, იმათ ნაკლებად არ დაუთმიათ. 2000 მარჩილი რომ მიულიათ, ევანგულიშვილებს მიუციათ წერილობითი პირობა, რომ იგინი მმართებლობის და მეფის წინაშე ვალდებულნი არიან პასუხი აგონ, უკეთუ ამ ხატებს პატრონი გამოუჩნდეს. ამ პირობის მოწამენი გამხდარან: თბილისის მოურავი მანუჩარ — მელიქ ეინალი, მამასახლისი ასლამაზი, ნაცვალი დათიკა. ოქმი დაუმტკიცებია მეფის მდივანს გიორგის.

ამ ნაირად ხელ-უქმნელი ხატი ანჩისა 1664 წელს უვარდება ხელში საქართველოს კათალიკოზს დომენტის[6]*.) პირველს თავის სავანეს ხატმა დაჰყო 714-741 წლებიდამ 1664 წლამდე, ესე იგი, თითქმის 950 წ. ანჩიდამ გადმოტანილ იქმნა ხატი იმიტომ, რომ იქაური სამწყსო სულ მთლად გამაჰადიანდა.

6 * პლატონ იოსელიანი მ. ბროსეს ეთანხმება, რომ ეს დომენტი არის მესამე და არა მეორე. დომენტი III არის ძე მეფის ლეონისა და ძმა ვახტანგ VI სჯულთ-მდებელისა. შეცდომით მოსვლიათ რომ ქორონიკონის უ-ს მაგიერ დაუსვამთ ქორონიკონი ტ. პ. ი. და ბროსეს არ შეიძლება არ დავერწმუნოთ, როდესაც მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზემოთ მოყვანილ წარწერაში იხსენიება ვახტანგი მეექვსე თავის სახლობით და არა ვახტანგი მეხუთე, მაშასადამე წარწერას ტოგ მაგიერ უნდა უჯდეს ქორონიკონი უოგ (1715 წ.).

(თურქეთის ოსმალური იმპერიის შემოსევებით –ვ.ო)

28 მაისს 1453 წელს მურად II-ს ძემ, მაჰმად II, შემოარტყა კოსტანტინოპოლეს 200 გემი, 250,000 კაცი, და დაუშინა ზარბაზნები. ქალაქი აიღო, მოჰკლა უკანასკნელი იმპერატორი ბიზანტიისა – კოსტანტინე (ამას ცოლად ჰყვანდა ჩვენი მეფის გიორგი VIII ასული). ამ ნაირად დაამხო ჯარის (კორექტული შეცდომაა. უნდა იყოს „ჯვარის“ –ვ.ო.) უფლება და მის ადგილას აღმართა ნახევარ-მთვარე (რელიგიური სიმბოლო მაჰმადიანთა).

ამას შემდეგ არ გაუვლია ბევრს ჟამს, რომ ოსმანნი გადმოდიან მცირე აზიაში და ამხობენ თამარ-მეფისაგან დაარსებულს (1204 წ.) ტრაპეზუნტის იმპერიას (1462 წ.). მთელი დასავლეთი საქართველო უვარდებათ ხელში ოსმანთა, რომელნიც ამაჰმადიანებენ ხალხს, ამხობენ ტაძრებს და სდევნიან ქრისტიანებს. ამ ნაირად ქრისტიანთ ტაძრები, რომ იკეტებიან, თბილისის ვაჭრები ევანგულიშვილები იგდებენ ხელში ზემოხსენებულ ხატებს და თბილისს მოაქვთ.

ანჩის ხატის ისტორიის შესავსებლად არ შეგვიძლიან აქვე არ წავაკითხოთ წარსულის მოყვარეთ კიდევ ერთი წარწერაც, რომელიც მოქცეულია ყველა წარწერების ბოლოში.

„სახიერო და სამნათელო სამებაო და ერთარსებაო მამაო ძისაგან განუშორებელო და ძეო მამისათანა და სულისათანა ჰსწორო და სულო წმინდაო, ორთავე შორის ცხოვრებაო, ხილულთა და უხილავთა წამის-ყოფით მმაარსებელო და შემოქმედო, ჩვენ მსასოებელმან და სურვილით თქვენდა მონდობილმან ძმამან იოთან ამილახვარისამან გივმან და თანა მეცხედრემან ჩვენმან, ქართველთ მეფის შეჰნავახის ასულმან თამარ, ძემან ჩვენმან ანდუყაფარ და დემეტრემ ოდეს ვიხილეთ ანჩის-ხატი ჟამთა ვითარებისაგან ქართლში ჩამოსვენებული (სოფ.ქვემო ჭალაში –ვ.ო.), მოვიდა საქმე, რომ ბევრს ხანს ჩვენს სალხში ესვენა და მისის საფარველითა და შემწეობითა მრავალს ძნელს ავათ-მყოფობასა და განსაცდელსა განვერენით და ვითაც კარები არა ჰქონდ ვიცოდიანეთ და კარები გავაჭედინეთ, და გავაკეთეთ, რათა შემწე გვეყოს ორთავენი შინა ცხოვრებათა

ძით და ასულით ჩვენით, გვეყვეს მადლი და ცვა-ფარვა თქვენი ჩვენზედა. განკეთდა კარები ესე მეფობასა მეფედ მეფისასა გიორგისასა, ინდიკტიონსა მეფობისასა მეშვიდესა, ქორონიკონს ტოდ (1686წ –ვ.ო.). ამისი ზარქარი დოლაძე ბერაუკა. ღმერთო შეუნდლეს.“

გიორგი XI მეფობის დრო (1676-1688) იყო მეტად უბედური ქართველთათვის. დაყოფილი და განაწილებული საქართველო იწიწკნებოდა სპარსთაგან, ოსმალთაგან, შინაურ მეფემთავართაგან. ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფო ტახტზედ ზედი-ზედ ადიოდენ გამაჰმადიანებული მეფეები. გიორგი XI სიცოცხლეშივე ქართლის ტახტზე სპარსეთის შაჰმა აღიყვანა გამაჰმადიანებული ერეკლე I ანუ ნაზარ-ალი-ხანი, რომელმაც ვერ შესძლო განედევნა ქართლიდამ გიორგი XI, აღვიდა კახეთის ტახტზე და ბრძოლა კი არ შესწყვიტა ქართლის მეფესთან. გიორგი XI შაიჰს უსეინის ბრძანებით საშინელის მირვეირისაგან ღალატით მოკლულ იქმნა ყანდაარში (ლაპარაკია ავღანეთში ბაზიერ-ფათალ-ხანის და მიერ ვეისის მიერ მუხანათურად მოკლულ ქართველ მეფეზე, გიორგი XI-ზე, რომელიც საარაკო ახოვნებით და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა –ვ.ო.), 1709 წელს. ასეთი იყო „ჟამთა ვითარება“ იმ დროს, როდესაც თბილისიდგან გახიზნებული ანჩის-ხატი ბევრს ხანს ესვენა გივი ამილახვრის სახლში.

მოსე ჯანაშვილი
1 მარტი.
თბილისი.

ამის შემდგომ მოსე ჯანაშვილი 1899 წელს ქ. ქუთაისში ბეჭდავს წიგნს „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“, რომელშიც 174-177 გვერდებზე ისევ ეხება ანჩისხატის ეკლესიის და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ისტორიას, რომელშიც ბევრი რამ მისი წინა საგაზეთო პუბლიკაციიდან მეორდება. მომყავს ეს ამონარიდიც: მოსეჯანაშვილის ზემოთ აღნიშნული

წიგნიდან შემდეგი ქვესათაურით:

„ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ ამ ქალაქში“

„ანჩისხატი აგებულია მტკვრის ნაპირა კლდეზედ კათალიკოზის ბაბილეს (მ.ჯანაშვილი აქ შეცდომას უშვებს რადგან კათალიკოზმა ბაბილამ საკათალიკოსო სახლი და სამლოცველო ააშენა ანჩისხატის ეზოში და არა ეკლესია –ვ.ო.) მიერ ადარნასეს დროს (614-639წ.) – საოხად ღვთისმშობლის მარიამის შობისა. ტაძრის კამარა და გუმბათი დამყარებულია სამსა სვეტზედ. დასავლეთის მხრით მიდგმული აქვს სამრეკლო, რომელიც ააშენა (1675 წ.) კათალიკოსმა დომენტიმ, მეფე ქაიხოსროს ძემ. ტაძრის ეზოში სამხრეთის მხრით ქალაქის აოხრებამდე (1795 წ.) (იგულისხმება აღ.მაჰმად ხანის შემოსევა –ვ.ო.) იყო სასახლე, სადგური კათალიკოზის ამალისა. აქვე იყო სასახლე საეკლესიო აზნაურების მაღალაშვილებისა (ანჩისხატის ტაძრის ცნობილი კალიგრაფისტები, მწერალ-მწიგნობრები და მხატვარნი მესხიშვილებთან ერთად მე-18 საუკუნეში –ვ.ო.), რომელთაგან აღირჩეოდნენ ხოლმე კათალიკოზის სახლთ-უხუცესნი. თვით კათალიკოზის სასახლე იყო ეკკლესიის ზღუდის გარედ, ტაძრის ჩრდილოეთის მხრით. ადგილი ანჩისხატსა და სიონს შორის ეჭირა მეფის სასახლეს. ანჩისხატი, მრავალჯერ გაოხრებული, განაახლა (მე-XVII საუკ. დამლევს) კათალიკოზმა დომენტიმ, რომელმაც მასში დაასვენა მაცხოვრის ხატი, მოტანილი ტფილისს ანჩის საეპისკოპოსო ტაძრიდამ. მის შემდეგ თვით ამ ტაძარსაც დაერქვა ანჩისხატი.

ანჩის ხატის სიგრძე 1 1/2 ალაბია და სიგანე 1 ალაბი. მაცხოვრის მარცხენა ხელში სახარებაა და მარჯვენათი ილოცება. ქრისტეს სახე და მთელი ხატი მოჭედილია ძვირფასი თვლებით. ლუსკუმა ხატისა გადაკრულია ოქროთი დაფერილ ვერცხლის ფოთლებით. ლუსკუმას კარებზედ გამოყვანილია ხატი ხარებისა, შობისა, მოგვთა თაყვანისცემისა და ნათლისღებისა.

ამ უკანასკნელ ხატის ზემო სწერია: „სულსა პატრონისა მანდატურთუხუცესისა ბექისასა (იგულისხმება ბექა ოპიზარი —ვ.ო.) განუსვენე, ღმერთო“, მეორე კარებზე აწერია: „სულსა პატრონისა მანდატურთ-უხუცესისა და მეუღლისა მისისა მარინასსა განუსვენოს ღმერთმან“. — მაცხოვარი თვისის ფეხით ჰმუსრავს ჯოჯოხეთის კარი-ბჭეს და გამოჰყავს იქიდგან ადამი და ევა; მაცხოვრის მარჯვნით ჰხატია იოანე ნათლისმცემელი, მარცხნით ქალწული მარიამ, ძირს ქრისტეს საფლავზე დაყენებული დარაჯი და მაღლა (ზემო მხარეს) ამაღლება. ლუსკუმის კარების ბოლოს აწერია: „ძენი მათნი მანდატურთ-უხუცესნი სარგის, ყვარყვარე და შალვა ადიდენს ღმერთმან“.[7]*

ხატის ქვეშ სწერია: „ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა ღვთივ-გვირგვინოსანის დიდისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისათა მე იოანე ანჩელმან რკნაელმან კელ ვჰყავ საშინელისა ამის ხატისა პატივითა მოჭედად; მფარველ მცველ არს მეფობისა მათასა აქა და საუკუნესა. მოიჭედა კელითა ბექასითა. ქრისტე შეიწყალე.“

ლუსკუმას ქვეშე აწერია: „ადიდენ ღმერთმან კათალიკოზი პატრიარქი, რომელმან განაახლა ხატი ესე კელით-უქმნელი: პირველ ედესადგან კონსტანტინეპოლს წარმოესვენებინათ, და ოდეს ლეო ისავრო[8]* — და სხვანი ხატთ-მბრძოლნი გამოჩნდნენ, მას ჟამსა მუნიდგან წარმოესვენათ და დაესვენათ კლარჯეთს, საეპისკოპოსოსსა საყდარსა ანჩისასა. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა მეფეთ მეფისს თამარისათა იოანე ანჩელს პატიოსნად მოეჭედა, და ოდეს გათათრდა სამცხე,[9]** მაშინ აღსრულიყო ტფილისის ვაჭარი და ეყიდა ფასითა და მოეხსენებინა ბიძისა ჩუენისა კათოლიკოზ-პატრიარქის დომენტისათვის[10]*** და მას

7 * ბექა და მისი შვილნი სცხოვრობდნენ მე-XIV საუკუნეში. იგინი ჰხატიან საფარის ტაძრის კედლებზედ.

8 * ლეო ისავრო 718-741 წწ.

9 ** მე-XVII საუკუნეში.

10 *** დომენტი II (შეცდომაა. უნდა იყოს დომენტი III – 1601-1676. —ვ.ო.) — 1660-1675, რომელმაც ანჩის ხატი და მასთან 9 ხატი სხვა, მოტანილნი კლარჯეთიდგან ტფილისის ვაჭრისა ამირჯანისა და მის ძეთა ზურაბისა, მელქუმსა და დავითის მიერ, შეიძინა 2000

ძვირ-ფასად ეყიდნა და დაესვენა საყდარსა საკათალიკოზოსა მეფობასა პაპისა ჩვენისა მეფის ვახტანგისასა (იგულისხმება შაჰ-ნავაზი ვახტან V);[11]**** მას აქეთ დიდად დაძველებულიყო ხე და მოჭედილობა; ჩვენ მეფეთ შარავანდედმან, ყოვლისა საქართველოს პატრიარქმან დომენტი[12]***** კვალად განვაახლეთ და მოვჭედეთ გული და კუბო, და შევმატე თვალი და მარგალიტი, ქრისტე ღმერთო, შემინდევ ყოველნი ცოდვანი ჩემნი, სატანჯველისა და ყოველთა მტერთა ხილულთა და უხილავთაგან მიხსენ და შემრაცხე მარჯვენით შენსა და დაიცევ მეფე მეფეთა საქართველოს ბაგრატოვანი ვახტანგ[13]****** და მეუღლე მათი დედოფალი რუსუდან, ბაქარ, გიორგი და ასულნი მათნი ყოველნივე, იხსენ განსაცდელისაგან. ამინ ქ ნს ტოგ.“[14]*******

ამ ხატის კარები მოუჭედინებიათ (1686 წ.) იოთამ ამილახვარსა (ვფიქრობ, მ.ჯანაშვილი აქ შეცდმოას უშვებს: ქალბატონ მანანა ქიქოძის გამოკვლევაზე დაყრდნობით უნდა იყოს გივი I ამილახვარი და მისი მეუღლე თამარი – შაჰნავაზის ასული, რომელთა თაოსნობთაც ხდება შიო მღვიმის საყდრის სახურავის, კარის ბჭის და სამრეკლოს შეკეთება, ქვემო ჭალის ღვთისმშობლის მიძინების საყდრის აგება, ასევე ქვემო ჭალის ღვთისმშობლის ხატის მოჭედვა და შემკობა ძვრფასი თვლებით 1682 წელს, თამარსვე მიაწერენ სამთავისის ტაძრის განახლებას, თუმცა პოლიევქტოს კარბელაშვილი თავის წიგნშI „ამილახორთა საგვარეულოს გუჯრები“. ტფილისი 1911წ. გამთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვთაც სამთავისის ტაძრის განახლება უნდა მომხდარიყო ბაგრატ მეფის დროს გაიანეს ხელმძღვანელობით მე-15 საუკუნის 70- იან წლებში. – ვ.ო.) და მის მეუღლეს თამარს, ასულს მეფის ვახტანგ V-ისას, და

მარჩილად.

11 **** მეფობდა 1658-1675 წწ.

12 ***** დომენტი III (შეცდმაა. უნდა იყოს დომენტი IV —1705-1724წ —ვ.ო.) — 1705-1742 წწ.

13 ****** ვახტანგ VI — 1703-1724 წწ.

14 ******* 1715 წ.

ძეთა მათთა ანდუყაფარს და დემეტრეს. კარები მოუჭედია და გაუკეთებია ოქრომჭედელს ბერუკა დოლაძეს.

სამრეკლოს კედელს აწერია: „ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონიშვილმან კათოლიკოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლი ესე და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფობასა ქართლსა შანავაზისსა. ქ-სან ტნიგ“ (1675 წ.)

ტაძრის ზარს აწერია: [15]..... „ეს ზარი ბუღდან-ბეგმა ამილახვარის შვილმან ბატონს კათალიკოზს დომენტის (შევსწირე) და კათალიკოზმა ქალაქის ღვთისმშობელს (შესწირა).“

აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო პუბლიკაცია გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის №159, რომელსაც ხელს „ვინმე ხუცესი“ (ვასილ კარბელაშვილის ფსევდონიმია —ვ.ო.) უდიდესი გულისტკივილით აწერს. აი ამონარიდები ამ ვრცელი წერილიდან, რომელიც ანჩისხატის ეკლესიას ეხება: „... დღეს ვხედავთ და გვესმის მისდგომიან და ანგრევენ ტაძრებს რკინის კეტით, წერაქვით, თვალებს სჩიჩქნიან წმინდანებს და სხვათა... ამას ყოველივეს მოვლა უნდა, რომ შეუბღალავად გარდაეცეს მომავალ თაობასა. რაღა უნდა ჩავაბაროთ, თუ ეს ნაშთებიც განჰქრებიან ჩვენის საკუთარის დაუდევრობისა გამო? ჩვენ ვიქნებით ღირსნი შთამომავალთაგან კრულვისა და წყევისა!.. ბევრი წარწერა ან სწორად არ არის წაკითხული ან დავიწყებულია... მე მოგახსენებთ ჯერ რაც შემიმოწმებია და მსჯავრი მკითხველისა და მთელი საზოგადოებისათვის მიმინდვია... (მოყავს მაგალითები — ვ.ო.).

ხელთ-უქმნელი ხატი (ანჩისხატის ეკლესიაში) იშვიათი ძეგლი და ნაშთია საეკლესიო სიძველეთა შორის. ახლა ვნახოთ გამოტოვებულია თუ არა წარწერა? აი, ეს წარწერა სრულებით არ არის მოხსენებული: „...და სიტყუაო ღუთისა მამისაო შეიწირე უნდოი. ესე მკობაი წ-ის და საშინელისა: განკაცებისა. შენისა

15 ..... ყველა ეს წარწერები და საზოგადოდ ტაძრების აღწერა გადმოვიღეთ პ. იოსელიანის წიგნიდან: „Дрести Тифлиса“.

ხატისა. კარნი. პატრონისა. მანდატურთუხუცესისა ბექისი: და: მიანიჭე. მკუიდრობი. წმიდათა. შენთა: თანა: და: მე: და: ძენი: ჩემნი: გუიხსენ: ჩუენ: აქა თა... ეს წარწერა ხუცურის ასოთი (ჩართულია) ისევე გადმოვსწერე... აბა რას ბრძანებთ ამაზედ?..

„ქ. მეუღლესა მათსა:. ?...“ აღარ არის წარწერა, აგლეჯილია სრულებით. (იხ. 27, 28-33 გვ. Опис др. Тифл.) (იგულისხმება Платон Иоселиани «Описние древностей города Тифлиса». 1866 г. – ვ. ო.)...

მცირე ამონარიდი ანჩისხატზე აღნიშნული წერილიდან: „ანჩხატშივეა (სტილი დაცულია – ვ. ო.) ერთი მარმარილოს ქვა მშვენიერი ხელჩართული (ხუცურად) წარწერით: „შესაქმე ვითარ საშინელ არს ადგილი ესე არა არს სხვა ესე გარნა სახლი ღვთისა. და ესე ბჭე ზეცისა. მეფობასა თეიმურაზისასა და ძისა მისისა ირაკლისა მამათ მთავრობასა ანტონისასა 1755 წელს 28 სექტემბერი (9/28)“ (სხვათა შორის, ასეთივე მარმარილოს ქვა ჰქონდა სიონსა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის იოსებ ტფილელის (სააკაძის) მიერ მე-17 საუკუნის 50-იან წლებში დაარსებულ წიგნსაცავ-ბიბლიოთეკას შესასვლელში –ვ.ო.). ...ახლა ვიკითხოთ, გვაქვს თუ არა უფლება, რომ გულხელდაკრეფილნი ან დაქსაქსულნი ცალ-ცალკე შევსცქეროდეთ ცასა და სხვათა, აბა რა მოწყალებას მოგვცემენო?“

ვფიქრობ, ცხადია ის პათოსი და გულისტკივილი, რაც ამ წერილა ამონარიდებში იგრძნობა, რომ ნადგურდება წინაპართაგან ნაანდერძევი ძვირფასი დანატოვარი – მოწმე ჩვენი სჯულისა და ქრიტეს სიყვარულისა.

ზემოთ მოყვანილ საისტორიო წყაროებს, პუბლიკაციებს, იმდროინდელ ცნობებს ანჩისხატის ეკლესიის შესახებ მაქსიმალურად იყენებს მამა პოლიევქტოსი და იწყებს ისტორიული მიმოხილვის (როგორც თვითონ ეძახის) წერას ძველი ანჩისხატის ტაძრის შესახებ. სათაურშივე გამოტანილი სიტყვა „ძველი“-ით იგი თავიდანვე ხაზს უსვამს ამ საკათალიკოსო ეკლესიის სიძველეს, მის ხნოვანებას. ამ ნაშრომში მამა პოლიევქტოსმა მოგვცა, როგორც ტაძრის აშენების ისტორია და აღმშენებელ-

რეკონსტრუქტორთა ვინაობა, ასევე ტაძრის არქიტექტურული აღწერა, ტაძარში შემორჩენილ თუ გამქრალ საგანძურთა ჩამოანთვალი, ანჩისხატში დაკრძალულ პიროვნებათა სია და მთავარი ანჩისხატის — მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის აღწერა, მისი ჩამობრძანების ისტორია ანჩის საეპისკოპოსოდან ახალციხე-გორი-ქვემოჭალა-სამთავისი, მუხრანი, მცხეთის გავლით თბილისამდე წმინდა მარიამის ტაძრამდე, რომელსაც შემდეგ უკვე ანჩისხატი ეწოდება.

1902 წელსვე მამა პოლიევქტოსმა „ძველი ანჩისხატის ტაძართან ერთად შეადგინა და გამოსცა „ძველთა ხელნაწერ საგალობელთაგან“ შედგენილი „პარაკლისი ხელითუქმნელისა ანჩის-ხატისა“ ანუ მეორენაირად იგი შესავალს ასე ასათაურებს: „პარაკლისი ხელითუქმნელისა ანჩის პირი ღვთისა ხატისა“. მისი ნაღვაწით კარგად ჩანს, რომ მამა პოლიევქტოს კარბელაშვილი ანჩისხატის ეკლესიის მარტო უბრალო მღვდელი კი არაა, არამედ ისტორიის, ღვთისმეტყველების, საგალობლების უბადლო მცოდნე და გამოცემათა კარგი ორგანიზატორია. იმ დროს, როდესაც პოლიევქტოს კარბელაშვილი ანჩისხატის ეკლესიაში მღვდლად გადმოიყვანეს ტაძარში, როგორც მაშინდელი პერიოდიკიდან ჩანს, ეკლსიაში ბევრი პრობლემა იყო, რომელთა აღმოსაფხვრელად ქრისტიანული თავდაუზოგაობით იღწვოდა მამა პოლიევქტოსი.

ანჩისხატის ეკლესიაში მღვდელმსახურების გარდა მამა პოლიევქტოსი ძალზედ აქტიურ საზოგადოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობას აგრძელებს. არც ერთი მნიშვნელოვანი თარიღი თუ მოვლენა ერის ცხოვრებისა მას შეუმჩნეველი არ რჩება და დედაქალაქის უძველესი საკათალიკოსო ტაძარი მამულიშვილური მოღვაწეობის ასპარეზიცაა. აი, კიდევ რამდენიმე შტრიხი მამა პოლიევქტოსის ეროვნული საქმიანობა-რუდუნებიას:

ცნობილია, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წელს დააარსეს თბილისში, რომლის სათავეშიც სხვადასხვა დროს იდგნენ ცნობილი მამულიშვილები ი. გოგებაშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. თულაშვილი,

ი. მამაცაშვილი, ა. ფურცელაძე, ნ. ცხვედაძე, გ. მაღალაშვილი, ნ. ოთარაშვილი, დ. ყიფიანი, გ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. მაჩაბელი, ა. მირიანაშვილი, გ. იოსელიანი, რ. ერისთავი, ი. ბაგრატიონ-მუხრანელი, დ. ღოღობერიძე, გ. ქართველიშვილი, ე. გაბაშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, ა. სარაჯიშვილი, ი. მეუნარვია, დ. კარიჭაშვილი და სხვ. და რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა ქართული ეროვნული ცნობიერების და განათლების, წიგნიერების გადარჩენის საშვილიშვილო საქმეში. ამ საზოგადოების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ძმები კარბელაშვილები, მათ შორის მამა პოლიევექტოსი, რომლის შესახებაც ილიას გაზეთი „ივერია“ 1893 წლის 20 აპრილის (№80) ახალი ამბების რუბრიკით წერს პ. კარბელაშვილის (ცხვილოელის) მიერ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისთვის შემოწირულობის (ნივთები, სიძველენი) თაობაზე, რომლის ინიციატივითაც 1904 წელს ზემოაღნიშნული საზოგადოების გარდაცვლილ წევრთა სულის მოსახსენებლად და ასევე, საზოგადოების შექმნის საიუბილეო 25 წლის გამო, ანჩისხატის ტაძარში, მიუხედავად ცივი წვიმიანი ამინდისა, ასზე მეტი ადამიანი შეკრიბა. ანჩისხატის მღვდელმა – პოლიევექტოს კარბელაშვილმა გადაიხადა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გარდაცვლილი წევრებისა: გაბრიელ ეპისკოპოსისა, დიმიტრი ყიფიანისა (ამჟამად წმინდანად შერაცხულის), გრიგოლ ორბელიანისა, ნიკოლოზ დადიანისა, რაფიელ ერისთავისა, მიხეილ ამირეჯიბისა, დიმიტრი ბაქრაძისა, ივანე მაჩაბლისა, გიორგი წერეთლისა, იოანე, კონსტანტინე და ნინო მუხრან-ბატონებისა, დავით ჩუბინიშვილისა, ბესარიონ ღოღობერიძისა და სხვ. ანჩისხატის ეკლესიაში პანაშვიდის შემდეგ მრევლს ასეთი სიტყვით მიმართა მამა პოლიევექტოსმა:

„ბატონებო, თქვენის დღევანდელის კრების მნახველს ამ წმინდა ტაძარში გული სიამოვნებით მევსება, სულით აღფრთოვანებული ვარ, სიამოვნებით ვიგონებ განვლილს

ოცდახუთ წელსა. სწორედ ოცდახუთი წლის წინათ პატარა ჯგუფი მოწინავე ქართველთა აღძრა მაცხოვრის დიდმა მცნებამ — „მოყვასთა შეყვარებისამ“ და აფიქრებინა დიდი წმინდა საქმე. ბედნიერნი ბრძანდებით ბატონებო! გომარეთი, ქობულეთი, კიაკაკავი და სხვ. თავის დროზედ თქვენს სახელს სათაყვანოდ გაიხდიან, მაგრამ ჯერ ბევრი რამ არის გასაკეთებელი: ძველი იფრითი, ბოლნისები, რატევანი, სამცხე, ერწო-თიანეთი, ლეჩხუმი, მრავალტანჯული სვანეთი აგერ ხელს გვიწვდიან — ჩვენც მოგვხედეო. მაგრამ გამხნევდით, ბატონებო! რაც გავლილმა ოცდახუთმა წელმა ვერ შესძლო, იმას შესძლებს დღეის შემდეგ ოცდახუთი წელიწადი! წარსულის იარათა სალბუნი მომავალშია! (რა ბრწყინვალე სიტყვებია! — ვ. ო.). ამიტომ ნეტარად სახსენებელნი, სათაყვანებელნი არიან იგი მუშაკნიც ქრისტეს აგარაკისა, რომელთა სულის მოსახსენებლადაც დღეს შეიკრიბენით, ბატონებო, ამ წმინდა ტაძარში! გამხნევდით, ბატონებო! ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ „მუშაკნი მცირედ ხართ, ხოლო სამკალი ფრიადი!“ სულითა და გულით გილოცავთ თქვენის წმინდა საქმის კეთილად წარმართებისათვის! გისურვებთ ბატონებო:

„ღმერთმა გაჩვენოთ ყანები,
თქვენს ხელთა მონაყვანები!
ღმერთმა დაგასწროთ ზაფხულსა,
ფქვილს თქვენს წისქვილზედ დაფქულსა!..“

დამერწმუნებით, ზემოწარმოთქმული შესანიშნავი სიტყვების ავტორს „ერის წყლული“ ამჩნევია სულში და მისი ყოველი გულისფეთქვა უფალსა და მამულს ეკუთვნის. მამა პოლიევქტოსმა ათი წელი იმსახურა ანჩისხატის ტაძარში ერთგულად, პატიოსნად, ღვთისნიერი სათნოებით, როგორც მოძღვარმა და მამულიშვილმა. იგი მრევლს განსაკუთრებით უყვარდა და პატივს სცემდა. უფლის მადლით ქვემო ჭალელი კაცისთვის, რომლის ამილახვართა სატახტო სოფელშიც წლების

განმავლობაში იოთამ და გივი ამილახვრების სასახლეში და კარის ეკლესიებში იყო დაბრძანებული ხელთუქმნელი პირი ღვთისა — ანჩისხატი, განსაკუთრებული იყო დედაქალაქის ამ ძველ საკათალიკოსო ტაძარში მსახურება. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსი ეგზარქოსის ბრძანებით მამა პოლიევქტოს კარბელაშვილი 1908 წელს ანჩისხატის ეკლესიიდან ფაქტიურად გააძევეს და მის ადგილზე გადმოიყვანეს დეკანოზი ალექსანდრე ზუმბულიძე, რომლის გარდაცვალების შემდეგ (1912 წ. 18 აპრილი), ტაძრის წინამძღვარია უკვე დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძეა, რომელიც მომავალში ბოლშევიკურმა რეჟიმმა 1924 წელს აიძულა დაეტოვებინა ანჩისხატის ეკლესია და სასულიერო მოღვაწეობა (იგი ჯერ საქართველოს ფინანსკომის საბიუჯეტო განყოფილების უფროსად, შემდეგ კი კულტურის სამინისტროში მუშაობდა და გარდაიცვალა 1933 წელს). სწორედ დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე უდიდესი ტკივილით იგონებს იმ შავბნელ პერიოდს: „თუ ვინმე წინამძღვართაგანი გამოჩნდებოდა აქ მოქმედი და გულშემატკივარი, ასეთებს მალე აჰბარგავდნენ ხოლმე აქედგან, როგორც ეს უყვეს, მაგალითად, პატივცემულ ისტორიკოსს, მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილს. მამა კარბელაშვილმა გააძევა აქედგან ვიგინდარა ჩამოსახლებული მოლოზნები (სექტანტები — ვ. ო.) და შეედავა სასინოდო კანტორას უსამართლოდ, ძალმომრეობით, დაფლობილ ეკლესიის ეზო-მიდამოზე (იგულისხმება ანჩისხატის ეკლესია — ვ. ო.), რაც საბოლოოდ გახდა მიზეზი მის აქედან გადაყვანისა...“ (ამის თაობაზე წერდა გაზეთი „ივერიაც“ 1908 წ. 26 ოქტომბერი, №17). თუმცა უნდა ითქვას, რომ მამა პოლიევქტოსის გაძევება ანჩისხატის ეკლესიიდან მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზეზით არ მომხდარა. იმდროინდელი ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა განადგურებას უქადდა ქართულ კულტურას და სულიერებას, ყოველივე ეროვნულს, მამა-პაპათა ტრადიციას. ამ პოლიტიკას კი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ეროვნულად მოაზროვნე ქართული ინტელიგენცია და სამღვდელოება, რომელთა რიგებშიც შედიოდნენ ძმები კარბელაშვილები და მათ

შორის ანჩისხატის მღვდელი – პოლიევქტოს კარბელაშვილი. ამის დასტურია, მაგალითად, კავკასიის მთავარმმართებლის მოადგილის გენერალ-ლეიტენანტ ფრეზესადმი თბილისის გუბერნატორისაგან მიღებული რუსეთის საიდუმლო დაზვერვის მასალები (1902-1905 წწ.), რომელშიც ასეთ კონტექსტში მოხსენებულნი არიან ძმები კარბელაშვილები: ვასილი და პოლიევქტოსი: „...თბილისში მოღვაწე ორივე მღვდელი, ვასილ და პოლიევქტოს კარბელოვები,რომელთაგან პირველი წმინდა მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ ეკლესიაში მსახურობს, ხოლო მეორე – ანჩისხატის ეკლესიაში, ცნობილნი არიან, როგორც აშკარა რუსოფობები და საქართველოში რუსული პოლიტიკის განხორციელების დაუძინებელი მტრები...“ ამავე წერილში მითითებულია ვასილ და პოლიექვქტოს კარბელაშვილების თანამშრომლობა ბუქარესტში გამომავალ ჟურნალში „Православный Восток“, რომელიც ცნობილი იყო თავისი ანტიიმპერიული სულისკვეთებით. უფრო ადრე კი 1899 წელს მამა პოლიევქტოსი თავგამოდებით იბრძვის სომეხთა მიერ ქვემო ქართლში (სოფ. რატევანი და სხვ.) ქართული ეკლესიების მიწაკუთრების წინააღმდეგ (მთავარეპისკოპოს ფლავიანეს მიმართეა თბილისის გუბერნატორის ივანე ნიკოლოზის ძე სვიჩინისადმი), რაზეც მეფის რუსეთის მთავრობა დიდად თავს არ იწუხებდა.

მსგავსი ფაქტები ეროვნულად მოაზროვნე მღვდელზე, როგორც ჩანს, მრავლად მოეპოვებოდა მეფის რუსეთის საიდუმლო სამსახურებს და ამიტომ გასაკვირი არ არის მამა პოლიევქტოსის მოცილება ანჩისხატიდან და დედაქალაქიდან საერთოდ. იგი 1908 წლის 12 ივლისიდან მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (ისევ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი! – ვ. ო.) სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაჰყავთ, სადაც მამა პოლიევქტოსი ჩვეული ღვთისმოსაობით და ერთგულად მოღვაწეობს, როგორც სასულიერო მოღვაწე და როგორც ისტორიკოსი. 1912 წლის 5 მარტს მონაწილეობს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში ექვთიმე



ამილახვართა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ჯარის ეკლესია და კოშკები. სოფ. ქვ. ჭალა. XIX საუკუნის 70-იანი წლები.



ამილახვართა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ჯარის ეკლესია. სოფ. ქვ.ჭალა. 2013წ



მარცხნიდან სხედან: მღვდელი ვასილ ჯარბელაშვილი, მღვდელი ალექსანდრე მოლოდინაშვილი, მღვდელი გრიგოლ მღებრიშვილი, მღვდელი ჰოლიევქტოს ჯარბელაშვილი.
დგანან: მღვდელი ანდრია და პეტრე ჯარბელაშვილები.
თბილისი 1885 წელი

თაყაიშვილის თავმჯდომარეობით გამართული კრების მუშაობაში, სიტყვითაც გამოდის და მხარს უჭერს არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია) აზრს წმინდა გიორგის ქართველობის შესახებ (იხილებოდა „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტში აღმოჩენილი ახალი საინტერესო ცნობები). ამავე წლის 25 ივლისს მამა პოლიევქტოსი მონაწილეობს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამუზეუმო დარბაზში გამართულ თათბირში, რომელსაც ე. თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა, ხოლო 1913 წელს მამა პოლიევქტოსმა თბილისში გამოსცა ნაშრომი „ამილახვარიანთ საგვარეულო ისტორიული გუჯრები“ („ძველი საქართველო, ტ. 2. გვ. 101-133), რომლის რედაქტორიც დიდი ექვთიმე თაყაიშვილი (ასევე წმინდანად შერაცხული – ვ. ო.) იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომში მამა პოლიევქტოსს დეტალურად პირველად აქვს აღწერილი ამილახვართა და ღაზნელთა (სოფ. ქვ. ჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს ღაზნელი თავადების ე. წ. ორკაპა ციხეების ნაშთები) გვარებს შორის მტრობის გამომწვევი მიზეზის საინტერესო ლეგენდა (გვ. 105-106). როგორც ჩანს, მამა პოლიევქტოსი აგრძელებს თავისი მშობლიური სოფლის ქვემოჭალის, აგრეთვე სამთავისის ტაძრის და ამილახვართა ისტორიის კვლევას და შესწავლას, რომელიც მან დაიწყო მე-19 საუკუნის მიწურულს. საკმარისია გავიხსენოთ მისი შესანიშნავი წერილი „მოამბის“ 1896 წლის №1-ში პ. ცხვილოელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული...

ნიშანდობლივია, რომ 1913 წელს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოების ნამდვილი წევრები არიან ძმები კარბელაშვილები: პოლიევქტოსი და ვასილი. სხვათა შორის, ამ საზოგადოების საპატიო წევრები იმ დროს იყვნენ აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ცაგარელი (რომელიც 1844წ. 27 ნოემბერს (ძვ.სტ.) დაიბადა ქ.კასპში. რაზეც მეტყველებს წმ. თედორეს ეკლესიის ჩანაწერები). ხაზგასასმელია, რომ ამავე პერიოდში ძმები კარბელაშვილები და დიმიტრი არაყიშვილი ხშირად ერთად იწერდნენ რაჭველი მესტვირეებისაგან

უნიკალურ ხალხურ სიმღერებს. ამ მასალის დიდი ნაწილი მამა პოლიევქტოსის გარდაცვალების (1936 წ.) შემდეგ ინახებოდა მისი ძმის ვასილის უფროსი ვაჟის ელიზბარის ოჯახში, რომელიც 1937 წლის ავადმოსაგონარ ბოლშევიკურ რეპრესიებს ემსხვერპლა და სამწუხაროდ, ძვირფასი შეგროვილი ხალხური საუნჯის მასალებიც დაიკარგა...

გავყვეთ ისევ გარდასულ ჟამთა სვლას: — მამა პოლიევქტოსს ერთგული სამსახურისათვის 1916 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით აჯილდოვებენ. მამა პოლიევქტოსს ძალზედ თბილი ურთიერთობა აქვს ეროვნული თვითმყოფობისათვის დაუცხრომელ მებრძოლ ეპისკოპოს კირიონთან (საძაგლიშვილი). ქართველი სამღვდელოების და ინტელიგენციის, მთლიანად ქართველი ხალხის ბრძოლამ შედეგი გამოიღო და 1917 წლის 12 მარტს (ძველი სტილით) მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ისტორიული მნიშვნელობის წირვა ჩატარდა, რომლის დროსაც აღდგენილად ეუწყა ერსაც და ბერსაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიის ახლად შექმნილ დროებით მმართველობაში შედის მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილიც. ფაქტიურად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებიდან ერთი საუკუნის შემდეგ სიონის საპატრიარქო ტაძარში 1917 წლის 19 მარტს პირველად ტარდება ქართული წირვა ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) მიერ. მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის მუხლჩაუხრელმა მებრძოლმა — მამა პოლიევქტოსმა შემდეგი ამაღელვებელი (საქართველოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნის რანგში) სიტყვით მიმართა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს: „მრავალთა ჭირთა დამთქმენელო, წმინდა მღვდელმთავარო! სულის სიწრფოებით, მოხარული მოგეგებები ჯვარითა და თაყვანსა ვსცემ შენთა შრომათა და ღვაწლთმრავლობასა (რა ბრწყინვალე ქართული სიტყვაძქმადობაა! — ვ. ო.). დღე ესე მომაგონებს 1546 წელს, (ვფიქრობ, უნებლიე შეცდომა ან კორექტურაა. უნდა იყოს 1556

წ. – ვ. ო.) როდესაც დომენტ კათალიკოზმა (იგულისხმება კათალიკოსი დომენტი I 1556-1560წ – ვ. ო.) წმინდა ლუარსაბ მეფის ბრძანებით 25 წლის ტყვეობის შემდეგ წმინდა ტაძარი ესე ასხურა აიაზმითა და სწირა. მომაგონებს 1727 წელს, როდესაც ქართლის გამგებელი ისაყ-ფაშა ამა წმინდა ტაძარს უპირებდა მეჩეთად გადაკეთებას, მაგრამ დიდმა გივი ამილახვარმა (ეს არის გივი II ანდუყაფარის ძე, მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მამა პოლიევქტოსის თანასოფლელი, ქვემო ჭალელი მსხვილი ფეოდალი, რომლის ისტორიაც ბრწყინვალედ იცის პ. კარბელაშვილმა. გივი ამილახვარმა თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, მივიდა ოსმალოს ფაშასთან და ძვირფასი საჩუქრებითა და ფულით ხელი ააღებინა სიონის მეჩეთად გადაკეთებაზე – ვ. ო.) ჩაშალა ეს საქმე და დომენტი თბილელმა (იგულისხმება თბილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი დომენტი – ვ. ო.) აიაზმა ასხურა და სწირა (იმავე 1727 წლის 8 აპრილს გივისათვის მიცემულ წიგნში თბილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი დომენტი აღნიშნავდა: „რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმევის ამბავი, ისევ ახალკვირის წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახსენებლად. ამ დღეს იქით ყოვლის წლისათვის იმ შაბათს შვილისშვილთა დაუვიწყებლად მოვიხსენიებდეთ“. სხვათა შორის, ქვემო ჭალელი გივი ამილახვარია, რომელმაც 1752 წელს თბილისის მოურავად ყოფნისას ქაშუეთის ეკლესია აღაშენა მსგავსად სამთავისის მშობლიური ტაძრისა).

აჰა, წმინდა მღვდელმთავარო, ასის წლისა „ტყვეობაცა სიონისა აღსრულდა და შენ სახელითა უფლისათა შეწირვად უსისხლოისა მსხვერპლისა, მშვიდობისათვის სოფლისა“. და მე დღეს სულითა ვიშვებ და ვახარებ დღეს სულითა და სიხარულითა გულისათა ვღაღადებ: გიხაროდენ, სიონო წმინდაო, დედაო ეკლესიათაო, ღვთის სამკვიდრებელო, რამეთუ დღეს შვილნი შენნი მოვლენან შენდა შევრდომად და თაყვანისცემად! და შენ, წმინდაო მღვდელმთავარო, ნუ დააცადებ წინამორბედობასა

შენსა სიტყვითა უფლისათა!..“

დამერწმუნებით, მაღალი ორატორული ხელოვნების ნიმუშია ეს წარმოთქმული სიტყვა. როგორც აქტიურად მოღვაწე სასულიერო პირი მამა პოლიევქტოსი 1917 წლის 8-17 სექტემბერს გამართულ პირველ საეკლესიო კრების მუშაობაშიც მონაწილეობს. შემდგომი წლის მარტში კი იგი კვლავ გურჯაანის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს, რომელშიც იგი 1886 წლის მარტიდან მოღვაწეობდა წინამძღვრად, სანამ ანჩისხატის ეკლესიაში მღვდლად გაამწესებდნენ. დედა ეკლესიაში ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის, კეთილშობილი ღვაწლისათვის მამა პოლიევქტოსს დეკანოზის წოდება მიენიჭა 1919 წელს. ამ დროს საქართველო უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, მაგრამ მენშევიკური მთავრობა, მსგავსად სოციალ-დემოკრატებისა, სარწმუნოებისა და ქართული ეკლესიისადმი მკაფიოდ უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. საკმარისია გავიხსენოთ იმდროინდელი დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 12 ნოემბრის სამარცხვინო გადაწყვეტილება – საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებლებში საღვთოს ჯულის გაუქმების შესახებ. ამ ანტიეკლესიური და ანტიქართული კანონის თანახმად, მაგალითად, თბილისის სასულიერო სემინარია (სადაც თავის დროზე მოღვაწეობდა პოლიევქტოს კარბელაშვილი) თანახმად საქართველოს იმდროინდელი პირველი პარლამენტის დადგენილებისა, გადავიდა განათლების სამინისტროს უწყებაში და გადაკეთდა „ტფილისის ვაჟთა მე-8 გიმნაზიად“. და მსგავსი ქმედებები მენშევიკური მთავრობისაგან უამრავი იყო. ამ პერიოდში ქართველმა სამღვდელოებამ ეროვნულად მოაზროვნე ქართელ ინტელიგენციასთან ერთად ეროვნული კულტურის არაერთი საგანძური გადაარჩინა. თუმცა ვერაფრით უშველა ნიკალა ფიროსმანს, რომელიც 1918 წლის გაზაფხულზე მარადისობას შეუერთდა, არადა, ხშირად უყვარდა ანჩისხატის ეკლესიასთან ჩავლა და მეთევზეების გვერდით ჩამოჯდომა, ძველი თბილისის ამ უბნიდან კალას ხიდზე გავლა

და ღვინის აღმართის ავლა სვენებ-სვენებით...

მერე კი, 1921 წლის 25 თებერვლიდან, ახალი გოლგოთის დასაწყისი:

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...
. . . . .
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, —
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბივით ნელით
შემოდიოა სიკვდილი ცელით!.. —

როგორც მწუხარედ ბრძანებს ცისფერყანწელთა ორდენის ბოლო მოჰიკანი — კოლაუ ნადირაძე მოგვიანებით. საბჭოთა ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ძალადობრივი დაპყრობა-გაწითლება და კომუნისტური რეჟიმის დამყარება. დაიწყო ახალი ბრძოლა ქართული მართლმადიდებლური ცნობიერების წინააღმდეგ — ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. ბევრი სასულიერო პირი დახვრიტეს, მაგალითად, მამა პოლიევქტოსის ძმები ანდრია და პეტრე „ტირიფონაში, ტორტლის გაღმა გზასთან“ (ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის მინაწერი ფოტოზე „ძმანი მღვდელნი კარბელაშვილები“ 1925 წლს 27ა გვისტო.) 1924 წელს, ბევრი გადაასახლეს, ბევრი გაკრიჭეს და ჩამოაშორეს სასულიერო მოღვაწეობას (მაგალითად, ანჩისხატში მოღვაწე ნ. თალაკვაძე და კ. კეკელიძე და სხვ.)

ორიოდ სიტყვა წმინდა აღმსარებელ დეკანოზ ანდრია და მღვდელ პეტრე კარბელაშვილებზე. მამა ანდრია 1988 წლიდან მსახურობდა ჯერ მუხრანის, ხოლო 1903 წლიდან მშობლიური სოფელ ქვემო ჭალის ყოვლად წმინდა ღვთისმშობელის მიძინების სახელობის ეკლესიებში (ამილახვართა კარის ეკლესია სოფლის შესასვლელში.) მისი დიდი ძალისხმევით გადარჩა ბევრი ისტოიული ნივთი, სიგელ-გუჯარი და ჩანაწერი დაღუპვას მან როდესაც, ძმის — მამა პეტრეს და თავისი მრევლის დაპატიმრება გაიგო, მხცოვანი მოძღვარი საკუთარი

ფეხით მივიდა გაბოროტებულ ჩეკისტებთან სიტყვებით: „სადაც ჩემი ძმა და უდანაშაულო მრევლია მეც მათთანო!“ და ორივე ძმა ანდრია და პეტრე დახვრიტეს გამხეცებულმა ჯალათებმა, რომლებშიც ერთი სამწუხაროდ სამთავისელი უზნაძეც ერია...

მამა პეტრე კარბელაშვილი კი იყო ჯერ ქაშუეთის ეკლესიის მედავითნე შემდეგ 1900 წლიდან მშობლური სოფელ საკორინთლოს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, სხადასხვა დროს მოღვაწეობდა სოფლების: წოლიდს, ხურვალეთის, ზახორის(დღეს ოკუპირებული აქვთ რუსებს), 1918 წლდან ჯერ საკორნთლოშია ხოლო 1902 წლიდან მუხრანში ეკლესიებს წინამძღვრად.

ეხლა მახსენდება პაპაჩემის 100 წელს გადაცილებული დედა – მორწმუნე მოხუცი მარიამი (რომლის მეუღლე ანუ პაპაჩემის მამა იოსებ ოთარაშვილი დიაკვნად მსხაურობდა ქუთაისში – გელათში) მიყვებოდა: როგორ ესროლეს ჩეკისტებმა დამცინავი შეძახილით „ეხლაც გიშველოთ ქრისტემო!“ პირველი ტყვიები მღვდლებს, რომლებიც მრევლს წინ გადაფარებოდნენ და ლოცულობდნენ... და ტირიფონას ველზე „წვიმდა ცრემლი მარიამისა.“ მაუზერებსა და თოფების ხმა ერთმანეთს ენაცვლებოდა ადამიანთა კვნესა-გმინვაში. ტყვიები გამოლევიათ ბოლშევიკ არაკაცებს და სახელდახელოდ ამოთხრილ ორმოში ერთად ჩაუყრიათ ცოცხალ-მკვდარი დაჭრილები... ზედ ურემიც გადაუტარებიათ, ზემოდან დახოცილი მღვდლები დაუყრტიათ სიცილ-ხარხარით: „ეხლაც ზემოდან გადაეფარეთო!..“ გმინავდა მიყრილი მიწა, კაი ხანს ბორგავდა, იძვროდა თურმე... სისხლისფერი მოდიოდა მდინარე ტორტლაც, ჯვარის ტყეში გალობა შეწყვიტეს ბულბულებმა და შაშვებმა... ენკენისთვის პირველი კვირა სრულდებოდა...

მაგრამ, მიუხედავად ასეთი ზეწოლისა და ათასნაირი ხრიკისა, მამა პოლიევექტოსს არ შეუწყვეტია ღვთისმსახურება და დედა-ეკლესია არ მიუტოვებია. თუმცა პირსისხლიანმა ბოლშევიკებმა გააძლიერეს ანტირელიგიური პროპაგანდა, ეკლესია-მონასტრების დახურვა, საეკლესიო ქონების

სახელმწიფო ხაზინისთვის გადაცემა, ხშირ შემთხვევებში საკოლმეურნეო სათავსოებად და სასაწყობედ გამოყენება, საეკლესიო განძთა დატაცება და სიწმინდეთა შებღალვა და ა. შ. მაგრამ ჭეშმარიტ ღვთისმოსავ სასულიერო მოღვაწეებს ვერავინ და ვერაფერი აშინებდა, რადგან მათთან იყო ჭეშმარიტი ძალა ღვთისა და სამშობლოს სიყვარული. ასეთი მღვდელმსახურების რიცხვში იყვნენ ოთხი ძმა კარბელაშვილები (მეხუთე ფილიმონი — ადრე გარდაიცვალა, ახალგაზრდობაში, რომელიც ილია ჭავჭავაძეს თავის „გლახის ნაამბობში“ უპატიოსნესი მღვდლის პროტოტიპად ჰყავს გამოყვანილი.). როგორც ჩანს, ძმებ კარბელაშვილებს გულისგულში ჰქონდათ ამოტვიფრული დედით ქვემო ჭალელი ამილახვრის ქალის ნინო ავთანდილის ასულის შვილის და ამ სოფელში გაზრდილი გამოჩენილი ქართველი პოეტის - რაფიელ ერისთავის სახარების მცნებასავით სიტყვები: „როგორც უფალი სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა...“. ორი ძმა კარბალაშვილი — ანდრია და პეტრე, სამწუხაროდ, 1924 წელს დახვრიტეს ტარიფონას ველზე, როგორც ზემოთ ვთქვით, ხოლო მამა პოლიევქტოსი და მამა ვასილი (ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი) აქტიურ სასულიერო და მწიგნობრულ საქმიანობას აგრძელებდნენ. იმ მსახვრალ დღეებში, კერძოდ, 1925 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებით ალავერდის ეპარქიას გამოეყო ბოდბეს ეპარქია, რომლის მმართველ მღვდელმთავრად ეპისკოპოსი სტეფანე კარბელაშვილი დაინიშნა და ეწოდა ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი. მამა პოლიევქტოსი, როგორც ყოველთვის, ახლაც საიმედო დასაყრდენი იყო ძმისთვის და უდიდესი თანადგომით უმსუბუქებდა მღვდელმთავრის მძიმე ჯვარს სტეფანე ბოდბელს.

საოცარი სითბო, ძმური დარიგება და ქრისტიანული თანადგომა გამოსჭვივის 1926 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული წერილიდან, რომელიც მამა პოლიევქტოსს მიუწერია ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელისადმი: „...ჩვენო ახალო სტეფანე ბოდბელო! გილოცავ უმწვერვალესსა ხარისხსა მღვდელობისასა! იმზემრავლე

(რა ბრწყინვალე დალოცვაა! – ვ. ო.) და იდღეგრძელე. ახლა მომისმინე, მღვდელმთავარო! შეუძლებელია წირვა 14 შაბათს სიღნაღში. 21-მდის არავის სცალიან... მგალობლებისას ვერას გეტყვი, ყველას უნდა აცნობო, მელიტონ ბეგიაშვილი ყველას გააფრთხილებს, მოაწყობს, მოსწერე. ეგრე ხელდახელ და აჩქარებით ყოველი საქმის შესრულებას ერიდე. აი, ჩემი რჩევა. სიმძიმე, დარბაისლობა, დიდი დაფიქრება გმართებს ახლა ყველა საქმის შესახებ.

შენი პოლიევქტოს კარბელაშვილი“.


იმ წლებში, როცა ბოლშევიკური რეჟიმი „უღმერთოთა კავშირებს“ ქმნიდა და ეკლესიის წინააღმდეგ ათასგვარი ნაძირალური ხერხებით მოქმედებდა, მამა პოლიევქტოსი თავისი ეპისკოპოსი ძმის მხარში იდგა და ეკლესიური მოღაწეობის ჯვარს ეწეროდა შეუდრეკლად და მრევლს მაცხოვრის გზას უქადაგებდა. თუმცა კომუნისტურ-დიქტატორულმა ხელისუფლებამ საქართველოში და, რა თქმა უნდა, გურჯაანშიც თითქმის ყველა ტაძარი დახურა. მათ შორის გურჯაანის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარიც, სადაც წინამძღვრად მსახურობდა მამა პოლიევქტოსი, რის გამოც იგი იძულებული იყო მრევლისთვის მხოლოდ საეკლესიო წესები შეესრულებინა დროგამოშვებით, როგორც ეს მაშინ მიღებული იყო და სადმე მოქმედ ტაძარში წირვა-ლოცვა გაჭირვებით ჩაეტარებინა. მამა პოლიევქტოსს მთელი ქონება ჩამოართვეს და კოლექტივის საუთრება გახადეს, მაგრამ მას გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია ღვთისმსახურება. მომყავს საოცრად თბილი და სევდიანი ამონარიდი წიგნიდან „ძმები კარბელაშვილები“ (ტექსტი სოფიო ანდღულაძის. გამოცემის ხელმძღვანელი ლუარსაბ ტოგონიძე. თბ. 2012) მამა პოლიევქტოსის შვილიშვილისა – ქალბატონ ციალა (დოდო) ცინცაძე-იმნაძისა (ქალბატონ ელენე კარბელაშვილის შვილი) მოგონებიდან: „კოლექტივიზაციისას პაპამ უძრავ-მოძრავი ქონება ჩააბარა კოლექტივს, დარჩა ერთი ცხენი ერთხანს, რითაც თავის სამსახურის მოვალეობაზე



მღვდელი ფილიმონ ჯარბელაშვილი მიხეილ ამილახვართან და ნიკოლოზ მესხიშვილთან ერთად. სოფ. ქვ. ჭალა. XIX საუკუნის 70-იანი წლები



პოლიევქტოს, ვასილ და პეტრე ჯარბელაშვილები დედასთან ანასთან ერთად. თბილისი 1896 წელი.



დეკანოზი პოლიევქტოს ყარბელაშვილი.
გურჯაანი. 1933 წელი.

(ზიარებისათვის და სხვ.) მიდიოდა ახლომახლო სოფლებში. გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია მსახურება. პოლეს დიდ პატივს სცემდა ადგილობრივი მმართველობაც და ხალხიც. მართალია, ეკლესიები დაკეტეს, მაგრამ პაპა არ გაუკრეჭიათ (როგორც ეს იმ ხანებში არაერთს დამართეს, მაგ., ნ. თალაკვაძე, კ. კეკელიძეს – ვ. ო.), არც ანაფორა გაუხდია და არც მღვდლის სამსახური მიუტოვებია. მრევლის საკურთხით ივსებოდა ჩვენი ეზო-კარი აღდგომას, მარიამობას და ა. შ. თუ მიწა მოჰქონდათ, თუ მარილი საკურთხევლად, თუ ბავშვები მოსანათლად, პაპა, როცა ლოგინად იყო, მაშინაც კი პატარა ჭარხლისფერ ოლარს ჩამოიცვამდა კისერზე, წამოჯდებოდა ლოგინზე და ისე ჩაატარებდა საეკლესიო რიტუალს. მე არაერთგზის მოვსწრებივარ ამ ყველაფერს.

პაპა ძალიან სათნო, კეთილი და საყვარელი ადამიანი იყო. ხშირად მოაკითხავდნენ იქაურები რჩევისათვის თუ რაიმე საკითხის გასარჩევად. სულ მუდამ სტუმრიანობა იყო მასთან თბილისიდანაც კი. წერა-კითხვა 5 წლისას მან შემასწავლა.

პაპა დიდ ტახტზე, მუთაქებზე მიწოლილი ისვენებდა. ხელში დიდი, გრძელი წკეპლა-ჯოხი ეჭირა, რომ ამოსული ქათმები მოეგერიებინა. ხშირად მერცხლებიც შემოუქროლებდნენ, ფრთებით თავ-პირზე წაეთამაშებოდნენ, ერთმანეთის თითქოს ესმოდათ კიდეც. სხვათა შორის, მივაქციე ყურადღება, რომ პაპას გარდაცვალების მერე მერცხლები აღარ დაბრუნებულან ჩვენთან. გარე ტახტზე მივუსხდებოდით, მივუწვებოდით მე და ოთარი (ციალას ბიძაშვილი, დავით კარბელაშვილის შვილი. დავითი დახვრიტეს 1937 წ. – ვ. ო.) პაპას და ვუსმენდით მის დარიგებას, თხრობას სხვადასხვა ამბებისას.“ კეთილშობილ ქალბატონ ციალას (დოდოს) მეც ვესაუბრე პირადად. იგი 90 წელს გადაცილებული, შესანიშნავი მეხსიერების დარბაისელი მადნილოსანია...

მამა პოლიევქტოსი ერთ-ერთი ის გულანთებული მამულიშვილია, რომელიც წინ აღუდგა გასაბჭოებულ საქართველოში პირსისხლიან ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელიც

მეფის რუსეთის ცარიზმის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდა უძველესი ქრისტიანული ივერიისათვის. ბოლშევიკები დაუნდობლად ებრძოდნენ ქართველთა უმთავრეს სულიერ ბურჯს — მართლმადიდებლობას.

მამა პოლიევქტოსს გამორჩევით უყვარდა უფროსი ვაჟიშვილი — ფილიმონი, რომელსაც თავისი უდროოდ გარდაცვლილი ძმის სახელი დაარქვა და რომელიც, მამა-ბიძების დარად, მღვდლად მსახურობდა. მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ხანში შესულ დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს — 1930 წლის 23 მაისს გარდაიცვალა თავში სწრაფი სარკომით მისი უფროსი ვაჟი — მღვდელი ფილიმონი. (რომელსაც ოთხი შვილი დარჩა: ნინა, ქეთო, გოგი, ნადია.) უფალმა კიდევ ერთი განსაცდელი მოუწყო მამა პოლიევქტოსს და... დაიწყო ჟამი ტკივილთა თმენისა...

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი მშობლიურ სოფელ ქვემო ჭალაში აღარ ჩანს და უკანასკნელ დღეებს გურჯაანში, თავის სახლში, ატარებს, სადაც 81 წლისა აღესრულა კიდეც 1936 წლის 11 ნოემბერს და, როგორც ბოლშევიკური რეჟიმის დროს მიღებული იყო, დაკრძალეს გურჯაანის საერო სასაფლაოზე. ასე დასრულდა მიწიერი ცხოვრება ერთი ქართველი უკეთილშობილესი სასულიერო მოღვაწისა და ერისშვილისა. ჩვენ კი დაგვიდგა ჟამი მისი სასოებით ნაღვაწის მოძიებისა, შეკრებისა, ანალიზისა, შესწავლისა და გამომზეურებისა...

2009 წლის 22 სექტემბერს მამა პოლიევქტოსის ძვირფასი ნეშტი გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსის, ექვთიმეს (ლეჟავა) ლოცვა-კურთხევით გურჯაანის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა მიქაელმა (ხიხაძე) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტრის ბერებთან ერთად ტაძრის ეზოში გადმოასვენა.

ისე, ჩემი აზრით, თუ ხუთივე ძმის ბოლო განსასვენებელი სამთავისის დიდებული ტაძრის ეზო იქნება (მათი უფროსი ძმის, ფილიმონის საფლავის გვერდით), სადაც მცირე პანთეონივით მოეწყობოდა მომავალში, — უფრო უკეთესია, რადგან ერთი

ოჯახიდან ხუთი წმინდანად შერაცხეული დღეს, 21-ე საუკუნეში, მეტი არ გამიგია.

მამა პოლიევქტოსის ნაშრომ-ნაღვაწს თუ გადავხედავთ, პირველ რიგში, თვალშისაცემია მისი ნააზრევ-ნაწერთა, გამოკვლევათა და მიგნებულ-მოძიებულის ფართო არეალი, ქართული მწერლობისა და ისტორიის ღრმა ცოდნა. მასში შენივთებულია ქრისტიანი სამღვდელო მოღვაწის ღვთისმოსაობა და მკვლევარ-ისტორიკოსის, მწერლის, ეთნოგრაფის დაუცხრომელი ბუნება, დიდ წინაპართა დარი სიბრძნე-სიდარბაისლე და მამულის სატკივარ-პრობლემათა განცდით მუდამ მთრთოლვარე სული. იგი ეკლესიაში ქრისტეს სიყვარულით ლოცვას აღავლენდა, როგორც მღვდელი და კალმით თავისი სამშობლოს და ერის უდიდესი კულტურის ისტორიას წერდა, ხოლო მოქმედებით ეროვნული საუნჯის და ღირსების დამცველი იყო.

გარდა მისი გახმაურებული გამოცემებისა, როგორიცაა „ქართული საერო და სასულიერო კილოები – ისტორიული მიმოხილვა 1898 წ. ტფილისი“, „კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი – იერარქია საქართველოს ეკლესიისა“. 1900 წ. ტფილისი“, „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში – ისტორიული მიმოხილვა 1902 წ. ტფილისი“, „პარაკლისი ხელით-უქმნელისა ანჩის-ხატისა (შედგენილი ძველთა ხელნაწერ საგალობელთაგან) 1902 წ. ტფილისი“, მამა პოლიევქტოსი ცნობილია, როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი ისტორიკოსი და მკვლევარი, ეთნოგრაფი და პუბლიცისტი, ლიტერატორი და მთარგმნელი, მემატიანე და მწერალი თავისი „ბედკრულის ქვეყნისა“. მამა პოლიევქტოსი არასდროს ივიწყებდა საიდან და „ვისი გორისა“ იყო. აკი მისი პუბლიკაციებიც იმდროინდელ ლიტერატურულ პერიოდიკაში ხშირ შემთხვევებში ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით: „ჭალელი პ.“, „ცხვილოელი პ.“, „სამთავნელი პ.“... მოვიყვანთ ზოგიერთ უმთავრესს (მოკლე ანოტაციებით) მამა პოლიევქტოსის გამოქვეყნებული ნაშრომ-ნაღვაწიდან, რათა უფრო ცხადი გახდეს მისი აზროვნების და

ქრისტიანული შემოქმედების ფართო სპექტრი:

გაზეთი „ივერია“ – 1877 წ. 6 თიბათვე №17 „წერილი გურჯაანიდან“.

გაზეთი „ივერია“ – 1877 წ. 1 სექტემბერი №32 „გურჯაანი“. პ. ცხვილოელი. წერილები ეხება სეტყვას კახეთის რეგიონში, სოფლის მეურნეობის პრობლემებს და ლეკების მიერ ქართული სოფლების აოხრებას.

გაზეთი „დროება“ – 1882 წ. №130 „ერთი უძველესი საეკლესიო წიგნი და სხვ.“ პ. ცხვილოელი.

ვრცელი წერილი ეხება სოფ. ქვემოჭალის ერთ-ერთ ეკლესიაში დაცულ ძველ წიგნებსა და პერგამენტებს. აღწერილია იქ მიგნებული უძველესი „დაბადება“ და „საგალობლები“, სულ 774 გვერდი. გამოთქმულია მათი ხნოვანების შესახებ ვარაუდი X საუკუნე და უფრო ადრინდელიც. ისტორიული კუთხით ახსნილია გივი II ამილახვრის და შანშე ქსნის ერისთავის დაპირისპირება. ამონარიდები ამ წერილიდან: „შესანიშნავი მით არის ეს წიგნი, რომ ეხლანდელ ხმარებულ „სადღესასწაულოს“ და მის შორის საზოგადო არა არის-რა. საკითხავები მეტია, საგალობლები სულ სხვა, სხვა ტიპიკონზედ აგებული და ლექსებიც კი არის, მაგ., „ნათლისღებაზედ ერთი გრძელი ლექსი“... და კიდევ ერთ-ერთი საინტერესო ამონარიდი: „ესე სჯულის კანონი მე ანჩისხატის კანდელაკმა დავით თამაზხან რომ ქალაქში შემოვიდა (იგულისხმება ნადირ-შაჰის მიერ თბილისის დალაშქვრა 1737 წელს – ვ. ო.), მესამე დღეს დავიხსენ თათრისაგან, სვეტიცხოველისა იყო და ისევ სვეტიცხოველსა შევწირე სულისა ჩემისა სახელად და ძისა ჩემისა მიქელის სადღეგრძელოდ...“

ჟურ. „მწერმსი“ – 1884 წ. №24. „იესე, წინამძღვარი გელათის მონასტრისა„. წერილი ეხება იესე წინამძღვრის ვინაობას და სოლომონ მეფის განაჩენს.

გაზ. „ივერია“ 1886 წ. 1 ივლისი, №140. „IX საუკუნის ტყაშზე ნაწერი „საგალობელნი“ (გულანი).

გაზ. „ივერია 1886 წ. 24 ივლისი, №159. მღვ. კატალოგი

დავით გარეჯის უდაბნოს ძველის ხელნაწერის წიგნებისა. შედგენილი 4 თებერვალს 1886 წ. ბიბლიოგრაფიული ცნობა.

გაზ. „ივერია“ 1888 წ. 20 თებერვალი №39. ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება“.

გაზ. „ივერია“ – 1889 წ., 4 თებერვალი №26. „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები გარეჯის უდაბნოს ტყაზედ ნაწერის ხელნაწერებისა“. გაგრძელება „ივერია“ – 1889 წ., 7, 9, 11 თებერვალი.

გაზ. „ივერია“ – 1890 წ., 1 ნოემბერი, №232 გაგრძ. 2, 3, 4, 6, 10, 20, 21, 23 ნოემბერი. „ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა“.

გაზ. „ივერია“ 1891 წ. 29 სექტემბერი, №207, „სიზმარი“ [პროზა]. პუბლიკაცია „ვეფხისტყაოსანს“ ეხება.

გაზ. „ივერია“ 1891 წ. 18 აგვისტო №175. „არხეოლოგებს – ისტორიკოსებს“. ეხება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგის შედგენისას უთანხმოებას თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილს შორის.

გაზ. „ივერია“ – 1892 წ., 24 მაისი №106. „სოფელ მეტეხის ოთხთავის აღწერის შესავსებლად“.

გაზ. „ივერია“ 1891 წ., 16 იანვარი №1. პოტტო ვ. ა. „გენერალ-მაიორი გოტლიბე გენრიხის ძე გრაფი ტოტლებენი და ირაკლი მეფე“. თარგმანი პოლ. კარბელაშვილისა (პ. ცხვილოელი).

გაზ. „ივერია“ 1891 წ. 16 თებერვალი, გაგრძ. 17 თებერვალი, 20, 21 მარტი, 1, 2 მაისი. პოტტო ვ.ა. „იმიერკავკასიაში საქართველო და მისი სიტორიული წარსული“. თარგმანი პოლ. კარბელაშვილისა [პ. ცხვილოელი].

გაზ. „ივერია“ 1891 წ. 31 დეკემბერი №277. „ქართველ მხატვართა მიმართ“. წერილი ეხება ძველი ქართული მხატვრობის შესწავლის აუცილებლობას პროფესიულ დონეზე და ეკლესიათა კედლებზე მხატვრობის დამახინჯებას თანამედროვე (იმდროინდელი) მხატვრების მიერ.

გაზ. „ივერია“ 1893 წ. 16 აპრილი. №77 „ამილახვრიაანთა

ისტორიის მასალად".

გაზ. „ივერია" 1893 წ. 10 აპრილიდან №72-დან №140-მდე გაგრძელებებით „დავით გარეჯის უდაბნოს გუჯრები".

გაზ. „ივერია" 1893 წ. 18 მარტი №57-№58. „ყვარლის ციხე და ნურსალ-ბეგი".

გაზ. „ივერია" 1895 წ. 6 ივნისი. №116 „დავით გარეჯის უდაბნოში".

გაზ. „ივერია" 1902 წ. 24 იანვარი-13 მარტი (გაგრძელებებით) №18-დან №55-მდე. „მეფე ერეკლე და მისი წერილები".

გაზ. „ივერია" 1903 წ. 1 მაისი №94. „თამარ მეფის დღეობა".

გაზ. „ივერია" 1900 წ. 17 ნოემბერი №251. „დიდი ადვით კურაპალატის ჯუარი".

გაზ. „ივერია" – 1900 წ. 26 ივლისი. №160 „ახალი „სიბრძნე-ბალაჰვარისა" და „წმ. ნინოს ცხოვრება".

გაზ. „ივერია" 1901 წ. 9 იანვარი №6. „გუჯარი, საქართველოს მეფის გიორგი III, 1170 წ."

გაზ. „ივერია" 1904 წ. 12 დეკემბერი. №284 „ქართველთა საერო დროშის გამო".

და ა. შ.

მამა პოლიევქტოსმა მოამზადა და გამოსცა „ვეფხისტყაოსნის" დამატებანი (გამოკვლევით), ანტონ II-ს „მზა მეტყველება", აბო ტფილელის წამება" და „წმინდა ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქციები". აღნიშნულ გამოცემებამდე ამ საკითხებზე ჯერ საგაზეთო წერილებს აქვეყნებდა იმდროინდელ ქართულ პერიოდიკაში, როგორც ზემოთ ვნახეთ.

დამეთანხმებით, წმინდანად შერცხული მამა პოლიევქტოს კარბელაშვილის მოღვაწეობა და საერთოდ ძმები კარბელაშვილებისა მოითხოვს გულდასმით შესწავლას, ღრმა ანალიზს და უმთავრესს – ერთად შეკრება-გამოცემას მისი ყველა ნაშრომისა, წერილისა, პუბლიკაციისა, წიგნისა, ფოტოსი, საარქივო მასალისა – ალბათ, რამდენიმე ტომად, რაც ძალზე საშურია და, ვფიქრობ, შორს გადადება არ ეგების...

ძველი

ანჩისხატის ხატარი

ქ. ტფილისში.

ისტორიული მიმოხილვა

შედ. პ. კარბელაშვილისა.

ტფილისი

1902



მღვდელი პოლიევქტოს ჯარბელაშვილი. 1900 წ.

ძ ვ ე ლ ი

ანჩისხატის ტაძარი

ქ. ტფილისში.

ისტორიული მიმოხილვა

მღ. პ. კარბელაშვილისა.

ტფილისი
1902

Тип. „Гутенбергъ“ (кн. Г. Діасамидзе).
სტამბა „გუტენბერგი“ (თ. გ. დიასამიძისა).

Печатать разрешить духовный цензоръ Димитрій, еп. Алавердскій, 2 августа 1902 г

ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში
(ისტორიული მიმოხილვა)

I

საქართველოს დედა ქალაქმა ტფილისმა იმოდენა წვა და დაგვა გამოიარა, რაც დაარსებულა მას აქეთ, რომ უცხოსა და შინაურს ყველას უკვირს, თუ დღემდე როგორ გადარჩა სრულიად განადგურებასა და დაღუპვას. ძველი ტანჯვა-ვაება არ აკმარა ბედმა ტფილისსა და უკანასკნელად საშინელი განსაცდელი გადახდა თავსა: 1795 წ. ენკენისთვის[16]* 11-13 სპარსეთის ყეენმა აღა-მაჰმადხანმა მთლად მიანგრ-მოანგრია და ცეცხლით გადაბუგა. სრულიად დანგრევასა და დაღუპვას მარტო თითო-ოროლა საქრისტიანო ტაძრები გადურჩნენ და, მათ შორის, ანჩის-ხატის ტაძარიც. ეჭვი არ არის, ანჩისხატის ტაძარი მოწამე უნდა იყოს ტფილისის მრავალ-გზის აოხრებისა და სისხლის წვიმებისა მთელ საქართველოში. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ანჩისხატის ტაძარი არც ერთხელ არ დანგრეულა მტრისაგან საფუძვლადმდე. ქვემოთ მოყვანილი წარწერებიდგან სჩანს, რომ კათალიკოზს დომენტის (1659-1675წ.) აღუშენებია სამრეკლო, დღემდე მთლად შენახულა, და თვით ტაძარი კი მხოლოდ აქა-იქა განუახლებია. სამრეკლო აშენებულია კარგათ გამომწვარის აგურისაგან, ხოლო თვით ტაძარი კი ნაშენია კლდის უშველებელის, უხეიროდ ნათალი ქვისაგან, როგორც გარედგან, ისე შიგნიდგან; გარდა ამისი კლდის ქვები მრუდეთ არის ნაწყობი და ყველგან შვეულში არ მოდიან. ერთის შეხედვით ეტყობა, რომ ტაძრის ირგვლივ აგურის საწვეთიც (карнизъ) დომენტისაგან არის განახლებული სამრეკლოს აშენების დროსვე.

16 * (სექტემბერი- ვ.ო)

აღმოსავლეთის მხარე ტაძრისა ისეა გამოხატული ევროპიელ მოგზაურთა — შარდენის (1670-1673წ.) და ტურნეფორის მიერ (1700წ.) შედგენილ თბილისის გეგმაზედ, როგორც დღეს-ვხედავთ. ტაძრის დასავლეთის კედელზედ კარების ასწვრივ გამოხატულია უძველესის სახის ჯვარი გვერდზე მწოლარე კრავით; კედლის სისქე სრული ორი არშინია. (1 არშინი =71,12სმ —ვ.ო.)

თათრები უფრო სამრეკლოებს ემტერებოდნენ და ანგრევდნენ ხოლმე შემოსევის დროს, რადგან ჭირივით ეჯავრებოდათ ზარის ხმა და ჯვარი გუმბათზედ. ასე იქცეოდნენ სპარსეთის ყეენები: შაჰ-ისმაილი (1522წ.) გადმოაგდებინა ჯვარი სიონის გუმბათიდგან.); შაჰ-აბასი (1615წ.): და აღა-მაჰმად-ხანი (1795წ.). ამ უკანასკნელმა სიონის სამრეკლოს ჩრდილოეთის მხრივ მოანგრია გუმბათი და დღემდე ისე სდგას; ეს სამრეკლო ვახუშტი ბატონიშილის მიერ შედგენილს (1735წ.) ტფილისის გეგმაზედ-კი დახატულია გუმბათით.

ანჩისხატის ტაძარს ძველ დროში ეძახდნენ „ზარის საყდარს“, რადგან არაბების დროსვე ჰქონდა უფლება ზარის რეკისა, როგორც საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ტაძარს თბილისში. უამისოდ ვინ, რათ დაარქმევდა „ზარის საყდარსა“, თუ დანარჩენ საყდრებშიაც ექმნებოდათ ზარის რეკა? ან რა აზრი ექნებოდა მაგ წოდებასა, თუ ანჩისხატის ტაძარს სამრეკლო და მასზედ ზარის რეკა არა ჰქონოდა? ჩვენ ვიცით, რომ მე-X-XI საუკუნოების არაბების მეისტორიენი იხსენიებენ ზარის რეკასა ქრისტიანებისაგან თფილისში. „ზარის საყდარს“ ეძახდნენ მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრამდე; ამ დროიდგან-კი, იქნება მას აქეთ ორას ორმოცი წელიწადი, დაერქვა ანჩისხატისა, რაკი კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ აქ დაასვენა ქრისტიანობის უდიდესი სიწმიდე და სათაყვანებელი პირი ღვთის ხატი, ს. ანჩიდგან მოსვენებული.

II

მეშვიდე საუკუნეში საბერძნეთის იმპერატორი ირაკლი

ებრძოდა სპარსელებსა. ქართველები რომ სპარსელებს არ მიშველებოდნენ ამ ბრძოლაში, ირაკლი ბევრს წყალობას დაჰპირდა ქართველებსა. აი ამ შემთხვევით ისარგებლა საქართველოს მეფემ ადარნასემ (614-639 წ.) და მოითხოვა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მცხეთაში აღრჩეულიყო ქართველთა სამღვდელოებისაგან და მცხეთაშივე ეკურთხებინათ. ირაკლიმ ნება მისცა. ამიტომ, კათალიკოზი იოანე რომ მიიცვალა (623 წ.), საქართველოს სამღვდელოებამ აირჩია კათალიკოზად მთავარ-ეპისკოპოსი ბაბილა; ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ბაბილამ აიშენა ტფილისში თავისთვის სასახლე და საყდარი მტკვრის მარჯვენა კლდოვან ნაპირზედ. საკუთრივ ანჩისხატის ტაძარი სიგრძით არის ოც-და-ათი არშინი და სიგანით ოც-და-ერთი და, როგორც ვთქვით, აშენებულია მთლათ კლდის ქვისაგან; ამ გვარის გეგმით აშენებული საყდრები დღესაც ბევრია საქართველოში: ურბნისისა, ზედაძნისა, შიომღვიმისა, გომბორისა, სამებისა — (კაწარეთისა), ვაქირისა, კახთ-უბნისა, ზეგანისა, ურიათუბნისა და სხ. გარეგანი შეხედულება ტაძრისა მაგდენად მოსაწონი არ არის; მაგრამ დასავლეთის კარებიდამ შესდიხართ და განცვიფრებას ეძლევით შინაგანი მშვენიერებისაგან: შუალა მაღალი მოხდენილი თაღი აქეთ-იქით დაბალი თაღებით თქვენს გონებას იზიდავს, სარწმუნოებრივ გრძნობას აღვიძებს გულში და ნეტარებით გახსენებინებთ კურთხეულ მამა-პაპათა ტანჯვით გატარებულ სიცოცხლესა! ამოდენა ტაძარი ოთხს მგრგვალ სვეტზედ არის დამყარებული. შუალა მაღალი თაღი[17]) ირგვლივ მოხატულია ძველის აღთქმის ისტორიული სურათებით, დაბლა კედლები კი ირგვლივ იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებიდგან; საკურთხევლის თაღში დახატულია სულის წმიდის მოფენა მოციქულებზედ; ხოლო დასავლეთის კედელზედ — მაღლა ადამ-ევას სამოთხიდგან განდევნა და დაბლა კარების თავზედ მეორეთ

17 შუა თაღებზედ — მარცხნივ დახატულია შობა, ხარება მიძინება ღვთისმშობლისა; მარჯვნივ — მოციქული თადეოზი პირი ღვთის ხატით და ავგაროზი, მისი განკურნება, ედესია ქალაქის კარის ბჭე იმავე ხატით და ღირსი მამა ანტონ მარტომყოფელი მის მიერ მოსვენებული კეცის ხატით.

მოსვლა ქრისტესი — სასუფეველი და ჯოჯოხეთი. მხატვრობა ძველია, მაგრამ განახლებულია მეჩვიდმეტე საუკუნეში, მერე 1814 წ. და უკანასკნელად ამ რამდენიმე წლის წინად. კანკელი დადგმულია 1854 წ. რუსულის ხელოვნებისა; ძველი კანკელი 1787 წ. დახატული დროებით დგას მთაწმინდის მამადავითის საყდარში.

ტაძრის იატაკი 1846 წლიდან კლდის ქვისა იყო დღემდე, ამ ერთი წლის განმავლობაში დაგებული იქმნა მშვენიერი უცხოური ფერადი აგურისა (тометь) და მარმარილოს ფერადი კენჭისა (мозаика) კნეინა ანასტასია დავითის ასულის გაგარინისა და კნეინა ელენე კონას ასულის თარხნიშვილის საკუთარის ხარჯით.

საკურთხევლის მარჯვნივ არის სალარო, მარცხნივ სამკვეთლო. უწინდელ დროში ყოველი საყდარი შეადგენდა საუკეთესო თავ-შესაფარსა მტრის შემოსევის დროს, ამიტომ როგორც სამკვეთლოდგან, ისე სალაროდგან გვირაბები ყოფილა მტკვრის პირამდე ჩათხრილი გაჭირვების დროს წყლის ამოსატანათ. თვით ტაძარი სდგას კლდეში ამოკვეთილ სარდაფზედ. აი ესრეთის მოხერხებით და ოსტატობით არის აგებული ანჩისხატის ტაძარი.

ტრაპეზი მშვენივრად გათლილია ერთიანი კლდისაგან სიმაღლით არშინ ნახევარი და სიგრძით-სიგანით არშინი და ორი გრე. ტრაპეზის კიდურები სამი მხრივ გარუჟულია ზედ ნანთები წმინდა სანთლისაგან. იყო დრო, როცა მტრის გაბატონებისა გამო საქართველოში, წირვა-ლოცვა აღარა სრულდებოდა ხოლმე. აი სწორეთ ამისთანა დროს ღვთის მოყვარე ქართველობა ცხადლივ, თუ უჩუმრა დაიარებოდნენ ანჩისხატის ტაძარში და გაშიშვლებულ ტრაპეზზე ანთებდნენ სანთელსა. ტრაპეზის შუა ადგილი გაპოხილია წმ. ნივთიერებით, ხოლო კუთხეებში ჩაწყობილია წმ. ნაწილები და ალებასტრით გადალესილი. ტრაპეზის კიდურს ორის მხრივ აკრავს ორი ქაღალდისაგან გამოჭრილი ჯვარი (ერთი დაზიანებულია) აი წარწერები:

სამხრეთის მხრივ — „ ... მარკოზ...დაემყარა წმიდა ესე... სახელსა ზედა... ელისა: დედოფლ... ქელითა ყოვლად სანატრელისა პატრიარქის...“

დასავლეთის მხრივ — „ .....სა.... ყოვლად.... დედოფლისა ღვთის მშობელისა ყოვლად სანატრელისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ბატონიშვილის ანტონისათა, მეფობასა თეიმურაზ პორფირიანისსა, ქრისტეს აქათ ჩღმვ... 1746...“

ეს ტრაპეზი საუკეთესო სამკაულია დღეს ანჩისხატის ტაძრისა. პირველი წარწერა მოიხსენებს მარკოზს, რომელიც კათალიკოზ-პატრიარქად იჯდა 1460-1466 წ.წ.

III

წმ. მეფე ვახტანგ გორგასლანმა თუ მცხეთიდგან თბილისში გადმოიტანა სამეფო ტახტი თავის უფლების განსამტკიცებლად და სპარსთა გავლენის შესამცირებლად, კათალიკოზ-პატრიარქმა ბაბილამ თბილისში აიშენა სასახლე და თავის კარის ტაძარი, რომ აქ, თბილისში განემტკიცებინა თათართაგან დაჩაგრული ქრისტეს სარწმუნოება. ამის გარდა არც ჰაერის წლიური ცვლილება აძლევდა ნებასა ერთ ადგილს ეცხოვრნა მთელი წელიწადი. ამიტომ კათალიკოზ პატრიარქი ზამთარს ყოველთვის თბილისში ატარებდა, ზაფხულს კოჯორში და გაზაფხულს-შემოდგომას მცხეთაში. ამნაირად კათალიკოზ-პატრიარქი მუდამ მხარში ედგა საქართველოს სამეფო კარსა და თავის გავლენას არა ჰკარგავდა: სამეფოს გაჭირვების და კეთილ-დღეობის ჟამს კათალიკოზ-პატრიარქი იყო ხოლმე მეფის უპირველესი მრჩეველი და განმამხნევებელი. რავდენიც კათალიკოზ-პატრიარქის გავლენა მტკიცდებოდა თბილისში, იმდენად ანჩისხატის ტაძარს ემატებოდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გავლენა და ნივთიერადაც მდიდრდებოდა. ესრეთს წარმატებას ხელს უწყობდა დიდათ თვით მდებიარობაც: იქვე, სამხრეთით იმყოფებოდა საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მეფეთა სასახლე; ამიტომ მეფენი,

დედოფალნი, ბატონის შვილნი, სძალნი და ასულნი მუდამ აქ ისმენდნენ წირვა-ლოცვასა, აქ იმწყსებოდნენ და ემზადებოდნენ სამეფოს მოვლა-პატრონობისათვის, ქრისტეს სარწმუნოებისა და სამშობლო მიწა-წყლის დაცვისა და თავ-დადებისათვის. აქ, ანჩისხატის ტაძრის ირგვლივ მკვიდრობდნენ წარჩინებულნი თავად-აზნაურთა საგვარეულონი, ყველა მათგანს აქ საკუთარი სასახლე ჰქონდა. კათალიკოზ-პატრიარქნი და ქადაგნი აქ შეაჩვენებდნენ ხოლმე სარწმუნოებისა და მამულის მოღალატეს! აქ ადიდებდნენ და აქებდნენ ქრისტეს ეკლესიისა და მამულის ერთგულთ-მოყვარეთა და თავდადებულთა.

რაკი სამეფო სახლი და კარი კათალიკოზ-პატრიარქისა ასე თავს დასტრიალებდა ანჩისხატის ტაძარსა თითქმის ათასორასის წლის განმავლობაში, ამიტომ წარჩინებულნი სამეფოს მოხელენი და თავად-აზნაურნიც ყოველთვის აქ იყრიდნენ თავს. ანჩისხატის ტაძრის ეზო ძველად წარმოადგენდა დიდებულს სანახაობას: აქ იყო უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი, აქ იყვნენ თავმოყრილნი საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და მგალობელნი, რომელნიც წირვა-ლოცვის შემდეგ თავისუფალ დროს ახმარებდნენ ყრმათა აღზრდა-სწავლებასა, საეკლესიო წიგნთა გადაწერასა და სხ. აქედგან ეფინებოდნენ საქართველოს ყოველ კუთხეს განსწავლულნი მღვდელნი, დიაკონნი და მეფსალმუნენი — მგალობელნი. ამიტომ ანჩისხატის ტაძარი შეიქმნა პირველი საერო სათაყვანებელი და სალოცავი მთელი ქართველობისა უკანასკნელ დრომდე. ანჩისხატის ტაძრის ირგვლივ მდებარებდნენ წარჩინებულ თავად-აზნაურთა სასახლენი, აქ ანჩისხატის უბანში სცხოვრობდნენ — ამილახვარნი, ბარათიანნი, ანდრონიკაანნი, ციციშვილები, ხერხეულიძენი, შალიკაშვილები, აბხაზნი, აბაშიძიანნი, მუხრან-ბატონნი, თარხნიანნი, ჩოლაყაშვილნი, ერისთავნი და სხ. ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ კათალიკოზ-პატრიარქნი და მეფენი საუკეთესო მღვდელ-დეკანოზებს ამწესებდნენ ხოლმე ანჩისხატის ტაძარში, რომელთა უკანასკნელი წარმომადგენელი იყო დეკანოზი დიმიტრი სოლომონის-ძე ალექსისძე-მესხიშვილი (1778-1862 წ.).

IV

იყვნენ ხოლმე ისრეთნი ჟამნი, როდესაც მტერთა შემოსევისა და ბატონობისა გამო ათი და ოცი წლობით შესწყდებოდა ხოლმე წირვა-ლოცვა ანჩისხატის ტაძარში. ამ დროს სამღვდელონი კათალიკოზ-პატრიარქთან ერთად გაიხიზნებოდნენ ხოლმე მთიან ადგილებში — ლარგვისში, ან გუდამაყრის ხეობაში და თან მიჰქონდათ საეკკლესიო სამკაულნი და სალოცავი — ხატი და ჯვარი. უნდა ვთქვათ, რომ არაბები სხვა-და-სხვა ბარბაროზებზედ უფრო შემბრალებელნი და ლმობიერნი იყვნენ, უფრო პატივის-ცემით ეპყრობოდნენ საქრისტიანო საყდრებსა. ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ—ცხ. I ნაწ. 176 გვ) ჩაწერილია თანამედროვესაგან ერთი არაბის სიზმარი, რომელსაც მაჰმადმა ძილში უბრძანა: „მოუცემია ღმერთსა ძლევა ჩვენდა ვიდრე აღსრულებადმდე ათთა მეფეთა, ვითარცა ჰრქუა აბრაამს და აგარს ღმერთმან. არამედ ეკკლესიათა ღუთისათა და კაცთა ღვთის მსახურთა ეკრძალებოდეთ, ვითარცა იგი გამცენ ყორანსა შინა ჩემსა“.

არაბების მფლობელობის დროს (711-1122 წწ.) ქართველი ერი ყოველ მხრივ წინ წავიდა: იმ დროს დაიჭირა საქართველოს სამეფო ტახტი ბაგრატოვანთა გვარმა, აყვავდა ქართული მწერალ-მწიგნობრობა, ქართული ხუროთ-მოძღვრების ხელოვნება, გამდიდრდა ნივთიერათ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვით-ცნობიერებამ და დაგვირგვინდა ოქროს საუკუნით წმ. თამარ მეფის დროს. არაბების დროს განახლდნენ და აღშენდნენ მრავალნი შესანიშნავნი ტაძარნი — გელათი, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, ბედია, მარტვილი, ნიკორწმინდა, მოქვი, თიღვა, ატენის სიონი, სამთავისი, არმაზი, ქვაბისმანი, ქვათახევი, იკორთა, ზედაძენი, მცხეთის სვეტიცხოველი, იყალთო, სამება (იორზე), საფარა, ზარზმა, ტბეთი, ქუმურდო, წყაროსთავი, ანი, ვარძია და სხ. შემდეგ წმ. თამარისა ეზნია რამე თუ არა მონგოლებისაგან ანჩისხატის ტაძარსა — არა ჰსჩანს რა. თეიმურლანგის მიერ შვიდჯერ აოხრების დროს (1378-1405 წ.) ევნო რამე, თუ არა ანჩისხატის ტაძარსა — არ ვიცით; ვიცით მხოლოდ,

რომ საქართველოს მეფე ალექსანდრეს მიერ განახლებულ ეკკლესიათა რიცხვში არ იხსენიება ანჩისხატის ტაძარი.

მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს სპარსნი გაძლიერდნენ. მათი ყენი შაჰ-ისმაილი შემოესია საქართველოს 1522 წ. და პირველი მეჩითი ააშენა ავლაბრის ხიდის ყურზედ; მისმა მოადგილემ შაჰ-თამაზმა 1536 წ. უარესი ბოროტება მოახდინა: გადმოასახლა მრავალი ყიზილბაში და დააბინავა აბანოების გარშემო, დაამკვიდრა პოლიტიკური გავლენა ქართველებზედ. შაჰაბაზის დრო ხომ მეტად სატირელი დრო იყო ქართველებისათვის! აი ამ დროებაში საქართველოს მეფენი და კათალიკოზ-პატრიარქნი იძულებული იყვნენ აქა-იქა შეეფარებინათ თავი. ამ დროს კათალიკოზები — ნიკოლოზი, იოანე (ავალიშვილი), ზაქარია, ევდომოსი — უცხოებაში სტიროდნენ სამშობლოს აოხრებასა და შემუსვრილებასა! მათ არ ელირსათ თავის საყვარელ ტაძრებში (სვეტიცხოველი და ანჩისხატი) წირვა-ლოცვაში დაესრულებინათ თავისი დღენი! ამ დროს მიიღეს გვირგვინი მოწამეობისა მეფე ლუარსაბმა, არჩილ მუხრან-ბატონმა, სვიმონ მეფემ, საჩინო ბარათაშვილმა, გიორგი მეფემ, ლუარსაბ მეფემ, ქეთევან დედოფალმა, იოთამ ამილახვარმა, ევდემოს კათალიკოზმა, თევდორე მღვდელმა და სხ. ამისთანა გაჭირვების დროს კათალიკოზად იყო ხოლმე თათრების სათნო კაცი — ნიკოლოზ ლევან მეფის-ძე, ქრისტეფორე და სხ.

ამ სამწუხარო დროში ქართლის მეფეს, გათათრებულ როსტომს ღვთის განგებამ ცოლად არგუნა ისრეთი შესანიშნავი დედაკაცი, რომლის ბადალს ვერც ერთი სხვა ხალხი ვერ დაიკვეხებს — დადიანის ასული მარიამი, რომელიც მფარველ ანგელოზად მოევლინა საქართველოს ეკკლესიასა, მწერლობასა, ხელოვნებასა და სამშობლო მიწა-წყალსა. მარიამმა და ვახტანგ მეფემ კათოლიკოზად დაადგინეს მუხრანბატონის ქაიხოსროს ძე დომენტი, რომელმაც დიდი ხნიდგან დაობლებული და დაძველებული ანჩისხატის ტაძარი განაახლა; რაც დომენტიმ ვერ შეასრულა, იგი დაამთავრა მისმა მოადგილემ — კათალიკოზ-პატრიარქმა ნიკოლოზ ამილახვარმა, ამ ფრიადმა ტრფიალმა

ქართველთა ეკკლესიის და მწერლობის წარამატებისამ. კათალიკოზმა დომენტიმ განაახლა სასახლე თვისი, აღაშენა სახლნი-მოსამსახურეთათვის და ყრმათა სასწავლებლისათვის. ხელ-ახლა აღაშენა სამრეკლო დასავლეთის მხრივ. აი სამრეკლოს წარწერა: ქ. ჩუ86 ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონიშვილმან კათალიკოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო ესე და განვაახლე ტაძარი ესე სულისა ჩემისა საოხად. მეფობასა ქართლს შაჰნავაზისასა, ქორონიკონსა ტ ნდ 1666 წ.[18]* კათალიკოზ დომენტი შემდეგ სწერს: „აღვაშენე დაძველებული და დაქცეული ხელახლად სამკვეთლოს წინ სამხრე, ორი სახლი თლილის ქვითა და ორის ქვის სვეტითა და დავბურე ქვის ლორფინითა, გავაკეთე დაქცეული პალატები ხითა და ლამფა მივაკარით და სხვა წვრილი სახლები და სენაკები ბევრი. ანჩისხატის საყდარში შიგნით, აჩხორვილი და ცუდ-მადად გაკეთებული იყო, განვჰსწმიდე და განვაშვენე, განვაახლე ტახტი კათალიკოზთ სადგომი თლილის ქვითა და ქვის სვეტებითა. კიდევ გავაკეთე ქალების სადგომი ხისა. დავახურვინე ანჩისხატის საყდარი ფიცრითა და სასახლე ყავარითა“[19]

განაახლა თუ არა ანჩისხატის ტაძარი, კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ ჩამოასვენა ს. ჭალიდგან აწინდელი პირი ღვთის ანჩისხატი, ეს უაღრესი სიწმიდე ქრისტიანობისა.

V

სოფელი ანჩა მდებარეობს შავშეთსა და ლიგანის ხევს შუა ჭოროხის მარჯვენა ნაპირზედ, ქ. ტრაპიზონის მახლობლად. აქ ქრისტიანობის პირველ დროშივე მოციქულებმა პეტრემ და მისმა ძმამ ანდრია პირველ-წოდებულმა დააარსეს მრავალი ეკკლესიანი. ანჩაში საეპისკოპოსო ტაძარი უძველესია მთელ საქართველოში. საეპისკოპოსო საყდრის დაწსება ანჩაში ქართველ მეფეთა მიერ

18 * აქ შეცდომას უშვებს პ.კარბელაშვილი. უნდა იყოს ტნიგ – 16756. (ვ.ო.)

19 იხ. ქრონიკები, II 490 გვ.

არსად არ არის მოხსენებული. აი ამ ანჩის ტაძარში ესვენა თითქმის ცხრაასი წლის განმავლობაში პირი-ღვთის ხატი: ანჩის ეპისკოპოსნი ყოველთვის მცხეთის კათალიკოზის ხელ-ქვეითნი იყვნენ; ანჩელის სამწყსო მდებარეობდა ოპიზასა და ხანცთის მონასტერთა შორის, ნიგალის ხევის ქვევით გონიამდე. ანჩელნი დიდად პატივცემულნი იყვნენ ყოველთვის, მეფეთა და კათალიკოზთა კურთხევის დროს მეთერთმეტე ადგილი ეჭირათ იშხნელსა და მტბევარს შორის. ანჩის ეპისკოპოსთაგან ცნობილნი არიან ჩვენს სამშობლო ისტორიაში: ა) მაკარი 940–975 წ., რომლისა დროსაც აღიწერა ცხოვრება წმინდა გრიგოლ ხანცთელისა (იხ. 5 ოკტომბერს). ბ) ეზდრა 1015–1058 წ. მომხრე მეფის ბაგრატ IV ბერძნების წინააღმდეგ; გ) თეოდორე I 1060–1094 წ. დ) იოანე I რკნაელი 1179–1205 წ. რომელმაც წმ. თამარ დედოფლის ბრძანებით შეამკო პირი ღვთის ხატი: ე) თევდორე II 1205–1248 წ. რომელმაც შეიძინა ტყავზედ ნაწერი ანჩის სახარება მწერალ მწიგნობრის სოფრონისაგან წყაროსთავში სოფრონმა ძვირფასად შეამკობინა სახარება ზარქარს ბეგას[20]*, პირი ღვთის ოსტატს 1194 წ. ვ) იოანე II 1271–1319 წ. ზ) თეოფანე 1320–1369 წ. თ) ქერობინ 1451–1592 – აბელის ძე, რომელიც ანჩისხატის თაყდებობით ერთგულების პირობის წერილს აძლევს კათალიკოზ დავითს[21].

VI

ანჩიდგან მოსვენებული პირი ღვთის ხატი არის უდიდესი სიწმიდე მთელის ქრისტიანობისა. თავგადასავალი ამა ხატისა მეტად შესანიშნავია და სასიამოვნო მოსასმენი ყოველი ქრისტიანისათვის.

იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრების დროს, როდესაც მის მიერ ქმნილნი სასწაულნი ელვასავით ეფინებოდნენ მთელს დასავლეთ

20 * (ბექას —ვ.ო)

21 იხ. იქვე 267-268 გვ.

აზიას, საქართველოს მოსამზღვარე ქ. ედესის მთავარი ავგაროზი მძიმე ავადმყოფი იყო; ყველა გამოჩენილმა მკურნალებმა ხელი აიღეს მის მორჩენაზედ. მაშინ ავგაროზმა დაწერა წერილი და მოსამსახურეს (ჩქარა მოსიარულე) შიკრიკი გაატანა იესო ქრისტესთან, სწერდა თავის უკურნებელს სნეულებასა და ეხვეწებოდა — მოდი მამარჩინე ამ სნეულებისაგან და ყოველსავე შენს ნებას ავასრულებო; გავიგე, რომ ურიები გემტერებიან, გდევნიან და გირჩევ ჩემთან მოხვიდე, ჩემს სამეფოში უფორ მოსვენებით გაცხოვრებო.

იესო ქრისტემ მოსწერა ლოცვა-კურთხევის წერილი, მოსვლა ვერ შემიძლიან, რადგან ჩემი დიდი საქმე ჯერ არ შემისრულებიაო. მოსამსახურისაგან გაიგო ავგაროზმა, რომ იესო ქრისტეს მეტად ემტერებოდნენ ურიები და მოკლვას ემუქრებოდნენ. სნეული ავგაროზი რაღაც დიადს სიამოვნებასა გრძნობდა, როცა იესო ქრისტეზე ფიქრობდა და ლაპარაკობდა, სნეულება მაშინ ჩვეულებრივ თითქოს არ აწუხებდა. ამიტომ გაგზავნა თავის საკუთარი ხელოვანი მხატვარი იერუსალიმში, რათა იესო ქრისტე დაეხატა და მოეტანა მისი სახე; ბევრს ეცადა მხატვარი, მაგრამ იესო ქრისტეს სახე ვერ გამოსახა ტილოზედ. მაშინ იესო ქრისტემ გამოართვა ტილო მხატვარსა, მიიფარა პირზედ და სასწაულებრივ გამოისახა-გამოიტვიფრა ტილოზედ მისი სახე. გახარებული მხატვარი გამოეჩქარა ავგაროზისაკენ მოციქულ თადეოზთან ერთად. გზად გამოიარაეს ქალაქ იერაპოლში, რომლის განაპირად ღამე გაათიეს მეჭურჭლესთან; იმ ღამეს პირი ღვთის ხატი თიხის გამომწვარ კეცებ შუა ჩაასვენეს სიფრთხილისა გამო; შუაღამისას გამოჩნდა ციდგან ჩამოშვებული ცეცხლის სვეტი ზედ ხატზედ. მივიდა ქალაქის გამგებელი თავის მხლებლებით გასაგებად, თუ რას ნიშნავდა ცეცხლის სვეტი; როცა უამბეს სიწმიდე პირი ღვთის ხატისა, ამოასვენეს იგი კეცებიდგან და ნახეს, რომ იესო ქრისტეს სახე ზემო კეცზედ გადასახულიყო. ქალაქის გამგებელმა იგი კეცი თავისთვინ წაასვენა[22], ხოლო ნამდვილი პირი ღვთის

22 შემდეგ VI საუკუნეში ეს კეცი ხელითუქმნელის პირი ღვთის

ხატი გაატანა ავგაროზთან. ედესის ქალაქის მახლობლად გზაზედ ერთი კუტი მთხოვარა ჭაბუკი თხოულობდა; თადეოზმა შეახო ხატი მთხოვარა კუტსა და მაშინვე განიკურნა: წამოდგა ფეხზედ და გახარებული გაეშურა დედასთან. ეს სასწაული ელვასავით მოეფინა ედესის ქალაქსა. დაიბარა ავგაროზმა და ჰკითხა — ვინ მოგარჩინა დაკუტებულიო? ჭაბუკმა უამბო თავისი სასწაულებრივი განკურნება. ავგაროზმა მაშინვე მიაგება სასწაულთმოქმედს ხატსა თავისი კარის მოხელენი და თვითვე სიხარულით ელოდებოდა სასურველი ხატის თაყვანისცემასა, ექვსი წლის განმავლობაში ლოგინში მდებარე ავადმყოფი. აგერ მოასვენეს ხატი. მომაკვდავი ავგაროზი სიხარულისაგან აღტაცებული სასოებით ემთხვია პირის ღვთის ხატსა და მეყვსეულად განიკურნა, ადგა ლოგინიდგან გახარებული, დაემხო პირქვე ხატის წინ და ცრემლით ჰმადლობდა ღმერთსა ესრეთის მოწყალებისათვის. მთელი ედესია ქალაქის მცხოვრებნი გაკვირვებულნი ადიდებდნენ ღმერთსა. ამის შემდეგ ავგაროზმა ირწმუნა მოძღვრება ქრისტესი და მოინათლა თადეოზისაგან კერასა წყაროში თაივს ცოლშვილით „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“. თადეოზმა იწყო ქადაგება და მთელი ედესიის სამთავრო მოაქრისტიანა. ავგაროზმა პირი ღვთის ხატი (ტილო) დააკრა ფიცარზედ და ქალაქის კარების თავზედ დაასვენა დიდის პატივით, რათა ქალაქში შემსვლელ-გამომსვლელთ ყველას თაყვანი ეცა და ედიდებინა ღმერთი. აქ ესვენა ორასი წელიწადი.

ავგაროზის მემკვიდრემ დაუწყო ჟლეტა ქრისტიანებსა; ამიტომ პირი ღვთის ხატი საიდუმლოდ დაკრძალეს ქალაქის კედელში და აგურებით ამოაშენეს ედესიის ეპისკოპოზის რჩევით და წინ დიდი სანთლის კელაპტარი დაუნთეს. თითქმის ოთახასი

ხატით ესვენა ერთბუნებიანთა მწვალებელთა (ნესტორიანნი) საყდარში. წმ. მამა ანტონ ათორმეტთაგანმა ნახა იგი ხატი და შეშურდა, რომ ამისთანა დიდი სიწმიდე მწვალებელთა ხელში იყო. როცა წმ. იოანე ზედაძნელი თავისი მონაფეებით გამოემართა საქართველოსაკენ, წმ. ანტონმა იდუმალ წამოიღო კეცი და მოასვენა საქართველოში.

წელიწადი დარჩა ხატი ასე დაფარული. არის გარდმოცემა, მითომ წმ. ნინო, რიფსიმე, გაიანე და სხ. მოსულიყვნენ ედესიაში პირი ღვთის ხატის თაყვანის საცემლად.

539 წ. სპარსეთის მეფე ხოსრო მოუხდა ედესიის ქალაქსა და ამ გაჭIრვების დროს ედესიის ეპისკოპოზმა ნახა სიზმრად ის ადგილი, სადაც დაკრძალული იყო პირი ღვთის ხატი. მაშინ დიდის ლოცვა-ვედრებით გამოანგრიეს კედელი და გადმოასვენეს სასწაულთ მომქმედი ხატი. ამ დროს სპარსელების ბანაკში საშინელი არევ-დარევა მოხდა, აიყარნენ და გაუდგნენ თავის გზასა.

ამის შემდეგ არ გასულა ასი წელიწადი, რომ ედესია მიდამოებით არაბებმა დაიპყრეს, მაგრამ ბერძნებმა განდევნეს ერთ დროს არაბები და პირი ღვთის ხატი დიდის ლიტანიობით ედესიიდგან გადაასვენეს კონსტანტინეპოლში და დაასვენეს წმიდა სოფიოს ტაძარში.

VIII-IX საუკ. საბერძნეთის ზოგიერთი იმპერატორი ღვთის მოძულენი იყვნენ: ლეონ ისავროელმა და კონსტანტინე კოპრონიმომ, საბერძნეთის იმპერატორებმა, აღძრეს საშინელი დევნულება წმიდა ხატთა თაყვანისცემისა. დადიოდნენ იპერატორის მოხელენი და სჩხრეკდნენ საყდრებსა და სახლებსა და, სადაც კი მოახელებდნენ ხატსა, ამტვრევდნენ, ჰხეჩავდნენ, სწვავდნენ ცეცხლში, ჰსცარცვავდნენ სამკაულსა. ამიტომ ყველა ჰმალავდა წმიდა ხატებსა მიუდგომელ ადგილს, ზოგი ზღვაში აგდებდა ხატებსა ღვთის ანაბარად. აი ამდროს პირი ღვთის ხატი საიდუმლოდ გადმოასვენეს კაბადოკიის ანჩის საეპისკოპოზო ტაძარში, მდინარე ჭოროხის ხეობაში. აქ, ანჩაში ქართველი ერი ყოველ წლობით იყრიდა თავს სადღესასწაულოდ, მეფეებიდგან დაწყობილი უკანასკნელ გლეხ კაცამდე 1194 წ. თამარ დედოფალმა რომ რუს-გიორგი განდევნა სამეფოდამ და ზედ თურქები დაამარცხა, რაც კი რამ ძვირფასი ქვა და მარგალიტი დარჩა დავლად, ყველაფერი შესწირა სხვა-და-სხვა ეკკლესიებსა ხატების შესამკობლად. ამ დროსვე მოახსენა ანჩის ეპისკოპოსმა იოანემ (რკნაელმა) პირი ღვთის ხატის სამკაულის

დაძველება; თამარმა უბოძა საჭირო ნივთეულობა და უბრძანა ხატის საუკეთესო ხელოვნებით მოჭედა. ამ დროინდელი ხუცური ასო მთავრულით წარწერა დღესაც კარგად იკითხება ხატის დაბლა არშიაზედ: „ქ. ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა ღვთივ გვირგვინოსანის დიდისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისათა, მე იოანე ანჩელმან რკნაელმან ხელვჰყავ საშინელისა ამის ხატის პატივითა მოჭედად. მფარველ-მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოჭედა ხელითა ბექასითა, ქრისტე შეიწყალე“.

ამის შემდეგ რაკი საბერძნეთი დაიპყრეს ოსმალოებმა და მოესივნენ საქართველოს, როგორც ზევითა ვსთქვით, ყველა საეკკლესიო სიწმინდენი ნელ-ნელა გადმოიტანეს ქართლისაკენ. ხატი ესვენა ახალციხეში, გორში და სოფ. ჭალაში ამილახვრის იოთამის სახლში. აქ ყოფნის დროს სახსოვრად დღემდე კარგად დაცულია მშვენიერი წარწერა ღვთის-მოყვარე გივი ამილახვრისა: „ჵ სახიერო და სამნათელო სამებაო და ერთარსებაო, მამაო ძისაგან განუშორებელ, და ძეო მამისათანა სწორო და სულო წმინდაო ორთავე შორის ცხოვრებაო, ყოველთა ხილურთა და უხილავთა წამის-ყოფით მაარსებელო და შემოქმედო, — ჩვენ მსასოებელმან და სურვილით თქვენდა მონდობილმან ძემან იოთამ ამილახორისამან, თვით ამილახორმან გივმან და თანა მეცხედრემან ჩვენმან ქართველთა მეფის შაჰნავაზის ასულმან თამარ და ძემან ჩვენმან ანდუყაფარ და დემეტრემ — ოდეს ვიხილეთ ანჩისხატი ჟამთა ვითარებისაგან ქართლში ჩამოსვენებული, მოჰხდა საქმე, რომ ბევრს ხანს ჩვენს სახლში ესვენა და მისის საფარველითა და შემწეობითა მრავალს ძნელს ავადყოფასა და განსაცდელს განვერენით და ვითაც კარები არა ჰქონდა, ვიწადინეთ და კარები მოვაჭედინეთ და გავაკეთეთ, რათა შემწე გვეყოს ორთავე შინა ცხოვრებათა ძით და ასულით ჩვენით. იყოს მადლი და ცვა-ფარვა თქვენი ჩვენზედა. გაკეთდა კარები ესე მეფობასა მეფეთ-მეფისა გიორგისასა, ინდიკატიონსა მეფობისა მეშვიდესა, ქრონიკონსა ტოდ (=1686 წ.) ამისი სარქარი ლოლაძე ბერაუკა, ღმერთმან შეუნდნეს.“ კარები ხატისა დაძველებული ყოფილა, ჩამოცვივნული და გივს ამილახვარს


განუახლებია და ჩამოუკიდნია ხატის კუბოზედ ისე, როგორც დღეს არის. პირი ღვთის ხატს თან მოჰყვა სამცხედამ მღვდელი პეტრე,[23] მესხიევთა წინაპირი.

თუმცა თვით ხატის სამკაულიც დაძველებული იყო, მაგრამ ამილახვარი მოერიდა მისს განახლებასა. გავიდა სულ ოცი წელიწადი და ხატის განახლება თავს იდვა კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ[24]*, მეფის ლევანის ძემ. აი ხატის კუბოს დაბლა პირზედ წარწერა:

,,ქ. ადიდენ ღმერთმან კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი, რომელმან განაახლა ხატი ესე ხელით უქმნელი. პირველად ედესიიდგან კონსტანტინოპოლეს წარმოესვენებინათ და ოდეს ლეო ისავრო და სხვანი ხატთ-მბრძოლნი გამოჩნდნეს, მას ჟამსა მუნიდგან წარმოესვენათ და დაესვენათ კლარჯეთს, საეპისკოპოზოსა საყდარსა ანჩისასა. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა მეფეთ მეფის თამარისითა იოანე ანჩელს პატიოსნად მოეჭედა და ოდეს გათათრდა სამცხე, მაშინ აღსრულიყო თფილისისა ვაჭარი და ეყიდა ფასითა და მიესვენებინა ბიძისა ჩვენისა კათლაიკოზ-პატრიარქის დომენტისათვის და მას ძვირფასად ეყიდა და დაესვენა ტიფლისს საყდარსა საკათალიკოზოსა. მეფობასა პაპისა ჩვენისა მეფის ვახტანგისსა. მას აქეთ დიდად დაძველებულიყო ხე და მოჭედილობა. ჩვენ მეფეთა შარავანდედმა ყოვლისა საქართველოსა კათლაიკოზ-პატრიარქმან დომენტი კვალად განვაახლეთ და მოვჭედე გული და კუბო და შევმატე თვალი და მარგალიტი. ქრისტე ღმერთო, შემინდევ ყოველნი ცოდვანი ჩემნი, სატანჯველისა და ყოველთა მტერთა ხილულთა და უხილავთაგან მიხსენ და შემრაცხე მარჯვენით შენსა და დაიცევ მეფე მეფეთა საქართველოსი პანკრატოვანი ვახტანგ და მეუღლე მათი დედოფალი რუსუდან, ძენი მათნი ბაქარ და გიორგი და ასულნი მათნი ყოველნივე

23 პეტრეს შთამომავლობას (მესხიაანთ გვარს) ამილახვარმა უბოძა შემდეგ ბეითალმანი მამული გადასულის აზნაურისშვილის ფოცხვერაშვილისა ს. საკორინთლოში. (სოფ.ქვ.ჭალის მიმდებარე სოფელი – ვ.ო)

24 * (იგულისხმება კათალიკოსი დომენტი IV- 1705-1725წ)



ქვ. ჭალის ღვთისმშობლის შობის სახელობის ჯვარპატიოსნის აღდგენილი ეკლესია და მესხიშვილების ჯოშკი. 2013წ





ანჩისხატის ეკლესია, სამხრეთ -აღმოსავლეთ ფასადი



ანჩისხატის ეკლესია, ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადი

იხსენ განსაცდელთაგან, ამინ. ქორონიკონსა ტჟგ. (=1705 წ.)". „კვალად განახლებულ-იქმნა სიძველისა გამო კუბო ესე მაცხოვრისა ჩყკგ წ. ქორონიკონსა ფიგ.".

ხელითუქმნელი პირიღვთის ხატი სიმაღლით არის არშინ ნახევარი, სიგანით ერთი არშინი. ჩამჯდარია კუბოში, რომლის სიმაღლე არის ორი არშინი და 1 გოჯი და სიგანე 1 არშინი და ორი გოჯი; თვით სახე მაცხოვრისა ტილოზედ არის გამოსახული და კაკლის ფიცარზედ დაკრული, გარშემო ტილო შემოცვეთილა. შეხედულება სრულიად იუდიანთა სახისა აქვს და კარგად ეტყობა, მხოლდო დიდი ხნის გამო თითქოს შებოლილია და გაშავებული. ტილოს გარემო ორი თითის დადება ფიცარი სჩანს ირგვლივ და შემდეგ შემოვლებული აქვს გვირგვინი ძვირფასის თვალ-მარგალიტით შებკობილი. გვირგვინის აქეთ-იქით ვერცხლზედ ოდნავ ეტყობა ხუცური ასომთავრული ასოები ჲ ჯ ქ ე. ფიცარი ხატს გარეშე მთლად შეჭედილია ოქროში დაფერილი ვერცხლით და გამოყვანილია მაცხოვრის მაკურთხეველი მარჯვენა (ოქროში დაუფერავია) და მარცხენა ხელი სახარებით. ხატის გარემო არშიაზე — შუაზე მარჯვნივ ღვთის მშობელია გამოყვანილი, მარცხნივ ნათლის მცემელი — საუკეთესო ხელოვნებით. მაღლა მარჯვნივ კუთხეში მთავარანგელოზი მიქელ, მარცხნივ კუთხეში — მთავარანგელოზი გაბრიელ; დაბლა — შუაზე პავლე მოციქული, მარჯვნივ კუთხეში პეტრე მოციქული და მარჯვნივ კუთხეში იოანე ღვთის მეტყველია. მთელი ხატის გარშემო არშია შესდგება უმშვენიერესის ჩუქურთმით გამოყვანილი ყვავილ-გრეხილებისაგან.

თავანდელი მრავალი შეწირულ ძვირფას ქვებიდგან ხატზედ დღეს დარჩენილია: 25 წითელი სეილანი, 17 სხვა და სხვა ფერი იაგუნდი (თეთრი წყლის-ფერი, იასამანი, მოყვითლო, მოწითლო), 3 ზურმუხტი, 1 ფირუზი და 7 თეთრი ამეტისტი. ამათგან 19 გვირგვინზედ, 4 გვირგვინის თავზედ, 4 მხრებს ასწვრივ; 17 გულზედ, ხოლო 9 იაგუნდი ასხმულია ვერცხლის მავთულზედ მარგალიტებს შუა, სულ 54 ქვა. 216 მარცვალი

მარგალიტი ასხმულია მავთულზედ, შიგა და შიგ იაგუნდებით, და დამაგრებულია გვირგვინის გარშემო[25], 3 მარგალიტი ზის გვირგვინის თავზედ პატარა შაბაქით ნაკეთებ სამკაულზედ და 153 ჭიოტა მარგალიტიც, მავთულზედ ასხმული შვიდი ქვის გარემო დამაგრებული — სულ 372 მარგალიტი.

ხატი ჩასმულია ოქროში დაფერილი ვერცხლით შეჭედილ კუბოში, რომელსაც ორი კარები აბია ხისა, შეჭედილნი ოქროში დაფერილი ვერცხლითვე. ხატის თავზედ, თაღს ქვეშ დიდის ხელოვნებით გამოყვანილია იესო ქრისტეს ამაღლება და მის დაბლა ხატის არშიაზედ დაცარიელებული (ამაღლების შემდეგ) მაღალი დასაჯდომელი უფლისა. ორივე კარებზედ შიგნით-გარეთ ჩუქურთმით გამოყვანილია მშვენიერად თორმეტი საუფლო დღესასწაული: მარჯვენა მხარეზედ — გარედგან: საიდუმლო სერობა, ღვთის-მშობლის მიძინება და ლაზარეს აღდგინება; შიგნიდგან — ნათლისღება ქრისტესი, შობა და ხარება ღვთისმშობლისა; მარცხენა კარებზედ — გარედგან: სულის წმინდის გარდამოსვლა, კვირაცხოვლობა და ბზობა; შიგნიდგან აღდგომა ქრისტესი, ჯვარცმა და ფერისცვალება. ესე დღესასწაულნი ისრეთის ჩუქურთმის ხელოვნებით არიან ნაკეთები. ისრეთის ზედმიწევნილი ცოდნით საღმრთო ისტორიისა და ყოველ შემთხვეულებათა ფსიხოლოგიურის მხრივ შეგნებით გამოყვანილნი, რომ განცვიფრებაში მოდის ყოველი მნახველი და არ სჯერათ, რომ მეთერთმეტე საუკუნეში ამისთანა უმაღლესი ხელოვნება შეუქმნია ქართველს ერს იმ დროს, როდესაც სპარსნი, არაბნი და თურქნი ერთი მეორეს ეცილებოდნენ და ზედი-ზედ აწიოკებდნენ საქართველოს. თუ ხუროთმოძღვარნი ამკობდნენ იმ დროს წმინდა ტაძრების კედლებს მშვენიერის ჩუქურთმის სახეებით, ეტყობა ოქრო მჭედლებსაც ჰქონდათ შეგნებული იმ დროს დიადი წარმოდგენა ბუნებრივი მშვენიერებისა, რაშიაც ქვეყნის შემოქმედმა ჩასახა უმანკოება თვისის ღვთაებრივის უკვდაებისა.

მაგრამ წარწერანი ორივე კარებზე და სხ. ყველას

25 ეს მარგალიტი თამარ დედოფლის ყელზედ სამკაულს თურმე შეადგენდა ოდესმე.

არწმუნებენ, რომ თამარ დედოფალზედ გაცილებით ადრე ყოფილა ანჩის-ხატი ქართველთაგან შემკული: ხატის კუბოს თაღზედ ამაღლების ასწვრივ აწერია: „ქ. ღმერთო და სიტყვაო ღვთისა მამისაო, შეიწირე კნინი ესე შემკობა წმინდისა და საშინელისა განკაცებისა შენისა ხატისა... პატრონი მანდატურთ-უხუცესი ბექა და მომანიჭე ცხოვრება წმინდათა შენთა თანა და ძენი ჩემნი გვიხსენ ჩვენ...“[26] მარჯვენა კარების შიგნით მხრივ ნათლიღების მაღლა — „ქ. სულსა პატრონისა მანდატურთ-უხუცესისა ბექასსა განუსვენე ღმერთო!“ ქვეშ — თანამეცხედრესა მისსა მარინეს...“ მარცხენა კარებზედ აღდგომის მაღლა — „ქ. სულსა პატრონისა მანდატურთ-უხუცესისა ბექასსა და თანამეცხედრესა მისსა მარინესსა განუსვენე ღმერთო: „ქვეშ — „ძენი მათნი მანდატურთ უხუცესი სარგის, ყვარყვარე და შალვა ადიდენ ღმერთმან“. ბექა ჯაყელი იყო თამარ დედოფლის წარჩინებული კარის კაცი ჯაყისმანიდამ სამცხეში; მისი პაპა ბეშქენი მეფის დავით აღმასენებელის კარის კაცი იყო. თამარის შემდეგ ხშირად იხსენებიან ბექას შვილები სარგისი, ყვარყვარე და შალვა. მათგანი ყვარყვარე, ანუ იოანე მოკლულ იქმნა მონგოლებისაგან 1225 წ., ხოლო წმ. შალვა თორელი იოანეს ღალატისა გამო შეიპყრეს ტყვედ და აწამეს ქრისტეს სარწმუნოებისათვის იმავე 1225 წ. და მაშინვე შეირაცხა წმინდათა შორის.[27]

მეფის გიორგი ბრწყინვალეს დროს ჯაყელთა გვარმა დაიმკვიდრა სამცხეში ათაბაგობა და თითქმის სამასი წელიწადი შეინარჩუნეს ეს ღირსება, ვიდრე ოსმალებმა არ დაიმორჩილეს მათი სამთავრო XVII საუკუნის დამდეგს.

VII

თემურლანგის შემდეგ ოსმალებმა დაიპყრეს მთელი მცირე

26 ეს წარწერა პირველად არის ჩვენგან წაკითხული. (ბრძანებს მამა პოლიევქტოს კარბელაშვი – ვ.ო.)

27 ქართველთა ეკკლესია დღესასწაულობს წმ. შალვას და მისთა მოყვასთა ხსენებას 29 სეკტემბერს.

აზია 1453 წ. კონსტანტინეპოლი აიღეს და მით დაიმორჩილეს დიდი საბერძნეთის სამეფო.

ამის შემდეგ ოსმალებმა თავისი ჯარი ორ ნაწილად გაყვეს: ერთი მიუსიეს დასავლეთის მხარეს, მეორე აღმოსავლეთისკენ, ე. ი. საქართველოსკენ; აქ დახვდათ ისეთი შეუპოვარი მოწინააღმდეგენი, რომ 1453 წ. შემდეგ ტრაპიზონის მახლობლად ანჩაში ისევ ქართველი ეპისკოპოსი იჯდა ორმოც-და-ათი წელიწადი მეტი, და სამცხის ათაბაგნი მბრძანებლობდნენ ასორმოცდა-ათი წელიწადი მეტი. ამ ხნის განმავლობაში ათაბაგებმა ოსმალებს შეალიეს თავისი ძალ-ღონე, მტერი წინ მიიწევდა ნელ-ნელა და ანგრევდა და ანადგურებდა ქართველების ქალაქ-სოფლებსა, წმ. ტაძრებსა. მეტი რაღა ღონე ჰქონდა ერთ მუჭა ქართველობას, ვინც გადარჩა ცოცხალი, რომ ქართლისაკენ არ წასულიყო? სამღვდელოება მიიწევდა ნელ-ნელა ახალციხისაკენ და იმერეთისაკენ და თან მიჰქონდა ხატი და ჯვარი, საეკკლესიო სამკაულნი და წიგნები. აი როგორის მოთქმით სტირის ჩვენი იმ დროინდელი მწერალი მეისტორიე: „...არამედ ეპისკოპოსნი და მონასტერნი შემცირდებოდნენ და მოიშლებოდნენ, ვინადგან მიუხვნეს ოსმალთა სრულიად მამულიშეწირულობანი და არღარავინ იყო მეტრფე მონოზონებისა და წარაქვნდათ მუნიდამ სიწმიდენი ხატთა, ჯვართა და ნაწილთა სამცხეს ქართლს, იმერეთს, რამეთუ რისხვითა ღვთისათა გამაჰმადიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამა ქვეყნისანი და იწყეს მიერით თათრობა, რამეთუ ჟამთა ამათ მოაკლდებოდა ქრისტიანობასა; იქმნებოდა ოხრება ეკკლესია-მონასტერთა და შენება ჯამეთა (თათრების სალოცავი). ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდენ და მალვიდნენ ხატთა, ჯვართა და ნაწილთა წმინდათათა და წარაქვნდათ იმერეთს, ქართლს და ივლტდიანცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდნენ მაჰმადიანობასა. რამეთუ აღმოიფხვრებოდნენ წესნი და რიგნი ქრისტიანობისანი ყოველნივე და შეემატებოდნენ მაჰმადსა... რამეთუ იქმნა რისხვა ღვთისა ცოდვათა ჩვენთათვის, რამეთუ მოოხრდნენ ეკკლესიანი დიდ-შვენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა სადგურ და,

რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა, იელტოდენ ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს და წარაქვნდათ ხატნი და ჯვარნი და წმინდათა ნაწილნი, მოისპოდნენ ეპისკოპოსნი, მონაზონნი და მწყემსნი...“[28] აი ამდროს გადმოასვენეს ანჩიდამ ახალციხეში პირი ღვთის ხატიც სხვა საეკკლესიო სამკაულებთან ერთად. დომენტიმ[29]* (იგულისხმება კათალიკოს დომენტი III-ვ.ო.) გორელ ვაჭარს ამირჯანა ივანგულაშვილს მოატაინა სამეცხედამ ათი ხატი — ანჩისა, ნათლის მცემლისა, იოანე მახარებლისა, მთავარანგელოზისა და ექვსი სხვა წვრილი — ორი ათას მარჩილად, ანუ ასოცთუმნათ 1660 წელს. ესე ხატები გორიდან ჯერ ს. ჭალაში ჩაასვენა იოთამ ამილახვარმან თავის სახლში, მეფე როსტომის სიკვდილამდე; დაძველებული კარები პირიღვთისა განაახლა იოთამის ძემ გივმა ამილახვარმა აქედგან დომენტიმ დიდის ლიტანიით ჩამოასვენებინა მუხრანზედ მცხეთაში და აქედგან ტფილისში. აქ დომენტიმ მშვენიერს კუბოში დაასვენა იმ ადგილს, სადაც დღეს ასვენია; მას აქეთ საკათალიკოზო ყოვლად წმიდის ტაძარს დაერქვა ანჩისხატისა.

VIII

დღემდე არავინ დაჰკვირვებია და არ შეუნიშნავს, რომ სახე მაცხოვრისა ტილოზედ არის გამოსახული და ფიცარზედ დაკრული. ტილო კი ისე ცხადათ სჩანს, რომ შუბლზედ და ლოყებზედ ქსოვლობა, ძაფების ორმობადები ეტყობა; შუბლის გარემო, მარჯვნივ ხომ პირდაპირ სჩანს ტილოს ნაპირი. რუსულს ენაზედ გამოცემულს აღწერაში მე გამოვსთქვი აზრი, რომ პირი ღვთის ხატი არის ნამდვილი ედესიის ხატი-მეთქი. ამის საბუთად მაშინ მე მოვიყვანე: ა) რომ ძველთაგანვე ქართველი ერი უწოდებს ამ ხატს პირი ღვთის ხატსა; ბ) რომ დღესასწაული ამ ხატისა იმ თავითვე სრულდება ყოველ

28 იხ. ქ.-ცხ. II. 168—169 გვ.

29 * იგულისხმება კათალიკოსი დომენტი III – ვ.ო

წელიწადს 16 აგვისტოს[30]**, ე. ი. სწორეთ იმ დღეს, რომელიც პირელშივე ედესიიდგან კონსტანტინეპოლში მოსვენებულს ხელით უქმნელს ხატს დაუწესეს წმ. მამებმა სადღესასწაულოდ; გ) ქართველთ წმ. მამათა შეუდგინეს საკუთარი საგალობლები ანჩის ხატს, როგორც პირი ღვთის, ხელითუქმნელს ხატსა;[31] დ) საქრისტიანო საზოგადო გარდმოცემით ხელითუქმნელი ხატი საბერძნეთიდამ გადმოტანილია და იმყოფება საქართველოში.[32]


ახლა კი უფრო თან-და-თან მტკიცდება, რომ ანჩის ხატი არის ნამდვილი ედესიის ხელითუქმნელი ხატი. ა) კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი ზემოთ მოყვანილ წარწერაში მოგვითხრობს, რომ საბერძნეთში რაკი ხატთა თაყვანის ცემას დევნა დაუწყეს იმპერატორის ლეო ისავროს დროდგან. ხელითუქმნელი ხატი კონსტანტინეპოლიდგან კლარჯეთის საეპისკოპოსო ტაძარში გადმოასვენესო და იქიდგან აქ, ტფილისში მოასვენესო. თუ რომ კათალიკოზ-პატრიარქს დომენტის საბუთები არა ჰქონოდა, განა გაბედავდა ამისთანა ცნობის თქმასა? რასაკვირველია არა. კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი III ფრიად განათლებული პირი იყო, ძმა განათლებულის მეფის ვახტანგ მეექვსისა და მის ხელთ იყო ჯერ დიდი საპატრიარქო წიგნთსაცავი სვეტისცხოვლის ტაძრისა და მერე მდიდარი სამეფო წიგნთსაცავი. დომენტის მოვლილი ჰქონდა იერუსალიმი, საბერძნეთი, რუსეთი და სხ. ქვეყნები. დღეს ჩვენს საეკკლესიო მუზეუმში დაცულია რამდენიმე ხელნაწერი რომლებშიაც მოთავსებულია მოთხრობანი და საგალობელნი ხელითუქმნელის (ანჩის) ხატისა. ერთს მათგანში (№425, 625 გვ.) პირდაპირ ვკითხულობთ: „ივ. აგვისტოსა წარყვანებაჲ ედისიიდგან კონსტანტინეპოლედ ხელითუქმნელისა ხატისა, რომელსა ჩვენ ანჩის ხატად სახელვსდებთ“ ზედ მოსდევს საკუთარი, ანჩის ხატის ტროპარი.[33]

30 ** ახალი სტილის 29 აგვისტო – ვ.ო


31 მაგ. ამ წიგნაკთან დაბეჭდილი სავედრებელი პარაკლისი და სხ. მრავალნი. (გთავაზობთ ანჩიხატის ამ სავედრებელ პარაკლისს – ვ.ო.)

32 იხ. Изоб. жит. свят. А. Н. Бохмстьевой, Августь 51-56 стр.

33 იხ. ბოლოს პარაკლისში.




ანჩისხატის ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტი



დასავლეთ ფასადი. ნალისებრი ლუნეტი





ფრაგმენტები საურთხევლის მოხატულობიდან

ხელნაწერი გადაწერილია მეჩვიდმეტე საუკუნეში ძველი ხელნაწერიდგან, ჩამოტანილია მცხეთის სვეტის ცხოვლის ტაძრიდგან და, უეჭველია, ხელში ექნებოდა კათალიკოზ-პატრიარქს დომენტის.

ამას გარდა, საბუთად მიგვაჩნია ამა ხელითუქმნელის ხატის სინამდვილისა ის გარემოებაც, რომ თამარ დედოფალზედ გაცილებით უწინ ყოფილა ეს ხატი ანჩაში, ქართველების ხელში. ამას ამტკიცებენ ოთხი ნაჭერი ვერცხლისა უძველესის (ქართული) ხუცური ასო მთავრული წარწერებით, რომელნიც განახლების დროს აქა-იქა, უალაგო-ალაგას დაუკრავთ კუბოს თავზედ. ეს ამტკიცებს, რომ თამარ-დედოფლამდე ანჩის ხატი უწინვე ყოფილა შეჭედილი ვერცხლით და მხოლოდ დაძველებული შეჭედილობა განუახლებია.

ანჩის საეპისკოპოსო ტაძრის სალაროს ძვირფას საუნჯეთაგან ჩვენამდე მოაღწია ერთმა სამღვდელთ-მთავრო ომფორმა და ერთმა ოლარმა. დღეს ორივე ესე ნივთნი დაცულ არიან სამეგრელოში, ცაიშის ტაძრის სალაროში.

ოლარი ეკუთვნის 1312 წ. და ილორის კრეტსაბმელთან ერთად ქართველ ქალთა ხელთნაქმარობის უძველეს ნაშათად ირიცხება.

აი წარწერანი: ოლარზედ, მარჯვნივ – „ანჩის ხატს და საყდარსა მისსა მოვახსენე და შევწირე წმიდა ესე ოლარი და დაუდევ ანჩელსა ეპისკოპოზსა მე თამარ კერკემლის ძისა ასულმან სალოცავად სულისა ჩემისათვის და, რაოდენნიცა ებისკოპოზნი იკმარებდეთ ლოცვასა მომიხსენებდეთ“. მარცხნივ: „ღმერთო აკმარე ესე ოლარი ანჩელს იოანეს და შემდგომთა მისთა მღვდელთ-მთავართა სათნოდ შენდა მწყმსობასა შინა. ქორონიკონსა ფლბ (=1312 წ.)“.

ომფორზედ – „ქ. საშინელო ხატო ანჩისა! შეიწირე მცირე ესე ომფორი დედოფალთ-დედოფლისა ნათელისი, ძისა დიდისა სულკურთხეულისა ამირსპასლარისა და სამცხის სპასალარისა ყუარყუარესი აქა და საუკუნესა. ამინ. ანჩელისა თეოფანესთვის

შეკერული.“[34]

ყველა ამ ზემო მოხსენებულ მოსაზრებათა გამო ეჭვს გარეშეა, რომ ანჩის ხატი არის ნამდვილად ედესიიდგან კიონსტანტინეპოლში გადასვენებული და იქიდგან ანჩაში საიდუმლოდ მოსვენებული ხელითუქმნელი პირი ღვთის ხატი.

ძველი მხატვრობა კედლებზედ განახლებულია ჯერ ნიკოლოზ კათალიკოზისაგან 1680 წ. და შემდეგ 1694 წ. სამხრეთის შუა თაღზედ დახატულია ა) ანტონი მარტო მყოფელი საკვირველთ-მოქმედი (VI საუკ.) ხელით უქმნელის ხატით (კეცზედ); ბ) ქალაქის ედესიის ბჭენი და მის თაღზედ ხელით უქმნელი ხატი; გ) მოსვლა თადეოზ მოციქულისა ავგაროზთან და დ) ავგაროზისაგან შემთხვევა ხელით უქმნელის ხატისა. ჩრდილოეთის შუა თაღზედ დახატულია: ა) ღვთისმშობლის შობა; ბ) ღვთის-მშობლის მიცვალება; გ) ტაძრად მიყვანება და დ) ხარება. მაღლა დიდი თაღის აქეთ-იქით კედლები მოხატულია ძველი აღთქმის ისტორიული ხატებით: ა) შეუწველი მაყვლოვანი და მოსე, ბ) გედეონის საწუმისი; გ) იაკობის კიბე; დ) ისაკის შეწირვა და სხ. დაბლა კედლებზედ დახატულია წმ. სახარებიდგან იგავნი იესო ქრისტესი: ა) ათნი ქალწულნი; ბ) ორნი კაცნი — ერთი თვალში დვირეთი, მეორე — ბეწვით; გ) ფარისეველი და მეზვერე; დ) ლაზარე, გლახაკი და მდიდარი; ე) მოწყლული ავაზაკთაგან მესამარიტელი და სხ.

საკურთხევლის თაღში დახატულია სული წმიდის გარდამოსლვა მოციქულებზედ, ხოლო მის მაღლა შუაზე — საბაოთღმერთი. სამკვეთლოს შესავალს ასწვრივ დახატულია ჯვარცმა, ბარძიმში სწვეთს სისხლი ჯვარცმულის ქრისტესი; მარჯვნივ აწყვია დავითის ქნარი და სამეფო სამკაულნი. დასავლეთის კედელზედ — მაღლა დახატულია ადამ ევას ნეტარება სამოთხეში და მათი გამოძევება სამოთხიდგან; დაბლა — მეორეთ მოსლვა ქრისტესი და ჯოჯოხეთი.

კანკელი ახალია, რუსულის ხელოვნებისა, გაკეთებული 1854-1855 წლებში კანკელის მარჯვნივ, როგორც ვსთქვით

34 იხ. ქრონიკები II ჟორდანიასი 175 და 186გვ.

ასვენია ხელითუქმნელი ხატი, ხოლო მარცხნივ პირი ბეთანიის ღვთის მშობლის ხატისა, ოქროცურვილი ვერცხლით და თვლებით შემკობილი და შემოწირული განსვენებულის კნეინა მანანა მირმანოზ ერისთავის ასულის ორბელიანისაგან 1829 წელში. ძველი კანკელი თლილის ქვისა ყოფილა, წვრილ სვეტებზედ დამყარებული თაღებით. ამ მშვენიერი კანკელის რამდენიმე სვეტი ეხლაც მთლათ დაცულია ანჩისხატის ძველ სამრეკლოში. ნეტა ელირსება როდისმე ანჩისხატის ტაძარი ძველის ქვის კანკელის ხელ-ახლავ დადგმასა?

ანჩისხატის ტაძარს აღარა შერჩენიარა დღემდე ძველის დიდძალი ქონებიდგან. ძვირფასი საგანძური, რაც აღამაჰმადხანის შემოსევას (1795 წ.) გადარჩა, ტორგით გაიყიდა 1859 და 1878 წ.

ანჩის ხატის ეზოში ძველადგანვე გამართული იყო საკათალიკოზო ბინადრობა: სადგომი სახლი კათალიკოზისა სარდაფით ტაძრის კრებულისა და მოხელეთა, სტამბისა, სემინარიისა და სხ.

ნიკოლოზ კათალიკოზმა (1675-1701 წ.) დომენტის ანდერძი შეასრულა: დაასრულა განახლება ანჩისხატის ტაძრისა, ააშენა სახლები და მოაწყო ყოველივე საჭიროებით. შემოიკრიბა საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი, მგალობელნი, ხელოვანნი მხატვარნი: მაგ. მწერალნი და მხატვარი მღვდელნი — საბა, აბელი, მიქელი, პეტრე, რომელთაც გადასწერეს ნიკოლოზის ბრძანებით მშვენიერი მხატვრობიანი გულანი[35] ამ მხატვრობის მშვენიერებამ გააკვირვა რუსეთის მეცნიერი პროფესორი კონდაკოვი. — მათგანვე გადაწერილნი რამდენიმე კონდაკი, და X საუკუნის ორი ტყავზედ (ჯოხზედ დახვეული) ნაწერი ოქროპირის ჟამის წირვა და სხ. მრავალნი ხელნაწერნი დღეს საეკლესიო მუზეუმში არიან დაცულნი. ყველას ასე ჰგონია, რომ შაჰაბაზისგან რამდენჯერმე საქართველოს აოხრების შემდეგ და გათათრებული როსტომ მეფის გამო, რომელმაც ქართველებში შემოიღო სპარსული ზნე-ჩვეულებანი, საქართველოში

35 · დღეს საეკკლ. მუზეუმში: 30 და 32.

უნდა გამქრალიყო მწერლობაცა და მხატვრობაცა, მაგრამ კათალიკოზების ქრისტეფორეს, დომენტის და ნიკოლოზის მეოხებით მწერლობაც და მხატვრობაც ამ დროში წავიდა წინ, ასე რომ მეთვრამეტე საუკუნეში კათალიკოზის მახლობელნი ორნი საგვარეულონი, მესხიანთი და მაღალაანთი, დიდით პატარამდე ჩინებულნი მწერალ-მწიგნობარნი და მხატვარნი იყვნენ: დეკანოზები ანჩისხატისა — იოსები, გრიგოლ მხატვარი; დავით კანდელაკი, ალექსი, გიორგი, მიქელ, სოლომონი; სიონისა — მიქელ, იოანე მხატვარი, გიორგი მხატვარი, ნიკოლოზი, ოსე, იოანე ოსეს ძე და სხ. — წინ უძღოდნენ მწერალ-მწიგნობრობისა, გალობისა და სტამბის წარმატების საქმესა საქართველოში. მესხიაანთ — მაღალაანთ გვარმა დაიცვეს ჩვენამდე საუკეთესო — გალობა, ხელი წერისა, კილო სახარების და სამოციქულოს კითხვისა[36]. ვის არ ახსოვს შესანიშნავი სახარების მკითხველი ტარასი-არხიმანდრიტი († 1874 წ.)?[37]" ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი მღვდელი და მთავარ-დიაკვანი ცდილობდა მიბაძვასა, მისი კილოთი სახარების კითხვასა.

ამიტომაც საქართველოს მეფენი დიდათ სწყალობდნენ მესხიაანთ საგვარეულოს და ამხნევებდნენ სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. საქართველოში ყველგან სახლობდნენ თათარნი და სომეხნი, რომელნიც მუდამ თავის სარწმუნოებისა და გავლენის განმტკიცებასა ცდილობდნენ. სახელოვანი ანტონ დიდი კათალიკოზი აღიზარდა ანჩისხატის დეკანოზების (დავით,

36 მოსკოვის მეფის ალექსი მიხეილის ძის ელჩი არხიმანდრიტი იოსები, თ. ვოლკონსკის ამალაში აღდგომის დღეს 1-4 აპრილს 1637 წ. თავის ამხანაგებით ალავერდის ტაძარში იმყოფებოდა. წირვის მოსმენის შემდეგ იოსებმა უამბო ამხანაგებს — ქართველებს სახარების კითხვა არა სცოდნიათო, გალობენო, ასეც მისწერა მოსკოვში. ამ დღეს მწირველი იყო ალავერდელი ზებედე მთავარეპისკოპოსი კრებულით. იხ. переп. груз. ц. съ рус. госуд. 1861 г. XLVIII გვ. (საოცრად დასაფასებელია –სახარებას გალობდნენ ქართველები, უბრალოდ კი არ კითხულობდნენ –ვ.ო.)

37 ანჩისხატის გადამრჩენის სოლომონ მესხიშვილის მეოთხე ვაჟი გარდაიცვალა ქვათახევის მონასტერში (კასპის რ-ნი) 1876წელს.) — ვ.ო

ალექსი, გრიგოლ) ხელში. ამისთანა შესანიშნავი განათლებულნი ეკკლესიის მსახურნი იზიდავდნენ ანჩისხატის ტაძარში არა თუ მარტო ქართველობას, არამედ სომხობას და თათრებსაც კი. თვით ეზო ტაძრისა მუდამ სიცოცხლით სავსე იყო: თავად-აზნაურობა და სამღვდელოება თავის შვილებს ჩვეულებრივ აქ აბარებდნენ სასწავლებლად. ანტონ კათალიკოზი 1744 წლიდგანვე შეუდგა ყრმათა აღსაზრდელ სკოლების გაუმჯობესობასა, შეადგინა სახელმძღვანელო წიგნები კატეხიზმოსი, გრამმატიკისა, გეოგრაფიისა, ანგარიშისა, ლოღიკისა, ფილოსოფისა და სხ., რაკი ნიკოლოზ მროველის კატეხიზმო, დიალექტიკა იოანე პეტრიწისა, გრამმატიკა იოანე შანშოვანისა (1736 წ.) დაძველებულნი იყვნენ და აღარ გამოდგებოდნენ; ამიტომ ანტონმა დაიახლოვა ფრანგის და სომხის ნასწავლი სამღვდელოება და მათის დახმარებით იადვილებდა ამ დიდს საქმესა. ერთ მეკანანახეს (მაღლა ხმით მკითხველი) ოცი და ოცდა ათი გადამწერი ესხდა და სწერდნენ სახელმძღვანელო წიგნებსა; საუკეთესო წიგნთა გადამწერნი იყვნენ იმ დროს დეკანოზები სიონისა — ნიკოლოზ მაღალაძე, იოანე ოსესძე; ანჩისხატისა — ალექსი[38]*, ამის შვილი გიორგი, ჯვარისმამისა იოანე გარსევანაშვილი, ისაკ გაბაშვილი, მიხეილ ბერი, და სხ. რამდენიმე თვის შემდეგ უკვე დამზადებული იყო სკოლისათვის მრავალი წიგნები — გრამმატიკისა, რიტორიკისა, ღვთის-მეტყველებისა, კატეხიზმოსი, ანგარიშისა, და სხ. ასობით და ორასობით. ანტონმა 1 იანვარიდგან 1755 წ. გახსნა ანჩისხატის ეზოში განახლებული სემენარია და სამხრეთის შესავალ კარების მაღლა კედელში ჩასვა მარმარილოს ქვა შემდეგი ხუცურის ასომთავრულის ჩართულის წარწერით: „შესაქმე 27. 17. „ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! ესა არა რაჲ არს, გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჭე ზეცისა“. მეფობასა თეიმურაზისასა და ძისა მისისა მეფის ერეკლესსა, პატრიარქობასა ანტონისსა 1755 წ. 9 იანვარს.“[39] სემენარია გადაკეთდა უფრო უკეთესად ანტონის დაბრუნების შემდეგ რუსეთიდამ 1763 წ. და

38 * მესხიშვილი — ვ.ო

39 ეს ქვა დღეს დაცულია ანჩისხატის ტაძრის სალაროში.

მრავალი შესანიშნავი საერონი და სამღვდელონი აღიზარდნენ აქ: ვარლაამ მიტროპოლიტი, იონა მროველი გაიოზ თაყას ძე ბარათაშვილი, ამბროსი ნეკრესელი, დოსითეოს ნეკრესელი, იოანე და გერვასი სამთავნელები, სტეფანე რუსთველი, იოანე ბოდბელი, დოსითეოს ფიცხელაური, ნიკოლოზ მაღალაძე, იოანე ოსესძე, გამალიელ გამრეკელი, ტრიფილე, ელევთერი, გერონტი სოლაღაშვილი, ილარიონ ვაჩნაძე, იოსტოს ანდრონიკაშვილი, პეტრე ლარაძე, დავით რექტორი, ნიკოლოზ ონიკაშვილი, გიორგი პაიჭაძე. მღ. ქრისტეფორე ბადრიძე, აბრამ, დავით, ესტატე ციციშვილი და სხ. სტამბაში მუშაობდნენ, ხან მაგიდას ესხდნენ გარშემო და ჰსწერდნენ წიგნებსა კანანახით, წირვა-ლოცვის დროს საყდარში გალობდნენ, კითხულობდნენ და ზედმიწევნით სწავლობდნენ საღმრთო მსახურების წესსა და ტიბიკონსა. კვირა-უქმე დღეებში წირვა-ლოცვის დროს გაისმოდა ეკკლესიაში ორმხრივი გალობა, შემუშაებული და განწმენდილი საუკუნოების განმავლობაში კათალიკოზის კარზედ. ქართლ-კახეთის ყოველი მღვდელთმთავარი აქა შოულობდა, როცა საჭირო იყო, მწერალ-მწიგნობარსა და მგალობელსა. ყველამ ვიცით, რომ ძველ დროში ყოველი საგვარეულო, თავადაზნაურთა, თუ სამღვდელოთა — აქ, კათალიკოზის კარზედ, ზრდიდა ერთ-ერთს თავის სახლის შვილსა და ამზადებდა ღვთის მსახურებისათვის, რომ ოდესმე ჰყოლოდა მწირველ-მლოცველი სამღვდელო პირი. მომხსენებელი თვისთა და მოყვასთა, — მიცვალებულთა და ცოცხალთა. როდესაც მეფე-დედოფალი, ბატონიშვილი, ანუ სხვა წარჩინებული პირი მოვიდოდნენ სემენარიის სანახავად, მოწაფენი მიეგებებოდნენ ხოლმე იამბიკოს ლექსებით, რომელთაც ხელ და ხელ შეადგენდნენ და წარმოსთქვამდნენ.

1791 წ. აპრილში დავით ბატონიშვილს ენახა თელავის სემენარია, რომლის რექტორად იყო დავით ალექსისძე[40]*, ანჩისხატის დეკანოზის შვილი. ტფილისში ჩამოსულმა დავით ბატონიშვილმა — ახლა ანჩისხატის სემენარია ინახულა. აქაც, მოწაფეებმა, როგორც თელავში, მაოხსენეს ბატონიშვილს ქება

40 * ალექსი მესხიშვილის შვილი — დავიტ რექორი — ვ.ო.

იამბიკოებით. მოგვყავს ორიოდე.

დავით მიქელის ძემ:

„ჩვენ მიერ შესხმა უსრულოჲ, უფერო
მიიღენ ესთა, ვინადგან უმეცარნი,
ჯერეთ უწურთელნი ვიშიშვით წარმოდგომად.
თჳთ გონებამან, მხედუმლმან ჩემისამან,
რომელსა შესხმა ჯეროვნად შეუძლოჲ“...

გიორგი მუხრანბატონის ძემ:

„მიხარის რომელ თქუმნისა დიდებისა
განვიცდი მრავლად სურვილითა სრულებით,
ჰყოფთ ჩემდა ნათელთ, მოფენითა მდიდრებით,
ამით ვიხარებ სწავლის მტილთ დანერგული,
ძეო მაღლისა, ჩემ მონის შენისაო“.

ვასილ შიო მღვდლის ძემ:

„დაემტკიცენინ სახლი ეგე სიბრძნისა,
აღშენებული, ზროდ შენადგი ყოვლადი,
მარად სიმრთელით, უხნოთა საუკუნოდ,
შენთა ყოველთა იხარებდე თანადუმ
მლოცუმლნი ეს გუარ ყრმანი შეგთხზავთ ქებასა“... და სხ.

სამშობლო ენაზედ სწარმოებდა სწავლა-განათლება და ვერა რაჲმე სიძნელე ვერ აბრკოლებდა ქართველ ახალგაზდობასა შეესწავლა შეგნებით ფილოსოფია და ღვთის-მეტყველება. სამშობლო ენაზე განათლებულნი პირნი აკი მუდამ ზედ გამოჭრილნი მეურნენი იყვნენ სამშობლო ეკკლესიისა და ერისა!“ აკი თავ-განწირვით უყვარდათ თვისი სამწყსო და სამშობლო მიწა-წყალი!..

ანტონ კათალიკოზი რომ რუსეთიდამ მობრუნდა

საქართველოში 1763 წ. გადააკეთა სასულიერო გამგეობა და სახელად დიკასტერია უწოდა. ამა დიკასტერიის წევრად ითვლებოდნენ ეპისკოპოსნი, არქიმანდრიტნი, დეკანოზნი და მღვდელნი კათალიკოზის აღრჩევით. ანჩისხატის დეკანოზი ყოველთვის დიკასტერიის წევრათ ირიცხებოდა. ყოველი დანაშაული სასულიერო პირთაგან ჩადენილი წინაშე ეკკლესიისა, ანუ საზოგადოებისა, აქ ანჩისხატის ეზოში ირჩეოდა ხოლმე და დამნაშავეს ესაჯებოდა შესაფერი სასჯელი.

მტკვრის პირად კათალიკოზის სახლთან მრავლად იყვნენ წვრილი ოთახები (კელიები) ბერ-მონაზონთათვის საცხოვრებლად. მთელ ეზოში ირგვლივ, სამრეკლოდგან დაწყებული მტკვრის პირამდე, სახლები იყო დამართული. ჯერ ისევ ანტონ I გამართა 1780 წლიდგან მტკვრის პირად კუთხის ოთახში[41] პატარა ჯვარის ეკკლესია[42]**, რომელშიაც მიიცვალა კიდეც 1788 წ. 29 თებერვალს სამშაბათ საღამოთი. 27 თებერვალს, კვირას ანჩისხატის ტაძარში სწირა ტფილელ მიტროპოლიტმა გერმანემ; წირვა რო გამოვიდა, შემოსილმა გაასვენა ბარძიმი კათალიკოზის საზიარებლად. ანტონი მოემზადა წმ. საიდუმლოს მისაღებად: დაიბანა პირი, დაივარცხნა თმა, წვერი, ჩაიცვა კაბა ანაფორა და მაჯის ღილები თითონ შეიკრა. მოხუცებულს გერმანეს გული ამოუჯდა ტირილით, ქვით-ქვითებდა და ვერ მოახერხა ეზიარებინა ავათმყოფი. მაშინ ანტონმა თვით წარმოსთქვა სუსტის ხმით ზიარების ლოცვა „მრწამს, უფალო, და აღვიარებ“ და თავის ხელით ეზიარა.

1795 წ. ყიზილბაშებმა მიანგრ-მოანგრიეს სახლები ანჩისხატის ეზოში და ანტონი I-ის პატარა ჯვარის საყდარიც. შემდეგ გენადი ბერმა გამოითხოვა ნებართვა ანტონ II კათალიკოზს — ავაშენებ ორ ოთახს და ჩემთვის ვიცხოვრებო. მიიღო ნებართვა და გააკეთა კიდეც სადგომი. 1808 წ., ივნისის 26 გენადი ბერმა მიჰყიდა იგი ორი ოთახი კათალიკოზის მღვდელ-მონაზონს ათანასეს (შემდეგ არქიმანდრიტი ბიბილური † 18 სექტემბერს 1825 წ.) ექვს თუმან ნახევრად.

41 დღეს სიონის მთავარი სცხოვრობს.

42 ** დღევანდელი სასტუმრო „ამბასადორს“ მარცხნივ მდებარეობდა — ვ.ო.



ანჩისხატის ტაძარი XIX საუკუნის 50-იანი წლები



ანჩისხატის ტაძარი XIX საუკუნის 90-ანი წლები

ანტონ II კათალიკოზი რომ რუსეთში გაემგზავრა, ათანასეს ქართლში საეკკლესიო მამულების გამგებლობა მიანდეს, გადაიბარგა გორში და გენადისაგან ნასყიდი ოთახები ცარიელი დარჩა. 1817 წ. თეოფილაქტე მოვიდა რუსეთიდან და დიდი ამალა მოჰყვა თან და სადგომების ნაკლებულობის გამო, მისი ბრძანებით დაბინავდა მგალობელი მღვდელი ლევ ნიკულიცკი (შემდეგ სიონის დეკანოზი) და რუსეთში წასვლამდინ აქა ცხოვრობდა.

ძველი სამრეკლოდან დაწყებული ქუჩის პირად სახლებში 1811 წ. სცხოვრობდნენ იულონ ბატონიშვილის ასული თამარ და სოლომონ II მეფის დაჲ მარიამ. შემდეგ დარჩათ საკუთრებათ კათალიკოზის სახლთუხუცესის მაღალაძის შთამომავალთ; ამავე ხანებში მაღალაევბმა შეისყიდეს უგანათლებულესის, გენერალ-ლეიტენანტის ქვრივის (?), კნეინა ბაგრატიონისაგან დანარჩენი სახლიც. 1870 წ. სასინოდო კონტორამ შეისყიდა მაღალაანთაგან ეს სახლები გორის ეპისკოპოსის ბინად. დღეს ანჩის-ხატის ტაძარი შევიწროებულია ეზოს მხრივ და „საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველო“ მეცადინეობს დაუბრუნოს მას უსამართლოდ ჩამორთმეული ეზო და სახლები.

IX

მრავალ საეკკლესიო სახმარებელ ნივთთაგან მაგდენი აღარაფერია დარჩენილი: ჯერ ტფილისის აოხრების დროს (1795 წ.) დაიღუპა თუ იყო რამე; რაც გადარჩა, ტორგით გაიყიდა, როგორც ზევითა ვთქვით. რაც დღეს არის რამ, ყველაფერი განსვენებულის დეკანოზის დიმიტრი ალექსის ძის მესხის ნაამაგარია.

№1. ტრაპეზის სანაწილე ოქროში დაფერილი ვერცხლისა, ხუთ გუმბათიანი ჯვრებით, ფინიკტის ხატებით და ციმბირის ქვებით. შემოწირულია მოსკოვიდან 1818 წ. საქართველოს უკანასკნელის დედოფლის მარიამისაგან. წონით არის 15 გირვანქა და 3 მისხალი.

№2. ტრაპეზის სანაწილე, ოქროში დაფერილი ვერცხლისა, თავი შაბაქად ნაკეთებია დაუფერავი. შემოწირულია ტფილისის მოქალაქეთაგან დავით და მიხეილ სარაჯიშვილთაგან 1809 წ. წონით არის 2 გირვანქა და 24 მისხალი.

№3. პატარა ვერცხლის, შაბაქათ ნაკეთები ვერცხლის კოლოფი წმ. ნაწილების დასაცველი; შემოწირულია ბატონიშვილის ფარნაოზის ასულის სალომესაგან 1858 წ. წონით არის 27 მისხალი.

№4. უბის სანაწილე ვერცხლისა, შემოწირული მოსკოვიდგან დარია სობაკინას მიერ, წონით არის 31 მისხალი.

№1 სახარება ტრაპეზისა, სლავიანური, ოქროსი დაფერილი ვერცხლით მძიმეთ მოჭედილი, ზევითა კიდურზე აწერია: „საქართველოს მეფის ერეკლეს ასულის ქეთევანისაგან ანჩისხატის ტაძარსა, 1838 წ.“ ბატონი შვილი ქეთევანი იყო მეუღლე მუხრან-ბატონის იოანე კონსტანტინეს ძისა. დაიბადა 1764 წ. სეკტემბ. გადაიცვალა დამბლისაგან 5-7 ივლისს 1840 წ., დაასაფლავეს მცხეთის სვეტლისცხოვლის ტაძარში. სახარება წონით არის 20 გირვანქა და 9 მისხალი.

№2. ორი ქართული სახარება. დაბეჭდილნი მოსკოვში მთავარეპისკოპოსის იოსებ სამებელისაგან 1738 წ. (ქობულის ძე † 1750 წ. სეკტემბერში.); ორივე შეჭედილი ვერცხლით, ერთი ოქროში დაფერილია.

№3. ტრაპეზის-სახარება ქართული, ოქროში დაფერილი ვერცხლის ხატებით ყდაზედ ორივე მხრივ.

№4. პარაკლისის სახარება, სლავიანური , ოქროში დაფერილი ვერცხლის ხატებით ყდაზედ.

№1. ტრაპეზის ჯვარი, ლურჯი ფინიკტებით, ზურგზე ხუცური ასომთავრული წარწერით: „შეიწირა 1812 წ. 11 მაისს. შეიწირე პიროღვთისაო სახსრად სულისა გარდაცვალებულის მეფის ძის თეიმურაზის ძიძის ანასსა, რომლისა სძისა ფასითა მოისყიდა“. წონით 1 გირვანქა და 6 მისხალი.

№2. ვერცხლის ჯვარი, შემოწირული მეფის ერეკლეს ძის იულონისაგან 1812 წ. მოსკოვიდგან.

№3. ვერცხლის ჯვარი ოქროში დაფერილი, შემოწირული

დავით და მიხეილ სარაჯიშვილთაგან 1809 წ. წონით 1 გირვანქა და 15 მისხალი.

№4. ოქროში დაფერილი ვერცხლის მომცრო ჯვარი, წონით 23 მისხალი.

№1. ბარძიმი ვერცხლისა ოქროში დაფერილი, ფეხის ძირზედ გარს მხედრული წარწერით: „ქ. საუფლოსა ხატსა ღუთისასა შეწირულ არს ბარძიმი ესე. მოიხსენე უფალო მეფის ძე ულირისი გიორგი და მეუღლე მისი მარიამი, ძენი და ასულნი მათნი“. ეგრეთივე წარწერაა ფეშხუმის ძირზედაც. ბარძიმი არის წონით 3 გირვანქა და 12 მისხალი., ხოლო ფეშხუმი, ვარსკვლავი და კოვზი 1 გირვანქა და 54 მისხალი. შემოწირულია 1795 წ. სპარსთაგან აკლების გამო.

№2. ბარძიმი ვერცხლისა ოქროში დაფერილი, ფინიკტებით გარს ციმბირის ქვებით, შემოწირულია 1827 ტფილისის მოქალაქის გიორგი ქეთხუდოვისაგან, ბარძიმი არის წონით 2 გირვანქა და 18 მისხალი; ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, განსაზავებელი და პატარა თეფშა 1 გირვანქა და 55 მისხალი.

№3. ბარძიმი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, ფინიკტებით გარს ციმბირს ქვებით, შემოწირულია 1840 წ. მეფის ძის იულონის ასულის თამარისაგან († 6 ოქტომბერს 1857 წ. შობითგან 63 წლისა). ბარძიმი არის წონით 1 გირვანქა და 51 მისხალი; ფეშხუმი ვარსკვლავი, კოვზი. 2–თეფში 1 გირვანქა და 18 მისხალი.

№4. ბარძიმი ვერცხლისა, შიგნით დაფერილი ოქროთი. წონით 1 გირვანქა და 80 მისხალი; შემოიწრულია დარია საბაკინასაგან; ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, განსაზავებელი და 2 თეფში – 2 გირვანქა და 62 მისხალი.

№5. ბარძიმი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, შემოწირულია კათალიკოზ-პატრიარქის ანტონი მეორესაგან 1809 წ. წონით 2 გირვანქა და 24 მისხალი; ფეშხუმი ვარსკვლავი და კოვზი 1 გირვანქა 54 მისხალი.

№1 განსაზავებელი ვერცხლისა გარს წარწერით: „შემოგწირე პირის ღვთის ხატსა განსაზავებელი ესე სფრიდონ სიმონოვიჩმა 16 სეკტემბერს 1861 წ.“

№2. ორი თეფში ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, შემოწირულნი მეფის ძის იულონისაგან, წონით 3 გირვანქა და 12 მისხალი.

№1. საცეცხლური ვერცხლისა, ახალი, წონით 88 მისხალი.

№2. საცეცხლური ვერცხლისა, შემოწირული კათალიკოზ-პატრიარქის ანტონ მეორესაგან 1809 წ. წონით 1 გირვანქა და 13 მისხალი.

№3. საცეცხლური ვერცხლისა წონით 94 მისხალი.

№1. სამ-სანთელი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, წონით 2 გირვანქა და 15 მისხალი.

№2. ორ-სანთელი, ვერცხლისა ოქროში დაფერილი, წონით 1 გირვანქა და 79 მისხალი.

№1. კანდელი ვერცხლისა, იერიის ღვთისმშობლის ხატის წინ, შემოწირულია ელიოზოვისაგან, წონით 90 მისხალი.

№2. კანდელი ვერცხლისა პირიღვთის ხატის წინ, შემოწირული კნეინა ორბელიანისაგან, წონით 30 მისხალი.

№3. კანდელი ვერცხლისა, მიხეილ ბუჭყიევისაგან შემოწირული, წონით 1 გირვანქა და 46 მისხალი.

№4. ვერცხლის კანდლის ძირი, შემოწირული კნეინა ეკატერინე იაკინთეს ასულის ბაგრატიონმუხრანსკისაგან.

№5. საიაზმე თასი ვერცხლისა, შემოწირული 1842 წ. იმერთა მეფის სოლომონის დის მარიამისაგან, მალხაზ ანდრონიკაშვილის ქვრივი, წონით 3 გირვანქა და 45 მისხალი.

№6. ვერცხლის ჩარექა, შემოწირული მისგანვე, წონით 100 მისხალი.

№7. ვერცხლის ჩარექა, შემოწირული იულონ ბატონიშვილის მეუღლის სალომესაგან, რევაზ ამილახვარის ასულისაგან, წონით 78 მისხალი.

ხატები:

№1. პირი ღვთის ხატი

№2. ღვთის მშობლის ხატი.

№3. კვირაცხოვლისა, ფიცარზედ ძველი ქართული მხატვრობისა. ვერცხლის გვირგვინი აღარა აქვს. სიგრძით 10

1/2 და სიგანით 7 1/2 გრე.[43]

№4. ღვთის მშობლისა, ფიცარზედ, ქართული მხატვრობისა, ოქროშიდაფერილი ვერცხლით შეჭედილი, მარჯვენა მხარეზედ და შუბლზედ ღვთისმშობელს აქვს დაკრული წითელი და თეთრი იაგუნდებისაგან შემდგარი ვარსკვლავები; იესო ქრისტეს შუბლზედ წითელი მომხო იაგუნდი უზის. სულ 19 წითელი, 11 თეთრი იაგუნდია, 1 მწვანე და 1 წითელიც უბრალო ქვებია. ამ ხატით დალოცა ერეკლე მეფემ 1781 წ. ახლად ჯვარდაწერილი თავის რძალი მარიამ,[44] ვახტანგის (ალმასხანის) მეუღლე, რომელმაც შესწირა ანჩისხატის ტაძარს. სიგრძით 7 1/3 და სიგანე 5 7/8 გრე.

№5. ივერიის ღვთისმშობლის ხატი ფიცარზედ, მშვენიერი ძველი ქართული მხატვრობისა. სიგრძე 10 1/2 და სიგანე 7 გრე, ვერცხლის გვირგვინით; შემოწირულია ეფემია იასე ალიოზოვის ასულის მორთულაძისაგან 12 იანვარს 1898 წ.

№6. ღვთისმშობლისა ფიცარზედ, ოქროში დაფერილის ვერცხლის გვირგვინით, რუსული XVII საუკ. მხატვრობისაა 8+6 გრე.

7. წმ. დავით და კონსტანტინე არგვეთელთა, ფიცარზედ ოქროცურვილი ვერცხლის გვირგვინებით და გარს არშიით. 7+6 გრე.

№8 მაცხოვრისა ფიცარზედ, ოქროცურვილი ვერცხლით გადაკრული, რუსული ხელოვნებისა. შემოწირული კნეინა ბარბარე ანდრიას ასულის ავალიშვილისაგან. 65 გრე.

№9. იოანე ნათლის მცემლისა ფიცარზედ ოქრო ცურვილი ვერცხლით გადაკრული, რუსული ხელოვნებისა. შემოწირულია დიმიტრი ბუჭყიაშვილის სულის მოსახსენებლად. 4.+3 1/4 გრე.

№10. ღვთისმშობლისა, ოქროცურვილი ვერცხლით გადაკრული, რუსული ხელოვნებისა. შემოწირულია ნინო მარკოზოვის სულის მოსახსენებლად, 5×4 გრე.

№11. ღვთისმშობლისა, ოქროცურვილი ვერცხლით

43 გრე = ვერშოკი.

44 იყო ასული დავით ანდრონიკაშვილისა ს. ვეჯინიდგან, ძმისწულის ოსტოსისა.

გადაკრული, რუსული ხელოვნებისა, შემოწირულია კნეინა ბარბარე ანდრიას ასულის ავალიშვილისაგან, 4×3 1/4 გრე.

№12. სამებისა ფიცარზედ, რუსული მხატვრობა, 9×7 გრე.

№13. ღვთისმშობლისა „ნუ მტირ მე, დედაო“, ფიცარზედ, ქართული ძველი მხატვრობა, ფრიად შესანიშნავი 7×6 გრე.

№14. იერიის ღვთისმშობლისა, რომლისაკენ წმ. გაბრიელ ქართველი მიმავლობის (ზღვაში) ათონის იერიის ლავრაში მოსასვენებლად.

№15. ღვთის მშობლის ფიცარზედ, ვერცხლის გვირგვინით; ძველი ქართული მხატვრობა 4×3 გრე.

№16. პირიღვთის ხატი (ფინიქტი) ფიცარში ჩასმული ნაწილებით ზომით 1 1/4 გრე.

ფრიად საინტერესოა ამ ხატის თავ-გადასავალი. ეს პატარა ხატი წმ. ნაწილებით სავსეა და ნაქონია დომენტი III კათალიკოზ-პატრიარქისა (1705-1723, 1738-1742 წ.), რომელსაც რუსეთში აჩუქა დარეჯან დედოფალმა (მეფის არჩილის მეუღლე); უკანა ზურგის ფირფიტა-ფიცარი მოძრავი აქვს. ამ ფირფიტას რომ გამოსწევთ, თქვენ ჰხედავთ ძველს ქაღალდს უჯრებათ დახაზულს და შიგ უჯრებში წარწერებით, რომელნიც წმ. ნაწილების სახელებს აღნიშნავენ ასე:

ღვთის მშობლის თმა.	ძელი ჯვეშმარიტის ნაწილი.	ნათლის მცემლის ძუალი. პეტრე და პავლეს სისხლი.
წმ. თეოდორე ტირონის ძუალი.	წმ. აბიბოს ძუალი და ქრისტეს საფლავის ქვა.	წმ. ნიკოლოოსის ძუალი.
წმ. ხარალამპის და წმ. კვირიაკე განშორებულის ძუალი.	წმ. შიო მღვიმელის ძუალი.	წმ შანგლელის ძუალი. (იოანე)
ქრისტეს პინაკის ნატეხი და კურთის ნატეხი.	(ცარიელია).	

დომენტიმ უანდერძა ეს ხატი ანტონ I; მის შემდეგ დარჩა

ანტონ II კათალიკოზს, რომელმაც 1811 წ. ივლისის 10 სხვა მრავალ ქონებასთან ეს პატარა ხატიც თან წაიღო რუსეთში.

ამ დროებში ქ. სიღნაღის მახლობლად ს. ვაქირში ცხოვრობდა ახალგაზდა გლეხი სიმონ ერიაშვილი, დიდი მორწმუნე და მონატრე ეკკლესიაში სამსახურისა. მაგრამ ნათლისმცემლის საყდრის კრებულმა აითვალწუნეს — შენ აქ რა ხელი გაქვსო. გულ ჩათუთქული სიმონი გამოეშურა ტფილისისაკენ ბედის საცდელად. მოვიდა ანჩის-ხატის ეზოში და ელდა ეცა — კათალიკოზი ანტონ II უკვე წასული იყო რუსეთში. დაიწყო სიარული და კითხვა-კითხვით მიაგნო ნიჟნი-ნოვგოროდში კათალიკოზის ბინას. შეეხვეწა კათალიკოზს — ეკკლესიის სამსახური მწადიან და ხელი მომიმართეო. ანტონმა მიაბარა იქვე სემინარიაში და როცა სიმონმა სწავლა შეასრულა, ესტატე ციციშვილის[45] რჩევით მღვდლად ეკურთხა. კათალიკოზმა ანტონმა სიკვდილის ჟამსა თავისი მხლებელნი ყველანი დაასაჩუქრა, დალოცა და გამოეთხოვა ცრემლით. ეს პატარა ხატი აჩუქა სიმონ მღვდელს ერიაშვილს და დაავალა სამშობლოში დაბრუნებულიყო. აასრულა კიდეც: აარონ დეკანოზი (მესხი), დანიელ მღვდელ-მონაზონი და სიმონ მღვდელი ერთად მოვიდნენ საქართველოში. ჭაღარა შერეული სიმონი მივიდა ვაქირში 1832 წელში და აბა ვიღა იცნობდა? სიმონი დანიშნეს ქრისტიანობის მქადაგებლად ლეკებში და 1851 წელში მიიცვალა. ეს პატარა ხატი სხვა ქონებასთან დარჩა სიმონ მღვდლის ერთად-ერთ ქალს ანას (ცოლი მღ. იოანე

45 იყო სიძე ერეკლე მეფისა, მეუღლე მარიამისა. ანტონს სახლთხუცესად ჰყვანდა და 1828 წ. იქვე მოკვდა დარდისაგან დეისტვიტელნი სტატსკი სოვენტნიკის ჩინით. ანტონი რომ, მიიცვალა ნიჟეგოროდის ეპისკოპოსმა ათანასემ უწმ. სინოდს წარუდგინა მისი პანაგია, დაფასებული 3915 მან. და შუბლის ბრილიანტის ჯვარი, დაფასებული 3905 მან., სულ 7820 მან. ეს ფული სინოდმა გამოგზავნა ტფილისში, სასინოდო კანტორაში და ჩააბარეს ესტატეს მემკვიდრეს — პრაპორშჩიკს ქართველთა გრენადერის პოლკისას დავით ესტატეს ძე ციციშვილს ოქტომბრის 25-ს, 1829 წ., რაკი ანტონმა თავისი ქონება ესტატეს უანდერძე. (იხილე Д. Груз. И. С. Конторы 1829 г., №2147).

ხატიაშვილისა), რომელმაც აჩუქა თავის მამიდა შვილის შვილს ტრიფონ ივანეს ძე ჯამასპიშვილს. ამ უკანასკნელმა კი ეს წმ. ხატი შემოსწირა ანჩისხატის ტაარს 1901 წ. იანვრის 25.

№17. პირი-ღვთის ხელით-უქმნელი ხატი კაკლის ფიცარზედ, მშვენიერი ძველი ქართული მხატვრობა. ოქროში დაფერილ ვერცხლშია შეჭედილი გვირგვინით 1901 წ. პირველ აპრილს. სიგრძე სიგანით 5×4 გრე.


№18. ძელი ჭეშმარიტი და სხ. ნაწილები ქართული ძველი ხელოვნების ოქროს ჯვარში, რომელიც ახალი ხელოვნების ვერცხლის კოლფოში ზის. კოლოფი არის სიგრძე-სიგანით 2×1 1/2 გრე, ვერცხლის ყელსაკიდი ძეწკვით. თვით ჯვარი არის სიგრძე-სიგანით 1 3/4×1 გრე. ჯვარის ზევითა პირი შემკულია ძვირფასის ქვებით: შუაზედ დიდი მოგრძო სეილანი უზის, რომელსაც, აქეთ-იქით და ზევიდამ სამი ფირუზი უსხედს; მაღლა-დაბლა ექვსი იაგუნდი და ორი მარგალიტი; მაღლა ჯვრის თავშიაც ორი მარგალიტი. ზევითა პირი ჯვარისა ქვებიანათ აიხდება და მნახველი დაინახავს ძელი ჭეშმარიტის ნაწილს და წმინდათა ნაწილებს-ძვლებს — წმ. გიორგისას, ბარბარესას, სტეფანესას და სხ. ძველად ყოველ წარჩინებულს ოჯახს ჰქონდა ამისთანა გულზედ სატარებელი ნაწილებიანი ხატები, თვით მეფეებსაც კი, და ომში მიმავალს ამ ხატით დალოცავდნენ ხოლმე ოჯახის წევრნი. როგორც ანჩის-ხატის ტაძრის ძველი ქონების სიიდგან ჰჩანს, ეს ძელი ჭეშმარიტი შემოწირულია თ. იასონ ჭავჭავაძისაგან.

№19. ოქროში დაფერილი ვერცხლის კოლოფი შიგ წმ. ნაწილებით. სიგრძე-სიგანით 1 1/8×3/4 გრე, ვერცხლის ყელსაკიდი ძეწკვით. კოლოფში ასვენია პატარა კვიპაროზის ჯვარი წმ. ნაწილებით — წმ. მარინესი, გიორგისა, დიმიტრისა, ევსტათისა; შემოწირულია მეფე ერეკლეს ძის მირიანისაგან 1812 წ.

№20. გარდამოხსნა ნაკერია წითელ ხავერდზედ ოქრომკედით, რუსული ხელოვნებისა; ნასყიდია მოსკოვში 1864 წელში 245 მანეთათ.



ანჩისხატის ეკლესიის შიდა ინტერიერი XX საუკუნის 60-იანი წლები



ანჩისხატის ეკლესიის მოხატულობა, ხედი აფსიდზე.



ჯიდოის მოხატულობა ჯონქის შუბლზე.

ანჩის-ხატის ტაძარს ამშვენებენ ხუთი დიდი სასანთლეები 1 პირი ღვთის ხატის წინ, 1 ბეთანიის ღვთისმშობლის ხატთან, ორი ამბიონს აქეთ-იქით, მეხუთეც გარდამოხსნის წინ. იგინი გამოუწერია განსვენებულს დიმიტრი დეკანოზს 1857 წ. 900 მან. ამავე ხანებში დაუდგამს ახალი კანკელი განსვენებულს დეკანოზსვე 2230 მან. და მეხისაგან გატეხილი დიდი ზარი ხელ-ახლად ჩამოუსხმევინებია 325 მან.

ამბიონის წინ 24 სანთლიანი მშვენიერი ბროლის ხომლი, ნასყიდი 250 მან. შემოწირულია ტფილისის მოქალაქის იაგორ მარტინისძე აკოფოვისაგან 1896 წ.

X

სპარსთაგან ტფილისის აოხრების შემდეგ (1795 წ. სექტემბერს 11–13) ანტონ II კათალიკოზმა მალე განაახლა სემინარიაც და სტამბაც, მაგრამ დიდ-დიდნი უბედურებანი და აღრეულობანი ამ დროს დაატყდნენ თავსა საქართველოს ერსა და ეკკლესიასა. ჯერ მიიცვალა მეფე ერეკლე (II იანვარს 1798 წ.) და მერე მეფე გიორგიც (27 დეკემბერს 1800 წ.) რაღაც იდუმალმა მანქანებამ არია ქვეყანა და უიმისოთაც წელში გაწყვეტილი ერი ქართველთა გონს ველარ ეგებოდა. ამ დროს ვიღას ეცალა საეკკლესიო საქმეებისთვის? ანტონ კათალიკოზი განაგებდა საეკკლესიო საქმეებსა როგორც კი იმ დროებას შეეფერებოდა. გაიმართა ენა-ტანიაობა, ბეზღობა, ერთმანეთის დასმენა, გაება დაუბოლოვებელი დავი-დარაბა, აიმღვრა წყალი — და ადვილად იჭერდნენ ალალ-მართალ თევზებსა. ამ აურზაურისა გამო ანტონ III იძულებული იყო გამგზავრებულიყო პეტერბურგისაკენ 10 ივლისს 1811 წ., და აღარც მობრუნებულა სამშობლოში; ანტონი მიიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდში 1827 წ. დეკემბერში.

ანტონის წასვლას შემდეგ დაცარიელდა ანჩისხატის ეზო, დამცირდა თვით ტაძარიც: 1819 წ. შტატით ანჩისხატის ტაძარს

დაენიშნა — ერთი დეკანოზი, ერთი მღვდელი, მთავარდიაკონი და ორი მეფსალმუნე. დღეს ხომ ერთის მღვდლის, მთავრის და დიაკვნის ამარაა! ესრე წარმავალია დიდება ამის სოფლისა! ესრეთ ცვალებადია ყოველიქმნილი ხელთა კაცთაჲთა!

მაგრამ ძველ ჩვეულებას ვერ უღალატეს და მრავალნი თავად-აზნაურნი და სამღვდელონი ისევ აქ, ანჩის ხატის დეკანოზებს აბარებდნენ თავის შვილებს, ან აქვე, ეზოში აბინავებდნენ. ანჩის-ხატის ეზოში ძველადგანვე ყოველთვის იმყოფებოდა თითო მოხუცი მოლოზანი. 1820-1848 წლებში აქ, სარდაფში სცხოვრობდა თამარ მოლოზანი, რომელთანაც ბინადრობდნენ ყმაწვილობაში სხვათა შორისთ. ივანე გივის ძე ამილახვარი და განსვენებული — დიმიტრი ჯორჯაძე და იესე ადამის ძე ანდრონიკაშვილი.

XI

ზედა მიწერილი კვირაცხოვლის საყდარი

მცხეთის სამთავარეპისკოპოსო ეპარხია რომ გააუქმეს 1804 წ., ანჩის-ხატის ტაძარზედ მიაწერეს კვირაცხოვლის საყდარი, აღშენებული 1615 წ. მთავარ-ეპისკოპოსის ქრისტეფორესაგან (ამილახვირი, შემდეგ კათალიკოზი) ძველის ეკკლესიის ნანგრევებზედ, რომელიც თემურლანგმა დაანგრია 1401 წ. მთავარებისკოპოსი ქრისტეფორე ძმა იყო ანდუყაფარ ამილახვრისა და დედოფალის ანასი და ამათის შემწეობით აქვე აიშენა სახლიც და თავის მეტოქად გაიკეთა. 1716 წ. კვირაცხოვლის საყდარი და სასახლე განაახლა მთავარეპისკოპოსმა რომანოზმა (ერისთავი). მას აქეთ ანჩის-ხატის დეკანოზის ხელქვეითად კვირაცხოვლის საყდარს ჰყვანდა საკუთარი კრებული და მხოლოდ 1843 წ. იქმნა გაუქმებული და მისი საეკლესიო ქონება[46] ჩაჰბარდა

46 ამ ქონებიდგან — ბარძიმი (1 გირვ. და 36 მისხ.), ფეშხუმი (50 მისხ.) და ორი თეფში (1 გირ. 10 მისხ.) ოქროცურვილი ვერცხლისანი და სხ. — საქართველოს ეგზარხოსის ისიდორეს განკარგულებით გადაეცა სასინოდო კანტორას ლეკთაგან აკლებულის კახეთის ეკკლესიებისათვის 1851 წ.

ანჩის-ხატის ტაძარს. კვირაცხოვლის საყდარში დაასაფლავეს 1804 წ. მთავარ-ეპისკოპოსი იოანე (ქარუმიძე),[47] რომელსაც უწირა და ანდერძი აუგო კათალიკოზ-პატრიარქმა ანტონ II და ტფილელ-მიტროპოლიტმა არსენმა. საყდარი დაანგრიეს 1870 წ. და ეხლა მისი საძირკველიც ძლივსლა ეტყობა; უწმიდესის სინოდის უქაზისამებრ ნასაყდრალზედ ან ნიში უნდა აშენებულიყო, ანუ შეღობილიყო და ბაღი გაემართნათ. მას აქეთ დასავლეთის შესავალი კარები ქუჩიდგან დაიკეტა და აქ ასვენია მრავალი გამურული-გამტვერიანებული წმ. ხატები. ყოველ შაბათ საღამობით აქ მოდიან ქრისტიანები, ანთებენ წმ. სანთელსა და არ ივიწყებენ მამაპაპის სალოცავსა. ანჩისხატის ტაძარზედვე იყო მოწერილი დანგრეული XV საუკ. ჩუღურეთის სასაფლაოს კვირაცხოვლის ეკკლესია: სადაც კვირაცხოვლობას ანჩის-ხატის დეკანოზნი გადიოდნენ ხატით და აგროვებდნენ მლოცველთაგან შისაწირავსა.

XII

დეკანოზნი და მღვდელნი ანჩისხატის ტაძრისა

კათალიკოზ-პატრიარქების დროს ანჩის-ხატის ტაძარში მსახურებდნენ: 1 დეკანოზი, 2 მღვდელი, 2 მთავარი და 2 მეფსალმუნე. ახალის 1819 წლის შტატით დადებულია: 1 დეკანოზი, 1 მღვდელი და ორი მეფსალმუნე. 1831 წ. 1 მეფსალმუნეს მაგიერ მთავარია განწესებული.

1) მღვდელი პეტრე მესხი, მოჰყვა თავის ცოლშვილით სამცხედამ ხელით-უქმნელს ანჩის-ხატსა... 1674 წ. კათალიკოზმა დომენტიმ მისცა ადგილი კანდელაკისა ანჩის-ხატის ტაძარში. იყო საყვარელი თანამოსაუბრე კათალიკოზის ნიკოლოზისა, მიიცვალა 1680 წ. ჩვენამდე მოაღწია მისმა ნაწერმა მშვენიერის ხუცურის ხელით კონდაკმა, რომელიც ეხლა ჩვენს საეკკლესიო

47 იყო ძე დავით გარესჯის უდაბნოს სქემონაზონის ონისიფორესი († 1786 წ. იანვრის 6).

მუზეუმშია დაცული.

2) დეკანოზი იოსებ პეტრეს-ძე, 1681-1711 წლებში.

3) დეკანოზი გრიგოლი, ძე იოსებისა 1711-1724 წლებში, ხელოვანი სამეფო კარის მხატვარი, მგალობელი და მწიგნობარი; ამისი შვილები — ალექსი და ნიკოლოზ; დიდს მონაწილეობას იღებდა 1705-1721 წლებში სტამბის წიგნების ბეჭდვაში, რისთვისაც მეფე ვახტანგ VI უბოძა უფლება ესარგებლნა სოლოლაკის წყლით თავის გარეთ უბნის ბაღისათვის. როგორც მხატვარი, გრიგოლ დეკანოზი იღებდა მეფის სუფრის სარქრიდამ დღეში ორ პურსა, 2 კერასეულ ღვინოსა და ყოველ წლიურ ჯამაგირს ხაზინიდამ.[48] 1724 წ. გრიგოლი გაჰყვა ვახტანგ VI რუსეთში და მისი ადგილი მიებოძა მის ძმას დავითს.

4) დავით 1725-1738 წ., ძე იოსებისა, ჯერ კანდელაკი, მერე დეკანოზი. იყო აღმზრდელი ვახტანგ VI შვილებისა, რისთვისაც ეწყალობა მეფისაგან 1721 წ. სოლოლაკის ბაღი.

შრომობდა სტამბაში საეკკლესიო წიგნების ბეჭდვაზედ, იყო ჩინებული მწერალი და მხატვარი. სვეტისცხოვლის საკათალიკოზო დიდს სჯულის კანონის (№76, მუზეუმშია) ბოლოს ვკითხულობთ: „ესე სჯულის კანონი მე ანჩის-ხატის კანდელაკმა დავით, თამაზხან (ნადირშაჰი) რომ ქალაქში შემოვიდა მესამე დღეს (9 ოკტომბერი 1735 წ.) დავიხსენ თათრისაგან, სვეტის ცხოვლისა იყო და ისევ სვეტს-ცხოველს შევწირე სულისა ჩემისა სახსრად და ძისა ჩემისა მიქელის სადღეგრძელოდ. შენდობას ბრძანებდეთ.“ ამავე დავითს დაუხსნია სწორეთ ამ დროსვე სვეტისცხოვლის ხელნაწერი (მუზეუმშია, №84) ჟამნი და ესრევე შეუწირავს.

5) მღვდელი პეტრე, 1721-1734 წ. მწერალ-მწიგნობარი.

6) დეკანოზი ალექსი[49]*, 1739-1756 წ., ძე მხატვრის გრიგოლისა. ოსმალეთში ტყვეობიდამ რომ მობრუნდა დომენტი კათალიკოზი, ესე ალექსი მღვდლად აკურთხა. ალექსი იყო საუკეთესო მწერალ-მწიგნობარი და ქართველთა საზოგადოება

48 იხ. დასტურლამა მეფის ვახტანგ VI, ტფილისი, 1885 წ. 15 გვ.

49 * მესხიშვილი — ვ.ო.

დიდად პატივსა სცემდა. 1745 წ. შეადგინა სამადლობელი საგალობენი ბრძოლის ველზედ;[50] იყო მოძღვარი მეფის თეიმურაზისა და დედოფლებისა — თამარსა და ანნახანუმისა.

ალექსი პატარაობითვე აღიზარდა კათალიკოზ ანტონთან ერთად და სიკვდილამდე დიდად უყვარდათ ერთმანეთი. ანტონი რომ რუსეთში გააძევეს 1756 წ., ესე ალექსიც დასჯეს და, ვგონებ, მღვდელობიდგანაც დააყენეს დრომდე. ანტონს ჰქონდა მიწერ-მოწერა ალექსისთან რუსეთიდგან;[51] მისგან გადაწერილნი წიგნნი დღესაც მრავლად მოიპოვებიან ჩვენს მუზეუმში. ჰყვანდა შვილები — ნიკოლოზი, გიორგი, დავითი ზაქარია, იოსები და სოლომონი. მიიცვალა 1766 წ. და დასაფლავდა ანჩას-ხატის ტაძრის დასავლეთის კარებს წინ[52]**.

7) გაბრიელ მღვდელი 1735-1746 წ., მოძღვარი თეიმურაზ მეფისა და დედოფლის თამარისა 1737 წ. ამისი ცოლი მარიამი.

8) გიორგი დეკანოზი, 1765-1779 წ. აღზრდილი კათალიკოზის ანტონ I კარზედ. იყო სიძე სახელოვანის ჯვარის მამის დეკანოზის იოანე გარსევანაშვილისა. მრავალი წიგნნი გადასწერა სკოლებისათვის მხედრულის ხელით. ჩინებული ხუცური წერა იცოდა. ერთს მისგან გადაწერილს წიგნში ვკითხულობთ: „თთუჱსა ივლისსა კბ, ქ კს უნვ (1768 წ.) სრულ იქმნა მცირე ესე სჯულის კანონი ქალაქსა ტფილისს, პალატსა საპატრიარქოსა ჴელითა ანჩის-ხატის დეკანოზის გიორგისითა, მხილველთაგან შენდობის მოქენე.[53] 1766 წ. მისგანვე გადაწერილი ლოცვანი, 1767 წ. — კატეხიზმო აკვირვებენ მნახველს. მიიცვალა 1779 წ. თებერვალში, ჰმარხია ანჩისხატის დასავლეთის კარებთან, მისი ცოლი მარიამი † 1770 წ.

9) ნიკოლოზ მღვდელი, ძე ალექსისა, გადამწერი 1767 წ. 20 იანვარს „ქილილა და დამანასი“.[54]

50 იხ. წ.-კითხ. საზ. მუზეუმში 5.
51 იხ. „ივერია“ 1879 წ.
52 ** დღევანდელი მთავარი შესასვლელი ტაძრისა — ვ.ო.
53 იხ. წ.-კითხ. საზ. მუზეუმში ხელნაწერი 1597
54 იხ. იქვე ხელნაწერი 87.

10) მიქელ დეკანოზი 1779-1788 წ. ძე გიორგი დეკანოზისა. ამან აღზარდა შესანიშნავი მეუდაბნოე ბერი ბესარიონ ფავლენიშვილი. მიქელზედ სწერს დავით რექტორი „აღვსწერე წიგნი ესე (ჰაერში მროკველი — аэростать) მწუხარებასა შინა... სიკვდილისათვის განკრძალულისა მღვდლისა და დეკანოზისა მიხაილისა გიორგი დეკანოზის ძისა. მიიცვალა სეკტენბერს 19, ცისკრის ჟამს, სამშაბათი რომ თენდებოდა ქ კს უოვ.“ (1788 წ.) მიქელის ცოლი — ქაიხოსრო შაბურიშვილის ასული ანნა†24 ივნისს, 1786 წ.

11) ზაქარია დეკანოზი, ძე ალექსი დეკანოზისა 1788-1791 წ. მიიცვალა ახალგაზდობაში.

12) სოლომონ დეკანოზი, ალექსის ძე, 1791-1808 წ., ნიჭიერი მოწაფე ანტონ I კათალიკოზისა. იგი იყო შესანიშნავი მწიგნობარი, მწერალი, მგალობელი, მხატვარი, წიგნთა მკაზმავი. იყო საყვარელი მეფეთა, კათალიკოზისა და წარჩინებული თავად-აზნაურობისა. მისი დახატული წმ. ბარბარეს ხატი დღეს ანჩისხატის ტაძარშია.

სოლომონ დეკანოზი გულადი ვაჟკაციც იყო: 12 სექტემბერს, 1795 წ. განუშორებლივ იდგა თავის საყვარელ ანჩის-ხატის ტაძრის კარებთან და ელოდა — რითი გათავდებოდა თავგანწირული ბრძოლა ერეკლე მეფისა ყიზილბაშებთან; ვიდრე სიონთან არ მიცვივდნენ ყიზილბაშები, მანამ ფეხი არ მოიცვალა სოლომონ დეკანოზმა: მაშინ კი მოიკიდა ზურგზე ხელით-უქმნელი ანჩისხატი და გაუდგა ვერისაკენ საბურთალოზედ და ასე ზურგით აიტანა მცხეთამდე ეს ამოდენა ხატი; აქედან ურმით ანანაურში წაასვენა გერგეთისაკენ. მისი რჩევით მეფე ერეკლე და გიორგი სწირავდნენ ღარიბს, ყიზილბაშთა და ლეკთაგან აკლებულს ეკკლესიებს, შესამოსელსა და საჭირო ნივთებსა: ბარძიმ-ფეშხუმსა, კანდლებსა, სასანთლეებსა, წიგნებსა და სხ. 1802 წ. იმპერატორმა ალექსანდრე I უბოძა ოქროს გულის ჯვარი და კამილავკა და 400 მან. სიკვდილამდე პენსია. იმ ხანათ რუსის ჯარებისათვის სახლები არ იყო ჯერ აშენებული და ზამთრობით ტფილისის მცხოვრებლებს უყენებდნენ ხოლმე

ჯარის კაცებს საცხოვრებლად. სოლომან დეკანოზსაც ჩაუყენეს ორი აფიცერი და ორი სალდათი, მაგრამ ძალიან უარზე დადგა. ბოლოს გამოიტანა სახლიდან კამილავკა და აჩვენა მელიქს დარჩიას — მე ხელმწიფემ ესე პატივი-მცა და თქვენ ასეთ შეურაცხებას მაყენებთო? მაგრამ არა იქმნა-რა; აფიცრები ჩაუყენეს სახლში და სოლომან დეკანოზს, სანამ ცოცხალი იყო, კამილავკა აღარ დაუხურავს.

მიიცვალა 1808 წ. და დასაფლავდა ანჩის-ხატის ტაძარში ღვთის-მშობლის ხატის წინ, ამბიონის მარცხნივ[55]*. ანტონ კათალიკოზმა უწირა და აუგო ანდერძი.

13) გაბრიელ დეკანოზი, იოანეს ძე, კანდელაკი. განათლება მიიღო ანჩისხატის სემინარიაში და პატარობიდგანვე კათალიკოზის ანტონ II კარზე აღიზარდა. მთავრად ეკურთხა 20 მარტს 1793 წ., ხოლო მღვდლად 9 იანვარს 1799 წ.; მიიცვალა 1836 წ. შობიდან 60 წლისა და დასაფლავდა ჩუღურეთის ჯვარის (ეხლა ნიკოლოზის) ეკლესიაში.

14) დიმიტრი დეკანოზი, ძე დეკანოზის სოლომანისა, დაიბადა 1778 წ. სწავლა მიიღო ანჩისხატის სემინარიაში. 1796 წ. დაინიშნა საქართველოს სასულიერო საკათალიკოზო დიკასტერიის მდივნად; მთავრად ეკურთხა 2 მაისს 1798 წ. და მღვდლად 9 დეკემბერს 1805 წ. 1808-1815 წლებში იყო დიკასტერიის წევრად, ხოლო 1815-1861 წლებში საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორისა. 1817-1852 წლებში იყო საეკლესიო გუჯართა და სხვა ძველ საბუთთა გამრჩევ კომიტეტის წევრათაც. 1853-1857 წლებში დიდი დავა ჰქონდა მალალაანთთან სახლების გამო. შრომის მოყვარეობისათვის დაჯილდოებული იყო: 200 მან. პენსიით, კამილავკით, ორდენები — ანნა მე-2 და 3; ვლადიმირისა — მე-3 და მე-4; ენქერი ებოძა 1849 წ. † 9 დეკემბერს 1862 წ. დასაფლავებულია ანჩის-ხატის ტაძარში, მაცხოვრის ხატის წინ, ამბიონის მარჯვნივ.

15) დავით დეკანოზი, ძე გაბრიელ დეკანოზისა. სწავლა

---

55 * დაახლოებით ის ადგილია სადაც დღეს მგალობლები და მედავითნე დგანან — ვ.ო.

დაასრულა ანჩისხატის სემინარიაში; 1808-1815 წლებში იპოდიაკონად იყო ჯერ კათალიკოზ ანტონ II-თან, მერე ვარლაამ ეგზარხოსთან. მღვდლად ეკურთხა 12 მაისს 1827 წ. და დეკანოზად 21 აპრილს 1845 წ. მიიცვალა 2 მარტს 1849 წ. შობიდგან 56 წლისა.

დეკანოზნი კვირაცხოვლის საყდრისა

1) იოსებ დეკანოზი, ძე დეკანოზის ალექსისა. განისწავლა ანჩისხატის სემენარიაში, მთავრად ეკურთხა 1785 წ., ხოლო მღვდლად – 1790 წ. და დაიდგინა დეკანოზად. მოკლეს სპარსთა 12 სექტემბერს 1795 წ. ტფილელ-მიტროპოლიტ დოსითეოსთან (ჩერქეზიშვილი) ერთად სიონის გალავანში. იყო მოძღვარი ბატონიშვილის გიორგის მეუღლის მარიამისა.

2) აარონ დეკანოზი, ძე ნიკოლოზ მღვდლისა. პატარობიდგანვე გაიზარდა ანტონ II კათალიკოზთან. მთავრად ეკურთხა მისგანვე 1794 წ., ხოლო 1795 წ. მღვდლად ანჩისხატის ტაძრისა. 1808 წ. დაიდგინა დეკანოზად. გაჰყვა თან ანტონ II კათალიკოზს რუსეთში 1811 წ. და მობრუნდა ტფილისში შემდეგ მისის სიკვდილისა 1828 წ. 400 მან. ჰენსიით. მიტროპოლიტმა იონამ მისცა კვირაცხოვლის საყდარი 1 დეკემბერს 1830 წ., ჰქონდა ორი ოქროს გულის ჯვარი, ძვირფასი ქვებით შემკულნი; მიიცვალა 30 იანვარს 1832 წ.

3) ეფრემ მღვდელი, ძე დეკანოზის იოსებისა. სწავლობდა ჯერ ანჩის-ხატის სასწავლებელში, შემდეგ კეთილშობილთა სკოლაში. მთავრად ეკურთხა 11 მაისს 1811 წ. პროტოდიაკონად იყო ვარლაამთან 1816 წლამდე და 6 იანვარს ამავე წელს ეკურთხა ნათლის-მცემლის თავის-კვეთის ეკკლესიისა.[56]

56 ნათლისმცემლის საყდარი იყო მუხრანიანთ ხიდის მარჯვნივ, დღეს სომხის დანდუროვის ეზოში, სადაც იყო სასაფლაო მღვდელთ-მთავართა და სხ. სამღვდელოთა. საფლავის ქვები და საძირკველი ამ ოცდა ხუთის წლის წინათ ისევ სჩანდნენ. ეხლა კი კვალიც არსად არის, ყოველივე განქარდა მამის ნაცვალტა წყალობით!

ამავე წლიდან დაინიშნა საღმერთო სჯულის მასწავლებლად კეთილშობილთა სკოლაში, აქ მსახურებდა 13 წელიწადი და მიეცა 225 მან. პენსია 4 ნოემბერს 1830 წ. გადმოიყვანეს კვირაცხოვლის საყდარში 1819 წ. შემდეგ გადაყვანილ იქმნა ჯვარის მამაში 1 დეკემბერს 1830 წ.

XIII

ანჩისხატის ტაძარში არიან დასაფლავებულნი:

1) წმ. ევდემოს კათალიკოზ-პატრიარქი, დიასამიძე, 1631-1638 წ.[57]*, როდესაც ქრისტიანობის გულისათვის გათათრებულმა როსტომ მეფემ ჯერ დაატყვევა ტფილისის ციხეში, მერე დაახრჩობინა და გადმოაგდებინა მაღლა ციხიდან აბანოების მხრივ[58]**. მისმა თაყვანის-მცემმა სამღვდელოებამ საიდუმლოდ მოასვენეს მისი გვამი და ჩრდილოეთ-დასავლეთის კუთხეში მიაბარეს მიწას.

2) ხელით-უქმნელის ხატის წინ ჰმარხია დავით-გარეჯის წინამძღვარი ონოფრე მაჭუტაძე.

3) ჩრდილოეთ-დასავლეთის სვეტსა და დასავლეთის კედელს შუა ჰმარხია ქვრივი მალხაზ ანდრონიკაშვილისა, მარიამ, ასული იმერეთის მეფის არჩილისა, † 10 სექტემბერს 1854 წ. შობიდან 79 წლისა.[59]

4) უკანა სვეტებს შუა ასფლავია ბატონიშვილის გიორგის ნაზირი ტარიელ ჯვარაშვილი † 1793 წ. და ძე მისი გიორგი † 1791 წ.

5) ამბიონის მარცხნივ ასფლავია დეკანოზი სოლომონ ალექსის ძე მესხი † 1808 წ. 63 წლისა. (გადამრჩენი მაცხოვრს ელთუქმნელი ანჩის ხატისა 1795 წელს აღამაჰმად ხანის შემოსევისას — ვ.ო.)

57 * უნდა იყოს 1632-1642წ. — ვ.ო.

58 ** ე.წ. განჯის კარის კოშკიდან — ვ.ო.

59 ბატონიშვილი მარიამ სცხოვრებდა ჯერ სიღნაღის მაზრის, ს. გურჯაანში, კახთუბნის ყოვლად წმიდის მონასტერში და 1840 წლიდან გადმოსახლდა ტფილისში, და ანჩის-ხატის ტაძრის ეზოში სცხოვრებდა, დღე-ღამე მლოცველი და მომსმენი წირვა-ლოცვისა.

6) ამბიონის მარჯვნივ დეკანოზი დიმიტრი სოლომონის ძე † 1862 წ. 84 წლისა.

7) სამხრეთ-აღმოსავლეთის სვეტის წინ ჰმარხია იოანე ბუჭყიაშვილის მეუღლე ნინო † 1802 წ.

8) მის მარჯვნივ კედელთან — გენერალ-მაიორი დიმიტრი ივანეს ძე ბუჭყიაშვილი † 1849 წ.

9) შემდეგ, დასავლეთით მისი ძმა პოდპოლკოვნიკი გედეონ ივანეს ძე ბუჭყიაშვილი † 1858 წ.

10) სამხრეთ კარების შესავალთან სვეტებ შუა ჰმარხია პოლკოვნიკი თ. იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილი † 10 ოქტომბერს 1863 წ. 62 წ.

11) მის გვერდით ასაფლავია მისი მეუღლე სალომე, სარდლის ქაიხოსრო წერეთლის ასული † 1889 წ.

12) ბეთანიის ხატის წინ ჰმარხია ანახანუმ ზაალის ასული ბუჭყიაშვილისა † 1857 წ.

13) მის დასავლეთით ჰმარხიან მისივე შვილები: პოლკოვნიკი მიხეილ ბეჟანის ძე ბუჭყიაშვილი † 1877 წ.

14) ჩრდილოეთის კარებთან კონსტანტინე ბეჟანის ძე ბუჭყიაშილი † 1889 წ.

15) გენერალ-მაიორი ვახტანგ ბეჟანის ძე ბუჭყიაშვილი † 1901 წ.

16) ჩრდილო-აღმოსავლეთის სვეტთან ჰმარხია პოლკოვნიკი ივანე ბეჟანის-ძე ბუჭყიაშვილი † 1890 წ. (დიდი პაპის მოსახელეა -ვ.ო.)


17) სამხრეთ კარების მარცხნივ ჰმარხია გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ბეჟანის-ძე ბუჭყიაშვილი † 1902 წ. (გარდაიცვალა 28 თებერვალს 87 წლის ასაკში ბუჭყიაშვილები ქართლის ძველი აზნაურთა საგვარეულოა. ივანე ბუჭყიაშვილ ჯერ კიდევ ეერეკლე II-ს დროს არტილერია-ს გამოჩენილი მეთაური ყოფილა მინბაშის (პოლკოვნკის) ჩინით, მის შვიდ შვილთაგან ექვსი სამხედრო პირი იყო და მსახურობდნენ არტილერიით ოფიცრებად რუსეთს არმიაში წარმატებით. — ვ.ო.)

18) სამხრეთ-აღმოსავლეთის სვეტთან ჰმარხია კნეინა ქეთევან დიმიტრის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა † 1895 წ.

19) ჩრდილო-დასავლეთის სვეტთან ჰმარხია დეკანოზი

სტეფანე გუმილევსი † 1891 წ.

(შესაბამისად სამარხებია: 20)ზაალ ბუჭყიაშვილი, 21) სოფიო ბუჭყიაშვილი, 22)გიორგი ქავთარისშვილი, 23)ბარბალე მელვინეთუხუცესისშვილისა, 24)გიორგი, დეკანოზ გაბრიელის შვილი?, 25)უცნობი.). — ვ.ო.



ანჩისხატის სამარხების გეგმა

XIV

ანჩისხატის ტაძრის ძველ შეწირულობათა სიგელ-გუჯართაგან ბევრი აღარა გადარჩა-რა გამუდმებულ ქვეყნის აკლებასა და აოხრებასა.

ათიოდე გუჯარია ჩვენს ხელთ, რომელნიც სიტყვა-სიტყვით მოგვყვავს. ეს გუჯარნი ცხადათ ამტკიცებენ ქართველთა სარწმუნოებრივის გრძნობის ძლიერებასა და სხვათა შორის, ასაბუთებენ ანჩის პირი-ღვთის ხატის სინამდვილეს, როგორც ზევითა ვსთქვით.

№1. „ქ. შენ საშინელო ღვთაებაო და ხატო უცვალებელო, არსებით მიუწდომელო და ძლიერებით განუზომელო, რომელსა გმსახურებენ ბევრნი ბევრთანი და ათასნი ათასთანი ანგელოზნი და მთავარ-ანგელოზნი, მთავრობანი და ჴელმწიფებანი, სერაბინნი და ქერაბინნი და ყოველნი დასნი ძალთანი, შიშით მძრწოლარენი, – აქებენ ქებულებასა შენსა, ეჰა შენ შემოქმედო ჩემო ხატო ღუთაებისაო და პირო ქრისტესო, ანჩის ხატო! მეცა მიწიერი ქმნული შენ მიერი დაბადებული, თაყუანის-მცემელი და სარწმუნოებით და სასოებით შენდამი მოლტოლვილი და მთხოველი და მოქენე წყალობისა და შეწევნისა შენისა ციციშვილი ქაიხოსრო და თანა მეცხედრე ჩვენი ასული ბარათიანთი ანახანუმი და მცირენი ძენი ჩვენნი: იოანე და ნოდარ შიშით თაყვანის-მცემელნი შენ ღ~თაებისა ხატისა და პირისა სახისა თჳთ მეუფისა ჩემისა ქრისტესისა შეწევნისა და მოწყალებად ყოფისა მვედრებელნი და მოქენენი. თაყუანის-ცემით მკადრე ვიქმნებით მცირესა ამას შესაწირავსა, და ვიძღვნის-ვმრთმევლობთ წმიდასა შინაჲ წმიდათასა სატრაპეზოსა სამსახურებელსა წლითი-წლადსა სახლისა ჩვენისაგან ათი კოდი პური და შვიდი კოკა ღვინო ჩვენისა ურმითა ქლაქს, ანჩის ხატის დეკანოზს ალექსის მიერთმეოდეს და შემდგომად ამისა, რომელიც ანჩის-ხატის დეკანოზად დადგინებულ იყოს, იმას მიებარებოდეს და თვითცა წმიდასა შინა წირვაა

მოხსენებად ღირს ვიქმნებოდეთ. საქმითა რათამე აქ ამ პურს და ღვინოს ვერ მოვიტანდეთ, თვით დეკანოზი, ანუ კაცი მისი მოვიდოდეს სახლსა ჩვენსა და ათს კოდს პურსა და ათს კოკას ღვინოს მიირთმევდეს, და თჳთ წაიღებდეს. შეიწირე შენ ხატო უცვალებელო მცირე ესე შესაწირავი და ქელი წყალობისა შენისა აგვიპყარ და გვიხსნენ ყოველთა განსაცდელთაგან და ნაცვალ გვაგე ორსავე შინა სუფევასა და ძენი ჩვენნი მცირენი დაიფარენ საფარველსა ქვეშე მოწყალებისა შენისასა! დაიწერა ქრისტიშობისთვის ოცს გასულს ქკ~ს უკე, ქ~ეს აქეთ ათას შვიდას ოცდა ჩვიდმეტს. ქაიხოსრო.“

№2. „ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი მეფის ძე ანტონი გიბძანებ ყოველ წლივ ჩვენის კათოლიკე ეკკლესიის სვეტისცხოვლის კარის იჯარის ამღებთა, მეიჯარეთა; მერე ტფილისის ჩვენი ეკკლესია სანთლითა და საკლმით დიდათ ნაკლულევანია ანჩის-ხატი და ჩვენს სადღეგძელოდ და სულიერად წარსამართებელად წელიწადში სამი თუმანი და ხ სანთლისა და საკლმის ფასად შეგვიწირავს და მიგვირთმევია. ჩვენის კარის იჯარას ვინც აიღებდეთ ხოლმე, ყოველს წელს რაც ზევით დაგვიწერია რიცხვით, იმას ანჩის-ხატის დეკანოზს მისცემდეთ უკლებლად და დეკანოზი როგორც ეკკლესიას ეჭირება სანთელ-საკმელი, ისე მოახმარებს; და როდესაც მისცემდეთ; ბარათს გამოართმევდეთ დეკანოზსა და იმ ბარათს ჩვენნი მოხელენი ანგარიშში გაგიტარებენ და გიბრძანებთ კარისა ჩვენისა მოხელენო და მოსაქმენო ჩვენგან შეწირულსა და დამტკიცებულსა ამას ნურვინ წინა აღუდგებით თვინიერ შეწევნისა და თანა-დგომისა, რომ ყოველს წელს ასე უნდა ეძლეოდეს უკლებრად და ულპარაკოდ. კათალკოზი ანტონი.“

№3. „ქ. ნებითა და შეწევნითა ღ~თისათა. ესე წიგნი მოგართვი თქუენ დეკანოზს სოლომონს და წმინდის ანჩისხატის ეკკლესიას მეწისქვილე აზატამ ასე რომ ყაფლანის შვილის ქაიხოსროს ჯალაბის ანნას წილხდომილი ყმა ვიყავი, რომ მეფის ირაკლის და მსაჯულთ სამართლით დავრჩი ამას ყმათ; მანამ ეს ჩემი ბატონი ანა ცოცხალი იყო ემსახურე და სიკუდილის ჟამს

ჩემი თავი ანჩის-ხატის ეკკლესიას შემოსწირა და დამადო. ერთი ჩარექი ზეთი, სამი სტილი სანთელი და ორი სტილი საკმელი ყოველს წელიწადს, ეს უნდა მოგართო და ერთი საწირავიც რომ ჩემს ბატონს ანას უწიროთ. ჩემ შედეგათ ჩემმა შვილმა და შვილის შვილმა ასე მსახურონ ეკკლესიასა. მე მწერალს იოანე პენტელაშვილს დამიწერია აზატას სიტყვით იანვრის ი ქ̃კს უჲ† " (1780 წ.)[60]*

№4. „ქ. შენ ჩ̃ვენს სასოსა და მეოხსა პირსა მღვთისასა შემოგწირე მე მონამან შენმან ანდრონიკეს შვილმან დიანბეგმან ქაიხოსრომ, რათა მეოხ ექმნა მონასა შენსა ძესა ჩემსა სვიმონს და განათავისუფლო სნეულებისა ამისგან ამინ. ერთი კომლი კაცი თავის მამულით. ქაიხოსრო".

№5. „ქ. ჩვენ ს̃დ ქართლისა კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ ჩვენის სიძის ენდრონიკოვის სვიმონისაგან შეწირულობის წიგნსა ამას ვამტკიცებთ მარტის ლა, ქკ̃ს უპვ. გიორგი.

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღ̃ისა და მამისა და ძისა და სულისა წმინდისათა, მეოხებითა ყ̃დ წმიდისა ღ̃ის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯუარისათა, მინდობითა წმინდათა და ყ̃დ ქებულთა ათორმეტთა მოციქულთათა და მადლითა მოციქულთა სწორისა და ქართველთა განმანათლებელისა დედისა ნინოსითა, — შენ ზესთა საკჯრველსა და სასწაულთა მოქმედსა სასოსა ჩუშნსა აჩნდის ხატსა მანდილსა ზ̃ა გამოწერილსა პირსა ღ̃თისასა შემოგწირეთ ჩუშნ საფარველითა შენითა დაცულმან ანდრონიკოვმან ქისიყის მოურავის შვილმან ელიაღასმან სჯმონმა და თან ფერცხალმან ჩუშნმან, საქართუშლოს მეფის გიორგის ასულმან ბატონისშვილმან ბარბარემ, შემოგწირეთ ჩუშნი მკვიდრი ყმა, მელაანს სოფელში მსახლობელი, ბიძინას შვილი ბიძინა ერთი კომლი კაცი თავისის მამულით სახნავ-სათესით,

60 * დოკუმენტი დაცულია საქართველოს სახელმწიფო არქივში — ვ.ო.

ვენახით და სახლ-კარით, რითაც შეძლებით მქონებელი იყოს ყოვლითავე, აღსაზრდელად და დასაცულლად ძისა ჩუენისა თომასსა, და საოხად სულთა ჩუენთა და შესაწევნელად ჩუენდა ყ˜თა აღდგომასა დიდსა მას დღესა განკითხვისასა; დამამტკიცებელნი წიგნისა ამის შეწირულებისანი ღ˜თნ აკურთხენ და შლად კელმყოფნი და გამომწირველნი ამისნი იყუნენ წყეულ და შერისხულ ამინ. წელსა ქ˜ს განხორციელებითგან ჩღჟზ თუჩსა, მარტსა ია-ს. ერთს და ღ˜ოს ვესავ სამებითს ვმონ ვამტკიცებ წამებით †.

ქ. ჩუენ ქართლისა და კახეთისა და სხუათა მეფის გიორგის ასული ბატონის შვილი ბარბარე, ნებითა ჩემითა ვამტკიცებ წიგნსა ამას შეწირულებისასა მარტის ია, ქ˜კს უპვ. მეფის ასული ბარბარე.“

№6. „ქ. უწმიდესს პირი ღ˜ისას კაცი რომ შემეოსწირა მისს უმაღლესობის სიძემ ენდრონიკაშვილმა სვიმონ, ის კაცი ბიძინაშვილი ბიძინა, მელაანს მემკვიდრე მსახლობელი, ამ მამულის მქონებელია დღეს, თითონ ფიცით თქვა.

ქ. ოთხის დღის მიწა სახნავი შიგნითა მაქვსო.

ქ. ოთხის დღის მიწა გარეთა ტყის პირსაო.

ქ. ორის საპალნის ვენახი მაქვსო.“

№7. „ქ. შენ ყ˜დ დიდებულსა ხატსა და ბრწყინვალებასა ღუთისა მამისა ანჩის-ხატისა პირსა მღ˜უთისასა მოგახსენე მე ენდრონიკაშვილის ბატონის სიძის ელიაღასი სვიმონისაგან მამულით შემოწირულმან მელაანს მოსახლემ ბიძინა შვილმა ბიძინამ და გადვიკვეთე ჩემის ნებითა და ჩემის შვილის მოსესა და აბრამის ნებით თქვენი სამსახური ყოველს წელიწადს გიორგობისთვეს გიახლებოდე და რვა მინალთულს თქვენს დეკანოზს თქვენს სამსახურად მივართმევდე, და თუ მე ვერ გიახლო და ვერ მოგართო და დეკანოზის კაცი მომივიდეს, ამ რვა მინალთულს იმას მივაბარებდე, რომელიც სოლომონ დეკანოზის ნებით გამოგზავნილი კაცი იყოს. არის ამისი მოწამე თვით ჩემი მფარველი პირი მღ˜უთისა და კაცთაგან მისის

სიმაღლის კარისმღუდელი დიმიტრი. მონა მღუთისა დიმიტრი თურქისტანიშვილი, კ˘დ მღუდელი იოსებ (იოსებ), საათაბაგოელი პეტრე ბერი † დიაკონი იოანე † და მე ბატონის მოძღუარს იოსებს დამიწერია ამ ბიძინაშვილი ბიძინას ნებართვითა და სიტყვითა და მოწამეცა ვარ. დაიწერა ივლისის ა. წელსა ჩღუ ქ˘კს უპვ.“

№8. „ქ. მე მუხრან-ბატონის ძეს ერმის შემომიწირავს ანჩის-ხატის პირის მღვთისათვის სასეფისკვრეთ წელიწადში სამი კოდი ფქვილი თავის მარილითა და ფიჩხითა ასე, რომ შეწირულობის ფქვილი ესე ყოველწლივ და უკლებლად უნდა მიერთმეოდეს თელეთის ღალიდამ. რომელიც იმ წელს მოღალე იქმნება იმას უნდა გამოართმევდეს ხოლმე დეკიანოზი. აგვისტოს ბ. წელსა ჩყივ-ს. მუხრანის ბატონის ძე ერმი.

№9. „. 1816 წელსა ოქტომბრის 6 დღესა. შენ კაცთა ბუნებისა კსნისათვის განკაცებულისა ღ˘თისა სიტყვისა სახესა ხატსა მაცხოვრისასასა, ტფილისს ანჩის-ხატის ღ˘თის მშობლის შობის ეკკლესიასა შინა სვენებულსა ქელითუქმნელსა ხატსა პირსა ღ˘თისასა და სასოსა ჩემსა და ჩემთა მშობელთასა, ადრინდელისამებრ ჩემისა განზრახულებისა აწ შემასრულებელმან შემოგწირე საუკუნოჲთა და ყოველთა კაცთა მიერ უცილობელითა შემოწირვითა, საკუთარი ჩემი მამა-პაპეულებისა გამო, და ეგრეთვე საკუთარი ჩემი ხვედრი ძმისა გამო ჩემისა, ხატის თელეთსა შინა სოფელსა მდებარე მიწა, რომლისაც ერთს მხარეს უძევს მუხრან-ბატონის მამული, მეორე მხარეს ჩემის საკუთარი ბაღის კევამდინ, ზევით მხარეს ყოვლადწმიდის საყდრის გორა. ქვეით მხარეს ბოლომდინ, სადამდინაც მე ვფლობ. ამ ოთხ მიჯნათა შორის შემოგწირე ოცის დღის ნაფუძარი მიწა ხოდაბუნად, რომელიც თქვენმა კრებულმა უნდა გამიჯნოს და უნდა იყოს ეს ჩემი შემოწირული თქვენდა პირო-მღვთისაო, ვ˘ა მწულილი იგი ოდესმე ქურივისა მის, და შენ შემწირველმან ამა ჩემის მცირის შესაწირავისამან

მომაგე შენი უხვი წყალობაჲ სულიერად და კორციელადცა! და რომელმაც კაცთაგანმან ამ ჩემის შეწირულობისა ცილობად კელჰყოს მახლობელმან ჩემმან, ანუ უცხომან — შენ მიაგე რისხუა შენი და ჩემთა ცოდუათათჳს იგიმცა განიკითხჳს დღესა სასჯელისასა. ხ˜ო დამამტკიცებელნი ამისნი შენ აკურთხენ საღმრთოჲთა კურთხევითა შენითა. ამინ. თავადი ფარსადან, ძე თეიმურაზისა ციციანოვი.

ეს შეწირულობის წერილი თავადის ფარსადან ციციანოვის თხოვით დავწერე, დეკა˜ოზი იესე ჩუბინოვი.

ჩემის ძმის თ. ფარსადანის შეწირულობის ყაბული მაქვს თ. დავით ციციანოვს, თეიმურაზის ძეს; ამ დავითის თხოვნით, რადგან წერა არ იცოდა, და მე ათანასეს დამიწერია პორფიროვს. მე კნეინა ანნა ამ ჩემი შვილის ფარსადანის შეწირულის თანახმა ვარ.

თხოვითა ფარსადან ციციანოვისათა თანა დამსწრე და მოწამე ვარ შეწირულობის წერილისა ამის მღუდელი ეგნატი იოსელიანი.

თხოვითა ფარსადან ციციანოვისათა თანა დამსწრე და მოწამე ვარ შეწირულობის წერილისა ამის მღვდელი იოსებ ბაქრაძე.“

№10. „არსებისა ხატო უცვალებელო ძეო, სიბრძნეო და სიტყვაო მამისაო, შემოქმედო ყოველთა ხილულთა და უხილავთაო, რომელმან შექმნენ ცანი და ქვეყანა და არა არსისაგან მომიყვანენ არსებად და ყოველნი საქმენი შენნი საკვირველ არიან, რომელმან ჰქმენ კაცი ხატად და მსგავსად შენისა ღ˜თაებისა, და შურითა მოძულისა ეშმაკისათა სცთა და გარდაჰდა მცნებასა კელმწიფებისა შენისასა, რომლისათვისცა დაისაჯა კაცთა ბუნება, გარნა შენ უსაზღვროჲთა მოწყალებითა არა უგულებელს ჰყავ დაბადებული შენი და გარდამოჰედ ქვეყანად მიუწთომელითა განგებულებითა და კაცთა ბუნებითა დაჰფარე ღვთაება შენი, რათა გამომიხსნა ჩვენ ტყვე ქმნილნი ჯოჯოხეთს შინა და ჩვენისა ცხოვრებისათვის დაითმინენ საშინელნი ვნებანი და შემდგომად ამაღლებისა დაგვიტევე თვით საუფლო სახე

ქელით-უქმნელი ხატი ღვთაებისა შენისა შესავედრებელად და მხსნელად ყოვლისა მწუხარებისა ჩვენისა. ამისთვის ჩუენცა ყოვლისა კაცობრივისა შეწევნისა და ზრუნვისაგან უღონო ქმნილთა მოვმართეთ შენსა საშინელსა ხატსა თვით შენსა ღვთაებასა შეხებულსა წინაშე! შენსა მიწასა ზ˘ა დაცვივნულთა და ესრეთ მხურვალედ ცრემლით მთხოველთა სამკვიდროსა მამა პაპათა ჩვენთასა და აღვსთქვით აღთქმა ესე უტყუელი ჩვენ ულირსთა ქვემორე ქელის მომწერთა: უკეთუ სათნო იჩინოს მოხედვა უსაზღვრომან მოწყალებამან შენმან და ჩვენ დასჯილნი ცოდვათა ჩვენთა სიმრავლითა ღირს ვიქმნნეთ გამოხსნად ტყეობისაგან და მამა პაპათა ჩვენთა სამკვიდროსა ზედა დამკვიდრებად, ყოველს წელიწადს მოვართმევდეთ ტაძარსა შენსა ორმოც ლიტრას წმიდას სანთელსა, ხუთ ლიტრას საკმელსა, ათ თუმანს თეთრს, ოც ხარს და ოცდა ათ სულს ცხვარს; და რომელიც საჭიროება ჰქონდეს დიდებულსა ტაძარსა შენსა აღსაშენებელი, ანუ განსაშვენებელი, ამით შეწირულებით და სხვითაცა შეძლებისაებრ ჩვენისა წარვმართებდეთ და მოვახმარებდეთ და ვინემ შვილნი და შვილის-შვილნი ჩვენნი იყვნენ თვისსა სამკვიდროსა ზედა, დაუცხრომელად მსახურებდენ საშინელსა ხატსა და ტაძარსა შენსა, ანჩის-ხატად სახელდებულსა; და ოდეს მივემთხვივნეთ სავედრებელსა და სათხოვარსა ჩვენსა სიგელიცა ესე განვაახლოთ და კახეთსა შინა ვენახიცა ერთი მოგართვათ საზედაშეთ ყოვლის თავის გამოსავლით ყოვლის კაცის უცილებლად და მოუდევრად. წელსა ჩყვ მონა ღვთისა ბართლომე, გიორგი მონა ღ˘ისა, მონა ღთისა დავით.

პარაკლისი

ხელით-უქმნელისა ანჩის-ხატისა

შედგენილი

ძველთა ხელნაწერ საგალობელთაგან

მ. პ. კ.

ტფილისი
1902

Тип. „Гутенбергъ“ (кн. Г. Діасамидзе).
სტამბა „გუტენბერგი“ (თ. გ. დიასამიძისა).

Дозволено Духовною цензурою. Тифлисъ, 13-го августа. 1901 г.

პარაკლისი
ხელითუქმნელისა ანჩის პირი ღვთის ხატისა.

მღვდელმან კურთხეულარს ღმერთი ჩვენი... მეუფეო ზეცათაო... წმიდაო ღმერთო... ყოვლად წმიდაო სამერაო... მამაო ჩვენო... უფალო შეგვიწყალენ იბ. მოველით თაყვანის ვსცეთ – გ.

უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა, ყურადიღე ვედრებაჲ ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა! შეისმინე ჩემი სიმართლითა შენითა და ნუ შეხვალ სასჯელსა მონისა შენისათანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი. რამეთუ ჰსდევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქვეყანად ცხოვრებაჲ ჩემი; დამსვა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკვდარი საუკუნოჲ. და მოეწყინა ჩემთანა სულსა ჩემსა და ჩემ შორის შემიძრწუნდა გული ჩემი. მოვიხსენე დღეთა პირველთა და ვიწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ხელთა შენთასა ვზრახევდ. განვიპყრენ შენდამი ხელნი ჩემნი და სული ჩემი, ვითარცა ქვეყანაჲ ურწყული, შენდამი. მსთვად შეისმინე ჩემი, უფალო! რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ვეჰმსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღვიმესა. მასმინე მე განთიად წყალობაჲ შენი, რამეთუჯ მე შენ გესავ; მაუწყე ძე, უფალო გზაჲ, რომელსაცა ვიდოდე; რამეთუჯ შენდამი აღვიღე სული ჩემი! მიხსენ მე მტერთა ჩემთგან, უფალო, რამეთუ შენ შეგევედრე! მასწავე მე, რათა ვჰყო ნებაჲ შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი! სული შენი სახიერი მიძღოდეს მე ქვეყანასა წრფელსა სახელისა შენისათვის; უფალო, მაცხოვნო მე და სიმართლითა შენითა გამოიყვანო ჭირისაგან სული ჩემი; და წყალობითა შენითა მოჰსრნე მტერნი ჩემნი და წარჰსწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი, რამეთუჯ მე მონა შენი ვარ.

დიდება-აწდა. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო გ. უფალო შეგვიწყალენ გ.

ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ, კურთხეულარს მომავალი სახელითა უფლისათა.

ა, მუხლი — აუარებდით უფალსა.

ბ. მუხლი — ყოველი თესლები გარე მომადგეს მე...

გ, მუხლი — არა მოვჰკვდე, არამედ ვსცხონდე და განვჰსთქვნე მე საქმენი უფლისანი.

დ. მუხლი — ლოდი, რომელ შეურაცხყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავკიდეთა; უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვირველ წინაშე თვალთა ჩვენთა.

ოხითა ანჩის-ხატისა, ხმა დ.

ლიტანიობდით და გალობდით, აქებდით და ადიდებდით ყოველი სული და ყოველი დაბადებული, ყოვლისა სოფლისა მხსნელსა და მფარველსა საშინელსა ანჩის-ხატსა, რომელსა უღაღადებენ კლარჯეთისანი იეროპოლით მოვიდა ხატი ესე საშინელი! ჩვენ მოსავთა მისთა მოგვანიჭებს ცოდვათა შენდობასა და დიდსა წყალობასა.

დიდება.

...უხრწნელსა ხატსა შენსა თაყვანისვსცემთ, ქველისმოქმედ, და ვითხოვთ შენდობასა ცოდვათა ჩვენთასა! ქრისტე ღმერთო, განზრახვით სათნო იყავ აღსლვა ჯვარსა ზედა, რათა იხსნნე, რომელნი შეჰქმნენ, მონებისაგან მტერისა. ვინაცა მადლობით გიღაღადებთ: სიხარულითა აღმავსენ ყოველნი ვითარ მაცხოვარმან ჩვენმან, მოსრულმან ცხოვრებად ყოვლისა სოფლისა.

აწდა.

შობამან შენმან ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმობრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩვენი. დაჰხსნა წყევა და

მოგვმადლა კურთხევაჲ და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრებაჲ საუკუნო.

მიწყალე მე ღმერთო... (სრულიად).

გალობა ა. სძლის პირი

ეტლთა მფლობელი...

რომელი დაუსაბამო არს ბუნებითა ღვთაებისათა, მხოლო ქრისტე ღმერთი ჩვენი, ხატი და ბრწყინვალებაჲ მამულისა მის დიდებისა, კაცქმნითა რაჲ გვეცნობა, არა თუ ნატაცებად აღვიარებთ, ეგრეთვე ხატსა მისსა აწ თაყვანის ვსცემთ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

სინას ღრუბლითა და ნისლითა, და თაბორს დიდებითა, განცხადებული, ძისა ღვთისა ხატი, თვით უცვალებელი იგი სახე, დღეს შემოვალს ჩვენდა მეუფე, რომელსა მივეგებნეთ სურვილით, და ძრწოლით ამბორს უყოთ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

ენასა კაცთასა ზეშთა არს, გალობაჲ შენი დიდებულო ხატო! თაყვანისცემულო თვით მის პირმშოსა ხატისა თანა, რამეთჳ შენზედა დაჰბეჭდა, თვისი გამოცხადებაჲ, არამედ ვითარცა კაცსა მას ღმერთად, ეგრეთვე შენ გქადაგებთ ხატად ღვთაებისა მისისა.

გალობა, გ. სძლის პირი

განმაძლიერებელ...

ნუ სცთებით ღვთის მბრძოლნო ჩვენდა მომართ. დაღაცათუ ხელით უქმნელ არს, სიშინელი ესე ბეჭედი, არა ღვთად თაყვანის ვსცემთ, არამედ ღვთისა კაც-ქმნილისა, განათლებულთა მათ ხორცთა, ზეშთა გამოთქმისა თანა შევარწყუამთ.

დიდება შენდა ღმერთო...

ვითარცა იგი პირველ თაბორს. განბრწყინვებულმან დიდებით,

მოწაფენი შენნი აღავსენ. ქრისტე სიხარულითა, გამოჩნდინ ჩვენ ზედა ნათელი პირისა შენისა დღეს, უხრწნელისა ხატისა შენისა.

დიდება შენდა ღმერთო...

აღვიტყველნეთ ხელნი ქართველნო, უგალობდეთ მეუფესა. ჩვენსა ღმერთსა უგალობდეთ დღეს. შემოსლვასა წმიდისა და უხრწნელისა ხატისა მისისასა, რომელი მოგვენიჭა წამისყოფითა ზეგარდამოდთა.

მეუფეო ქრისტე ღმერთო შეიწყალე მონა (ანუ მხევალი), ესე შენი.

გვიხსენ განსაცდელთაგან მონანი შენნი ყოვლად არსო მამისა თანასწორო ძეო, რამეთუ ჩვენ ყოველნი მართლმორწმუნენი შენდა მოვივლტვით, ვითარცა ყოვლად ძლიერისა ზღუდისა და ყოვლად უძლეველისა.

მოიხილე ჩვენ ზედა ყოვლად სახიერო და ხორცთა ჩვენთა წყლულებანი ბოროტნი განჰკურნენ და სულისა ჩვენისა სნეულებანი.

მღვდელმან: შეგვიწყალენ ჩვენ ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, კაცთმოყვარე გევედრებით, ისმინე და შეგვიწყალენ.

უფალო შეგვიწყალენ, გ.

მერმეცა გევედრებით მოწყალებისა, სიცოცხლისა, მშვიდობისა, სიმრთელისა, დღეგრძელობისა, განათლებისა და კეთილად წარმართებისა მონისა (ანუ მხევლისა) ამის შენისა (სახელი), განამრავლენ, უფალო, ჟამნი და წელნი ცხოვრებისა მისისანი და იხსენ იგი, უფალო, ყოვლისაგან ძვირისა, რისხვისა, იწროებისა და ყოვლისაგან წყლულებისა სულისა და ხორცთასა, და მიუტევე ამას, უფალო ყოველნი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი.

უფალო შეგვიწყალენ, გ.

მერმეცა გევედრებით ყოველთა ძმათა და ყოველთა ქრისტიანეთათვის.

უფალო შეგვიწყალენ, გ.

რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღვავლენთ მამისა და ძისა და წმინდისა სულისა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ.

წარდგომა, ხმა დ.

მოვედით დღეს შვილნო აღმოასვალისა ეკკლესიისანო, და მწყობრნო ქართველთანო, და ვიხარებდეთ ერთბამად მეფისა თანა მაღლისა! მთავარნო მღვდელთ-მთავართა თანა შემოვჰკრბეთ, და აზნაურნი მღვდელთა თანა ვმწყობრობდეთ. და ვაქებდეთ ძესა ღვთისასა, რომელმან მოგვცა ხატი თვისი ხელით-უქმნელი, მფარველად სულთა და ხორცთა ჩვენთა.

გალობა დ, სძლის პირი.

მესმა უფალო განგება...

ქრისტეს ღვთად აღმსარებელნო, მოვედით ვიხილოთ წმინდაჲ ხატი მისი, მოწაფეთა თაბორსზედა. ღვთაებისა დიდებითა იხილეს.

დიდება შენდა ღმერთო...

იგი არს ღმერთი ჩვენი, რომელი კაცთა შორის იქცეოდა ვითარცა კაცი და ამაღლდა ზედაც ვითარცა ღმერთი, და დაგვიტევა მისი უხრწნელი ხატი.

დიდება შენდა ღმერთო...

ხატი ღვთაებისა კაცთა, ბუნებისაგან უხილავ არს და მიუწდომელ, არამედ ღვთისა კაც-ქმნილისა ხატსა, ხატად ქრისტეს ღვთისად აღვიარებთ.

დიდება შენდა ღმერთო...

ბუნებაჲთა უზეშთაეს. გამოიხატვის ღვთისმშობელო

ქრისტე შენ შორის. და კვალად ვიხილეთ ღმერთი სრული ჩვენ შორის და ეგრეთვე ხატითა ხელით-უქმნელითა.

გალობა ე სძლის პირი.

ტაკუკთაგან მდიდართა, შენთა მ ცხოველსმყოფელო ხატო ქრისტესო, აღგვავსე ერი შენი, რომელნი სარწმუნოებით თაყვანისგცემთ, და ძრწოლით ვადიდებთ ნიშსა შენსა, და ფსალმუნთა. და გალობათა მიერ შეგასხამთ.

დიდება შენდა ღმერთო...

სწავლულნი მოძღვრებითა. მამათაჲთა ღუთისმშობელისაგან. მიხმულთა ხორცთა. ქრისტესთა ღუთისა ხორცად თაყვანისვსცემთ და ეგრეთვე ხატსა ამას, მისთანა ხატად ღუთისად თაყვანისვსცემთ ვითარცა რაჲ მისგან დაბეჭდულსა უცვალებელად.

დიდება შენდა ღმერთო...

ხატსა კაცობრივისა არსებისასა, დაბეჭდულსა თავადისა მიერ მეუფისა, თაყვანისვჰსცემდეთ მორწმუნენო, რამეთუ ხატისა გამოხატულისა, პატივი და დიდებაჲ აღვალს პატივად პირველ სახისა.

გალობა ვ, სძლის პირი.

მომიტვვენ სახიერ...

ღმერთი არა იხილვის, ბუნებითა ღუთაებისაჲთა, არამედ ჩვენ ქრისტემან. მამულსა ხატსა რავდენ დავიტეედით, ბრწყინვალებაჲსა, ღირსგვყვნა თაბორს მხილველნი.

დიდება შენდა ღმერთო...

მეუფეო მაღალო, რა შევწიროთ შენდა მონათა, რომელმან ხატი შენი, უცვალებელი სახე, საუფლოთა ხელითა მოიღე წმიდით, პირით და მოგვანიჭე იგი.

დიდება შენდა ღმერთო...

რომელნი არა ხორცთა, ღუთისა თანა ხატსა ამას, თაყვანისსცემენ ძრწოლით, შეურწყმელად პატივითა, დაიყავნ პირი მათი და ნუღარამცა, უხილავს დიდებაჲ შენი ღმერთო.

მეუფეო ქრისტე ღმერთო შეიწყალე მონა ესე შენი.
გვიხსენ განსაცდელთაგან... მოიხილე...
მღვდელმან: მერმე და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

უფალო შეგვიწყალენ.
შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცვენ ჩვენ ღმერთო შენითა მადლითა.

უფალო შეგვიწყალენ.
ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა თავნი თვისნი და ურთიერთარს და ყოველი ცხოვრება ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ.
შენ უფალო.
რამეთუ შენ ხარ მეუფე მშვიდობისა და მაცხოვარი სულთა ჩვენთა და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე.
ამინ.

კონდაკი, ხმა დ.
მზეებრ მზისა ღმერთი გამოგვიჩნდა, ვითარცა თაბორს. ეგრეთვე აქა და ვითარ პირველ ტილოსა. ეგრეთვე კუალად კეცსა ზედა. მაცხოვრად მღაღადებელთა. შენ თაყვანისგცემთ ხატო საშინელო!

ხმა ა.
საშო რა ქალწულებრივი...

დღეს ცხოვრებისა ჩვენისა მაცხოვარებისა დღესა და ქვესკნელისა სიღრმით აღმოწოდებისა ჟამსა ვიხარებდეთ, რამეთუ ღმერთი კაც-იქმნა ჩვენთვის, და ბუნება ჩვენი ღმერთ-ჰყო, და ხატისა ჩვენისა მიმღებელმან ხატი ხორცთა მისთა არსებისა მოგვანიჭა საძლეველად და დასამხობელად მტერთა ჩვენთა, რომლისა მიმართ ვჰხმობდეთ, დაამხვენ მტერნი ჩვენნი ხილულნი და უხილავნი, და დაიცვენ სიმტკიცით მეფე ჩვენი, რომელი შეიყვარე მხოლოო კურთხეულო.

წარდგომა: უფალო ნათლითა პირისა შენისათა ვიდოდეთ და სახელითა შენითა ვიხარებდეთ უკუნისამდე.

მუხლი. იხილეს ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა მაცხოვარება ღვთისა ჩვენის.

მღვდელმან. უფლისა მიმართ ვილოცოთ.

უფალოო შეგვიწყალენ.

რამეთუ წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩვენო...

ამინ

ყოველი სული აქებდით უფალსა...

ღირს ყოფად ჩვენდა — სმენად წმინდისა სახარებისა უფალსა ღმერთსა ჩვენსა ვევედრნეთ...

უფალო შეგვიწყალენ...

სიბრძნით აღმერთენით...

სახარება ლუკასი

მას ჟამსა შინა და იყო შემდგომად აღსრულებისა დღეთა აღსლვისა მისისათა და თავადმან დაამტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალიმად. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისსა და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რათა მორაჲმეუმზადონ მას, და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალიმად. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოანე — ჰსთქუმს: უფალო, გნებავსა, რათა ვსთქუათ და ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით და აჴოცნეს იგინი ვითარცა ელია ყო. მიექცა იესო და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცითა, რომლისა სულისანი ხართ თქუმნ, რამეთუ ძე

კაცისა არა მოვიდა წარწყმედად სულსა კაცთასა, არამედ ცხოვრებად. და წარვიდეს სხუასა დაბასა. და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა: ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ და არა ვინ იცის – ვინ არს მამაჲ გარნა ძემან, და არცა ვინ იცის ვინ არს ძე გარნა მამამან, და ვისა უნდეს ძესა გამოცხადების გამოუცხადოს. და მიექცა მოწაფეთა მისთა თვისაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუალნი რომელნი ხედვენ, რომელთა თქუმნ ხედავთ, და ესმის, რომელი თქუმნ გესმის. ხოლო გეტყჳ თქუმნ, რამეთუ მრავალთა წინასწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვაჲ რომელსა თქუმნ ხედავთ და ვერ იხილეს, და სმენად რომელი თქუმნგესმის და ვერ ესმა.

დიდება...

მოწყალებითა შენითა მრავალ-მოწყალეო, ღმერთო, აღხოცენ ცოდვათა ჩვენთა სიმრავლენი.

აწდა... მეოხებითა წმინდისა ღვთის-მშობელისათა, მოწყალეო, აღხოცენ ცოდვათა ჩვენთა სიმრავლენი.

მიწყალე მე ღმერთო...

ხმა ვ.

დავჰბეროთ ნესტჳსა საღმრთოთა გალობათასა და ქებით ვადიდებდეთ სიტყჳასა ღმერთსა, რათა მოჰსცეს ძალი სიტყჳასა ჩვენსა, ქების-მეტყველებად ხელით-უქმნელისა ხატისა, და დაგვიფარნეს მადლითა მისითა აჩრდილსა ქუეშე მისსა შევედრებულნი სულით და ხორცით.

მღვდელმან აცხოვნე ღმერთო ერი შენი... (სრულიად)

უფალო შეგვიწყალენ იბ.

წყალობითა და მოწყალებითა და კაცთ-მოყვარებითა მხოლოდ შობლისა ძისა შენისათა...

ამინ.

გალობა ზ, სძლის პირი.

საღმრთოჲსა შურის...

ელიას და მოსესგან ღვთად აღსარებული მეუფე, მამისა დიდებითა, დანბრწყინვებული დღეს უცვალებელად, ყოვლად უხრწნელსა ხატსა თვისსა მოგვანიჭებს, ტილოსა ზედა გადმოტუჟრებულსა.

დიდება შენდა ღმერთო ჩვენო...

ევლავიოს ნეტარი, ხატსა რაჲ საუფლოსა გამომაჩინებელ იქმნა, საშინელისა მისგან, სხვაჲ გარდმობეჭდული იქმნა კეცსა ზედა, რომელი იგი ღირსისა ანტონისაგან, წამისყოფითა ღვთისაჲთა მოგვენიჭა საძლეველად მტერთა.

დიდება შენდა ღმერთო...

მასვე აღვიარებთ, ღვთის მშობლისა მარიამისაგან შობილსა, რომელ დასაბამსა, მამისა და სულისა თანა მოქმდებდა, და ყოვლად უხრწნელსა ხატსა მისსა, მისთანვე თაყვანისვჰსცემთ, ღვთისა კაც-ქმნილისა ხატად.

გალობა წ. სძლისპირი.

შვიდ წილ აღაგზ...

სიხარულით განცხრებოდეთ. მეფენი მღვდელთ-მთავართა თანა, მთავარნი ერისანი, ჭაბუკნი და ქალწულნი, მოხუცებულნი, ყრმანი, და ყოველი სიმრავლე ერისა, ვითარცა პირველ იერუსალიმის შესლვასა ქრისტეს მეუფისასა, და ოსანასა ულაღადებდეთ, დღეს უხრწნელისა, ხატისა მისისა ჩვენდა შემოსლვასა.

დიდება შენდა ღმერთო...

საკვირველ არს ტაძარი შენი, მაღალო ღმერთო! სავსე სიმართლითა, და ბრწყინვალებითა და შვენიერებითა, პატიოსნებითა და სიკეთითა ელვარებითა, რამეთუ შემოსლვასა უხრწნელისა ხატისასა, და ყოვლითურთ ყოველთა მორწმუნეთა განანათლებს, და ზეცისა ერჰყოფს, ამისთჳს ყოველნი შენ თაყვანის გცემენ...

დიდება შენდა ღმერთო...

აჰა ესერა ცხორებაჲ ჩვენი წინაშე ჩვენსა მდებარე არს, აჰა გამოხსნა ჩვენი მოვედით მივეახლნეთ, განწმედილნი ყოვლითურთ, და ძრწოლით ამბორს უყოთ დიდებულსა, უხრწნელსა ხელით-უქმნელსა სახესა, ხატსა ქრისტეს ღვთისასა, და მოვიღოთ ბრალთა შენდობაჲ, და კურნებაჲ სენთა, მის მიერ და დიდი წყალობა.

გალობა თ, სძლის პირი.

დავითის თანა ვღაღადებდეთ ერნო, ყოველთა ქართველთა აღიტყველენით ხელნი თქვენნი, სიხარულით ღაღადებითა ბრწყინვალედ, ყრმათა თანა მივეგებვოდეთ, ვღაღადებდეთ კურთხეულხარ შენ, უცვალებელო ხატო ქრისტეს ღვთისაო ჩვენდა, სიმდაბლით მოსრულო გვაცხოვნენ ჩვენ.

დიდება შენდა ღმერთო...

ერნო ქართლისანო გიხაროდენ და, აღიპყრენით ხელნი და მადლობაჲ შეწირეთ ხატსა ამას ყოვლად უხრწნელსა ხელით-უქმნელსა, რამეთუ ესე არს სამეფოჲსა, ამის სიმტკიცე ძალი და დიდებაჲ, და ვხმობდეთ მოანიჭე. მეფესა ჩვენსა ძლევა. ქრისტეს ღვთისა ხატო საშინელო.

დიდება შენდა ღმერთო...

საღმრთოო ხატო ქრისტეს ღვთისა ჩვენისაო, ანგელოზთაგან ძნიად საგალობელო, სურველი და წადიერებაჲ ჩვენი მიიღე, და კადნიერებისათვის ნუ დაგვსჯი, გარნა ნაცვლად გვიხსენ განსაცდელთაგან, და ბრალთა ჩვენთა დიდთა, შენდობაჲ მოგვანიჭე, უნდოდ მგალობელთა ამათ შენთა.

მეუფეო ქრისტე ღმერთო...

ღირს არს ჭეშმარიტად (სრულიად). მღვდელმან აკმიოს.

ხმა ა.

შენ სიტყვა...

შენ გშვენის გალობა ღმერთო, მწყობრთაგან ბობღანითა, ორღანოჲთა ძნობითა, რომელმანცა ცოდვილნი ღირს მყვენ ჩვენ განცდად, რომელიცა არს უხრწნელი ხატი შენი, ღვთივ შვენიერისა ხატებისა შენისა, რომელსა შენ თანა თაყვანისვჰსცემთ.

შენ გშვენის გალობაჲ ღმერთო! წინწილი ებანთაგან, სულისაგან მორთულთა, და მღაღადებელთაგან, კეთილად ხმითა და ყოველი, სული შენ გაქებს უფალო, რომელმან ხატი შენი თაყვანის-საცემლად მოგვმადლე.

დღეს წყალობაჲ ღვთისა გარდამოეფინა ჩვენ ზედა მდიდრად, დღეს ეკკლესია შეიმკვების ბრწყინვალედ, და მღვდელთმოძღვარნი მადლსა შეიმოსენ, დღეს მეფენი ზეგარდამო ძალსა მოიღებენ. და მთავარნი ღვთისა მიერ განმდიდრდებიან, დღეს ყოველი დაბადებული განსცხრების, შემოსლვასა ქრისტეს ხატისასა ჩვენდა, და ჩვენ მათ თანა ვღაღადებთ და ვიტყვით დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობაჲ.

დიდება — აწდა...

ხმა ვ.

აჰა ესერა დღე სიხარულისა და ცხორებისა აღმოგვიბრწყინდა! აჰა ესერა იქმნა მხიარულებაჲ მორწმუნეთა მართლმადიდებელთა ეკკლესიისა შვილთა! ხოლო უფროჲსღა ერნი ქართველთანი განვჰსცხრებით, რამეთუ ვდღესასწაულობთ რა ღვთისა დედისა დაძინებასა, ვითარცა უსაკუთრესისა მფარველისა ჩვენისასა, ამასცა ღვთივ დიდებულსა დღესასწაულსა უმხიარულესად დავჰსძინებეთ, რამეთუ ხატი ხელითუქმნელი მისგან შობილისა ღუთისა წინაშე ჩვენსა მდებარე, არს და შობილსა მას მშობელისა თანა სარწმუნოებით ვადიდებთ.

მღვდელმან შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა....

უფალო შეგვიწყალენ გ.

მერმეცა გევედრებით მოწყალებისა, სიცოცხლისა...

უფალო შეგვიწყალენ ვ.

მერმეცა ვევედრნეთ, რათა დაიცვას უფალმან ღმერთმან ჩვენმან ქალაქი ესე და ყოველნი სოფელნი და ქალაქნი სიყმილისაგან, სრვისა, ცეცხლისა, დანთქმისა, რღვნისა, უცხო თესლთა ზედა მოსლვისაგან და ყოვლისაგან სიკვდიდ-შემოსილისა წყლულებისა, და რათა მოწყალე გვექმნას ჩვენ ღმერთი კეთლად ცხოვრებისათვის და გარე წარაქციოს რისხვაჲ მარად დღე ჩვენზედა მომავალი და შეგვიწყალნეს ჩვენ.

შეისმინე ჩვენი, უფალო ღმერთო მაცხოვარო ჩვენო. სასოო ყოველთა კიდეთა ქვეყანისათაო, და რომელნი არიან ზღვათა შინა შორს და მლხინებელ ექმენ მეუფეო შეცოდებათა ჩვენთა და შეგვიწყალენ ჩვენ.

რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა...

ამინ.

მღვდელმან. მერმე და მერმე მუხლმოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

უფალო შეგვიწყალენ.

ლოცვა მუხლ-მოდრეკით სავედრებელი.

ჲ, ყოვლად სახიერო, თვით მამისა თანა არსო ძეო, თუალთ-შეუდგამო წმინდათა ანგელოსთა და მთავარ-ანგელოსთაო, და ყოველთა დაბადებულთა შემოქმედო! შეუწევნელთა შემწეო, უსასოთა სასოო, გლახაკთა შესავედრებელო, მწუხარეთა ნუგეშინის-მცემელო, მშიერთა გამომზრდელო, შიშველთა სამოსელო, სნეულთა მკურნალო, ცოდვილთა ცხოვრებაო და ყოველთა ქრისტიანეთა შემწეო და შესავედრებელო!

ჲ, ყოვლად მოწყალეო და სახიერო, მოწყალებითა შენითა აცხოვნენ და შეიწყალენ კეთილმსახური და ქრისტესმოყვარე მეფე ჩვენი (სახელი), კეთილ მორწმუნე და ქრისტეს მოყვარე დედოფალი (სახელი), ძენი და ასულნი მათნი, აცხოვნენ სახიერო და შეიწყალენ უწმინდესი და უმართებელესი სინოდი და ყოველნი სამღვდელო და სამონოზონო წესნი და მონა ესე (ანუ მხევალი, სახელი) და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი სამოსლითა შენითა წმიდითა და მტკიცითა საფარველითა დაგვიფირენ!

გევედრებით შევრდომით მთხოველნი, შენ მამისა წიაღთა შორის განუშორებელსა, უთესლოდ განხორციელებულსა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რათა შეგვჰურნე ჩვენ მონანი შენნი ძალითა შენითა უძლეველითა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩვენთა ზედა.

ჲ, ყოვლად მოწყალეო და სახიერო, აღმოგვიყვანენ ჩვენ სიღრმეთაგან ცოდვათასა და გვიხსენ ჩვენ სიყმილისაგან, სრვისა და ძრვისაგან, ცეცხლისა, მახვილისა და ზედა მოსლვისაგან უცხო-თესლთასა და ტომითისაგან ბრძოლისა და უცნაურისა სიკვდილისაგან, და ზედა დასხმისაგან მტერთასა და განმხრწნელისაგან ქარისა, და ყოვლისაგან სიკვდილ-შემოსილისა წყლულებისა და ყოვლისაგან ბოროტისა! მოგვეც, ჲ სახიერო და კაცთ მოყვარეო მშვიდობა და სიმრთელე მონათა ამათ შენთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, და განანათლენ გონებანი ჩვენნი და თვალნი გულისა ჩვენისანი, რათა ვჰსცხონდეთ და ღირს ვიქმნეთ ცოდვილნი მონანი შენნი სასუფეველსა შენსა, რამეთუ მეუფება შენი კურთხეულარს თანა მამით და ყოვლად წმიდით და ცხოველს მყოფელით სულითურთ აწდა მირადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

მღვდელმან ჩამოილოცოს.



ანჩის მონასტერი და იოანე ანჩელი

ძველი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურს და სულიერების კერა ანჩის მონასტერი მდებარეობს ტაო-კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა“ სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამწყალას ხეობაში სოფ. ანჩიდან ერთი კმ-ით აღმოსავლეთით მცირე ბორცვის წვერზე . ანჩის მონასტრის დაარსება სავარაუდოდ VI-VII საუკუნებში მომხდარა 738 წლის არაბთა შემოსევის წინ. ანდერძ-მინაწერების ანალზი ადასტურებს, რომ ანჩის მონასტერში IX საუკუნიდან XVII საუკუნებმდე შემოქმედებით სასულიერო საქმიანობა არ შეწყვეტილა არასდროს. მხოლოდ, ტაო-კლარჯეთის უძველეს ქართულ სავანეთა მსგავსად ანჩა დაიცალა XVII საუკუნის შუა ხანებში თურქეთის დამპყრობლური პოლიტიკის, ოსმალოთა თარეშის შედეგად, როცა თურქთა სისხლისმსმელი ხელისფლების მიერ შევიწროვებულმა ივერიელმა ბერებმა საბოლოოდ დატოვეს მონასტერი. მოუვლელობის და თურქთა მიერ ძარცვა-რბევის მიუხედავად ანჩის მონასტერი როგორც ჩანს მაინც იდგა კარგ მდგომარეობაში, რასაც მოწმობს მე-18 საუკუნეში ვახუშტის აღწერა. როცა ანჩის მონასტერი ინახულა ცნობილმა ქართველმა ისტრიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ 1879 წ-ს იგი უკვე ძლიერ დაზიანებული იყო. აი როგორც აღწერს ამ მიდამოს დ.ბაქრაძე: „ანჩელის სამწყსო: სამწყალს აქეთი სანცხას და ოპიზას შუა დახატულა, იმას ქვემოთ ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღმართი გინიას სამზღვრამდინ.“ 1904 წელს ანჩა გამოიკვლია და მოლედ აღწერა ნიკო მარმა. საქართველოს ამ უძველესი მხარის კვლევას მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა წმინდა ექვთიმე თაყაიშვილმა“ „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრების აღწერასა და კვლევას ისტორიულ

ტა-კლარჯეთსა და შავშეთში სქელტანიანი ნაშრომი მუძღვნა ბ-ონმა ვახტანგ ჯობაძემ 2007წ-ს სადაც მისი 1975 წელს ამ მხარეში ჩატარებული ექსპედიციის შედეგებია თავმოყრილი.

იოანე იყო ანჩის მთავარ ეპისკოპოსი თამარ დეოდოფლის მეფობის დროს (1184-1213წ.) მის შესახებ ცნობები მწირია. მის სახელს უკავშირდება კონსტანტინოპოლიდან ანჩაში მობრძანებული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მოჭედვს ისტორია. პოლიევქტოს კარბელაშვილმა (პ.ცხვილოელის ფსევდონიმით) გაზეთ „ივერიაში“ 1900 წელს (№ 229) და კრებულში „მატერიალა პო არხეოლოგიი კავკაზა“ ბიპ. XII ცტრ. 151-158, გამოთქვა მოსაზრება, რომ ოპიზის მონასტრის წინამძღვარი ანტონი არის ანტონ საღირის ძე-ქუთათელ მთავარეპისკოპოსი, რომელმაც დაადგა თამარს გვირგვინი გამეფებისა.“ კორ. კეკელიძე პოლიევქტოს კარბელაშვილზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რომ „არსენ ბერიც საღირის ძე ყოფილა“ და „შესაბამისად, იოანეც (იგულისხმება იოანე ანჩელი – ვ.ო.) ყოფილა საღირს ძე, რადგან ისიც ძმა იყო არსენისა და ანტონისა.“ პოლიევქტოს კარბელაშვილი თვალსაჩინო ჰიმნოგრაფის არსენ ბულმაისიმისძის (XIIს-ის პირველი ნახევარი) საკათალიკოსო მოღვაწეობთ და ჰიმნოგრაიული მემკვიდრეობითაც იყო დაინტერესებული და გამოკვლევაც მიუძღვნია მე-20 საუკუნის დასაწყისშ. „ქართლის კათალიკოზ“ არსენ ბულმაისიმისძის ცნობილი „გალობითა თქმულია“ „მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმნი მიძღვნილი“ საგალობელი.

ქალბატონ ნესტან სულავას მოსაზრებით იოანე ანჩელის საგალობელი შამქორის ომამდეა (1195წ 16 ივნისი) შექმნილი. გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა იოანე ანჩელის საგალობლის შემცველი ხელნაწერის აღწერილობასთან ერთად გამოაქვეყნა საგალობელის ტექსტიც 1903 წელს, სადაც გამოთქვა ვარაუდი, რომ წმინდა ანდრია მოციქულმა საქართველოში ჩამოიტანა არა აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, არამედ თვით ქრისტეს ხელდუქმნელი

ხატი. (ჩემის ვარაუდით ანდრია პირველწოდებულმა შეიძლება ორივე ერთად ჩამოიტანა –ვ.ო)


იოანე ანჩეილის ,,გალობანი ანჩისხატისანი" ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერითაა მოღწეული და შემონახული. იგი გადაწერილია 1721 წელს, სავარაუდოდ დომენტი IV (ბაგრატიონი) კათალიკოსის (1705-1724წ) დაკვეთით. აღნიშნული ,,გალობანის" ტექსტი პირველად ცნობლიმა ისტოიკოსმა და მკვლევარმა მოსე ჯანაშვილმა გამოაქვეყნა 1903 წელს თავს ნაშრომში: ,,Описание рукописей церковного музея".

იოანე ანჩელმა არა მარტო შეამკობინა თამარ მეფის ბრძანებით ,,ნივთის ბოძებითა" ,,ოქროსმოქნადაკებელ" ბექა



კლარჯეთის ანჩის ტაძრის ნანგრევები — 1904წ.

ოპიზარს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი – პირი ღვთისა, არამედ მან საგანგებო საგალობელიც შექმნა – ,,გალობანი ანჩისხატისანი", რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ და რომლის აკროსტიხიც ბიბლიოგრაფიულ ცნობასაც იძლევა მისი შემოქმედის იოანე ანჩელის შესახებ: **,,საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდოი იოანე ანჩელი."**



იოანე ანჩელი
გალობანი ანჩისხატისანი

თავნი იტყჳან: ,,საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდო იოვანე ანჩელი‘‘

უგალობდითსა ქმაჲ გ გუერდი

წამისყოფითა

სიბრძენო მამისაო, დასაბამო და მიზეზო კეთილისაო, ღმერთო, ღმრთისა სიტყუაო, ქრისტე, მომმადლე მე სიტყუაჲ მადიდებელსა ხატსა განკაცებისა შენისასა.

აღიძვრიან ენანი პირველადვე უწყებულნი, ადამის ტომთა ერთა და ენათანი ქებად, გალობად და დიდებად ქებულსა და დიდებულსა მაცხოვრისა ხატსა საშინელსა.

შეგჳწყალენ, მოწყალე[ო], ქმნილნი და დიდებულნი შენნი, რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი შენი წმიდაჲ და საშინელი, რომელთათჳს განჰკაცენ სიტყუაჲ მამისა დაუსაბამოჲსა.

ისმინე ვედრებისა ჩუენისა და შევრდომისა და მსწრაფლ გამოგჳკსენ ყოველთა ჭირთაგან შენნი მოსავნი და მოქენენი და მომლოდინე წყალობისანი, ხატო საშინელო.

ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაჲ და დიდებაჲ და შესხმაჲ შენი, ხატო არსთა კსნად განკაცებულისა ძისა ღმრთისაო, მეოხო მარადის მოსავთა შენთაო.

ისაია წინაჲსწარ გჳქადაგა განკაცებაჲ და ვნებაჲ ვნებულთათჳს და დაკსნა შენ მიერ, ნათელო და ნათლისა ღმრთისა / სიტყუაო ღმრთისა მამისაო, იესუ ქრისტე.

ლოცვაჲ ჩუენი ისმინე და მოხედენ ვედრებასა და სულთქუმასა ჩუენსა და ,,ნუ გარემიიქცევ პირსა შენსა‘‘ (ფს. 26, 9) ჩუენგან, არამედ წყალობით მოგუხედენ ოხითა მშობლისა შენისაჲთა.

განძლიერდასა:.

ღმერთო მაცხოვარო

საკურველებანი შენნი ვინ-მე მიუთხრნეს, უფალო, ანუ ვინ სასმენელყვნეს ქებულებანი შენნი, რამეთუ მოსწყლავ თანალმობითა შემცოდეთა და ჰკურნებ წყალობი/თა განწირულთა.

აჰა ესერა მოვივლტვით შენდა მომართ მოწყალისა, მაცხოვრისა და მკურნალისა, და მოქენენი შეგივრდებით და ვითხოვთ მოწყალებით, შეგჳწყალენ, ანჩისხატო საშინელო.

ამისათჳსცა ერი შენი ჭირვეულნი [შეგივრდებინ] გალობით, სულთქმუმითა და ტირილითა, რამეთუ უწყით მოწყალებაჲ შენი, აწცა მოდერკ მწყალობელად და გუაცხოვნენ, მაცხოვარო, მონანი შენნი.

ნუ განგჳრი/სხნები, მჴსნელო, ნუ გულისწყრომით გუამხილებ, ნუ რისხჳთა შენითა გუასწავლი (შდრ. ფს. 6, 2), არამედ რისხუასა შინა წყალობანი შენნი პირველნივე მოიჴსენენ, მაცხოვრისა ხატო საშინელო.

ჩუეულებისაებრ აღვსძრავთ, ქრისტე, სიტყუაო ღმრთისაო, მეოხებად უბიწოსა მშობელსა შენსა, გჳჴსნენ ოხითა მისითა ჭირთა და განსაცდელთაგან უღირსნი ესე მონანი შენნი.

მესმასა:.

ქრისტე ღმერთო

ონებე რაჲ მოქცევაჲ ჩუენი, ურწმუნოთა, სარწმუნოებად, ქრისტე ღმერთო სახიერო, ხატი განკაცებისა შენისა მოციქულისა ანდრიაჲს მიერ გამოგჳბრწყინვე.

სმენა ესმა ამბაჲკომს პირველ მოსლვისა შენისა, ღმერთო, სიტყუაო ღმრთისაო ქრისტე, განკჳრვებით ღაღად-ყო, რომლისა თანა ჩუენცა ვჴმობთ, დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

არავინ არს ჩუენ კაცთაგანი მორწმუნეთა, ხატო საშინელო, რომელმანცა ხადა სახელსა შენსა და არა მყის მიემთხჳა/შენ მიერ წყალობასა დიდსა, დიდებაჲ შენდა.

ხილულისა ღმრთისა სიტყჳსა, არსთა ჴსნად განკაცებულისა, ხატო საშინელო, სახიერო და მოწყალეო, მოწყალებით მოგუხედენ და დაგჳცვენ მოსავნი ესე შენნი.

აღიძრვიან ყოველნი ერნი, ზეცისა და ქუეყანისანი, დიდებად

და გალობად შენდა, მშობელო ღმრთისაო, გჯობენ მოსავნი ესე შენნი და ძისა შენისანი.

ღამითგანსა:.

ღამე ბნელი

ტკბილი, სახიერი და მოწყალ/ე პირი შენი დაატკბე ჩემ ზედა, ხატო საშინელო, რამეთუ შენ ხარ შუებაჲ და სიხარული და ნუგეშინის-მცემელი და კელის ამპყრობელი.

სიტყუაო ღმრთისაო, დეგ ჩუენ თანა და მარადის დღე და ღამე გუცევდ და გუფარევდი ყოველთა ჟამთა, შემწე გუეყავ, და გჯკსენ ჩუენ ხილულთა და უხილავთა მტერთაგან.

ადამის ტომთა დიდებაჲ და სიქადული და სამკაული შენ ხარ, სიტყუაო ღმრთისაო, შენ მოწყალე ყავ/ჩუენ ზედა ძე შენი და უფალი ყოველთა და შემოქმედი.

ღაღადყავსა:.

დანთქმული ღელვათაგან

ოდეს იგი ჰყოფდე განსჯასა ჩუენსა საშინელებით, იესუ სიტყუაო ღმრთისა სახიერებისაო, მას ჟამსა შემეწიე და დამიტკბი, მრავალმოწყალეო, და ნუ მოიხსენებ ცოდვათა და ბრალთა ჩემთა.

ბუამოვნებით სამო, ბუნებით ერთო, მხოლოო, მარტიო უცვალებელო, ხატო მამაო და ძეო და სულო წმიდაო, დაგჯცვენ ჩუენ უღირსნი ესე მო/ნანი შენნი და გჯკსენ ყოველთა განსაცდელთაგან

აწცა შეგივრდები და მარადის გევედრები ცოდვილი და უღირსი მონაჲ შენი საწყალობელი, და თანალმობით გამომიკსენ ყოველთა ჭირთაგან მოსავი შენი, ხატო საშინელო.

ლომებრ გუექადიან მტერნი ჩუენნი და გუეცინიან, არამედ შენ, ხატო საშინელო, მკლავითა შენითა შემუსრენ, რომელ ცნან ყოველთა, ვითარმედ შენ ხარ ძალი ჩუენი და სიმტკიცე ჩუენი.

ოჯწყებულმან პირველ / წინაჲსწარმეტყუელმან სულითა იხილა განკაცებაჲ ღმრთისაჲ ჩუენისა და ესრეთ ღაღად-ყო: აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, (ეს. 7, 14) ისმინეთ

წარმართთა და იძლიენით.

ბაგითა უღირსითა ვიკადრებთ შენდა მდაბალნი ესე და უღონონი მონანი შენნი და ვადიდებთ და თაყუანის-ვსცემთ მოწყალებათა შენთა, აღგუპყარ კელი, ხატო საშინელო.

შთესლოდ მშობელი ქალწული და ქალწულ/ადვე დაცული ადამის ტომთაგანი არა არს თუნიერ შენსა, ჩუენ ცოდვილთათჳს მსწრაფლო მეოხო, დედაო ძისა ღმრთისა მშობელო.

კურთხეულარსა:.

ყრმათა შობილთა

ნუ დამივიწყებ მოსავსა შენსა და მადიდებელსა, სიტყუაო ღმრთისაო, რათა გაქებდე: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, საუკუნითგან უკუნისამდე.

ღღე და ღამე ერი, მგალობელი შენი, და მადიდებელი შენი, იკსნენ, რაჲთა მადლობით ვიტყოდეთ, ხატო საშინელო, / დიდებაჲ წყალობათა შენთა.

ოჯახალო ღმერთო, გჳკსნენ ჭირთაგან მოსავნი შენნი და მგალობელნი და თაყუანისმცემელნი სახესა ჩუენთჳს განკაცებულისა ხატისა შენისა წმიდისასა.

ოსმინე ჩუენი, ცოდვილთა ამათ და უღირსთა მონათა შენთა და მოდერკ წყალობად და მოწყალებად, ხატო საშინელო, რაჲთა გაკურთხევდეთ უკუნისამდე.

ოყავნ წყალობაჲ თაყუანისმცემელთა და მადიდებელთა შენთა ზედა, რომელნი აღგი/არებენ შენ დედად ღმრთისა ჩუენისა, მეოხო მარადის მოსავთა შენთაო.

აკურთხევდითსა:.

შეუწველმან:.

ოდეს მოვიკსენნე სასწაულნი შენნი, ურიცხუნი და საშინელნი, ანჩის ხატო საშინელო, განსაკრთომელნი გონებითა და განსაცჯფრებელნი ვღაღადებთ: ყოველნი საქმენი აკურთხევდით დღეს ღმერთსა და უფალსა უგალობდით და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

შითარცა პირველ ნინეველნი, ჩუენცა შეგივრდებით და გევედრებით შენ, მრავალმოწყალ/ეო და სახიერო, წყალობით

შეგჳწყალენ და ნუ განგუწირავ უღირსთა ამათ მონათა შენთა, რომელნი თაყუანის-ვსცემთ ხატსა განკაცებისა შენისასა.

ანდრიაჲ, თავი მოციქულთა, პირველ წოდებული მოწაფე მეუფისა დიდისა, იდიდებოდენ ყოველთაგან უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა, იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ მოსავლთა მსითა მო/გუანიჭა.

ნეტარ არიან მოსავნი და მადიდებელნი შენნი და თაყუანისმცემელნი, მაცხოვრისა ხატო საშინელო, რამეთუ მადიდებელთა და თაყუანისმცემელთა ადიდებ და მავედრებელთა მისცემ თხოვასა და აღუსრულებ და სასოებაჲსა მათსა არ არცხუენ ყოვლადვე.

ეჰა ძეო დაუსაბამოო და დაუსრულებელო დაუსაბამოჲსა მამისა და სულისა თანასწორო, რომელი პირველ ჟამთა მხოლოჲ მხოლოჲსა / მამისაგან იშევ, ხოლო აწ ჩუენთჳს ქალწულისაგან განჰკაცენ გამოუთქუმელად, დიდებაჲ წყალობათა შენთა.

აღესრულნეს აწ იგავნი და სახენი, წინაჲსწარმეტყუელთაგან უწყებულნი: ქალწულმან შვა ქრისტე უთესლოდ, რომლისათჳს მორწმუნენი ესრეთ ვღაღადებთ და ვიტყჳთ: ყოველნი საქმენი აკურთხევდით.

ადიდებდითსა:.

მტჳრთველმან:.

ნებსით თჳსით შეგცოდეთ და განგარისხეთ და დავივიწყენით წ/ყალობანი შენნი, ხოლო აწ შენდავე მოქცეულთა მოგუხედენ, გუაცხოვნენ, შეგჳწყალენ და გჳკსნენ ბოროტთაგან, მაცხოვრისა ხატო საშინელო.


ჩუენთჳს კაცქმნილო ღმერთო, სიტყუაო მამისაო ქრისტე, გჳკსნენ ყოველთა ჭირთა და განსაცდელთაგან მოსავნი ესე შენნი და თაყუანისმცემელნი ხატისა შენისანი, მოწყალე[ო], შეგჳწყალენ და წყალობანი შენნი მოგუანიჭენ.


შსმოდენ / ურწმუნოთა, რომელნი არა თაყუანისცემენ ხატსა ქრისტეს ღმრთისასა და ყოველთა წმიდათა მისთასა, იტყოდეს რაჲ ბასილი, ვითარმედ უკუე პატივი ხატისა პირმშოჲსა მის სახისად აღიწევის, რომელსა ჩუენ მორწმუნენი თაყუანის-

ვსცემთ.

Ლიტანიობდით, გალობდით და ადიდებდით ყოველი სული და ყოველი დაბადებული ყოვლისავე სულისა მორწმუნისა მეოხსა, ზღუდესა და მფარველსა, მცველსა და მაცხოვარსა, / ანჩის ხატსა საშინელსა.

Oსმინე, ცაო, და ყურად იღე, ქუეყანაო, რამეთუ ქალწულმან, ასულმან ადამისმან, გჳშვა ადამიანთა იესუ მაცხოვარი და გჳოხს მის წინაშე და გჳთხოვს წყალობასა აწ [და] მარადის და უკუნითი უკუნისამდე.





ავგაროზის ეპისტოლეთა ქართული რედაქციების მოკლე ისტორია

ამბავი-ლეგენდა იესო ქრისტეს და ავგაროზ ედესის მთავრის მიმოწერის შესახებ სირიული მწერლობის ძეგლია, რომლის ლიტერატურული ევოლუცია ნათელს ჰფენს იმ კულტურულ-ისტორიულ პროცესებს, რომელთა გარემოცვაშიც ჩამოყალიბდა ქრისტიანული მწერლობის ეს უმნიშვნელოვანესი და საინტერესო ძეგლი. „ავგაროზის ეპისტოლეში“ აისახა, როგორც აღმოსავლური, ისე ბიზანტიურ-ბერძნული ლიტერატურული ტრადიციების ქრისტოლოგიური მიმართულების მნიშვნელოვანი ეტაპები. ამ ძეგლის ფიქსაციის პირველი წერილობითი წყაროებია ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ (IVს), მე-5 საუკუნის სირიული ძეგლი „ადდაის მოძღვრება“ და მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“, რომელშიც მეორდება ზემოთქმული ორ წყაროში მიმდინარე მოვლენათა ძირითადი ქარგა. აღსანიშნავა, რომ ამ პირველწყაროებში (იგულისხმება ევსევი კესარიელიდა „ადდაის მოძღვრება“ – ვ.ო) მოქმედება ვითარდება ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის 30-იან წლებში, კერძოდ ევსევი კესარიელის მიხედვით ახ.წ.აღ 29 წელი, ხოლო „ადდაის მოძღვრების“ თანახმად 32 წელს. (როგორც შემდგომში მეცნიერმა ე.მეშჩერსკაიამ აღნიშნა (Е.Н. МЕЩЕРСКАЯ "Легенда об Авгаре", москва 1980г.). ეს სხვაობა წლებში გადამწერის შეცდომას წარმოადგენს). ძეგლის მთავარი პერსონაჟი ედესის (იგივე ურჰას) მთავარი ავგაროზ უკამა, (ანუ ავგაროზ „შავი“) იგივე ავგაროზ V, რომელიც ოსროენის პატარა სამეფოს (იგივე სამთავროს) სათავეში იდგა ა.წელთაღრიცხვის 13-50 წლებში (Iსაუკუნე). ავგაროზს მიეწერება ოსროენას სამეფოს გაქრისტიანების ფაქტიც. ხაზგასასმელია, რომ ოსროენას სამეფოში მუდმივად უპირისპირდებოდა ერთმანეთს პართიისა და რომის პოლიტიკური ინტერესები და აქ ქრისტიანობის ღია

ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ფაქტს უკვე ავგაროზ VIII (177-212წ) მიაკუთვნებენ, თუმცა როგორც ჩანს ამ მისტერიულმა ლეგენდამ ავგაროზისა და მაცხოვრის მიმოწერის შესახებ სათავე დაუდო ედესის ქრიტსიანული ეკლესიას და სირიული ქრისტიანობის მძლავრ საყრდენად იქცა.

ქართული ქრისტიანული მწერლობის ისტორია კი მჭიდროდ უკავშირდება კულტურის იმ კერებს, რომელნიც განსაზღვრავდნენ სირია-პალესტინისა და ბიზანტიის ლიტერტურისა თუ იდეოლოგიის განვითარების თავისებურებებს, აქ არსებულ სულიერ სავანეებში მოღვაწე ქართველი მწიგნობრები ინტენსიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდნენ და ბერძნულდან, სირიულად, არაბულიდან, არამეულიდან თარგმნიდნენ ქართულად უმნიშვნელოვანეს საღვთო ლიტერატურას. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ნათარგმნებს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდათ, რადგან პირველწყარო ამ ძეგლებისა დაკარგულია და მხოლოდ თარგმნის ქართული ვერსიებია შემორჩენილი.

რაც შეეხება ავგაროზის იესო ქრისტეს აპოკრიფული ეისტოლეების ქართული თარგმანები შესულია ორმოცამდე ხელნაწერში, ე.წ. შერეულ კრებულებში და „ავგაროზებში“. სიტყვა „ავგაროზიც“, რომელიც ქართულ ენაში თილისმის და ჯადოსგან დასაცავ საშუალების სინონიმია იხმარება, როგორც ჩანს უძველესი დროიდანაა შემოსული და ედესის მთავრის სახელს უკავშირდება. შერეული კრებულები და „ავგაროზები“ გვიანელი XVIII-XIX საუკუნის ნუსხებია. კ.კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ქართული ნათარგმნი აპოკრიფული მწერლობის განხილვისას აღნიშნავს, რომ ისინი ეკუთვნიან ეფთვიმე და გიორგი ათონელებს(მთაწმინდელებს). („ავგაროზის“ ეპისტოლეთა ქართული თარგმანების კვლევაზე უდიდესი შრომა გასწიეს თანამედროვე ქართველმა მეცნიერებმა ნესტან ჩხიკვაძემ, ციალა ქურციკიძემ, მანანა გიგინეიშვილმა და სხვ.) თუმცა იქვე დასძენს რომ „ეს ძეგლი ათონელთა პერიოდამდეც იყო ქართულად ცნობილი...“ და ის შესულია ე.წ. ჯრუჭის 936 წლის სახარებაში.“ ასევე მეცნიერი ასკვნის, რომ აპოკრიფი X-XI საუკუნებამდე უნდა ეთარგმნათ რომელიმე აღმოსავლური ენიდან. აღვნიშნავთ, რომ მეცნიერები ალავერდის

ოთხთავზე დართულ ტექსტს უწოდებენ მოკლე რედაქციას, ხოლო გელათისა და სხვა ნუსხათა თარგმანებს- ვრცელს. „აგგაროზის ეპისტოლის“ მოკლე ქართული რედაქციის ტექსი გვხვდება ერთადერთ ნუსხაში -1054 წლის ალავერდის ოთხთავში. აღნიშნული აპოკრიფული ძეგლის ვრცელი ქართული რედაქციები წარმოდგენილია სამი განსხვავებული თარგმანით: გელათური, ლარგვისული და სინური.

უნდა ითქვას, რომ გელათური თარგმანი ყველაზე სრულყოფილად წარმოადგენს ქალკედონური დოქტრინის გამომხატველ ბერძნულ რედაქციას და მას გიორგი ათონელს (მთაწმინდელს) მიაკუთვნებენ, რითაც მეცნიერები ხაზს უსვამენ გელათოის ოთხთავის გიორგი ათონელისეულ კუთვნილებას. ვრცელი ქართული რედაქციის მეორე თარგმანი დაცულია სინურ ნუსხაში (XIს.). თხზულების სინური ვერსია ერთ სანტერესო ფაქტს ადასტურებს, კერძოდ თარგმნის ტექსტში ქრისტეს-სიმბოლო ბეჭედთა განმარტება წარმოდგენილია არა ბერძნული საზედაო ასოების დართვით, არამედ ქართული ასოებით: ქ, ფ, ქ, ე, ი, რ, დ –და მოცემულია შესატყვისი სახელწოდებები ფარი, ქანი, ენი, ინი, რაე, დონი.

რაც შეეხება ლარგისეულ თარგმანის ვერსიას, იგი ბერძნულ დედანთან ყველაზე უფრო ახლოს დგას და მკვეთრ ელნოფლური ტრადიციის გამოხატულების წარმოადგენს. იგი სავარაუდოდ თარიღდება XI-XII- საუკუნეების მიჯნით.

როგორც აღვნიშნეთ„„ აგგაროზის ეისტოლე“ ჩამოყალიბდა ორი თანაბრად ღირებული მოტივის – ედესის მთავრის და იესო ქრისტეს მიმოწერის და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საკვირველმოქმედის ძალის აღწეას-გადმოცემის ერთობლიობის საფუძველზე.

საყურადღებოა, რომ „ აგგაროზის ეპისტოლის“ ქართული მოკლე და ვრცელი რედაქციების პირველი თარგმანები დაცულია XI-XIII საუკუნეთა საგანგებოდ შედგენილ და მდიდრული მინიატურებით შეკაზმულ ხელნაწერ წიგნებში, რომლებიც მხატვრულად ძალზედ მაღალ დონეზეა გაფორმებული და ძვირფასი ქრისტოლოგიური თხზულებებია ქართველთათვის.

ქვემოთ გთავაზობთ „აგგაროზის ეპისტოლეთა“ რედაქციებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობთ.



მოკლე რედაქცია

(ალავერდის ოთხთავიდან)[61]

ეპისტოლე ავგაროს მეფისაჲ უფლისა ჩუენისა მიმართ იესუ ქრისტესა ზედა წარწერილი

ავგაროს შავი იესუს, მკურნალსა სახიერსა, გამოჩინებულსა ქუეყანასა იწრუსალემისასა, მეუფესა გახარებ.

მესმა შენთჳს და კურნებათა შენთათჳის, რამეთუ არა არიან წამალთა მიერ, გინა თივათა, არამედ სიტყჳთა შენითა ბრმათა აღუხილავ, მკელობელთა ავლინებ, კეთროვანთა განჰსწმედ, ყრუთა ასმენ, სულებსა და ეშმაკთა განასხამ სიტყჳთა შენითა და მკუდართა აღადგინებ. და ამისთჳს დამიკჳრდა საკჳრველებათა მათთჳს, რომელთაჲ მესმა, ვითარმედ იქმ. და დავიდევ განზრახვასა ჩემსა შინა, ვითარმედ ანუ ღმერთი ხარ შენ, გარდამოსრული ზეცით, და იქმ ამათ, ანუ ვითარმედ ძჱ ხარ ღმრთისაჲ.

და ამისთჳს მოვწერე შენდა, რაჲთა მოხჳდე ჩემდა მომართ და თავყუანის-ვსცე სიწმიდესა შენსა. და რაჲთა განჰკურნო ტკივილიცა ესე, რომელ მაქუს, ვითარცა მრწმენა შენდა მიმართ.

ხოლო მერმე და ესეცა მესმა, რამეთუ ჰურიანი დრტჳნვენ შენთჳს და გდევნიან შენ და ჰნებავს მოძულებაჲ და შეურაცხებაჲ შენი.

ხოლო მე მაქუს ქალაქი მცირე და ფრიად კეთილი და შუენიერი. და ორთათჳსვე კმა არს დამკჳდრებად მას შინა და მშჳდობაჲ შენდა.

---

61 ალავერდის ოთხთავზე დართული ანდერძის საფუძველზე მიიჩნიეს (კ.კეკელიძე და სხვ.), რომ აღნიშნული აპოკრიფული თხზულების ქართული ვერსია ექვთიმე ათონელს ეკუთვნის, თუმცა გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც. — ვ.ო.

წმიდაჲ ეპისტოლე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი აგგაროსის მიმართ მეფისა

ჰრქუა მეწიგნესა: წარვედ და არქუ უფალსა შენსა, მომავლინებელსა შენსა.

ნეტარ ხარ შენ, აგგაროს, რამეთუ თჳნიერ ხილვისა გრწმენა ჩემდა მომართ; რამეთჳ წერილ არს ჩემთჲს, ვითარმედ მხილველთა ჩემთა არა ჰრწმენეს ჩემდა მომართ და რომელთა არა ვეხილეო, ჰრწმენეს ჩემდა მომართ.

მოსწერე ჩემდა, რაჲთა მოვიდე შენდა მომართ. და მე რომლისათჳს-იგი მოვივლინე, განმზადებულ არს და აღვალ ამამისა ჩემისა, რომელმან მომავლინა მე.

და მე ოდეს აღვიდე, მოგივლინო შენ ერთი მოწაფეთა ჩემთაგანი და ტკივილი იგი, რომელ გაქუს, მან განკურნოს; და ყოველნი, რაოდენნი გყვანან, მოაქცინეს ცხორებისა მიმართ საუკუნოჲსა.

და ქუეყანაჲ შენი იყავნ კურთხეულ უკუნისამდე და მტერი არა ეუფლოს მას უკუნისამდე.

ხოლო ესე ეპისტოლე ჩემი სადაცა იპოვოს, გინა თუ სამშჯაეროსა, გინა თუ ზღუასა შინა, გინა თუ ვისმე აკურვებდეს, ანუ აძრწოლებდეს, ანუ თუ მტერისაგან შეკრულ იყოს, ანუ მწამლველობისაგან შეპყრობილ, გინა თუ სხჳსა რაჲსაგანმე სნეულებისა, ყოველივე დაიკსნას.

ხოლო რომელსა ეტჯრთოს ესე, არს-მცა წმიდა, განყენებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, რამეთჳ ყოველივე კელითა ჩემითა დაწერილ არს. და დავჰბეჭდე ეპისტოლე ესე შჳდითა ბეჭდითა, რომელნიცა ქუემო წერილ არიან.

ესე არიან შჳდნი იგი ბეჭედნი: ⲓ Ψ Χ Ꙋ ⲙ ⲓ ⲗ — ჯუარი, სულთა აღდგომაჲ, სასოჲ ქრისტეანეთაჲ, ცხორებაჲ საუკუნოჲ, აღმყვანებელი ნათლად ზეცისად, ჯუარი, დიდებაჲ ქრისტესი.

ესე არს თარგმანი ამათ ბეჭედთაჲ.

მიიწია რაჲ ეპისტოლე უფლისაჲ ავგაროსის მიმართ მთავრისა და ესმა, ვითარმედ ჰურიანი ეძიებენ მოკლვად მისა,

წარავლინა ავგაროს მთავარმან მხატვარი გამოსახვად ხატსა უფლისასა და მიღებად მისა.

და მი-რაჲ-იწია მხატვარი იგი და მალემსრბოლი ბჭეთა იწრუსალემისათა, შეემთხუა მათ იესუ და ჰრქუა: „კაცნო, მსტოვარნი ხართ თქუენ?“

მიუგეს მათ და ჰრქუეს მას:

„ჩუენ მოვლინებულ ვართ ავგაროსის მთავრისა მიერ ხილვად იესუჲს ნაზარეველისა და გამოსახვად ხატსა მისსა“.

და ესე რაჲ ჰრქუეს, თანაწარკდეს მას.

და ხვალისა დღე ჯდა იესუ შორის ერისა მრავლისა და ასწავებდა. ხოლო მხატვარი იგი დგა და გამოჰსახვიდა ხატსა მისსა. და ვერ ეძლო, რამეთუ ვერ განიცდიდა მსგავსებასა მისსა.

მაშინ მოყუასმან მისმან ჰრქუა მას; „მიეც ტილოჲ ეგე კელთა მისთა“. მოვიდა კაცი იგი და შეუვრდა ფერჴთა უფლისათა და ყოველივე გამოუცხადა წინაშე ერისა მის და მისცა ტილოჲ იგი.

ხოლო უფალმან მიიღო ტილოჲ იგი და დაიდვა პირსა ზედა თჳსსა, და მეყსეულად გამოისახა ხატი მისი მას ზედა. და განკჳრდეს ყოველნი, რომელთაცა იხილეს.

ხოლო ტილოჲ იგი მისცა უფალმან თადეოსს მოციქულსა და უბრძანა შემდგომად აღმაღლებისა მისისა წარსლვად ედესა ქალაქად, განკურნებად სენსა და ყოველსა ცისად-ცისად გუემულებასა.

და შემდგომად აღმაღლებისა უფლისა წარვიდა თადეოს სიტყჳსაებრ უფლისა.

ხოლო მი-რაჲ-იწინეს თადეოს და მისთანი იგი ქალაქსა ერთსა, რომელსა ეწოდების იერაპოლი, და დადგეს გარეშე ქალაქისა სავანესა მეკეცეთასა. და დადგეს წმიდაჲ იგი ტილოჲ შორის ორთა კეცთაჲსა, რამეთუ ეშინოდა.

და ვითარცა დაიძინეს, აჰა ესერა, გამოჩნდა სუეტი ცეცხლისაჲ ზეცით და დადგა ადგილსა მას ზედა, სადა-იგი იყო ხატი უფლისაჲ. და იხილეს მცველთა მის ქალაქისათა

სასწაული იგი და აუწყეს მთავარსა.

და გამოვიდა მთავარი იგი ქალაქისაჲ მის ერითურთ. და პოვეს ხატი უფლისაჲ შორის ორთა მათ კეცთაჲსა, სადა დგა სუეტი ცეცხლისაჲ. და ენება მიღებაჲ ხატისაჲ მის.

ხოლო კაცთა მათ, მალემსრბოლთა და მხატვარმან, მიუთხრეს, ვითარმედ ავგაროსისნი არიან. და მთავარმან პოვა კეცსა მას ზედა გამოსახული ხატი უფლისაჲ, ვინაჲ-იგი მიეახლა წმიდასა მას ხატსა.

მაშინ კეცი იგი აღიღო მთავარმან მის ქალაქისამან და ტილოჲ იგი მისცა მოციქულსა და მალემსრბოლთა მათ. და წარვიდა თადეოს და მისთანანი, ვინაჲ-იგი მიივლინა უფლისა მიერ.

და მი-რაჲ-ეახლნეს ვითარ უტევან ერთ ქალაქსა მას ავგაროსისსა, პოვა ვინმე ქუჩმდებარე, რომელი ითხოვდა პურსა და დასდვა კელი მას ზედა. და მეყსეულად ხლდომით ვიდოდა და შევიდა სრბით ქალაქად და მივიდა დედისა თჯისა. იხილეს იგი ყოველთა და დაუკჯრდა. და მიიწია სიტყუაჲ ესე ავგაროსისა.

ხოლო მან მოუწოდა ყრმასა მას და ჰკითხა: „ვინ განგკურნა შენ, ყრმაო?“ მიუგო და ჰრქუა მას: „კაცმან ვინმე მპოვა გარეშე ქალაქისა, კელი შემახო და განვიკურნე.“

ჰგონებდა ავგაროს, ვითარმედ უფალი არს. წარავლინა და პოვა თადეოს მის მიერ მივლინებულთა მათ თანა. და მო-რაჲ-ვიდეს, შეიწყნარნა იგინი სიხარულით.

ხოლო ავგაროს დაჯსნილ იყო და მდებარე ცხედარსა ზედა ექუს წელ. მაშინ მიიღო ტილოჲ იგი, რომელსა ზედა გამოისახა ხატი უფლისაჲ და ამბოვრს-უყო მას. და მეყსეულად მასვე ჟამსა აღდგა და ვიდოდა უვნებელი სრულად.


და ჰრქუა თადეოსს მოცულსა: „რაჲ ჯერ-არს ყოფად ჩემდა?“ მიუგო მან და ჰრქუა მას: „ესე ჯერ-არს ყოვლისა პირველად, რაჲთა ნათელ-იღო“. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა.

და ვითარცა უქადაგა მას სახარებაჲ უფლისაჲ, შთაიყვანა იგი წყაროდ, რომელსა ეწოდების კერასაჲ. და ნათელ-სცა

მუნ მოციქულმან თადეოს ავგაროსს და ცოლსა და შვილთა მისთა, და ყოველთა სახლეულთა მისთა მის თანა, სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და იხარებდეს ყოველნი და განწმიდნა იგინი ყოველისაგან ვნებისა. და ადიდებდეს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ".


იესუ ქრისტე, მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, ადიდე სულითა მადიდებელი შენი სჯმეონ მღდელი და ურცხჳნელად ღირს-ყავ ხილვად ყოვლად უხრწნელისა ხატისა შენისა, ვითარცა ავგაროს მთავარი! ამენ.[62]•

ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, სულითა საწყალობელისა, ცოდვილისა ბერისა იოვანე დვალისათჳს, უცბად მჩხრეკალისა, ღმერთმან გარწმუნოს.[63]•



62 • სვიმეონ მღვდელი და იოვანე დვალი მინაწერის ავტორ კალიგრაფიებია — ვ.ო.

63



სინური თარგმანი

ებისტოლე ავგაროზ მთავრისაჲ, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა

ავგაროზ მთავარი ქალაქისა ედესისაჲ, იესუს მაცხოვარსა, მეუფესა სახიერსა, გამოჩინებულსა ქალაქსა იერუსალიმსა, გახარებ. მასმიეს შენთჳს და საკჳრველებათა შენთათჳს, რამეთუ თჳნიერ თივათა და წამალთა იქმ კურნებათა, რამეთუ სიტყჳთ ხოლო განჰკურნებ: ბრმათა თუალთა აღუხილავ, მკელობელთა ავლინებ, კეთროვანთა განსწმედ და სულთა არაწმიდათა იოტებ, და თჳთოსახეთა სენთაგან გუმსულთა განაცოცხლებ, და დედაკაცსა წიდოვანსა შეხებითა სამოსლისა შენისაჲთა ულხინებ და მკუდართა აღადგინებ.

ესე ყოველი რაჲ მესმა შენთჳს, გონებასა ჩემსა დავიდევ ერთი ორთაგანი: ანუ თუჳ შენ ხარ ღმერთი, რომელი გარდამოჰჴედ ზეცით და იქმ ამათ ესევითართა საკჳრველებათა, ანუ ძე ხარ ღმერთისაჲ, მოქმედი ამათ სასწაულთაჲ ანუ წინასწარმეტყუელი დიდი.

აწ უკუმ გევედრები, რაჲთა თავს-იდვა შრომაჲ და მოსლვაჲ ჩემდა მომართ და ვნებაჲ ესე, რომელ არს ჩემ თანა, განჰკურნო.

ხოლო მესმა, თუ ჰურიანი დრტჳნვენ და ჰნებავს მოკლვაჲ შენი. არს უკუმ ჩემდა ქალაქი მცირე, რომელი-ესე კმა-გუეყოს ორთავე — შენდა და ჩუენდა. და მშჳდობაჲ შენდა.

ებისტოლე უფლისა ჩუენისაჲ იესუ ქრისტესი, რომელი მიუწერა ავგაროზ მთავარსა და მიუძღუანა კელითა ანანიაჲსითა

ჯერ-არს ჩემდა პირველად აღსრულებად განგებულებისა

ამის, რომლისათჳსცა მოვლინებულ ვარ მომავლინებელისაგან ჩემისა. და აღვასრულო რაჲთა ავმაღლდე ზეცად. და შემდგომად ამაღლებისა ჩემისა მოგივლინო შენ ერთი მოწაფეთა ჩემთაგანი, სახლით თადეოზ, რომელმან განგკურნოს შენ და შენთანანი და ცხორებაჲ მოგცეს შენ და ქალაქსა შენსა, რომელსა ეწოდების ედესაჲ. რამეთუ არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მას.

რამეთუ წერილ არს ჩემთჳს: ნეტარ არიან, რომელთა მიხილონ და ვჰრწმენე, ხოლო სამგზის სანატრელ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე. და შენცა, რამეთჳ არა გიხილავ და გრწმენა, განმზადებულ არს შენდა ცხორებაჲ სულისა და ჴორცთაჲ და სახლსა შენსა და საცხორებელად ყოველთა, რომელნი გხედვიდენ შენ. რამეთუ მე მოვდრიკენ ცანი და გარდამოვჴედ ნათესავისათჳს კაცთაჲსა და საშოჲ ქალწულისაჲ დავიმკჳდრე, რაჲთა გარდასლვაჲ იგი მცნებისაჲ, რომელი იქმნა სამოთხესა შინა, აღვჴოცო; თავი თჳსი დავიმდაბლე, რაჲთა თქუენ აგამაღლნე.

ხოლო რომელ მოსლვისათჳს ჩემისა მოგეწერა ჩემდა, ჳერ-არს ძისა კაცისა მიცემად ჴელთა კაცთა ცოდვილთასა ჯუარცუმად და მესამესა დღესა აღდგომად.

ხოლო ებისტოლე ესე ჩემი სადაცა იპოვოს გინა თუ გზასა ზედა, გინა თუ ზღუასა შინა, ანუ თუ სამშჳავროსა შინა, გინა თუ ვისმე აჴურვებდეს ანუ აძრწოლებდეს, ანუ მტერისაგან შეპყრობილ იყოს, ანუ მწამლველობისაგან, გინა სხჳსა რაჲსაგანმე სნეულებისა, ყოველივე დაიჴსნას.

ხოლო რომელსა ეტჳრთოს ებისტოლე ესე ჩემი, არს-მცა წმიდა და განყენებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, რამეთუ ყოველივე ჴელითა ჩემითა დაწერილ არს და დავბეჭდე ესე შჳდითა ბეჭდითა, რომელნიცა ქუჱმოწერილ არიან.

ესე არიან შჳდნი იგი ბეჭედნი:



თარგმანი თჳთოეულისა ბეჭდისაჲ:

ხოლო **ჯუარი** ამას გამოაჩინებს, რომელ ნეფსით

დაემსჭუალა მას ზედა.

ხოლო **ფარი** ფარვილ-ყოფასა საჲდუმლოთასა მოასწავებს, რამეთუ კაც იქმნა ჭეშმარიტებით განცხადებულად და არა ფარულად.

ხოლო **ქანი** ქერობინთა საყდართა განსუენებასა მისსა მოასწავებს.

ხოლო **ენი** იტყჳს: „ესე არს ღმერთი პირველი და სხუაჲ თჳნიერ მისსა არავინ არს ღმერთი“.

ინი მეტყუელებს, ვითარმედ: „იგი არს მეუფჱ მაღალი და ღმერთი ღმერთთაჲ“.

ხოლო **რაჲ** იტყჳს, რამეთუ მკსნელ ვეყავ მე ნათესავსა კაცთასა.

ხოლო **დონი** იტყჳს, დიდ ვარ მე და მაღალ და საშინელ და ცხოველ ვარ მე უკუნისამდე.

ზღუდე ვარ მე ედესიისაჲ და უტყუეელისა მის აღთქუმისა წინდი.

მიიწია რაჲ ებისტოლე უფლისაჲ ავგაროზის მიმართ მთავრისა, ესმა ვითარმედ მოსწრაფე არიან ჰურიანი მოკლვად იესუჲსსა, წარავლინა ავგაროზ მთავარმან მალემსრბოლი და კელოვანი მხატვარი, რაჲთა გამოსახოს მან ხატი უფლისაჲ და მოჰგუაროს მას.

მიიწიენეს რაჲ მხატვარი და მალემსრბოლი ბჭეთა იწრუსალიმისათა, აჰა, უფალი შეემთხჳა მათ და სიტყუა-უგო და ჰრქუა მათდა მიმართ: „კაცნო, მსტოვარნი ხართ თქუენ?“ მიუგეს და ჰრქუეს მათ: „წარმოვლინებულნი ვართ ავგაროზისნი ხილვად იესუჲს ნაზარეველისა, რაჲთა ვიხილოთ ხატი მისი“.

და აღუთქუა მათ უფალმან შესაკრებელად მისლვად. და ესე რაჲ ჰრქუა მათ, თანაწარჰკდეს მას. ხოლო ხვალისა დღე წარვიდოდა უფალი შესაკრებელად და დაჯდა მუნ და ასწავებდა სიმრავლესა ერისასა. ხოლო მხატვარი შეეიდა და დადგა დამართებით მისა და იწყო წერად სახესა იესუჲსსა და ვერ ძალ-ედვა მას გამოხატვაჲ მისი, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო ხატსა პირისა მისისასა გულისკმის-ყოფად და ვერცა

განიცდიდა მსგავსებასა მისსა.

მაშინ ვითარცა იხილა მოყუასმან მისმან, აჭენა და ჰრქუა მას: „შევედ შორის მისსა და მიეც ტილოჲ ეგე, რომელ გაქუს ავგაროზისგან, ქელთა მისთა“.

ხოლო იგი შევიდა და შეუვრდა ფერჴთა მისთა და ყოველივე გამოუცხადა წინაშე ერისა მის და მისცა ტილოჲ იგი. ხოლო უფალმან მიიღო წყალი ქელითა და დაიბანა პირი და დაიდვა ტილოჲ იგი პირსა ზედა თჳსსა. და მეყსეულად გამოისახა ხატი პირისა მისისაჲ მას ზედა. დაუკჳრდა ყოველთა მუნ მსხდომარეთა, რომელთაცა იხილეს, და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა.

ხოლო ტილოჲ იგი მისიცა თადეოზს მოციქულსა და უბრძანა შემდგომად ამაღლებისა მისისა წარსლვად ედესე ქალაქად და განკურნებად სენსა და ყოველსა ცისად-ცისად გუშმულებასა. და შემდგომად ამაღლებისა უფლისა წარვიდა სიტყჳსაებრ უფლისა.

ხოლო მიიწიენეს თადეოზ და მისთანი იგი ქალაქსა ერთსა, რომელსა ეწოდების იერაპოლი და ადგეს იგინი გარეშე ქალაქსა, სავანესა მას მეკეცეთასა. და დადვეს წმიდაჲ იგი ტილოჲ შორის ორთა კეცთაჲსა და დაფარეს, რამეთუ ეშინოდა. და ვითარცა დაიძინის, მახლობელად მათსა, აჰა ესერა, ღამესა მას გამოჩნდა სუშტი ცეცხლისა ზეცით და დაადგრა ზედა ადგილსა მას, სადა იყო ხატი უფლისაჲ.

და ვითარცა იხილეს მცველთა მათ ქალაქისათა სასწაული იგი, აუწყეს მთავარსა მას ქალაქისასა. და გამოვიდა მთავარი იგი ერითურთ. და პოვეს მათ ხატი უფლისაჲ შორის ორთა მათ კეცთაჲსა, სადა-იგი დგა სუეტი ცეცხლისაჲ. და ენება მიღებაჲ ხატისაჲ მის. ხოლო კაცმან მან მალემსრბოლმან და მხატვარმან მიუგეს და ჰრქუეს, ვითარმედ ავგაროზისნი არიან. და ვითარცა ძიება-ყვეს, განიზრახვიდეს წარღებასა მისსა და მეყსეულად პოვეს ერთსა მას კეცსა ზედა გამოხატული ხატი უფლისაჲ, ვინაჲ-იგი მიეახლა წმიდასა მას ტილოსა, რომელთა შორის დაეკრძალა კაცთა მათ.

მაშინ კეცი იგი აღიღო მთავარმან ქალაქისამან და დადუმნა, ხოლო ტილოდ იგი მისცა მოციქულსა და მალემსრბოლსა მას. და ვითარცა წარვიდა თადეოზ და მისთანი იგი, ვინაჲ-იგი მოივლინნა უფლისა მიერ, და ვითარცა მიეახლნეს უტევან ერთ ქალაქსა მას, პოვეს ვინმე განრღუწული ქუმდებარე, რომელი ითხოვდა პურსა, და დასდვა კელი მას ზედა და შეეხო ხატსა მას უფლისასა და მეყსეულად აღდგა, ხლდომით ვიდოდა და სრბით შევიდა ქალაქად და მივიდა იგი დედისა თჯისა. იხილეს იგი ყოველთა და დაუკჳრდა და იტყოდეს: „არა იგი არსა ქუმდებარე და ბღუნვით მავალი, ქურიევისა მის ძე?“

და მყის მიიწია სიტყუაჲ ესე ავგაროზის მთავრისა. ხოლო მან მიუწოდა ყრმასა მას და ჰკითხა: „ვინ განგკურნა შენ, ყრმაო?“ მიუგო და ჰრქუა: „კაცმან ვინმე მპოვა გარეშე ქალაქისა, კელი შემახო და განვიკურნე“.

ჰგონებდეს ავგაროზ, ვითარმედ უფალი არს. და მსწრაფლ წარავლინა, რაჲთა ცნას. და პოვა თადეოზ მის მიერ მივლინებულთა მათ თანა. და მი-რაჲ-ვიდეს პალატად, შეიწყნარნეს სიხარულით.

ხოლო ავგაროზ დაჯსნილ იყო და მდებარე ცხედარსა ზედა ექუს წელ. მაშინ მიიღო ტილოდ იგი კელითა მისითა, რომელსა ზედა გამოეხატა ხატი უფლისაჲ და ამბორს-უყო მას სიხარულით და მეყსეულად განიკურნა იგი. მასვე ჟამსა აღდგა და ვიდოდა უვნებელად სრულიად. და ჰრქუა თადეოზ მოციქულსა: „რაჲ ჯერ-არს ყოფად ჩემდა?“ ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: „ესრეთ ჯერ-არს პირველად ყოვლისა, რაჲთა ნათელ-იღო“.

ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა. ვითარცა უქადაგა სახარებაჲ უფლისაჲ, შთაიყვანა იგი წყაროდ, რომელსა ეწოდების კერასაჲფ და ნათელ-სცა მოციქულმან თადეოზ ავგაროზს, ცოლსა და შვილთა მისთა და ყოველთა სახლეულა მისთა სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. იხარებდეს ყოველნივე და განწმიდნა ყოველნი ყოვლისავე ვნებისად და ადიდებდეს ღმერთსა რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



გელათური თარგმანი

(გიორგი ათონელისა) იგივე
გიორგი მთაწმინდელი (1009-1065წწ)

ეპისტოლე ავგაროზ მთავრისაჲ ქალაქისა ედესისაჲ, რომელი მიუწერია უფალსა ღმერთსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და წარსცა ანანიაჲს მიერ მოციქულისა იერუსალიმს

ავგაროზ, მთავარი ქალაქისა ედესიისაჲ, იესუს, მაცხოვარსა სახიერსა, მეუფესა გამოჩინებულსა ქალაქსა იერუსალიმსა, გახარებ: მესმა შენთჳს კურნებათა შენთათჳს, რამეთუ ვითარმედ თჳნიერ წამალთა და თივათა იქმ კურნებათა. და მხოლოდ სიტყჳთ ოდენ ბრმათა ხედვასა მიჰმადლებ, მკელობელთა-სლვასა, და ყრუთ — სმენასა და არაწმიდათა ეშმაკთა სიტყჳთ განასხამ და გრძელთა მიერ სნეულებათა გუშმულთა განჰკურნებ და მკუდართა აღადგინებ. და ესე ყოველი რაჲ მესმა შენთჳს, უფალო, გონებასა დავიდევ, ვითარმედ ერთი ორთაგანი ხარ: რამეთუ ანუ შენ ხარ ღმერთი და გარდამოჰკედ ზეცით, იქმ ამათ; ანუ ვითარმედ ძე ხარ ღმრთისაჲ, მოქმედი ამათი.

ამისთჳს წერით მოქენე ვარ შენდა და გევედრები, რაჲთა ვიდრე ჩემდამდე მოსლვად არა უღირს-იჩინო, რაჲთა ვნებაჲ ესე, რომელი მაქუს, განჰკურნო.

ხოლო სმენილ არს ჩემდა ესეცა, ვითარმედ ჰურიანი დრტჳნვენ შენთჳს და ჰნებავს მოკლვაჲ შენი. არს უკუმ ჩემდა ქალაქი მცირე, შუენიერი, რომელი კმა-არს ორთათჳსვე მშჳდობით დამკჳდრებად მას შინა და მშჳდობაჲ შენდა, უფალო ჩემო.

პასუხი, მიწერილი იესუ ქრისტეს მიერ ავგაროზის მიმართ

ნეტარ ხარ შენ, ავგაროზ, და ქალაქი შენი, რომელსა ჰრქუან ედესაჲ. ნეტარ ხარ, რამეთუჳ გრწმენა ჩემდა მომართ, რომელი არა გიხილავ. რამეთუ წერილ არს ჩემთჳს, ვითარმედ მხილველთა ჩემთა არა ჰრწმენეს ჩემდამო, ხოლო არამხილველთა ჩემთა ჰრწმენეს ჩემდა მომართ. ვინაჲთგან უკუე შენ არა გიხილავ და გრწმენა, სიმრთელე განმზადებულ არს შენდა და მაცხოვარებაჲ სულისა და ჴორცთაჲ.

ხოლო რომლისათჳს მოსწერე, რაჲთა მოვიდე შენდა, ჯერ არს პირველად, ვინაჲ მოვიჴლინე აქა აღსრულებად და შემდგომად სრულყოფისა აღსლვაჲ ჩემი მამისა მიმართ მომავლინებელისა ჩემისა. ხოლო შემდგომად ამაღლებისა ჩემისა მოვავლინო შენდა ერთი მოწაფეთა ჩემთაგანი, სახელით თადდეოს და თომა, რომელმან ვნებაცა შენი განჴურნოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ და სიმრთელე მოგმადლოს შენ. და ქალაქი შენი ყოს განმაგრებულ, რომელსა ვერვინ მტერთაგანმან შეუძლოს ვნებად მისსა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა.

და რამეთუ მე მოვდრიკენ ცანი და გარდამოვჴედ ნათესავისათჳს კაცთაჲსა და დავიმკჳდრე ქალწულებრივი საშოჲ, რაჲთა გარდასლვაჲ იგი პირველშექმნულისაჲ აღვიკოცო, თავი თჳსი დავიმდაბლე, რაჲთა თქუენ გადიდნე.

ხოლო ეპისტოლე ესე ჩემი სადაცა იპოოს, გინა თუ გზასა ზედა, გინა თუ ზღუასა შინა, ანუ სამსჯავროსა შინა, გინა თუ ვისმე აკურვებდეს, ანუ აძრწოლებდეს, ანუ განაკრთობდეს, ანუ აშინებდეს, გინა მსგავსი ამისი, ძლიერ არს და მტკიცე ყოველთა მიმართ კურნებად.

ხოლო რომელსა ეტჳრთოს ეპისტოლე ესე, არს-მცა წმიდა, განყენებულ ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტისა. და რომელსა ჰრწმენეს ესე, იყოს მისა სიხარულ დიდ, რამეთუ ყოველივე ჩემითა დაწერილ არს და შემდგომად ბეჭდისა ჩემისა დავჰბეჭდე ესე შჳდითა ბეჭდითა, რომელნიცა დაწესებულ არიან.

ზღუდე ვარ მე ედესიისაჲ და უტყუველისა მის აღთქუმისა

სიმტკიცე.

ქრისტე ღმერთო, რომელსა ჰრწმენეს შენდამი, არასადა ჰრცხუენეს, იესუ ქრისტე ძე არს ღმრთისაჲ და ძე მარიამისი, წმიდისა ქალწულისაჲ, ორთა შინა ბუნებათა საცნაურქმნილი.

ხოლო ბეჭედთა აჴსნაჲ არს ესე:

ჯუარი ვიდრემე ცხად-ყოფს, ვითარმედ ნებსით დავემსჭუალე მას ზედა.

ხოლო ფი ცხად-ჰყოფს, ვითარმედ წულილი კაცი არა ვარ მე, არამედ კაცი სრული ჭეშმარიტებით.

ხოლო ხანი ცხად-ჰყოფს, ვითარმედ განვისუენებ მე ქერობინთა ზედა.

ხოლო ენი ცხად-ჰყოფს, ვითარმედ მე ვარ ღმერთი პირველი და თჳნიერ ჩემსა სხუაჲ არა არს.

ხოლო ჯ ცხად-ჰყოფს, ვითარმედ მაღალ ვარ მეუფჱ და ღმერთი ღმერთთაჲ.

ხოლო რაჲ ცხად-ჰყოფს, რამეთუ მჴსნელ ვიყავ ნათესავსა კაცთასა.

ხოლო დონი ცხად-ჰყოფს, ვითარმედ ყოვლითურთ მართალ და სამარადისო და ცხოველ ვარ და ვჰგიე უკუნისამდე.

წმიდისა მანდილისათჳს

ხოლო შეიწყნარა რაჲ ავგაროზ ეპისტოლე უფლისაჲ და ჰურიათაჲ ეუწყა, ვითარმედ მოსწრაფე არიან მოკლვად უფლისა, წარავლინა ავგაროზ მალემსრბოლი და ჴელოვანი მხატჳარი მოღებად ხატსა და მსგავსებასა იესუჲსსა. და შესლვასა მათსა წინაშე ბჭეთა იწრუსალიმისათა შეემთხჳა მათ უფალი და სიტყუა-უგო მალემსრბოლსა და მხატჳარსა და ჰრქუა მათ: „კაცნო, მსტოვარნი ხართ თქუენ?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „მოვლინებულნი ვართ ავგაროზისგან ხილვად იესუ ნაზარეველისა და მოღებად მსგავსებასა მისსა“.

და უბრძანა მათ იესუ მოსლვად შესაკრებელად. და ხვალისა დღე დაჯდა იესუ შესაკრებელად და ასწავებდა ერსა. ხოლო მალემსრბოლი შევიდა მხატვრითურთ და დადგა და იწყო გამოხატვად მსგავსებასა უფლისასა. და ვითარ ვერ შეუძლებდა გამოსახვად სახესა პირისა მისისასა, შეწუხნა ფრიად. და შეეწყალნეს ისინი უფალსა და ჰრქუა მალემსრბოლსა: „მოვედ და მომეც ტილოდ ეგე, რომელი გაქუს ავგაროზისგან". ხოლო იგი შიშითა მრავლითა შევიდა და მისცა ტილოდ იგი იესუს.

და მოიღო წყალი უფალმან ჴელთა თჳსთა. დაიბანა პირი თჳსი და დაიდვა ტილოი იგი პირსაზედა თჳისსა. და მეყსეულად გამოიხატა მას ზედა სახე პირისა მისისად. და მისცა იგი მალემსრბოლსა, წარავლინა იგი ავგაროზისსა.

წარვიდეს რად მალემსრბოლი და მხატვარი ავგაროზის მიმართ, გზასა ზედა დაემთხჳა მათ ღამესა შინა ერთსა დადგომად გარეგან ქალაქისა, რომელსა ჰრქჳან იერაპოლი, სავანესა მეკეციასასა. და დამალეს ხატი იგი უფლისად შორის ორთა კეცთა და დაიძინს.

ხოლო ჟამსა ოდენ შუაღამისასა გამოჩნდა სუეტი ცეცხლისად ზეცით და დაადგრა ადგილსა მას, სადა იყო ხატი უფლისად. და ვითარცა იხილეს სასწაული იგი მკჳდრთა მის ადგილისათა, შეეშინა და მოუწოდეს მყოფთა ქალაქისათა.

და გან-რად-ვიდეს ქალაქით და იხილეს ხატი იგი, ენება წარღებად მისი. ხოლო იპოვეს იგი გამოხატული ერთსა ზედა მათ კეცთაგანსაცა. და აღიღეს კეცი იგი და დადუმნეს.

ხოლო ვითარცა მიიწია მალემსრბოლი იგი ვითარ სტადიონ ერთ ქალაქად ედესად, განრღუეული ვინმე იპოვა გზასა ზედა. და შე-რად-ეხო ხატსა მას, მეყსეულად აბლდენა და ვიდოდა. და შევიდა სრბით ქალაქად. ხოლო ვითარცა იხილეს იგი მრავალთა, ურწმუნო იყვნეს, ვითარმედ იგი არს, რომელი პირველად ორითა კოჭლი იყო, ქურივისა მის ძე.


ვიდრეღა მიიყვანეს იგი მეფისა ავგაროზისსა და ჰკითხა მას ავგაროზ: „ვითარ განიკურნე?" და ჰრქუა: „ვითარ სტადიონ ერთ ქალაქისაგან განსრულ ვიყავ თხოვად და მგზავრმან ვინმე

შემახო მე და მეყსეულად განვიკურნე".

ხოლო შე-რაჲ-ვიდა მალემსრბოლი იგი წინაშე ავგაროზისსა და მისცა ხატი უფლისაჲ, თაყუანის-სცა მას ავგაროზ და ამბორს უყო და დაიდვა ზედა კერძო მისსა. და მეყსეულად აღსუბუქნა სენისა მისგან და იყოფებოდა მხიარულებით და მოელოდა მოციქულსა უფლისასა.

ხოლო შემდგომად ამაღლებისა უფლისა და ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ზეცად, მოივლინა მის მიერ თადდეოს ედესა ქალაქად განკურნებად ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ავგაროზისსა. მოვიდა უკუე და უთხრნა მას სიტყუანი უფლისანი. შთავიდეს წყაროდ, რომელსა ეწოდების კერასსან.[64]* და ნათელსცა ყოველითურთ სახლეულით მისით სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და მეყსეულად განწმდა იგი კეთროვნებისაგან და მხიარულებით ადიადებდა და აკურთხევდა ღმერთსა, ამინ.

64 * ბერძნ. კერასა



ლარგვისული თარგმანი

ეპისტოლე ავგაროზისი, წარვლინებული უფლისა მიმართ იესუ ქრისტესა

იისოს მაცხოვარსა სახიერსა, გამოჩინებულსა ქალაქსა შინა იწრუსალიმთასა, გახარენ: ისმა ჩემდა შენ ძლით და შენთა კურნებათა, ვითარმედ თჳნიერ წამალთა და მდელოთა იქმ კურნებათა, რამეთუ სიტყჳთ მხოლოდ ბრმათა ხედვასა მიანიჭებ, მკელობელთა-სლვასა, ყრუთა — სმენასა, კეთროანთა განსწმედ და სულთა არაწმიდათა განჰკდი და გრძნელსნეულებათა შინა შჯილთა განჰკურნებ, არამედ და დედაკაცსა სისხლმდინარე ათორმეტ წელს, შენი შემხებელი, განჰკურნე.

ამათ ყოველთა მსმენელმან შენ ძლით, უფალო, გონებასა დავიდევ ერთი ორთაჲ: ვითარმედ გინა თუ შენ ხარ ღმერთი და ჰყოფდ ამათ, გინა ძედ ღმრთისა მყოფი და შთამოსრული ცისაგან იქმ ესრეთ.

აწ უკუმ სარწმუნოებით მომწერელმან ვიეძრე შენდა მოსლვად ჩემდა მომართ, რაჲთა შეხუდომაჲცა, რომელ მაქუს, განჰკურნო.

არამედ და ისმაცა ჩემდა, ვითარმედ იუდეანნი დრტჳნვენ შენთჳს და ეგულების მოწყუმდაჲ შენი. ქალაქი უკუმ არს ჩემდა მცირე და კეთილი, რომელ კმა ჩემდა და შენდა. მშჳდობაჲ შენდა!

ნაცვალ-ნაწერი იისოჲსგან ავგაროზის მიმართ

ნეტარ ხარ, ავღარე, რამეთჳ არა იხილე და გრწმენა. წერილ არს რამეთუ ჩემთჳს, ვითარმედ ნეტარებ მხილველნი ჩემნი და მრწმუნებელნი, სამ-ნეტარებ ხოლო არამხილველნი და

მრწმუნებელნი.

ხოლო ვინაჲთგან შენ არამხილველმან ირწმუნე, მრთელობაჲ განემზადოს შენთჳს საყოველოდ. და რომლისათჳს მოსწერე ჩემდა მოსლვად შენდა მომართ, სამოქენო არს, რომლისა გუარისათჳს წარმოვივლინე მომავლინებელისა ჩემისა მიერ სრულქმნად და შემდგომად სრულქმნისა — ამაღლებად მომავლინებელისა ჩემისა მიმართ.

და შემდგომად ამაღლებისა ჩემისა წარმოგივლინო შენ ერთი მოწაფეთა ჩემთაჲ, თადდეოს სახელით, მოციქულ და თომაცა, რომელმან და შეხუდომაჲცა შენი განკურნოს და ქალაქი შენი კმა-ყოს არა ოდეს ვისგანცა მტერისა დაძლებად მიმართ მისსა ვიდრე საუკუნედმდე.

და რამეთუ მე მოვდრიკენ ცანი და შთამოვედ, რაჲთა ვაცხოვნო ნათესავი კაცთაჲ, დავიმკჳდრე ქალწულებრივი საშოჲ, რაჲთა თქუენ განგადიდნე. ხოლო ესე ჩემი ეპისტოლე, სადაცა უკუმ წინამოლებულ იქმნეს: გინა თუ გზასა შინა, ანუ სამსჯავლოსა შინა, გინა კურვებულთა შორის, ანუ მზრზოლარეთა, გინა საკრველთქონებულთა, ანუ რაოდენნი ამათდა მსგავს არიან, დაიკსნენ.

ხოლო იყავნ მტჳრთველი ამის უბიწო, განშორებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა და იტყოდენ ამას კურნებად, მიმყოფად და სიხარულად მტკიცედ მით, რამეთუ ყოველნაწერ არს ჩემითა მარჯუენითა. ბეჭდისა მიერ ჩემისა დავჰბეჭდე ეპისტოლე ესე ჩემი შჳდითა მიერ ბეჭედთა, რომელნი ქუსმო დაწერილ არიან:

ϯ Ψ Χ Ꮆ ⲙ ϯ ⲗ

ხოლო ბეჭედთა აღკსნაჲ არს ესე:

ჯუარი ვიდრემე ცხად-ჰყოფს, ვითარმედ ნებსით დავემსჭუალე მას ზედა

სი ცხად-ჰყოფს, ვითარმედ წულილი კაცი არა ვარ, არამედ კაცი ჭეშმარიტებით.

ი ცხად-ჰყოფს, ვითარმედ განსუმნებულ ვარ ქეროვიმთაგან.

მჯ ცხად-ჰყოფს, ვითარმედ მე ვარ ღმერთი პირველი და თჳნიერ ჩემსა არა არს სხუაჲ.

ჯ ცხად-ჰყოფს, მაღალი მეფე და ღმერთი ღმერთთაჲ

რო ცხად-ჰყოფს, მჴსნელ ვიქმენ ნათესავისა კაცთაჲსა.

დელტა ცხად-ჰყოფს, ყოველითურთ და ყოვლადვე და სამარადისოდ ცხოველ ვარ და ვჰგიე საუკუნეთამი.

ზღუდე ვარ ედესისაჲ და უტყუველისა აღთქუმისა წინდი.

ქრისტე ღმერთო ჩემო, შენდამი მსასოებელმან... მიმამთხჳე იწრუსალიმდ.

შემწყნარებელმან უკუჱ ავგაროზ უფლისა ეპისტოლისამან და მცნობელმან, ვითარმედ იუდეანნი ზედააღვლენან მოწყუჱდად მისსა, წარავლინნა ადრემსრბოლი, ქელოვნებით მხატვარი, მიღებისაძლით მსგავსებისა იისოჲსსა.

და შესლვასა ადრემსრბოლისასა წინა ბჭეთა იერუსალჱმთასა შეემთხჳა მას უფალი და სიტყჳსმყოფელმან მის თანა ჰრქუა მას: „მსტუარი ხარ, კაცო?“ ხოლო მან მიუგო: „არა, უფალო, არამედ წარმოვლენილი ვარ ავგაროზის მიერ ხილვად იისო ნაზარეველისა და მიღებად მსგავსებისა მისისა“.

განუწესა უკუჱ ღმერთმან მისლვად მისსა შესაკრებელსა ზედა. ხოლო ხვალისად წარსრული მჯდომარე იყო უფალი მასწავებელი ჯართაჲ და ადრემსრბოლი შესრული დგა გამომხატველი მსგავსებისა იისოჲსსა და ვერშემძლებელი მიწდომად მორფსა პირისა მისისა მივიდა და თანამსრბოლმან მისმან და მჭნებავმან მისმან ჰრქუა მას: „შეჳედ და მიეც სინდონი, რომელი გაქუს ავგაროზისით“.

ხოლო იგი შესრული დავარდა ყოველთა ზედა ფერჴთამი იისოჲსთა მიმცემელი მისსა სინდონისაჲ. და მიმღებელმან უფალმან წყლისა წმიდაჲ შინა და უხრწნელთა ქელთა მისთა დაიბანა და მიმღებელმან სინდონისა და ზედ დამდებელმან მისმან

ზედა პირსა თჳსსა. ჲ საკჳრველებასა! აღმოიხატა მსგავსებაჲ მისი ვიდრე დაკჳრვებადმდე ყოველთა მუნ მსხდომარეთა.

და მიმცემელმან მისმან ადრემსრბოლისამი, წარავლინა იგი ავგაროზის მიმართ. შესრულნი უკუნ ადრემსრბოლი და თანამსრბოლი მისი გზასა შინა დაადგრეს გარეშე ქალაქისა, რომლისა სახელ იერაპოლი, საკერამიდოსა შინა: და შეშინებულთა დაფარეს ხატი ქრისტესი საშუალ ორთა კერამიდთაჲსა და დაიძინეს.

და გამოჩნდა სუმტი ცეცხლისაჲ ზეცით დამოსრული დადგა ზედა კერძო, სადა-იგი იყო ხატი უფლისაჲ. ხოლო მხილველმან ციხისმცველმან სასწაულისამან ქმა-ყო ქმითა დიდითა. და გამოვიდა ერი ქალაქისაჲ. და მხილველთა ხატისათა ენება მიღებაჲ მისი. ხოლო მეძიებელთა პოეს, რამეთუ აღკრულ იყო ერთისა მიმართცა კერამიდთაჲსა და მიმღებელთა კერამიდისათა დაიდუმეს.

და მოსლვასა ადრემსრბოლისასა მილიონ ერთ ქალაქად ედესისა, მძრომალე ბღუნვით ვინმე პოვა ადგილსა მას. და შეხებელი ხატისაჲ, მეყსეულად აღემართა და ვიდოდა. და შესლვასა მისსა სრბით დედისა მიმართ თჳსისა და იხილეს ყოველთაგან. განკჳრდეს ქმნილსა ზედა და იტყოდეს: „არა ესე არსა, ქუმძრომალე იგი და ბღუნვით მავალი, ძე მის ვისმე ქურივისაჲ?“

და მეყსეულად აღიწია მეფისა ავგაროზისსა მის ძლით. და მიმწოდებელი მისი მეფე ეტყჳს მას: „ვითარ განიკურნე?“ ხოლო მან ჰრქუა: „სტადიონ ერთ გარეშე ქალაქისა ვიქმენ მთხოელი და შე-ვინმე-მახო და აღვდეგ“.

ხოლო ავგაროზ ჰგონა, ვითარმედ, ქრისტე არს. და წარმავლინებელმან პოვნა ადრემსრბოლი თანამსრბოლისა თანა მისისა, მომღებელნი ხატსა უფლისასა და მოსრულნი პალატად. შეიწყნარნა იგინი ავგაროზ მდებარებმან სარეცელსა ზედა წელიწადთა ექუსთა და შემწყნარე სინდონისაჲ კელთამი თჳსთა განიკურნა მეყსეულად.

ხოლო შემდგომად ამაღლებისა უფლისა წარივლინა

თადდეოს მის მიერ ქალაქად ედესად განკურნებად ყოველსა სენსა ავგაროსისსა და ყოველსა უძლურებასა. ხოლო შთავიდეს წყაროსა ზედა სახელთქმითსა კერასსა და ნათელ-სცა მას, ყოველს სახლითურთ სახელისამი მამისა და ძისა და წმიდისა სულისა და იხარებდა სულითა მადიდებელი და მაკურთხეველი ღმრთისაჲ. ამინ.

უძლურებასა, მოიხილემ წყალისა გულითა, დაიხსენ ყოლის ავის სენისაგან და ბნედისაგან, ავის ჭირისა და ეშმაკისაგან. დაიხსენ, ღმერთო. ყოველთა სავნებელთა სულიერთა და ხორციელთა შინა შენი დაიფარე მადლითა შენითა უფალო წმიდაო, იოანე ნათლისმცემელო, წმიდანო წინასწარმეტყველნო, წმიდანო მოციქულნო, ღირსნო და ღმერთშემოსილნო და მოციქულთა სწორო ნინა და ყოველნო წმიდანო, თქვენ შეეწივნეთ.



გვიანდელი „ავგაროზები“
(თილისმები)

ავგაროზი

გიხაროდენ ტავიტ... სავსეო მანანათაო, გიხაროდენ მარიამ დედაო უ˜კ ღვთისაო.

სახარება იოანესი, თავი ა

პირველითგან იყო სიტყვაჲ. სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი. ესე იყო პირველთაგან ღვთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა. და თჳინიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. მის თანა ცხოვრება იყო. და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.

იყო კაცი მოვლინებული ღვთისა მიერ, და სახელი მისი იოანე. ესე მოვიდა მოწამედ, რათა წამოს ნათლისა მისთჳს, რათა ყოველთა ჰრწმენეს მისგან. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რათა წამოს ნათლისა მისთჳს.

იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად. სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ შეიქმნა. და სოფელმან იგი ვერ იცნა. თჳსთა თანა მოვიდა და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს. ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ხელმწიფება შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთათა, არც ნებითა მამაკაცისათა, არამედ ღვთისაგან იშვნეს.

და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩუენ შორის. და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა...

იოანე წამა მისთვის, ღაღად ყო და თქვა: „ესე არს, რომლისათვის იგი ვთქუ, რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუჳ პირველ ჩემსა არს.

და სავსებისაგან მისისა ყოველთა მოვიღეთ და მადლი მადლისა წილ. რამეთუ სჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა.

ეპისტოლე, მიწერილი იესო ქრისტეს მიმართ ავგაროს ედესიის მთავრის მიერ

მესმა შენთვის და კურნებათა შენთათვის, ვითარმედ ერთი ორთაგანი ხარ: ანუ ხარ ღმერთი, ანუ ძე ღვთისა. რამეთუ სმენილ არს, ვითარმედ თვალითა იქმ კურნებათა და სიტყვითა მკვდართა აღადგინებ, მკელობელთა ავლინებ, ბრმათა თვალთ აღუხილავ და კაცთაგან ეშმაკთა განასხამ და ყოველივე ესე რა მესმა შენთვის, უფალო, გევედრები ინებო მოსლვად ჩემდა და რომელი არს უძლურება ჩემ თანა, განკურნო.

ესეცა სმენილ არს, ვითარმედ ურიანი დრტვინვენ შენთვის და ნებავს მოკლვა შენი. არს უკვე ჩემდა ქალაქი მცირე, მშვენიერი, რომელი კმა არ არს ორთავეთვის დამკვიდრებად. და გევედრები, არა უღირს იჩინო მოსლვად ჩემდა, უფალო.

ნაცვლად მიწერილი იესო ქრისტეს მიერ ავგაროს ედესიის მთავრისადმი

ნეტარ ხარ შენ, ავგაროს, და ქალაქი შენი, რომელსა ჰრქვიან ედესია. ნეტარ ხარ, რამეთუ გრწმენა ჩემდა მომართ, რომელი არა გიხილავ, რამეთუჳ სამგზის სანატრელ არს იგი, რომელსა უხილავად რწმენეს ჩემდა მომართ. და რომელი მოგეწერა, ვინა ვარ, იცნა შენ, მე გარდამოვხედ ზეცით და ხორცნი შევისხენ სულისაგან წმიდისა მუცელსა შინა ქალწულისასა, რათა მამისა თქვენისა ადამის ხელით წერილი ცდომისა აღვხოცო და ვაგო პირველსა პატივსა. და შენ მოგივლინო მოციქული ჩემი თადეოს,

რომელმან განგკურნოს შენ და სიმრთელე მოგმადლოს. და ქალაქი შენი ედესია იყოს გამაგრებულ ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა ამის.

ხოლო სადაცა იყოს ეპისტოლე ესე ჩემი, ანუ ზღვასა შინა, ანუ სამსჯავროსა შინა, გინა თუ ვისმე ახურვებდეს, ანუ აძრწოლებდეს, ანუ აშინებდეს ანუ განაკრთობდეს, ანუ გზასა ზედა და ყოველსა ადგილსა იყოს მკურნალი ყოვლეთა უძლურთა და მწუხარებათა შინა მყოფსა მხიარულებად.

ხოლო რომელსა ჰრწმენეს ესე, იყოს მისა სიხარული დიდი, რამეთუ ყოველივე ხელითა ჩემითა დავწერე და შვიდითა ბეჭდითა ჩემითა დავბეჭდე ესე, რომელიცა აქა დასხმულ არიან.

ქრისტე ბრძანებს რომელ არს აქა:

† ХВ РФД[63]*

წმიდისა ამის ქრისტეს ეპისტოლის და შვიდის ბეჭდის მადლო და ძლევა, დაიცევ სულით და ხორცით ყოველთა ვნებათაგან მტვირთველი ამა ავგაროსისა (სახელ).

წმიდანო მთავარანგელოსნო მიხაილ, გაბრიილ, ურაილ, რაფაილ, იეღუდიელ, კაოახიილ, ხალათიილ და ყოველნო ანგელოსნო წმიდანო წინასწარმეტყველნო, წმიდაო იოანე ნათლისმც[ემელო] წმიდანო ათორმეტნო... წმიდანო ოთხნო..., წმიდანო მღდელთმთავა[რნო], წმიდანო მოწამენო... ღირსნო მამანო, წმიდ[ანო] დედანო და ქალწულ მოწამეო და ყოველნო წმიდანო.. მფარველ...

ავგაროზი

... იოანესი. თავი პირველი
ადიდო მის წირვის.

---

65 * რიგი შცვლილია, ‡ Ψ -ის ნაცვლად გაჩნდა **В**, როგორც ჩანს რუსულის გავლენით.

პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა მის თანა ცხოვრება იყო და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია. იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოანე. ესე მოვიდა მოწამედ, რათა ყოველსა ჰრწმენეს მისგან. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რათა წამოს ნათლისა მისთვის. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად. სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და ყოფელმან იგი ვერ იცნა. თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს. ხოლო რაოდენთა იგი შეისწნარეს, მოსცა მათ ხელმწიფება შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაითა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს. და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის, და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.

წმიდასა სულსა, ღმერთსა განუყოფელსა, განუზომელსა, მიუწთომელსა, ქველისმოქმედსა, ყოველთა შემოქმედსა ქება, გალობა და თაყვაისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ყოვლად წმიდა (წერია ნუხურით – ვ.ო)

დედა მღვთისა (!) მოწყალისა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი მარიამ ვადიდოთ.

ყოველი სასოება ჩემი შენდა მომართ დამიძს ღმრთისმშობელო, დამიფარე საფარლითა შენითა.

ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო მარიამ, ცათა უმაღლესო და ყოველთა ანგელოსთა და კაცთა უწმიდესო, სულით და ხორცით კურთხეულო გევედრებით მქონებელნი ამა ეპისტოლისა, დაიფარე ყოვლისა შლირისა (ალბათ უნდა იყოს „ჭირისა“ – ვ.ო.) სენისა სნებისა, ავი ზნისა, ჟამისა უკმურისა

სენისა სნებისა, ხურვებისა... თავთა ვოთებისა და ყოვლისა ავის თვალისა მოშურნისა ბოროტისა ზღვასა შინა და ხმელთა, ძილსა შინა და მღვიძარებასა და ყოველთა ადგილთა მფარველნ ექმენ. ამინ. (წერია ნუსხურით — ვ.ო.)

ესე ტრედი არს ნოეს კიდობნის. მოაქვს რტო ზეთის ხილისა მომასწაებლად (!) წყლის დაცხრომისა.

ადამისითგან იყო წელი ნოეს წყლის რღვნამმდე ორიათას ორას ორმოცდაორი წელი.

ხე ცხოვრების არის. იხილე

წმიდა გიორგი (წერია ნუსხურით — ვ.ო.)

დიდო მთავარმოწამეო გიორგი, მფარველ გვექმენ. ამინ.

ეს გველეშაპი მოკლა წმიდა გიორგიმ აქა ვლასის ქალაქსა.

წმიდაო გიორგი კაბადუკიისაო,
წმიდაო გიორგი ლუდიისაო,
წმიდაო გიორგი ელასიისაო,
წმიდაო გიორგი პალესტინისაო,
წმიდაო გიორგი ანტიოქიისაო,
წმიდაო გიორგი თებაიდისაო,
წმიდაო გიორგი თისალონიკისაო,
წმიდაო გიორგი შუამთისაო,
წმიდაო გიორგი ალავერდისაო,
წმიდაო გიორგი ამასიისაო,
წმიდაო გიორგი გელათისაო,
წმიდაო გიორგი შუამთისაო,
წმიდაო გიორგი ჩხარისაო,
წმიდაო გიორგი ბლოლევისაო,
წმიდაო გიორგი ილორისაო,
წმიდაო გიორგი სუჯუნისაო,
წმიდაო გიორგი ხვამლისაო,
წმიდაო გიორგი ველიეთისაო.

დიდო მოწამეო თეოდორე, მეოხ გუეყავ. ამინ.

დავით და კონსტანტინე

წმიდანო კეთილად მძლენო დავით და კონსტანტინე, ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

თქუენ ყოველთა მსასოებელთა მეოხნო, კეთილად მძლენო მოწამენო დავით და კოსნტანტინე მრავლის... დგან ხორ... საქებელად მდებ... მეოხებითა თქუენისა მჭონებელი ამა ...ტის დ...ისა დაიფარეთ ყო...ლას შ...ორს სენისა...

ავგაროზი

სახარება იოანესი, თავი ა

პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. მის თანა ცხოვრება იყო და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია. იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოანე. ესე მოვიდა მოწამედ რათა წამოს ნათლისა მისთვის, რათა ყოველსა ჰრწმენეს მისგან. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რათა წამოს ნათლისა მისთვის. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად. სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა. თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არა შეიწყნარეს. ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ხელმწიფება, შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი, რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა მამაკაცისათა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს.

და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენ შორის, და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ შობილისა მამისა მიერ, საცსე მადლითა და ჭეშმარიებითა. იოანე წამა მისთვის, ღაღად ყო და თქვა: ესე არს, რომლისათვის იგი

ვთქუ: რომელი ჩემსა უწინარეს იყო, რამეთჳ პირველ ჩემსა არს. და სავსებისაგან მისისა ჩვენ ყოველთა მოვიღეთ მადლი მადლისა წილ. რამეთუ სჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა.

ლოცვა მოსე წინასწარმეტყელისა

გარდამერეს და ზღუდე ექმნეს ერსა ქრისტეანეთასა. გაფუცებ ბეჭედსა სოლომონისსა, რომელსა ზედა უწინარეს ოთხნი ასონი, რომელი გამოითარგმანების სახელი მღვრთისა საშინელისა. გაფუცებ თქუენსა საყდართა დიდებისათა, რომელი იტვირთავს სერობიმთა. და იტყვიან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაო თ. აწ ყოველი მავნე და მავნებელი ივლტოდით, შეშინდით და განეშორენით სახელითა მღერთისათა ძეო მღთისაო, მფარველ ეყავ.

ლოცვა კრთომისა

ძეო ღმრთისაო და სულო, რომელმან შეაძწუნე სული უკეთური და განაგდე ყოველი საქმე საეშმაკო და კაცობრივი გუამისა მისგან მღრთისა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ. მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა მღთისმშობელისა მარიამისათ და ყოველთა წმიდათა შენთა. ამინ.

ლოცვა წმიდის გრიგოლისა


აჰა, ესერა გაფუცებ თქვენ მავნებელთა, რომელთად იქცეოდი სამყართა ანუ მტერთა, ანუ ვინცა ხართ, გევედრები უფალო, დაიხსენ ყოვლისა ავის ქარისაგან და მოაშორე ყოველი სულისა და ხორცისა მავნე და შეიწყალე დიდითა წყალობითა შენითა. ამინ.

ლოცვა უჟმურისა სამას სამოცდახუთის ჭირის

განმაქარვებელი ღმერთო საბაოთ, ღმერთო ისრევლისაო, სრულო და მოუკლებელო, რომელი განკურნებ ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა, მოიხილემ წყალისა გულითა, დაიხსენ ყოლის ავის სენისაგან და ბნედისაგან, ავის ჭირისა და ეშმაკისაგან. დაიხსენ, ღმერთო, ყოველთა სავნებელთა სულიერთა და ხორციელთა შინა შენი დაიფარე მადლითა შენითა უფალო წმიდაო, იოანე ნათლისმცემელო, წმიდანო წინასწარმეტყველნო, წმიდანო მოციქულნო, ღირსნო და ღმერთშემოსილნო და მოციქულთა სწორო ნინა და ყოველნო წმიდანო, თქვენ შეეწიენეთ ყოველს შეწუხებაში.

წმიდაო გიორგი ჩხარისთავისაო,
წმიდაო გიორგი ატოციასო,
წმიდაო გიორგი კვართისაო,
წმიდაო გიორგი დიღმისაო,
წმიდაო გიორგი გორივკვარისაო,
წმიდაო გიორგი დირბისაო
წმიდაო გიორგი თელითისაო,
წმიდაო გიორგი ქაშუეთისაო,
წმიდაო გიორგი კალიბნისაო,
წმიდაო გიორგი უბისაო,
წმიდაო გიორგი უჯარმისაო,
წმიდაო გიორგი მცხეთისაო,
წმიდაო გიორგი უბარისაო,
წმიდაო გიორგი წვერისაო,
წმიდაო გიორგი გულბითისაო,
წმიდაო გიორგი სომხითისაო,
წმიდაო გიორგი ახალუკვარისაო,
წმიდაო გიორგი ვაჭირისთავისაო,
წმიდაო გიორგი ხათურეთისაო,
წმიდაო გიორგი არბოშიკისაო.

თქვენ შეეწიენეთ, ვინც ეს ავგაროზი იყიდოს.




ანტონ მარტყოფელი

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის – კერამიონის შემომტანი საქართველოში

გთავაზობთ ამონარიდს „ქართლის ცხოვრებიდან“, კერძოდ ჯუანშერის სისტორიო თხზულებიდან, (სადაც მოთხრობილია V-VIII საუკუნეთა ამბები), რომელიც „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებით“ იწყება და რომელშიც ცამეტ ასურელ მამათა მოღვაწეობას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, მათ შორის წმინდა მამა ანტონ მარტყოფელის მოღვაწეობას და მოწამეობრივ ცხოვრებას. ასევე აღწერილი ედესის მთავრის ავგაროზის და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (კერამიონის) შექმნის ისტრია, მისი ნესტორიანელთა ეკლესიიდან ფარულად წამოღება მამა ანტონ მარტოფელის მიერ და მისი ჩამობრძანება საქართველოში – სოფლების ნორიოს და მარტყოფის მიმდებარე გეოგრაფიულ არეალში (დღევანდელი ღვთაების მონასტერი – ანტონ-მარტყოფელის სვეტი) და ამ ადგილებში „საკვირველებათა მის ხატისათა“ „უჩინრად“ ყოფნა „დევანდელ დღემდე.“ „ქართლის ცხოვრების“ თუნდაც ეს ნაწყვეტი ადასტურებს, რომ ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მისტერიას, უპირველესად ღვთაებრივ-სარწმუნოებრივ ჭრილში უფლის „საზეპურო ერისათვის“ – ივერიელთათვს.

ქვემოთმოტანლი ამონარიდი შემდგომში გამოიყენა გობრონ (მიხეილ) საბინინმა (საბინაშვილმა) თავის წიგნში „საქართველოს სამოთხე“ (პეტერბუგი 1882წ.) ანტონ მარტყოფელის (მესვეტის) ღვაწლის აღწერისას.



„ქართლის ცხოვრება“ (ნაწყვეტი)

(ჯუანშერი)

ხოლო მამა ანტონი შუამდინარელი, რომელი იყო მოწაფე მამისა იოვანესი, იყო წმიდა ესე განშორებულთა შორის ფრიად სათნო და წარჩინებული. ამან ყოვლად სანატრელმან წმიდა იგი ხატი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელ სახედ პირსა თჳსსა ტილოსა ზედან გამოსახა, და ავგაროზს სასოება აღუსრულა; და შემდგომად ამაღლებისა, თადეოსის-მიერითა ქელითა მიუვლინა და განკურნა კეთრისა მისგან ქუემდებარისა, და ყოვლით სახლეულით მისით ნათელ-იღო, თადეოსის-მიერითა ქელითა. და შემდგომად მისსა ძე კაცისა ავგაროზისა, და კუალად შვილისშვილისა ძისა მისისა ენაცვალნეს მათ მეფობათა ოდენ, და არა ღმრთისმსახურებითა. რამეთუ განდგომილ იქმნეს ღ̃თისმსახურებასა, და დამონებულ ეშმაკთა საოცრებასა. რამეთუჳ რა იგი ავგაროზს ეყო ეშმაკთა. და ვითარ შემუსრნა და განუდგა, მისი ენება შურის გება, რათა მიუზღოს ეშმაკთა, სახე ძუელისა მის საზორველისა დამჴობათა, დამჴობისა ხატისა მის საუფლოსათა, რომელი აღმართა ავგაროზ ბჭეთა ზედა ქალაქისათა, სადა-იგი ემართა კერპი ბილწი. რამეთუ მუნ დაუსვენა ხატი იგი ტილოსი, ფიცარსა ზედა გარდართხმული, რათა ყოველნი შემავალნი მუნ შინა ხილვით თაყუანის-ცემდენ. მაშინ ბილწმან შვილისწულმან ავგაროზისმან აღირჩია დღეკეთილებისა წილ უსახურობა, და ხატი იგი უარყო, და ეშმაკთა შეუდგა, და იგონა ხატისა მის ქრისტესისა, რათა წარწყმიდოს იგი.

მაშინ ეპისკოპოსმან მის ქალაქისამან გულისხმა ყო განზრახვა ბოროტისა მის, და ყო განგება ღირსი და შემსგავსებული მის ჟამისა. რამეთუჳ სადა-იგი ხატი ესუენა,

კამარედად ქმნილ იყო, და წმიდამან ეპისკოპოსმან დადგა კანდელი აღნთებული, საფარველად ტაძრისა მის, აღმართა კეცი წინა პირსა სატისასა, და აღმოყორა კარი იგი კამარისა, და შეაფარილა, რომელ ყოვლად არა ეტყობოდა, თუ ერთი რომელ უახლეს არს და შემდგომად უკანასკნელთა ჟამისა, ხუასრო, სპარსთა მეფე, მოადგა ედესია ქალაქსა, და უწყო თხრა ქუეშე ზღუდესა, და ენება, რათა ეგრეთ შევიდენ, რ ვერ აგრძნან, თუ ბრძავსო. მაშინ ღ თნ არა დაიდუმა უტყუველი აღთქმა, რომელ აღუთქუა, ვითარმედ: „ზღუდე ვარ მე ედესიისა“, და მშობელისა თჯსისა მეოხებითა, ევლავიოზს, ეპისკოპოსსა მის ქალაქისასა, გამოეცხადა დედა ღმრთისა და რქუა, ვითარმედ: „მას რომელსამე ბჭესა ზედა არს ხატი იგი ქელით-უქმნელი და დაფარული“. და ვითარცა განიღჯა ეპისკოპოსმან, გულისხმა ყო ჭეშმარიტებით ძილსა შინა ჩუენებულსა მას, და განთიად წარვიდა, ლიტანიით, ადგილსა მას, და პოვა წმიდა ხატი იგი ყოვლად განურყვნელი, და კანდელი იგი წინაშე მისსა ანთებული ეგო ეგეოდენსა ჟამთა სიმრავლესა შინა, და გარდააწუეთეს ზეთი მის კანდელისა მბრძოლთა მათსა ზედან მის ქალაქისათა, და მეყუსეულად, ვითარცა მიახლდა, მიედვა და დაიწვნეს, და ვითარცა მტუერი განიბნივნეს, და უჩინო იქმნეს.


ხოლო რომელი იგი კეცი საფარველად მის ხატისა აღმართებულ იყო, მას ზედა გამოსახულ იყო სხუა ხატი და მსგავსება წმიდისა მის საუფლოსა ხატისა, რომელი იგი სწორებით პატივ-იცემოდეს, და ნისტორიანთა ეკლესიასა შინა დაესუენნეს.

მაშინ წმიდამან ამან ანტონი იძია მოძღურისა თჯსისა გზა, და ისწავა ჭეშმარიტი და ცნა; რამეთუ წარვიდა სომხითს, ჩრდილოეთით-კერძო, სხუათა თანა მოწაფეთა, რომელთა აწ მოვიკსენნეთ, დავით, და დოდო, და შიო ანტიოქელნი, და რვანი სხუანი მოწაფენი იოვანესნი, ერთისა საზღვრისანი. ესე ცნა წმიდამან ანტონი, აღიძრა ტრფიალებითა მოძღურისა თჯსისათა და ესეცა ეძჯნებოდა გულსა თჯსსა, რომელ ნისტორიანთა ეკლესიასა შინა იყვნეს საუფლონი იგი ხატნი, | და აღიყვანა კეცი,

რომელი საფარველად მის ხატისა ყოფილ იყო, და ხატი ქმნულ იყო. ესე უჩინარად წარმოიყვანა, წინაძღომითა ანგელოზისათა და უწყებითა ზოციერითა, ჩრდილოეთს და მიიწია მტკუარსა ზედან, განვლო იგი და დაემკჳდრა აღმოსავალით, ვითარ ოთხ მილიონ ნაპრალსა კლდისასა, შინაგან მთათა აკრიანთა. იოანეს ახლვიდა ვითარ ხუთ მილიონ, და შიოს ვითარ ცხრა მილიონ, დავით-დოდოს ათსამეტ მილიონ. ხოლო მუნქვესვე რომელ წმიდისა ამის ანტონის ედგნეს საზარდელად გუამისა თჳსისა ირემნი. და იყო მთა უღაღი და სერტყიანი, და იყო ქალაქი ვითარ ერთ მილიონ, მცირე. და ესე ირემნი წარვიდიან ველსა, და ვითარ ჟამი მოვიდის, შინა მოვიდიან, წველის, ვითარ მწყემსნი მოვიდოდეს ჟამეულად. ხოლო ერთსა ოდენ ჟამსა მიიწევნეს უჟამოდ, დამფრთხალნი, და უკან ნუკრი მოსდევდა, ჴორც-შეკუეთილი. და ესე დაუკჳრდა წმიდასა მას, და თქუა გულსა შინა თჳსსა: თუ „სადა ვინ შეემთხჳა?“ რამეთუ არა უწყოდა სიახლე მის ქალაქისა, და მყის ვითარცა კაცთა თუალ-მმრუმედ ხედვასა თანა რქუა: „რა არს ეგე?“ და მათ ვითარცა პირ-მეტყუელთა თავ-მიზიდვით რქუეს: „შემომიდეგ და გიჩუენოთ?“ და შეუდგა კუალსა მათსა და მიიწია მას ადგილსა, სადა-იგი შემთხუეულ იყო მათდა, და აჰა მთავარი მის დაბისა მოვიდოდა ნადირობად და წინა შეემთხჳა და რქუა: „ვინ ხარ“. ხოლო წმიდა-იგი ქელით უჩუენებდა, სადა იყოფოდა და ყოველსავე საქმესა, რამეთუ ენა არა ესმოდა.

მაშინ მთავარმან რქუა: „მე ენა შენი არა მესმის, და რომელ ეგე ქელითა მეუბნები ეგეცა მოგკუეთო“. და რქუა: „წარიყვანეთ მჭედლისა თანა“. და ვითარცა მიიყვანეს, მჭედელმან შანთი გააკურვა, და გამოიღო, რათა ქელი მოჰკუეთოს, და დავარდა ქუე, და კბელნი ვითარცა შეშანი შეექმნნეს. მაშინ წმიდა-მან მიჰყო ქელი და ვითარცა ნაკუერცხალი ქელი აღებული მიუპყრა და რქუა: „ჰყავ ადრე ბრძანებული შენდა“. და იგი განკრთა საშინელსა მას ზედა ხილვასა. და მსწრაფლ იუმცნეს მთავარსა, და რქუეს ყოველი ხილული. და მან ბრძანა, რათა წინაშე მისსა მიიყვანონ. და ვითარცა მიიყვანეს, რქუა მას: „რა გნებავს სთქუ,

და ყოველი მიგცე“. ხოლო მცირედი ქვა უჩვენა მან, ვითარ სამეული, და ლოკდა, და ცნეს რამ თუ მარილი უნდა, და მოართუეს ორი ოდენ ქვა განუტეხელი. და მან მოხლიჩა ერთი ლიტრა და წარვიდა, და ალოკა ფურთა თჯსთა. და იყოფოდა ხატსა მას წინაშე ვიდრე აღსასრულამდე | ცხოვრებისა მისისა. და წმიდა იგი წმიდათა შინა მიიცვალა, და ჩუენ დაგჯტევა ხატი იგი საუფლო, და არს ვიდრე დღეინდელად დღემდე უჩინრად, და სასწაულთ-მოქმედებს განცხადებულად, რომელ უადვილეს არს აღრიცხვა ზღჯს ქვიშათა, ვიდრე საკჯრველებათა საუფლოსა მის ხატისათა. გარნა ვინათგან ღმერთი მხოლო არს მოქმედი სასწაულთა, მანვე მხოლომან უწყის სიმრავლე სასწაულთა მისთა. და უკეთუ სოლომონცა იყო, ვერცა მან შეუძლოს აღრიცხვად, თჯნიერ ღმრთისა მხოლოსა.



სარჩევი

წინათქმა ---------- 3
The old Anchiskhati temple in Tbilisi ---------- 9
წმინდა ალმსარებელი პოლევქტოს კარბელაშვილი
(გენეალოგია და ღვაწლი) ---------- 13
ძველი ანჩისხატს ტაძარი ქ.ტფილისში ---------- 67
პარაკლისი ხელით-უქმნელისა ანჩის-ხატისა ----------123
ანჩის მონასტერი და იოანე ანჩელი ---------- 138
იოანე ანჩელი ,,გალობანი ანჩისხატისანი“ ---------- 141
ავგაროზის და იესო ქრისტეს ეპისტოლეთა
ძველი ქართული რედაქციები: ---------- 147
ა) მოკლე რედაქცია (ალავერდის ოთხთავიდან) ---------- 150
ბ) სინური თარგმანი ---------- 155
გ) გელათური თარგმანი (გიორგი ათონელისა) ---------- 160
დ) ლარგვსული თარგმანი ---------- 165
ე) გვიანდელი ავგაროზები ---------- 170
ანტონ მარტყოფელი ---------- 178
,,ქართლის ცხოვრება – (ჯუანშერი)---------- 179
სარჩევი ---------- 183